

ISSN 1987-5789
ESSN 2587- 5426



ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS AND BUSINESS

4

ტომი XI VOLUME

2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Analytical Journal
of the Faculty of Economics and Business
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალურად
Publish since January 2008 once in two months,
since 2015 – Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2,
თსუ-ის მაღლივი კორპუსი, III სართული, 316-317
მთ. რედაქტორი – ტელ: 599794949, მოადგილე – ტელ: 599103816,
პ/მდ. – ტელ: 599218384, მთ. სპეც. – ტელ: 577970280

Address: Tbilisi, University str. N2.
Chief Editor – Tel: 599794949, Deputy Chief Editor – Tel: 599103816,
Responsible Secretary – Tel: 599218384, Chief Specialist – Tel: 577970280
Tel: +995 322250484 – in.n. 9781, 9763, 9724
www.eb.tsu.ge
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეჯია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია (*რედაქტორის მოადგილე*), თამაზ ზუბიაშვილი (*პასუხისმგებელი მდივანი*), ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ირაკლი მანაგაძე, მურთაზ მაღრაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი (*მთავარი რედაქტორი*), დავით ნარმანია, ნუგზარ პაიჭაძე, ვლადიმერ პაპავა (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), ლევან საბაური, ავთანდილ სილაგაძე (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ლალანიძე, თეიმურაზ შენგელია, ეთერ ხარაიშვილი, იოსებ ხელაშვილი.

EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: **Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia** (*Deputy Redactor*), **Tamaz Zubiashvili** (*Executive Secretary*), **Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Irakli Managadze, Murtaz Maghradze, Elguja Mekvabishvili** (*Redactor*), **Davit Narmania, Nugzar Paichadze, Vladimir Papava** (*Academician of Georgia National Academy of Sciences*), **Levan Sabauri, Avtandil Silagadze** (*Academician of Georgia National Academy of Sciences*), **Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Eter Kharaishvili, Ioseb Khelashvili.**

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი; **დმიტრო ლუკიანენკო** – კიევის ვადიმ ჰეტმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი; **იან მიხალეკი** – ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; **დმიტრი სოროკინი** – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **როსვიტა მ. კინგი** – ოსტფოლდის უნივერსიტეტის კოლეჯის ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების გამოყენებითი ეკონომიკის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი (ნორვეგია); **ამეზიან ფერგუინი** – გრენობლის ალპების უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი (საფრანგეთი); **ტომას ჰალდმა** – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (ესტონეთი);

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Wolfgang Weng – Berlin University, Professor; **Dmytro Lukianenko** – Vadym Hetman Kyiv National Economic University, Rector, Professor; **Jan Mikhalek** – University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; **Dmitry Sorokin** – Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Roswitha **M. King** – Leader of Research Group ‘Applied Economics,’ Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College (Norway); **Ameziane Ferguène** – Professor of Economics at Grenoble Alps University (France); **Toomas Haldma** – Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.

ს ა რ ჩ ე ზ ი

აკადემიკოსი როინ მეტრეველი - 80.....9

ეკონომიკური თეორია ♦ ეკონომიკური პოლიტიკა

ჯონ ფ. ტომერი - მეტაფორები აშშ-ის ეკონომიკის განვითარების დასახასიათებლად: უხილავი და ხილული ხელის ეკონომიკური სტადიების ჰუმანისტური ხელის სტადიად გარდაქმნა12

ელგუჯა მექვაბიშვილი - ეკონომიკური მეტაფორები, რომლებსაც საინტერესო დასკვნებამდე მივყავართ (კომენტარი პროფ. ჯონ ფ. ტომერის სტატიაზე: მეტაფორები აშშ-ს ეკონომიკის განვითარების დასახასიათებლად: უხილავი და ხილული ხელის ეკონომიკური სტადიების ჰუმანისტური ხელის სტადიად გარდაქმნა)33

ალექსანდრე გრიბინცეა, თემურ შენგელია - გლობალურ ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაბინძურებას შორის წინააღმდეგობის დაძლევის შესახებ (ინგლისურ ენაზე)40

იოსებ არჩვაძე - სახელმწიფო ვალი - ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი (2000 წლის შემდგომი პერიოდის საქართველოს მაგალითზე)50

პაატა კოლუაშვილი, ნიკო ჩიხლაძე - სასურსათო დამოუკიდებლობა სახელმწიფოებრივი აუცილებლობა69

ეკა ლეკაშვილი - ციფრული ეკონომიკა: მეცნიერებისა და პოლიტიკის გამონვევები83

მიკროეკონომიკა ♦ მაკროეკონომიკა ♦ ეკონომეტრიკა

ზაურ ფუტყარაძე, ჯამბულ აბულაძე - საოჯახო მეურნეობები და მათი განვითარების პერსპექტივები აჭარაში.....100

ცოტნე იაშვილი - მწვანე ეკონომიკის ძირითადი ასპექტები და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში (ინგლისურ ენაზე).....113

ქუჯი ბიჭია - როგორ მოქმედებს სხვების არჩევანი ინდივიდის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე (ექსპერიმენტული კვლევა)130

ფინანსები და საბანკო საქმე ♦ აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი

ვასილ ხიზანიშვილი - სასესხო პროცენტის გამოყენების ეთიკურ-ეკონომიკურ მხარეთა ანალიზი თანამედროვე ისლამში.....149

ბიზნესი ♦ მენეჯმენტი ♦ მარკეტინგი ♦ ტურიზმი

უშანგი სამადაშვილი - მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და როლი
თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში157

ნინო ჯანელიძე - სოციალური მენარმეობა, როგორც კვლევის ახალი
სფერო.....176

დემოგრაფია

სიმონ გელაშვილი, მარინე მინდორაშვილი, ნინო მაღრაძე -
სტუდენტთა დემოგრაფიული ცოდნის დონე საქართველოში189

სხვადასხვა

თამაზ გოგოლაძე - XVII-XVIII საუკუნეების ქართველი ვაჭრები
სეფიანთა ირანში (ისპაჰანის სომხურ ნერსესის, მინასისა და
სარქისის ეკლესიებში დაცული ქართული და ქართულ-სომხური
საფლავის ქვების წარწერების მიხედვით)205

IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „გლობალიზაციის
გამონვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“215

ხსოვნა ნათელი

პროფესორი **კლიმენტი აჩელაშვილი**239

CONTENTS

Academician Roin Metreveli - 80	9
----------------------------------------------	---

ECONOMIC THEORY ♦ ECONOMIC POLICY

John F. Tomer – Metaphors for the Evolution of <i>the</i> American Economy: Progressing from the Invisible and Visible Hands to the Humanistic Hands	12
Elguja Mekvabishvili – Economic Metaphors that Lead Us to Interesting Conclusions (Commentary on Prof. John F. Tomer’s article: “ Metaphors for the Evolution of the American Economy: Progressing from the Invisible and Visible Hands to the Humanistic Hand”)	33
Alexandru Gribincea, Teimuraz Shengelia – On Overcoming the Contradiction between Global Economic Development <i>and</i> Environmental Pollution (<i>in england</i>).....	40
Joseph Archvadze - Government Debt as an Important Factor for the Economy Growth (On the example of Georgia after 2000-s)	50
Paata Koguashvili, Niko Chixladze - Food Independence is a State Necessity	69
Eka Lekashvili - The Digital Economy: The Challenges of Science and Politics	83

MICROECONOMICS ♦ MACROECONOMICS ♦ ECONOMETRICS

Zaur Putkaradze, Djambul Abuladze - Family Farms and their Development Prospects in Adjara	100
Tsotne Iashvili - <i>Key</i> Aspects of Green Economy and its Development Prospects in Georgia (<i>in england</i>).....	113
Quji Bichia - How Does Choices Made by Others Affect Individual’s Economic Decisions (Experimental <i>Study</i>)	130

FINANCE & BANKING ♦ ACCAUNTING, AUDITING

Vasil Khizanishvili - The Analyses of <i>the</i> Ethic-Economic Sides of Loan Interest Using in Modern Islam	149
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----

BUSINESS ♦ MANAGEMENT ♦ MARKETING ♦ TOURISM

Ushangi Samadashvili - <i>Sustainability</i> and the Role of SME in Contemporary Economics of Georgia	157
Nino Janelidze - Social Entrepreneurship as a New Field of Research	176

DEMOGRAPHY

Simon Gelashvili, Marine Mindorashvili, Nino Maghradze - Demographic Knowledge Level of Students in Georgia 189

MISCELLANEOUS

Tamaz Gogoladze - XVII-XVIII Centuries Georgian Merchants in Safavid Iran (according to the inscriptions on Georgian and Georgian-Armenian tombstones preserved at Armenian Church in Isfahan) 205

IV International Scientific Conference - “Challenges of Globalization in Economics and Business” 215

BRIGHT MEMORY

Professor Klimenti Achelashvili 239

აკადემიკოსი როინ მეტრეველი – 80

მსოფლიო დონის ქართველი მეცნიერი და გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწე

აკადემიკოსი *როინ მეტრეველი* დიდ ქართველ ისტორიკოსთა ღირსეული მემკვიდრე და თანამედროვეობის გამორჩეული ფიგურაა, რომელმაც საქართველოს მდიდარი ისტორიის ბევრი დაფარული მოვლენა სააშკარაოზე გამოიტანა და საქართველოს ისტორიის უბადლო მემკვიდრის სახელი სრულიად დამსახურებულად დაიმკვიდრა. მან თავისი უაღრესად ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობით ერის წარსულსა და თანამედროვეობას ფართოდ გაუკვალა მომავლის გზა, რითაც მას საქართველოს ისტორიის ჭეშმარიტი მეციხოვნის სახელიც მიენიჭა (ილია II).



აკადემიკოსი როინ მეტრეველი ინტენსიურად იკვლევდა და იკვლევს საქართველოს შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის საკვანძო პრობლემებს, რასაც მრავალი მონოგრაფია და ასეულობით სამეცნიერო სტატია მიუძღვნა.

მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები: „შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში“, „დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V-XII სს.)“, „გლახაკები“, „ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი“, „ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში“, „დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი“, „საქართველო რუსთაველის ეპოქაში“ და სხვ.

აღნიშნულთან ერთად, აკადემიკოს რ. მეტრეველის ფართო ინტერესთა სფეროშია კავკასიური ცივილიზაციისა და გლობალიზაციის, ასევე საქართველოს დიპლომატიური ისტორიის აქტუალური პრობლემები.

ამასთანავე, იგი საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელობის თანაავტორია. მთლიანობაში აკადემიკოს რ. მეტრეველის კალამს ეკუთვნის 300-ზე მეტი მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომი. მისივე ხელდასხმით გამოიცა ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი უდიდესი ღვაწლი საქართველოს მრავალტომიანი ენციკლოპედიის გამოცემაში.

ხაზგასასმელი და საინტერესოა, რომ აკადემიკოსი რ. მეტრეველი დღესაც ახალგაზრდული შემართებითა და მხნეობით განაგრძობს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა სფეროს გამდიდრებას ახალ-ახალი გამოკვლევებით. ინტერესმოკლებული არ არის ის გარემოებაც, რომ მისი ნაშრომების გარკვეულ ნაწილში გამოკვეთილია მეცნიერებისა და მართლმადიდებლური რელიგიის

(ანუ სულიერების) ურთიერთკავშირი და განპირობებულობა. ამის უდავო დასტურია თუნდაც ის, რომ მისი თაოსნობითა და ხელშეწყობით ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ეზო-პანთეონში აღიმართა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი.

რაც შეეხება სტუდენტი-ახალგაზრდობის განათლებას – მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში მუდამ იყო აკადემიკოს რ. მეტრეველის ინტერესთა სფეროში, რაც გამოიკვეთა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად მუშაობისას, მაგრამ თავის აპოგეას მიაღწია თბილისის დედა-უნივერსიტეტის რექტორად ხანგრძლივად მოღვაწეობის პერიოდში. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სავსებით მართებული გადწყვეტილება მიიღო საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ, როდესაც ქვეყნის არსებობაში დიადი გარდატეხის ჟამსა და ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში რექტორობა ანდო ცნობილ მეცნიერსა და გამოცდილ ხელმძღვანელს, ზომიერ პოლიტიკოსსა და სამშობლოს დიდ პატრიოტს, რომელმაც უმაღლესი განათლების ბრწყინვალე ორგანიზატორის ნიჭი სრულად სწორედ აქ გამოავლინა.

უწინარესად, მან ერის იმედი და საამაყო უნივერსიტეტი დაიცვა „ვითარცა დიდმა მეციხოვნემ“, როცა მას ქვეყნისა და ერის სხვადასხვა ჯურის შენიღბული თუ აშკარა მტრები ყოველგვარი მეთოდით უტყვევდნენ, რათა საბოლოოდ მოესრათ ქართული ეროვნული სულიერების ხელთუქმნელი სიბრძნის ტაძარი. დიახ, ახალი რექტორის ბრძნული ხელმძღვანელობით არათუ ჩაკვდა სასწავლო და სამეცნიერო პროცესები, არამედ, სულ მოკლე პერიოდში ახალ საფეხურზე ავიდა, რასაც საფუძვლად დაედო ეფექტიანად განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა. თვისებრივად განახლდა უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო, რომელიც ფართო დემოკრატიის პრინციპებით წარმართავდა საუნივერსიტეტო საქმიანობას. თსუ-ს 1994 წ. აღუდგა ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი, იმავე წელს დიდმა სამეცნიერო საბჭომ მიიღო „საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია“, რის საფუძველზეც უნივერსიტეტი გადავიდა ჯერ ორსაფეხურიან, ხოლო მერე სამსაფეხურიან (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლებაზე. იმავე პერიოდში უნივერსიტეტში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, სამეცნიერო ცენტრები, ახალი კათედრები, გაიზარდა სპეციალობათა რაოდენობა.

ყოველივე ამის საფუძველზე, თსუ წარმოჩინდა როგორც თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ღირსეულად ჩადგა მხოფლიოს მონინავე უნივერსიტეტებს შორის, გაძლიერდა კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.

აკადემიკოს როინ მეტრეველის რექტორობის პერიოდში თსუ-მა სასწავლო თუ სამეცნიერო სფეროში მრავალი მნიშვნელოვანი სიახლე დანერგა, რითაც აკადემიკოსი როინ მეტრეველი ღირსეულ რექტორთა სიაში მყარად იკავებს ადგილს.

აღნიშნულთან ერთად, 1993 წლიდან დღემდე, აკადემიკოსი როინ მეტრეველი მოღვაწეობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში – ჯერ აკადემიკოს-მდივნის, შემდეგ კი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, სადაც მან თავი გამოიჩინა როგორც სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შეუდარებელმა ორგანიზატორმა. იგი ქვეყნის განვითარების ბევრ მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებით არაერთი მასშტაბური სამეცნიერო პროექტის ინიციატორი და შემქმნელია და დღესაც ინტენსიურადაა ჩაბმული სხვადასხვა სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ღირსშესანიშნავია ისიც, რომ აკადემიკოს როინ მეტრეველის, როგორც პარლამენტის წევრის, ხელმოწერა ამშვენებს 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

საამაყო, თუმცა სიმრავლის გამო, ძნელია ჩამოთვალო სამეცნიერო ცენტრები თუ უნივერსიტეტები, სადაც იუბილარი არჩეულია საპატიო თუ ნამდვილ წევრად, ასევე, ეროვნული თუ საერთაშორისო მასშტაბის ჯილდოები, რაც მას უხვად გააჩნია.

დაბოლოს, სიამაყით გვინდა დავაფიქსიროთ ის უდავო ჭეშმარიტება, რომ აკადემიკოსი როინ მეტრეველი სრულიად დამსახურებულად იკავებს საპატიო ადგილს ყველა დროის ქართველ მეცნიერთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა შორის, ასევე მსოფლიო მასშტაბითაც, სადაც მას დიდი აღიარება აქვს მოპოვებული.

დიდად სასიხარულოა, რომ 80 წლის იუბილარი დღესაც ფიზიკური და სულიერი ენერჯითაა სავსე და უწინდებური ენთუზიაზმით ავსებს ახალ-ახალ ფოლიანტებს სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის წონადი შედეგებით.

*აკად. ვლადიმერ პაპავა, აკად. ავთანდილ სილაგაძე,
პროფ. გიორგი ლალანიძე, პროფ. თეიმურაზ ბერიძე,
პროფ. რევაზ გოგობია, პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი,
პროფ. ნუგზარ პაიჭაძე*

ეკონომიკური თეორია ✧ ეკონომიკური პოლიტიკა
ECONOMIC THEORY ✧ ECONOMIC POLICY

**მეტაფორები აშშ-ის ეკონომიკის განვითარების დასახასიათებლად:
უხილავი და ხილული ხელის ეკონომიკური სტადიების ჰუმანისტური
ხელის სტადიად გარდაქმნა**

ჯონ ფ. ტომერი

ეკონომიკის პროფესორ-ემერიტუსი
johnftomer@gmail.com

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია სამი მნიშვნელოვანი მეტაფორა, რაც გვეხმარება ამერიკული ეკონომიკის წარსული წარმატების ფაქტორთა გაგებაში. პირველია ადამ სმიტის „უხილავი ხელის“ მეტაფორა, რომლითაც შეგვიძლია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების გაგება XVIII საუკუნის შუა და ბოლო პერიოდში. მეორეა – ალფრედ ჩანდლერის „ხილული ხელის“ მეტაფორა, რომელიც გვიჩვენებს საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელობის შედარებით შემცირებასა და მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობის ზრდას ეკონომიკური რესურსების განაწილების პირობებში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. მესამე არის რიჩარდ ლანგლოისის „გაუჩინარებადი ხელის“ მეტაფორა, რომელსაც ის იყენებს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის ამერიკული ეკონომიკის ფუნქციონირების საყურადღებო ცვლილებების დასახასიათებლად. ამ სამი მეტაფორის გაერთიანებით, შეგვიძლია დავინახოთ, როგორ შეიცვალა ამერიკული ეკონომიკის ფუნქციონირება, ეკონომიკის ერთი ეტაპიდან მეორეში ტრანსფორმაციის პირობებში.

ნაშრომის მეორე ნაწილი გვანვდის იდეას, რომ მომდევნო ეკონომიკური ეპოქა შეიძლება დახასიათდეს „ჰუმანისტური ხელის“ მეტაფორით. იმ დროს, როდესაც ამერიკის საერთო ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, საკმაოდ მაღალ ნიშნულს მიაღწია, ადამიანისეული მაჩვენებლები არც თუ ისე სახარბიელო იყო. ეს შეფასება ეხება ეკონომიკის ისეთ მაღალ ადამიანისეულ დანახარჯებს, როგორიცაა ქრონიკული დაავადებები და სხვა მიზეზები, რის გამოც ამერიკელი ხალხი სოციალ-ეკონომიკური დისფუნქციის მსხვერპლი გახდა. ჰუმანისტური ხელის მეტაფორისთვის დამახასიათებელია მისი ორიენტაცია თანამედროვე კაპიტალიზმის სოციალ-ეკონომიკური დისფუნქციის უარყოფითი შედეგების დაძლევისაკენ.

იმის აღსანიშნავად, თუ როგორ შეიძლება აღმოცენდეს და იფუნქციონიროს ჰუმანისტური ხელის ეტაპმა, ნაშრომი ეყრდნობა ელინორ ოსტრომისა და დევიდ უილსონის კვლევებს. ოსტრომის აზრით, ეკონომიკის პროდუქტიული ჯგუფები შესაძლებელია დისფუნქციურები გახდნენ, თუ ჯგუფის წევრები გამოდიან მხოლოდ ეგოისტური ინტერესებიდან, ანუ ცდილობენ საკუთარი კეთილდღეობის გაზრდას სხვების ხარჯზე. ასეთმა ქმედებამ შესაძლოა ჯგუფის საქმიანობის სრული კრახი გამოიწვიოს. ოსტრომმა და უილსონმა დაადგინეს, რომ საჭიროა ფუნქციური ორგანიზაციების არსებობა, რომლებშიც ჯგუფებს ექნებათ კომუნიკაცია, ერთმანეთის ნდობა და საერთო მიზნები. ჰუმანისტური ხელის ეკონომიკაში ძირითადი ეკონომიკური ორგანიზაციები ფუნქციური ორგანიზაციებია. არსებობს მყარი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ასეთ ფუნქციურ ორგანიზაციებში, ეკონომიკური საქმიანობით გამონეწეული ადამიანისეული დანახარჯები გაცილებით მცირე იქნება, ვიდრე თანამედროვე კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ ტიპურ ფირმებში. საბოლოოდ, უილსონმა განმარტა – როგორ შეიძლება აღმოცენდეს ჰუმანისტური ხელის ეტაპის ფუნქციური ორგანიზაცია კულტურული ევოლუციის პროცესში.

შესავალი

ნაშრომის მიზანია იმის განხილვა, თუ როგორ დაგვეხმარება სპეციფიკური ეკონომიკური მეტაფორების არჩევა ამერიკული ეკონომიკის წარსული წარმატების ფაქტორების დადგენასა და მომავალი პროგრესის პროგნოზირებაში. ამ მეტაფორების ყურადღებით გაანალიზება ასევე შეიძლება გამოგვადგეს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლაში და ეკონომიკური პოლიტიკის გადანყვეტილებების მიმღებებს დაეხმაროს პრაქტიკული საკითხების გადანყვეტაში. განვიხილოთ სამი უმნიშვნელოვანესი მეტაფორა. პირველი – თავის წიგნში „ხალხთა სიმდიდრის შესახებ“ ადამ სმიტი (1776) იყენებდა „უხილავი ხელის“ მეტაფორას XVIII საუკუნის შუა და ბოლო ხანების საბაზრო ეკონომიკის შესახებ საკუთარი ხედვის გადმოსაცემად. მეორე მეტაფორა ხსნის, თუ როგორ განსხვავდებოდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ეკონომიკა წინა პერიოდის საბაზრო ეკონომიკისგან. ალფრედ ჩანდლერმა (1977) გამოიყენა „ხილული ხელის“ მეტაფორა იმის საჩვენებლად, როგორ შემცირდა ბაზრის მნიშვნელობა ეკონომიკაში და გაიზარდა ადამიანისეული (ან მენეჯერული) გადანყვეტილებების მიღების მნიშვნელობა ეკონომიკური რესურსების არათანაბარი განაწილების პირობებში. მესამე – ესაა რიჩარდ ლანგლოისის „გაუჩინარებადი ხელის“ მეტაფორა, რომელსაც ის იყენებს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის ამერიკული ეკონომიკის ფუნქციონირების საყურადღებო ცვლილებების დასახასიათებლად. ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა სტადიისათვის დამახასიათებელი ეს სამი მეტაფორა დაეხმარა ეკონომისტებს აღმოეჩინათ ეკონომიკის ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტი, მათ შორის – თუ როგორ შეიცვალა ამერიკული

ეკონომიკის ფუნქციონირება ეკონომიკის ტრანსფორმირების ერთი ეტაპიდან მეორეში გადასვლის პირობებში.

შეუძლებელია მომავლის, მით უმეტეს, მომავალი ეკონომიკური სტადიების ზუსტი განჭვრეტა. თუმცა, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეს სტადია შეიძლება იყოს „ჰუმანისტური ხელი“. მაშინ, როდესაც ამერიკის ეკონომიკის ეკონომიკური და ტექნოლოგიური მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო, აშშ-ის ეკონომიკის ზოგადი ადამიანისეული მაჩვენებლები არც თუ ისე სახარბიელოდ გამოიყურებოდა. კერძოდ, ადგილი ჰქონდა ეკონომიკის მაღალ ადამიანისეულ დანახარჯებს, როგორცაა ქრონიკული დაავადებები და სხვ., რის გამოც ამერიკელი ხალხი სოციალ-ეკონომიკური დისფუნქციის მსხვერპლი გახდა. ჰუმანისტური ხელის მეტაფორისთვის დამახასიათებელია მისი ორიენტაცია თანამედროვე კაპიტალიზმის სოციალ-ეკონომიკური დისფუნქციის უარყოფითი შედეგების დაძლევისაკენ. ეს ეტაპი ფოკუსირებული იქნება ამერიკული საზოგადოების კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე, რომლიც, ბოლო პერიოდში, ეკონომიკის პროდუქტიულობისა და შემოსავლების მატების მიუხედავად, განსაკუთრებით დაბალი იყო.

არსებობს ვარაუდი, რომ ჰუმანისტური ხელის ეკონომიკური ეტაპი კულტურული ევოლუციის პროცესში შეიძლება დადგეს (უილსონი, 2015 წ.). ამასთან, საერთო კეთილდღეობის რესურსების (CRP) შესახებ ელიონორ ოსტრომის და მისი კოლეგების ნაშრომიდან (2009) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გავრცელებული ეკონომიკური თეორიების საპირისპიროდ, შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ რესურსების ჭარბი გამოყენება. ოსტრომმა აჩვენა, რომ საერთო რესურსების გამოყენებლებს შეუძლიათ ერთმანეთთან კოორდინაცია და საერთო ინტერესების გამონახვა, ამ პროცესში კი შეიქმნება ფუნქციური ორგანიზაციები. ოსტრომის, უილსონის და სხვების ნაშრომებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმატებით ფუნქციონირებად საერთო კეთილდღეობის რესურსებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები, შეიძლება განზოგადდეს სხვა კონტექსტით, კერძოდ, მსჯელობაა მრავალი ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ წარმატებულ, დიდი მასშტაბების მქონე ოპერაციებზე, ისეთი ტენდენციების არარსებობის პერიოდში, როგორცაა ბაზრის ჩავარდნა და მისი არასწორი ფუნქციონირება. სწორედ ეს ორი უკანასკნელი იყო თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ადამიანისეული დანახარჯების ზრდის მთავარი მიზეზი.

ეკონომიკური საფეხურები, მეტაფორები და პროგრესი

ქვეყნის ეკონომიკა ყოველთვის იცვლება და ვითარდება. ბუნებრივია, რომ ამ ცვლილებებიდან ზოგი მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე დანარჩენი და უფრო მეტად ასოცირდება პროგრესთან. როგორც აღვნიშნეთ, წამყვანი ავტორების ნაშრომებზე დაყრდნობით შესაძლებელია ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სტადიების გამოყოფა და მისი დაკავ-

შირება ეკონომიკურ მეტაფორებთან. ეს მეტაფორები მოკლე, რელევანტურ ანალიზთან ერთად, საშუალებას მოგვცემს გავანალიზოთ ამა თუ იმ ეტაპზე ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები. ასევე, შეგვიქმნის წარმოდგენას თითოეული ეტაპის მნიშვნელობაზე, პროგრესში მის მიერ შეტანილი წვლილიდან გამომდინარე; მაგალითად – კონკრეტულ ეტაპზე ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეტაფორები უნაკლო არაა, ის მეტნაკლებად მაინც გამოდგება შემდეგ კითხვებზე პასუხის გასაცემად: ამ ეტაპზე მომხდარმა მოვლენებმა რა დოზით იქონია გავლენა ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესზე? კონკრეტულ ეტაპზე ეკონომიკის ფუნქციონირებამ როგორ შეუწყო ხელი შემდეგ ეტაპებზე მიღწეულ წარმატებებს? როგორ შეესაბამება ეს კონკრეტული ეტაპი ეკონომიკის მთლიან მონახაზს? რა დოზით ანაცვლებს ახალი ეკონომიკური ეტაპი არსებულ ეტაპს? ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კურსის დადგენა ბევრად უფრო მარტივდება ამ ტიპის კვლევის საშუალებით, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოცემული ანალიზი შეიძლება არ შეესაბამებოდეს ეკონომიკის ისტორიული ანალიზისთვის დამახასიათებელ ლოგიკას. სამომავლოდ, ეს კვლევა შესაძლოა გამოსადეგი გახდეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გადანყვეტილებების მიმღებთათვის, რათა ადეკვატურად იმოქმედონ და ხელი შეუწყონ ეკონომიკის სწორ ფუნქციონირებას.

დონალდ მაკკლოსკის (1985) მიხედვით, მეტაფორები უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური პროცესების განმარტებისა და არგუმენტირებისთვის. მეტაფორები, ესაა ენა, რომელსაც ეკონომისტები იყენებენ: ისინი არ განსხვავდება ორნამენტებისაგან (გვ. 74-76) და განსაზღვრავს ჩვენს ეკონომიკურ და ფილოსოფიურ ხედვებს. ფილოსოფოს მაქს ბლექის თანახმად, დასამახსოვრებელ მეტაფორას აქვს უნარი მოიყვანოს თანხვედრაში ორი განსხვავებული სფერო – კოგნიტიური და ემოციური. სწორი ენის შერჩევით – „აქციოს ერთ ობიექტივად, მეორეს დასანახად“ (მაკკლოსკი 1985, გვ.76). მეტაფორები ესაა – „განსაზღვრული გზა, მეთოდი საქმის კურსში გასარკვევად“; მათ „შეუძლიათ გაგვაოცონ გზების დასახვით, რაც ერთ დროს უხილავი იყო ჩვენთვის“ (გვ. 77). უფრო მეტიც, „ეკონომიკურ მეტაფორებს სწორედ ის ხდის განსაკუთრებულს, რაც გამოარჩევს პოეზიას სხვა დანარჩენისაგან“ (გვ. 78).

უხილავი ხელის მეტაფორა

უხილავი ხელის მეტაფორის თავდაპირველი ვერსიის პოვნა შესაძლებელია ადამ სმიტის ნაშრომში – „გამოკვლევა ერთა სიმდიდრის შესახებ“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1776 წელს. ადამ სმიტი აღნიშნავდა:

„ყველა ინდივიდს, ვინც იყენებს კაპიტალს, იმდენად დიდი წვლილი შეაქვს საზოგადოების წლიურ შემოსავალში, რამდენიც შეუძლია. მან ზოგადად ... არც

ის იცის, რომ საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება და არც ის – თუ რამდენად დიდი წვლილი შეაქვს მათში ... ის მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს; ... მასზე მოქმედებს უხილავი ხელი ეფექტი, რომელიც აკეთებინებს იმას, რაც მის ინტერესებში საერთოდ არ შედიოდა... ამგვარად, სწორედ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით იმაზე მეტად ზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ვიდრე ამას სურვილის შემთხვევაში გააკეთებდა“.

ნებაყოფლობითი, პირად ინტერესებზე დაფუძნებული ვაჭრობა, რომელსაც საქმიანი ადამიანები ახორციელებენ თავისუფალ ბაზარზე, საზოგადოებისათვის ქმნის გაუთვალისწინებელ და ფართოდ გავრცელებულ ეკონომიკურ სარგებელს. თავისუფალი ვაჭრობა გვანვდის სიგნალებს გასაყიდი პროდუქტის ღირებულებისა და ფასის შესახებ, რაც თავისთავად უზიძგებს კონკურენციაში მყოფ მომხმარებლებსა და მწარმოებლებს დააკმაყოფილონ ერთმანეთის სურვილები და მოთხოვნილებები. ადვილი მისახვედრია, რომ ეს საბაზრო სიგნალები ხელს უწყობს ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას. ასე რომ, როდესაც საქონელზე მოთხოვნა იცვლება, ეს იწვევს ფასისა და მოგების ავტომატურ ცვლილებას, რასაც მიწოდების შესაბამისი ცვლილება მოჰყვება.

უხილავი ხელის მეტაფორას წლების მანძილზე ადამ სმიტი და ბევრი სხვა მეცნიერი იყენებდა იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ თავისუფლად მოვაჭრე, საკუთარი ინტერესებით მოტივირებული გამყიდველები და მყიდველები ქმნიან თვითრეგულირებად სისტემას, რომელიც იმაზე უკეთ ფუნქციონირებს, ვიდრე გეგმური ეკონომიკა. თავისუფალი, არარეგულირებული ვაჭრობის მომხრეები იზიარებენ *laissez faire* (ფრანგ. „თავის დანებება“) პოლიტიკას. დროთა განმავლობაში უხილავი ხელის იდეა კაპიტალისტური სისტემის თავისუფალი ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი გახდა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ „უხილავი ხელის“ მეტაფორა გვიჩვენებს აშშ-ის და ბევრი ევროპული ქვეყნის ეკონომიკის ბუნებას XVIII და XIX საუკუნეების პერიოდის განმავლობაში. უხილავი ხელის მეტაფორა ნაშრომში გამოიყენება კაპიტალიზმის ადრეული საბაზრო-ორიენტაციის სტადიის აღსანიშნავად. მეტაფორის დანიშნულებაა ისიც, რომ დაგვეხმაროს აღვიქვათ არამხოლოდ ძველი საბაზრო ეკონომიკის განსხვავებული ასპექტები, არამედ დავინახოთ, თუ როგორ აზროვნებდნენ ამ პერიოდში ადამიანები და როგორ უძღვებოდნენ საკუთარ მეურნეობას.

აღსანიშნავია, რომ ადამ სმიტის მიერ უხილავი ხელის მეტაფორის გამოყენება ნაწილობრივ გვიჩვენებს, თუ როგორ ფუნქციონირებდა ბაზარი რეალურად. ბოლოს და ბოლოს, უხილავი ხელი ხომ იდეალურია. ა. სმიტმა ხაზი გაუსვა იმას, როგორ შეიძლება ბაზრები კარგად ფუნქციონირებდნენ მთავრობის მინიმალური ჩარევით. ბაზრებს ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ შრომის დანაწილებას, პროდუქტიულობის გაზრდას და ეკონომიკურ ზრდას. თავისი წიგნის – „ერთა სიმდიდრე“, სხვა ნაწილებში ის აკრიტიკებდა საბაზრო ეკონომიკის რამდენიმე ასპექტს. ვინაიდან ა. სმიტი იყენებდა უხილავი ხელის მეტაფორას, შეიძლება მისი კრიტიკა საბაზრო ეკონომიკის სუსტი მხარეების არასათანა-

დოდ ახსნაში, მაგალითად, იმ შემთხვევების დროს, როცა ბაზარი შეიძლება დისფუნქციური იყოს.

ხილული ხელის მეტაფორა

შემდეგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მეტაფორის სახელწოდება სათავეს იღებს ალფრედ ჩანდლერის (1977) ნიგნიდან – „ხილული ხელი“. ეს მეტაფორა აშკარად ცალსახად კონტრასტულია „უხილავი ხელის“ მეტაფორასთან. საყურადღებოა, რომ მას მენეჯერულ კაპიტალიზმად მოიხსენიებენ. ჩანდლერის მიხედვით, XIX საუკუნის შუა ხანების აშშ-ში „ეკონომიკურ აქტივობასა და რესურსების განაწილებასთან კოორდინირებულმა თანამედროვე ბიზნესწარმოებამ ჩაანაცვლა საბაზრო მექანიზმი. ეს იყო მენეჯმენტის ხილული ხელი, რომელმაც „თავის თავზე აიღო საქონლის ნაკადის კოორდინირების ფუნქცია... წარმოების პროცესი, სამუშაო ძალისა და რესურსების განაწილება“. შესაბამისად, „თანამედროვე ბიზნესკომპანიები... აშშ-ის ეკონომიკის ყველაზე ძლიერი ინსტიტუტები, მათი მენეჯერები კი – ეკონომიკური გადანყვებილების მიმღებ პირთა ყველაზე გავლენიანი ჯგუფი გახდა (ჩანდლერი, 1977).

ჩანდლერის აზრით, XIX საუკუნის ბოლოს, მსხვილ ბიზნესსაწარმოს, როგორც წესი, გააჩნდა საკმაო რაოდენობის ბიზნესგანყოფილებები ან ნაწილები, რომლებიც განსხვავებული სახის საქონელსა და მომსახურებას აწარმოებდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფირმები უბრალოდ კი არ გაიზარდნენ, არამედ გადაიქცნენ მრავალპროფილიან საწარმოებად. იმ მსხვილ ბიზნესსაწარმოებს შორის, რომლებსაც ჩანდლერი შეისწავლიდა, იყვნენ E. I. DuPont-ი; Standard Oil of New Jersey; General Motors-ი; და Sears, Roebuck and Company. ამ კომპანიების ქმედებები და ურთიერთობები კოორდინირებული იყო მენეჯერული იერარქიით. ასევე მათ შორის ოპერაციები კოორდინირდებოდა საშუალო და ტოპმენეჯერების მიერ და არა – საბაზრო მექანიზმებით. ეს კომპანიები განსხვავდებოდა ადრეული (ტრადიციული) ამერიკული ბიზნესფირმისგან, რომელიც წარმოადგენდა ერთ საწარმოს, აწარმოებდა ერთ პროდუქტს და ასრულებდა ერთ ეკონომიკურ ფუნქციას. „1840 წლისათვის აშშ-ში ჯერ კიდევ არ არსებობდნენ საშუალო დონის მენეჯერები, რომლებიც სხვა მენეჯერებს გააკონტროლებდნენ და შეატყობინებდნენ არსებული სიტუაციის შესახებ უფროს მენეჯერებს, რომლებიც თავადვე იყვნენ დაქირავებულები“ (გვ. 3). 1840 წლამდე ყველა ტოპ-მენეჯერი მესაკუთრე იყო. „პირველი მსოფლიო ომის დროისათვის ამ ტიპის (მრავალპროფილიანი) ფირმები გახდნენ წამყვანი ბიზნესინსტიტუტები ეკონომიკის მრავალ სექტორში“ (გვ.3). „ის, რაც ამ ახალმა კორპორაციებმა გააკეთეს, იყო შემდეგი – მათ მოახდინეს საქონლისა და მომსახურების ნაკადების კოორდინაცია და ინტეგრაცია ნედლეულის წარმოების პროცესების განხორციელების გზით, საბოლოო მომხმარებელზე გასაყიდად“ (გვ.11).

„მენეჯმენტის ხილულმა ხელმა ჩაანაცვლა საბაზრო ძალების უხილავი ხელი, როდესაც ახალმა ტექნოლოგიებმა და გაფართოებულმა ბაზრებმა შესაძლებლობა მისცა ბიზნესს ისტორიაში უპრეცედენტოდ დიდი მოცულობა და სიჩქარე განეფართოებინა წარმოებისა და განაწილების პროცესში. თანამედროვე კორპორაცია ტექნოლოგიური ინოვაციის სწრაფი ტემპების და ზრდადი მოთხოვნების ინსტიტუციონალური პასუხი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ში“ (გვ.12).

ახალი ტიპის კორპორაციები აშშ-ის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალა (McCraw, 2008, p. 215) მხოლოდ იმიტომ კი არ გახდა, რომ მათი ქმედება, საბოლოო ანგარიშით, უფრო პროდუქტიული იყო, ვიდრე ბაზარზე ორიენტირებული პატარა ფირმებისა, არამედ იმიტომ, რომ ისინი იყენებდნენ მასშტაბის ეფექტს (Usselman, 2006, p. 596) და ასევე ეკონომიკურ ზრდასაც უწყობდნენ ხელს, რადგან ისინი იყვნენ ბირთვი, რის გარშემოც იზრდებოდა საშუალო და მცირე ფირმები (Wikipedia, p. 2).

აღსანიშნავია, რომ მსხვილი, მრავალპროფილიანი საწარმოს წარმატებისთვის საჭიროა შეიქმნას მენეჯერული კლასი, რომელიც აუცილებელია უფრო რთული და ურთიერთდამოკიდებული სისტემის კოორდინირებისათვის. XX საუკუნის შუა ხანებში მენეჯერული კლასის ზრდის მასშტაბი გასაოცარი იყო. იმ დროისათვის „ამ საწარმოებში მუშაობდა ათასობით საშუალო და მაღალი დონის მენეჯერი, რომლებიც კურირებდნენ ათობით და ხშირად ასობით განყოფილების მუშაობას, სადაც დასაქმებული იყო ათი და ხშირად ასი ათასობით დასაქმებული“ (Chandler, 1977, p. 3).

„იმ დროს, როდესაც ერთგანყოფილებიანი ტრადიციული საწარმოების საქმიანობა კონტროლდებოდა და კოორდინირდებოდა საბაზრო მექანიზმის მეშვეობით, თანამედროვე ბიზნესსაწარმოს გამოშვებასა და განაწილებაზე ორიენტირებული განყოფილებები იმართება საშუალო საფეხურის მენეჯერების მიერ. ტომენეჯერებმა კი, რომლებიც აფასებენ და კოორდინირებას უწევენ საშუალო კლასის მენეჯერების საქმიანობას, დაიწყეს ბაზარზე რესურსების განაწილება სამომავლო წარმოებისა და განაწილებისთვის. ამ ფუნქციის შესასრულებლად მენეჯერებს უწევდათ ახალი მეთოდებისა და პროცედურების გამოგონება, რომლებიც დროთა განმავლობაში იქცა მართვის სტანდარტულ მეთოდად აშშ-ის წარმოებასა და განაწილებაში“ (გვ. 7).

შემდგომში ეს მენეჯერები, როგორც წესი, დაკავებულნი იყვნენ კარიერით, რაც მათ საქმიანობას უფრო ტექნიკურს და პროფესიონალურს ხდიდა (გვ. 8). იმის გამო, რომ ამ საქმიანობას სპეციალური უნარი სჭირდებოდა, მათი არჩევა და დანიშნაობა მოითხოვდა მათი ცოდნის, გამოცდილებისა და მწარმოებლურობის გათვალისწინებას. ოჯახურმა ურთიერთობებმა და ფულმა დაკარგა საკვანძო ფაქტორის მნიშვნელობა (გვ. 8-9). მენეჯერები სულ უფრო მეტად მიიღტვოდნენ კარიერული ზრდისკენ, ისინი მოტივირებულნი იყვნენ ცხოვრებისეული კარიერული განვითარებით, რაც „იერარქიულ საფეხურზე

ასვლას გულისხმობდა“ (გვ.9). მართვის ხასიათის ასეთი ცვლილებები სულ უფრო უწყობდა ხელს საკუთრებისა და მართვის ცნებების ერთმანეთისგან გამიჯვნას.

გაქრობადი ხელი

რიჩარდ ლენგლოის ნააზრევის მიხედვით (2003), კაპიტალიზმის ეკონომიკური სტადია, რომელსაც ჩენდლერმა ხილული ხელი უწოდა, დასასრულს მიუახლოვდა XX საუკუნის შუა ხანებში. ის აღწერდა, რომ ვერტიკალური ინტეგრაციის მქონე დიდი, მრავალპროფილიანი კორპორაციები შეიცვალა ისეთი საწარმოებით, რომლებიც უპირატესობას ანიჭებდნენ ვერტიკალურ დისინტეგრაციას – დაშლას ან ნაკლებად ვერტიკალურ ინტეგრაციას. ლანგლოისის მსჯელობის მიხედვით, მსხვილი მრავალპროფილიანი საწარმოები იმ ლანდშაფტის „სულ უფრო მცირე ნაწილად იქცევიან, რომელიც [ახლა] გამოხატავს საბაზრო და ქსელური [ორგანიზაციული] ფორმების ფართო ვარიაციებს“ (გვ. 353). ლენგლოი იყენებს გაქრობადი ხელის მეტაფორას ამ პერიოდის ინდუსტრიული კაპიტალიზმის ბუნების გამოსაკვეთად. ხილული ხელის გაქრობადი ხელის საფეხურით შეცვლა, ლენგლოისის მიხედვით, არ არის ისეთივე დრამატული, როგორც იყო უხილავი ხელის ცვლილება ხილული ხელით (გვ. 532-353).

გაქრობადი ხელის ეკონომიკურ სტადიაში ინოვაციური ტექნოლოგიური ცვლილებები ხშირად იწვევს წარმოების მასშტაბის შემცირებასა და გამარტივებას. ეს კარგად გამოჩნდა ელექტროენერჯის წარმოების სფეროში, სადაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ შეამცირა ახალი ელექტროენერჯის მინიმალური ეფექტიანი მასშტაბი (გვ. 370). მსგავსი სიტუაცია შექმნა ტელეფონში ნახევარგამტარული ტექნოლოგიის ზრდამ (გვ.371). ამ და მსგავსი სახის ბიზნესში, შემოსავლის ახალი წყაროს მიღება „შეიძლება მხოლოდ მენეჯერული კორპორაციის ვერტიკალური სტრუქტურის განადგურებით, ან დაშლით“, განსაკუთრებით კი – რეგულირებულ კომუნალურ კომპანიებში (გვ. 371).

1960-იანი წლების განსაკუთრებით საინტერესო მოვლენად იქცა კორპორაციები, რომლებიც თავიანთ მენეჯერულ უნარს გადაჭარბებული დივერსიფიკაციისთვის იყენებდნენ, როგორც ITT აკეთებდა ამას. ეს კორპორაციები გახდნენ კონგლომერატები, რადგან ისინი მოიპოვებდნენ ახალ განყოფილებებს იმ სხვა ფირმების ან სხვა ფირმათა განყოფილებების შექმნით, რაც მათ არსებულ ბიზნესთან არანაირ კავშირში არ იყო. ამის მაგალითს წარმოადგენს ინოვაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რამაც გაამარტივა აქციების საკონტროლო პაკეტის გამოსყიდვა (გვ. 371-372). იმის გამო, რომ კონგლომერატები მთლიანობაში არაეფექტიანად მუშაობდნენ, დროთა განმავლობაში მოხდა მათი დეკონგლომერაცია. ვინაიდან შექმნილი განყოფილებები გაიყიდა, მათი საქმიანობა დაუბრუნდა კორპორაციულ სპეციალიზაციას. კომპანიებს „ურჩიეს“, რომ თავისი „ძირითადი კომპეტენციები“ დაებრუნებინათ (გვ. 372).

ვერტიკალური დეზინტეგრაცია და სპეციალიზაცია იყო „1990-იანი წლების, სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციული განვითარების მაგალითი“ (გვ. 373). კომპანიები „მომგებიანად მიიჩნევენ გარე რესურსების მოზიდვას, რაც წარმოებული პროდუქციის რაოდენობას ზრდიდა“. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ფარმაცევტულ კომპანიებს, რომლებიც ხშირად ეწეოდნენ საექსპორტო წარმოებას, მარკეტინგსა და კლინიკურ კვლევებს. ნახევარგამტარების მწარმოებელმა ფირმებმა შეინარჩუნეს საკუთარი დიზაინი, განვითარება და მარკეტინგული ფუნქციები, მაგრამ არ გააჩნდათ საკუთარი საწარმოო ქარხნები (გვ. 373). აშშ-ის ავტომობილის მწარმოებლებმა, შექმნეს საკუთარი პროდუქციის დიზაინი, ქსელის მომარაგების სტრატეგიები და უმეტესწილად ქვეკონტრაქტორებს დაეყრდნენ (გვ. 374). ეს ქვეკონტრაქტორები გარკვეულწილად სპეციალისტები იყვნენ, მაგრამ ძირითადად მათ უნივერსალური ცოდნა გააჩნდათ, მათ ჰქონდათ ზოგადი ცოდნა და უნარი. ამგვარი დეცენტრალიზაციით კომპანიები ახერხებდნენ კოორდინირებაზე გასაწევი მაღალი დანახარჯების თავიდან აცილებას. ამ ტიპის სპეციალიზაციის ნაწილს წარმოადგენდა დიზაინის ხილული ნესები. კომპიუტერული ფირმა Dell ცნობილია იმით, რომ „კომპიუტერებს ყიდის შეკვეთით, აწყობს მათ, როგორც ლეგოს, კომპიუტერის სტანდარტიზებული ნაწილებიდან“, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვა ფირმის მიერაა წარმოებული (გვ. 375). აღნიშნული შედეგები მივიღეთ „მთლიანი ეკონომიკის საგარეო შესაძლებლობების“ განვითარებით (გვ. 375). ამ პერიოდის კონკურენტული მოდელის ერთი საინტერესო მაგალითი მოიცავს იპოთეკური სესხის აღების პროცესს: სესხის აღებას, დაზღვევას, ფლობას და სასესხო მომსახურებას. ეს ნაბიჯები ძირითადად ხორციელდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ (გვ. 376).

არსებობს ბევრი ფაქტორი, რამაც XX საუკუნის ბოლო ხანებისა და XXI საუკუნის ბიზნესი იქამდე მიიყვანა, რომ ის სულ უფრო ხშირად მიმართავს ბაზარს საჭირო რესურსების მისაღებად და სულ უფრო ნაკლებად იღებს რესურსებს საკუთარი ორგანიზაციული ერთეულებიდან. ამ ფაქტორებიდან ერთერთია საკოორდინაციო ტექნოლოგიების ზრდა, როგორიცაა პერსონალური კომპიუტერები, ფართო საკომუნიკაციო ქსელი, რამაც შეიძლება შეამციროს კოორდინაციის ღირებულება ბაზრებს შორის, შიდა წყაროებთან შედარებით. ლანგლოისის მიხედვით (2003, გვ. 377), ეს გამოწვეულია „არამხოლოდ კოორდინაციის ტექნოლოგიის ცვლილებით, არამედ ბაზრის მასშტაბების ცვლილებითაც, მოსახლეობის რაოდენობისა და შემოსავლების ზრდით და აგრეთვე ბაზრების გლობალიზაციით“. ბოლო სიტყვები, ეჭვგარეშეა, რომ „პოლიტიკური ბარიერების შემცირებას უკავშირდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით“ (გვ. 377). XIX საუკუნის ბოლოს, შიდა წყაროების რაოდენობის ზრდამ, რომელიც შიდა ერთეულებიდან მოდიოდა, მსხვილი მრავალპროფილური საწარმოები შრომის დანაწილების უფრო მაღალ საფეხურამდე მიიყვანა, რამაც გაზარდა პროდუქტიულობა. ამის საწინააღმდეგოდ, XX საუკუნის შუა პერიოდიდან სა-

უკუნის ბოლომდე, შრომის დანაწილების მწარმოებლურობის ცვლილებები ძირითადად ვითარდებოდა იმ საწარმოების მიერ, რომლებიც საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებდნენ უფრო და უფრო მაღალეფექტიან მომწოდებლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით (გვ. 378-379).

გადაწყვეტილების მიმღებთა არაეკონომიკური მოტივები

ნაშრომის წინა ნაწილებში აღწერილი იყო აშშ-ის ეკონომიკური განვითარების სამი მნიშვნელოვანი უხილავი ხელის, ხილული ხელის და გაქრობადი ხელის ეტაპები. ეს დახასიათებები დეტერმინირებული იყო ეკონომიკის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ასპექტების ევოლუციის პარამეტრებით: ბაზრის, ორგანიზაციების, მენეჯმენტის ძირითადი მახასიათებლებით და ცოტა რამ იყო თქმული მნიშვნელოვანი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიმღების მოტივაციაზე. ეკონომიკის კაპიტალისტური ბუნების გათვალისწინებით, შეიძლება დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ კაპიტალისა და სხვა რესურსების მფლობელები უმეტესწილად მოტივირებულნი იყვნენ მოგების პერსპექტივით. ეს ეხება როგორც პატარა, ბაზარზე ორიენტირებული ფირმების მეკატრონეებს, ასევე დიდი ორგანიზაციების აქციონერებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ მრავალდონიან მენეჯერულ იერარქიებს. მოგების მოტივის მნიშვნელობა და მისი ფუნქციონირება, სავარაუდოდ, დამოკიდებული იქნება ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა – კომპანიის დამფუძნებლის როლი, ფირმის მოთხოვნა გარე კაპიტალით დაფინანსებაზე, იმაზე, ფირმა სუბკონტრაქტორია, თუ დიდი კორპორაცია და ასევე, აქვს თუ არა დომინირებადი პოზიცია ბაზარზე.

ამასთან, ეს არ ნიშნავს, რომ მფლობელებსა და აქციონერებს არ შეიძლება ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღების სხვა მნიშვნელოვანი მოტივები. არსებობს ბევრი ისეთი საინტერესო შემთხვევა, როცა მფლობელები ძლიერ არიან მოტივირებული არაეკონომიკური სტიმულებით, თუმცა, ასეთი შემთხვევა, როგორც წესი, გამონაკლისს წარმოადგენს. განვიხილოთ სამი საინტერესო შემთხვევა 1980 და 1990-იანი წლებიდან. მფლობელთა არაეკონომიკური მოტივები და ქცევა, აღწერილი იქნა წიგნებში: ტომ ჩაპელის „ბიზნესის სული“ (1993), ანიტა როდისის „სხეული და სული“ (1991) და ფრედ ლანგერის „ბენი და ჯერი: შიდა სამზარეულო“ (1994).

პირველი წიგნი ტომ ჩაპელის – Tom's of Maine-ს დამფუძნებლის და პრეზიდენტის ისტორიას ეხება, მისი კომპანია აწარმოებდა მრავალი სახის კბილის პასტას ნატურალური ინგრედიენტებისგან. კომპანიის დამფუძნებლებიდან რამდენიმე წელში ჩაპელმა აღმოაჩინა, რომ „მისი ყოველდღიური ბიზნესცხოვრება მოძველებული იყო; ხოლო მისი საქმე იქცა შეუსრულებად დავალებად“ (გვ. XI). მან გადაწყვიტა სასულიერო სკოლაში ჩაებარებინა იმისთვის, რომ „კარგი პროდუქტების შექმნის სურვილი დაებრუნებინა“ (გვ. XI). საბოლოოდ, მან „დიდი ფილოსოფოსების ნაშრომებში იპოვა პასუხები“ (გვ. XII) და აღმოაჩინა, რომ

„ნამდვილად შესაძლებელია ფირმის მართვა, მოგების მიღებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის მოტივით“ (გვ. XII). მან შეძლო არამხოლოდ თავდაპირველი ბიზნესის ხედვის დაბრუნება, არამედ მისი დაკავშირება საკუთარ სულსა და ძირითად ფასეულობებთან. რელიგიის შესწავლით მან გაიგო, რომ აუცილებელი იყო ბალანსი სულიერსა და ფიზიკურს შორის და მისი მართვა საჭიროებდა გონებასაც და გულსაც (გვ. XIV). ამის შედეგად მან შეძლო საკუთარი კომპანიის ისეთი გზით მართვა, რომელიც ესადაგებოდა მის რწმენასა და ფასეულობებს. მან განავითარა ბიზნესსტრატეგია და მიზანი, რომელიც თანხვედრაში იყო მის ღრმა ეთიკურ პრინციპებსა და მის სულთან (გვ. XIV-XV).

ანიტა როდიკმა 1976 წელს გახსნა პირველი Body Shop მაღაზია. Body Shop-ის პროფილი კოსმეტიკაა, თუმცა იგი ასევე ცნობილია როგორც სილამაზის ბიზნესი. როდიკს ღრმა რწმენა ჰქონდა იმისა, რომ მისი ბიზნესი სახალისო იქნებოდა და თუ იგი იმართებოდა სიყვარულით, იქცეოდა სიკეთის დიდ ძალად (გვ. 7). ანიტამ იცოდა, რომ კოსმეტიკურ ბიზნესს ძირითადი შემოსავალი ქალი მყიდველებისგან აქვს, ჰყიდის მათზე „სრულიად უაზრო და გამოუსადეგარ პროდუქტებს და საერთოდ არ ითვალისწინებს მათ რეალურ საჭიროებებს“ (გვ. 9). „ის ამორალურად მიიჩნევდა მუდმივად აიძულო ქალი, რომ საკუთარი სხეულით უკმაყოფილო იყოს.. და მიანიჭო სილამაზის პროდუქტებს სასწაულმოქმედი უნარები“ (გვ. 15). ასევე დარწმუნებული იყო, რომ მისი ბიზნესი იმართებოდა ისეთი ქალური პრინციპების დაცვით, როგორიცაა სიყვარული, მზრუნველობა და ინტუიცია (გვ. 17). ანიტას კომპანიას სურდა სულის გაკეთილშობილება, „ჰოლიზმის გრძნობის შექმნით, სულის განვითარებით, გრძნობით, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან, გარემოსა და ურთიერთობებთან“ (გვ. 22). კომერციული საკითხები მისთვის მეორეხარისხოვანი იყო. მას სურდა გაძლიერებული მორალურ-ეთიკურ ნორმებზე დამყარებულ საქმიანობას და ურთიერთობა ჰქონოდა ადამიანებთან (გვ. 24). ეჭვგარეშეა, რომ Body Shop-ი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიაა. უფრო მეტიც, ანიტას სურდა, რომ მისი კომპანია განმანათლებლური კაპიტალიზმის ნაწილი ყოფილიყო (გვ. 27). Body Shop-ის წარმატების ფაქტორი იყო „მოგებისა და პრინციპების ბალანსირება“ (გვ. 154). ამის გამო, Body Shop-ის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი, საზოგადოებრივი პროექტების მხარდაჭერა იყო.

Ben and Jerry's Ice Cream კომპანია ბენ კოჰენისა და ჯერი გრინფილდის მიერ შეიქმნა ბერლინგტონში, (ვერმონტში), 1978 წელს. გარკვეულწილად Ben and Jerry's-ს ბიზნესის კულტურა The Body Shop-ის ბიზნესის კულტურის მსგავსია. მისი სტილი იყო 1960-იანი წლების კონტრკულტურის ზოგიერთი ფასეულობის შეტანა ბიზნესსამყაროში (Lager 1994, p. xi). კომპანიის არაოფიციალური დევიზი იყო – „თუ ამის კეთება არ არის სახალისო, მაშინ რატომ უნდა გააკეთო ეს?“ ბენს და ჯერის „ღრმად სწამდათ, რომ მათ საქმიანობას საზოგადოებისთვის სასარგებლო უკუკავშირი ექნებოდა. მათ დაინყეს ნაყინის უფასოდ დარიგება და ადგილობრივი დღესასწაულების დაფინანსება. როგორც კი კომპანია გაი-

ზარდა, მათი ძალისხმევების მასშტაბიც უფრო გრანდიოზული გახდა, მალე Ben and Jerry's კომპანია იქცა ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ, სოციალურად აქტიურ კომპანიად აშშ-ში“ (გვ. 243).

მათი მიზანი ცალსახად განსაზღვრავდა მათ ფასეულობებს. ბენისა და ჯერის აზრით, კომპანიის მართვის პასუხისმგებლობა და სიხარული ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოგება.

ერთი ეკონომიკური სტადიიდან მეორეზე გადასვლა

მნიშვნელოვანია იმის განხილვა, რა ხდება ეკონომიკის ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლისას. წინა ეტაპის (ეტაპების) მოქმედება კი არ ქრება, არამედ ნაკლებად შესამჩნევი და არადომინირებადი ხდება. ხილული ხელის ეტაპზე უხილავი ხელის სტადიას არ შეუწყვეტია არსებობა. მოხდა ის, რომ ეკონომიკური კოორდინაციის მექანიზმის უდიდესი ნაწილი მსხვილი მენეჯერული სანარმოების ხელში მოექცა. არც გაქრობადა ხელის სტადიის დადგომასთან ერთად გამქრალა მსხვილი მრავალგანყოფილებიანი კორპორაციები. მათ, უბრალოდ, თანდათანობით შეუმცირდათ დომინანტური პოზიცია და გავრცელების არეალი. შემდეგ, აშშ-ის ეკონომიკური აქტიურობის უდიდესი ნაწილი მოდიოდა ბევრად უფრო სპეციალურ კომპანიებზე, ისეთებზე, რომლებსაც ქვეკონტრაქტორთა დიდი რაოდენობა გააჩნდათ და არ ეყრდნობოდნენ ვერტიკალურად ინტეგრირებული სანარმოს ორგანიზაციული ერთეულების მიწოდებას.

რა იქნება შემდეგი? ეკონომიკის ჰუმანისტური ხელის ეტაპი

აშშ-ის ეკონომიკური ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპების განხილვის შემდეგ, ბუნებრივია, ჩნდება ინტერესი მომავალი ეკონომიკური სტადიის ხასიათის შესახებ. მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, შესაძლებელია მომავალი ეკონომიკური სტადიის ბუნების წინასწარმეტყველება. ასეთ მიდგომას სოციოლოგებს ვუტოვებ, რომელთაც აქვთ სოციალ-ეკონომიკური პროგნოზირების გამოცდილება. ამ ნაშრომში გამოყენებული მეთოდი ისეთი ეკონომიკური სტადიის სცენარის შემუშავებაა, რომელიც, განაპირობებს აშშ-ის სოციალ-ეკონომიკურ მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ჩემი შეხედულებით, შემდეგი ეკონომიკური სტადია მოგვცემს საშუალებას სწორად დავსახოთ ეკონომიკის არასწორი ფუნქციონირების გამოსწორების გზები. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ეკონომიკის საერთო მახასიათებლები დინამიკური და მაღალპროდუქტიული იყო, მისი ადამიანისეული მახასიათებლები, უმეტეს შემთხვევაში, კრიტიკას იმსახურებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აშშ-ის ეკონომიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული იყო მაღალი ადამიანისეული დანაკარგები, რაც ნიშნავს უამრავ ადამიანს, რომლებიც იტანჯებიან ისეთი ქრონიკული დაავადებებით, როგორცაა სიმსუქნე და მე-2 ტიპის დიაბეტი, სიმსივნე,

გულის დაავადებები და მრავალი სხვა. უამრავი ადამიანი ცხოვრობს სიღარიბეში (ნარკოტიკებზე, ალკოჰოლურ სასმელზე, აზარტულ თამაშებზე და სხვ. დამოკიდებულებით). გარდა ამისა, ადამიანებზე უარყოფით გავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობის გაუარესება. ეს ადამიანისეული დანაკარგები ჩვეულებრივ შეიძლება პირდაპირ ან ირიბად იყოს დაკავშირებული სოციალ-ეკონომიკურ დისფუნქციასთან და ბაზრის ჩავარდნის შედეგს წარმოადგენდეს.

იმის გამო, რომ ეკონომიკის ფუნქციონირებამ, ჩვეულებრივ, შეიძლება გავლენა იქონიოს აშშ-ის დაბალ ადამიანისეულ მაჩვენებლებზე და ზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ძალიან შემოფოთებული არიან ამ საკითხებით, ჩემი წინადადება ეხება მეოთხე ეკონომიკურ ეტაპს, რომელიც ჰუმანისტური ხელის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი არსია ის, რომ ჰუმანიტარულ ეტაპზე ეკონომიკაში მონაწილე ადამიანებს ექნებათ ძლიერი მისწრაფებები იმ დისფუნქციების გამოსასწორებლად, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე კაპიტალიზმის აშშ-ში ამჟამად არსებულ სახეობასთან. ჰუმანისტური ხელის სტადიაში ადამიანები ორიენტირებულნი იქნებიან ისეთი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიღწევაზე, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, უზრუნველყოფს ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებას, ანუ ისინი ორიენტირებულნი იქნებიან ისეთი საშუალებების შექმნასა და რეალიზაციაზე, რაც ხელს შეუწყობს სოციალ-ეკონომიკური დისფუნქციით (ბაზრის ჩავარდნით) გამოწვეულ ადამიანისეული დანახარჯების შემცირებას. ამ ნაშრომის მიზანი არ არის იმის დეტალური ახსნა, თუ როგორ მოხდება ყველა პრობლემის აღმოფხვრა. თუმცა, შემდეგ ნაწილში იქნება ახსნილი, როგორ შეიძლება ელინოს ოსტრომის აზროვნებამ უზრუნველყოს ჰუმანისტური ხელის ეკონომიკისკენ მიმავალი გზების ნათელყოფა.

ნაშრომის მომდევნო ნაწილში შევეცდები ოსტრომის ინსტიტუციური ეკონომიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას, რომელიც საერთო რესურსების სპეციფიკურობას შეეხება და დაკავშირებულია ინსტიტუტების როგორც წარმატებულ, ასევე წარუმატებელ ფუნქციონირებასთან. ოსტრომის ნაშრომზე დაყრდნობით, შეიძლება მივიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმის შესახებ, რისი გაკეთებაა აუცილებელი თანამედროვე კაპიტალისტურ ეკონომიკაში, რათა გავაუმჯობესოთ ადამიანისეული მაჩვენებლები ისე, რომ არ დავაზიანოთ ეკონომიკის ფუნქციონირება ჩვეულებრივი გაგებით (გამოშვება, მწარმოებლურობა, ტექნოლოგიური ინოვაციები და ა.შ.). იდეალური იქნებოდა, რომ ჰუმანისტური ხელის სტადიის ეკონომიკაში ყოფილიყო უფრო მაღალი მწარმოებლურობა, სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, თანასწორობა, სოციალური ჰარმონია და ამათთან დაკავშირებული სხვა მაჩვენებლები, ვიდრე ეს იყო წინა პერიოდის ეკონომიკურ სტადიაზე.

აღსანიშნავია, რომ ოსტრომის ნაშრომები ეხება მცირე მასშტაბების მქონე სიტუაციებს. იმისათვის, რომ უფრო მეტად გასაგები იყოს, თუ როგორ ესადაგება ეს ნაშრომები დიდი მასშტაბების მქონე სიტუაციებს და სოციალურ ცვლილებებს გთავაზობთ დევიდ ს. უილსონის საინტერესო კვლევას, რომელიც

ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკას და ევოლუციურ ბიოლოგიას. ოსტრომისა და უილსონის ნაშრომების გაცნობით გასაგები გახდება, თუ რამდენად წინ გადადგმული ნაბიჯია ეკონომიკის ჰუმანისტური ხელით ფუნქციონირება წინა პერიოდების ეკონომიკებთან შედარებით. ეჭვგარეშეა, რომ ჰუმანისტური ხელის ეტაპზე აშშ-ის ეკონომიკას აქვს შანსი მიაღწიოს ადამიანური ინდექსის ისეთ მაჩვენებლებს, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკებისათვის მიუღწეველია.

ელინორ ოსტრომი და საერთო რესურსები

ელინორ ოსტრომის კვლევები (1990; 2009) ფოკუსირებას ახდენს საერთო კეთილდღეობის რესურსებსა (CPR) და იმ დილემებზე, რასაც ისინი უქმნიან მათ გამომყენებლებს და მთლიანად საზოგადოებას. საერთო კეთილდღეობის რესურსია, მაგალითად, სათევზაო ადგილი, ირიგაციის სისტემა, მინისქვეშა წყლები, საძოვრები და სხვ. მათი გამოყენება, თავისთავად ცხადია, სარგებელს აძლევს მათ უშუალო გამომყენებელს, მაგრამ ეს რესურსები ნაწილობრივ სხვა ადამიანების სარგებლიანობასაც ამალღებს. საერთო კეთილდღეობის რესურსები ამონურვადია და პრობლემაა ის, რომ ყოველი ინდივიდი ცდილობს რესურსების ჭარბად გამოყენებას. როგორც გარეთ ჰერდენი (1968) აცხადებს – „როდესაც რესურსის ყოველი გამომყენებელი საკუთარ ინტერესს დამოუკიდებლად მიჰყვება, ეს იწვევს რესურსების ნორმაზე მეტად გამოყენებას და, შესაბამისად, მათ დეფიციტს“.

ტრადიციული ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად არსებობს მხოლოდ ორი გზა. პირველი მათგანია მთავრობის მიერ პირადი ინტერესების მქონე პირებისთვის გადასახადების დაწესება, რათა თავიდან აიცილოს საერთო კეთილდღეობის რესურსების ზომაზე მეტად გამოყენება. მეორეა – საერთო კეთილდღეობის რესურსების პრივატიზაცია – მათი გადაქცევა კერძო, გაყიდვად, გამორიცხვად საქონლად (ოსტრომი, 2009, გვ. 409). ოსტრომი და მისი კოლეგები აცნობიერებდნენ, რომ პრობლემების მოგვარების ეს სტანდარტული, დიქტომიური მიდგომები არ იყო ადეკვატური. მათ შეისწავლეს მრავალი საერთო კეთილდღეობის რესურსი მსოფლიოს მასშტაბით (ოსტრომი, 1990) და გააცნობიერეს, რომ რესურსების ზომაზე მეტად გამოყენება შეიძლება გამოირიცხოს ან შემცირდეს, მაგალითად, ადამიანების ჯგუფებს შორის კომუნიკაციის დონეების ნახალისებით, მათი ერთმანეთის მიმართ ნდობის დონის და შესაბამისად, ჯგუფის წევრებს შორის კოოპერაციის ამალღებით (ოსტრომი, 2009, გვ.409). მოგვიანებით მათ შეისწავლეს, თუ როგორ შეუძლიათ საერთო კეთილდღეობის რესურსების გამომყენებლებს სოციალური კაპიტალის შექმნა. გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ ინდივიდები და ჯგუფები, რომლებიც იყენებდნენ საერთო კეთილდღეობის რესურსებს, არც თუ ისე სუსტები იყვნენ, მათ თავადვე შეეძლოთ საკუთარი სოციალური დილე-

მების აღმოფხვრა (გვ.416). როგორც გაირკვა, არსებობს საერთო კეთილდღეობის რესურსებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის სხვადასხვა ვარიანტი, რაც შემოთავაზებულია კრეატიული რესტრუქტურისაციის საჭიროების გათვითცნობიერებული ჯგუფის წევრების მიერ (გვ. 417). მოგვიანებით, ოსტრომის კვლევებმა ცხადყო, რომ ადამიანთა იმ ჯგუფებს, რომლებიც მოახდენენ ორგანიზებას და ეფექტიანად გამოიყენებენ საერთო კეთილდღეობის რესურსებს, დიდი ალბათობით შეუძლიათ მიაღწიონ წარმატებას, თუ გაითვალისწინებენ შემდეგ რვა მნიშვნელოვან პრინციპს: (უილსონი, 2015, გვ. 12-13, ოსტრომი, 2009, გვ. 422):

1. ძლიერი ჯგუფური თვითმყოფადობა და მიზნის სწორად გაცნობიერება.
2. პროპორციული ბენეფიტები და ფასეულობები. ჯგუფის წევრებმა უნდა მოილაპარაკონ ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც შეტანილი წვლილის მიხედვით დააჯილდოებს წევრს.

3. კოლექტიური შეთანხმებები. გადანყვეტილების მიღება უნდა მოხდეს კონსენსუსის საფუძველზე ან სხვა პროცესის სამართლიანად აღიარებით.

4. მონიტორინგი. რესურსების თვითნებური გამოყენების და ექსპლუატაციის თავიდან ასაცილებლად, უნდა იქნეს გამოყენებული მონიტორინგი და გამოვლინდეს დარღვევები.

5. შერბილებული სანქციები. კანონდამრღვევები არ უნდა დაისაჯონ მკაცრად, ყოველ შემთხვევაში, უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენება მოგვიანებით შეიძლება გახდეს საჭირო.

6. კონფლიქტის აღიარების მექანიზმები. კონფლიქტები სწრაფად უნდა მოგვარდეს ისე, როგორც როგორც ამას სამართლიანობა მოითხოვს.

7. უფლებამოსილებების მცირე დოზით მინიჭება. ჯგუფებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება საკუთარი საქმეების წარმართვაში.

8. იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც უფრო დიდი სოციალური სისტემის ნაწილია, შესაბამის ჯგუფებს შორის უნდა იყოს ადეკვატური კოორდინაცია.

ოსტრომმა (2009, გვ. 419) აღმოაჩინა, რომ დილემების გადალახვის და ეფექტიანი მმართველობის საჭიროება მოსალოდნელზე გაცილებით მაღალი იყო და ამ რესურსის სტრუქტურაზე იყო დამოკიდებული, მოქმედი წესები კი დადგენილი იყო რერუსების გამომყენებლების მიერ.

გარდა ამისა, ამ კოლაბორაციის წარმატება დამოკიდებული იყო რაციონალურად მოაზროვნე პიროვნებების უნარზე მოეპოვებინათ სრულად სანდო ინფორმაცია იმ სიტუაციებში, სადაც ჯგუფის წევრებს შორის საიმედო ურთიერთკავშირი სუფევდა (გვ. 430).

ოსტრომის კვლევები (2009) გვაძლევს შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას: ჯგუფებში მყოფ ინდივიდებს, რომლებიც სხვის ხარჯზე ოპერირებენ, შეუძლიათ დაიწყონ ფიქრი ჯგუფურად მუშაობაზე. ისინი ამის გაკეთებას შეძლებენ ერთმანეთთან პირისპირ საუბრით, ერთმანეთის ნდობით, კარგი ადამიანისეული ურთიერთობების ჩამოყალიბებით და თავიანთი საერთო მიზნების

შესრულებით. გარდა ამისა, მათ ასევე უნდა გააცნობიერონ საკუთარი სიტუაციის სირთულე და კეთილსინდისიერად განახორციელონ მოლაპარაკებები. რას სთავაზობს ეს უკანასკნელი საჯარო პოლიტიკას? „საჯარო პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ისეთი ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა, რომელთა ფუნქციონირებასაც ადამიანებისთვის საუკეთესო შედეგები მოაქვს“ (გვ. 435-436). ოსტრომის აზრით, კარგად ორგანიზებულმა ინსტიტუტებმა შეიძლება ბიძგი მისცეს ინდივიდებს საერთო კეთილდღეობის რესურსებთან დაკავშირებულ და სხვა რთულ სოციალურ დილემებთან გამკლავების პროცესში წარმატების მისაღწევად (გვ. 435).

ოსტრომის და მისი კოლეგების ნაშრომების დედააზრი ისაა, რომ მიზანმიმართულ, თანამშრომლობის მაღალი უნარის მქონე პიროვნებებს შეუძლიათ მიიღონ უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, ვიდრე ამას კაპიტალისტური ეკონომიკები შეძლებდნენ. რა თქმა უნდა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოსტრომის კვლევა საერთო კეთილდღეობის რესურსებთან დაკავშირებით ეხება კონკრეტულად შედარებით მცირე მასშტაბების მქონე სიტუაციებს. თუმცა, მოსალოდნელია, რომ მსგავსი სასურველი შედეგები შესაძლოა დადგეს უფრო დიდი მასშტაბების მქონე სიტუაციებისთვის. განვიხილოთ დევიდ უილსონის შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

საერთო კეთილდღეობის პრინციპების განზოგადება

დევიდ უილსონი არის ევოლუციონერი ბიოლოგი. ასე რომ, გასაკვირი არ არის მისი ერთ-ერთი კვლევითი ინტერესი იყო დარვინის ბუნებრივი გადარჩევის თეორია, რომელიც ეხებოდა ყველა სახის ცოცხალი ორგანიზმის ევოლუციას. ბოლო პერიოდში ვილსონის ინტერესის სფერო გადაიხარა საზოგადოებების კულტურული ევოლუციისკენ, განსაკუთრებით კულტურული ევოლუციის იმ სახეობისკენ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და სამყარო ამგვარად გახადოს უკეთესი საცხოვრისი საზოგადოებისთვის (უილსონი, 2015, გვ.6).

უილსონისათვის **ფუნქციური ორგანიზაცია** არის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილების გამომწვევი კულტურული ევოლუციის არსებითი კომპონენტი. ბიოლოგიური გადმოსახედიდან რომ განვმარტოთ:

- „რაიმე **ფუნქციურადაა ორგანიზებული**, როდესაც მისი ნაწილები კოორდინირებულად მოქმედებენ კონკრეტული მიზნის მისაღწევად. უჯრედის და მრავალუჯრედიანი ორგანიზმის ორგანოები არის ფუნქციური ორგანიზაციის ნიმუშები, რაც შექმნილია ბუნებრივი გადარჩევით თვითგადარჩენის და გამრავლების ხელშესაწყობად“ (უილსონი, 2015, გვ.9).

- „როდესაც ორგანიზმების ჯგუფი ფუნქციურად არის ორგანიზებული, მისი წევრები კოორდინაციას უწევენ თავიანთ საქმიანობას საერთო მიზნის მისაღწევად. ისევე როგორც სხეულის ორგანოები და კონსერვის ქილის გასახსნელის ნაწილები. ჯგუფს, რომელიც ძალიან კარგად არის ორგანიზებული,

შეიძლება ეწოდოს სუპერორგანიზმი“...(გვ. 9).

გავიხსენოთ ოსტრომის ანალიზი: რა ხდება, როდესაც საერთო კეთილდღეობის რესურსების გამოყენებები რესურსებს ანანილებენ იმგვარად, რომ ეს მათ საშუალებას აძლევს გადაფარონ დესტრუქციული ქმედებები, რაც, სხვა შემთხვევაში, გამოიწვევდა რესურსების ზომაზე მეტად გამოყენებას და დეფიციტს. სავარაუდოდ, საერთო კეთილდღეობის რესურსების ასეთი ორგანიზაციული საქმიანობის შედეგია ის, რომ ორგანიზაცია შემდგომში უფრო მეტად დაეყრდნობა თანამშრომლობით ურთიერთობებს, რაც მას ფუნქციურ ორგანიზაციად გადააქცევს. საერთო კეთილდღეობის რესურსების ფუნქციურად ორგანიზების დროს ჯგუფების წევრები ახდენენ თავიანთი ქმედებების კოორდინაციას იმგვარად, რომ მიაღწიონ საერთო მიზანს. დისფუნქციური ტენდენციის აღმოსაფხვრელად აღნიშნული ორგანიზაციის წევრები ასევე ცდილობენ აამაღლონ საზოგადოების საერთო კეთილდღეობა (უილსონი, 2015, გვ. 9;29).

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო კეთილდღეობის რესურსების უარყოფითი ტენდენციები ძალიან ჰგავს იმ ტენდენციებს, რაც არსებობს ბევრ ჩვეულებრივ კონკურენტულ ბაზარზე. საბოლოოდ, დიდი ალბათობით, შედეგი ბაზრის ჩავარდნაა. ბიზნესმენები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენებენ მანიპულაციებს, მოტყუების მეთოდებს და სხვადასხვა ხრიკს, რათა მომხმარებლებს გადაახდევინონ დიდი ოდენობის ფული ისეთ საქონელში, რაც მათ არ სჭირდებათ (ტომერი, 2017, გვ.77). სავარაუდოდ, თუ ამის ნაცვლად ეს ბაზრები ფუნქციური ნიშნით მოეწყობოდა, მომხმარებლები და ბიზნესი ერთმანეთთან კომუნიკაციასა და თანამშრომლობას შეძლებდნენ. ისინი კოორდინაციას გაუწევდნენ თავიანთ მოქმედებებს, სავარაუდოდ იპოვიდნენ საერთო მიზანს და ბიზნესმენების საქმიანობა ჩაჯდებოდა სოციალურად მიღებული ნორმების ჩარჩოებში. შესაბამისად, კომპანიები შეძლებდნენ თავიანთი მომხმარებლების რეალური მოთხოვნილებების და უპირატესობების გაანალიზებას და მათ მიაწვდიდნენ იმ საქონელს, რომელიც რეალურად სჭირდებათ და არა იმას, რაც მხოლოდ კომპანიის მფლობელების შემოსავლებს გაზრდიდა (გვ.89).

ვილსონის, ოსტრომის და კოქსის მიხედვით, (2013), ამიერიდან WOC – პროექტირების ძირითადი საერთო რესურსების წარმატებულ განაწილებასთან დაკავშირებული პრინციპები, შეიძლება განზოგადდეს ისე, რომ ის სასარგებლო იყოს სხვა კონტექსტშიც, მაგალითად, ბაზრის ფუნქციონირების შედეგების გაუმჯობესებისათვის. WOC-ის მტკიცებით, „პრინციპებს გააჩნია იმაზე ფართო სპექტრი, ვიდრე საერთო კეთილდღეობის რესურსების ჯგუფებს და ის რელევანტურია ნებისმიერი სიტუაციისთვის, სადაც ადამიანებს უწევთ კოოპერირება და კორდინირება საერთო მიზნის მისაღწევად... ეს პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც პრაქტიკული სახელმძღვანელო ჯგუფის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად“ (გვ. S 22).

განათლება არის ერთ-ერთი იმ სფეროთაგანი, რომელიც პროექტირების ძირითადი პრინციპების გამოყენებით წარმატებით ფუნქციონირებს, ვინაიდან საკლასო სიტუაციებში ხშირად გამოიყენება აღნიშნული პრინციპები (WOC, 2013, გვ. S27). არსებობს საფუძველი იმაზე ფიქრისა, რომ აღნიშნული პრინციპების გამოყენებამ საგანმანათლებლო სფეროში „გავლენა შეიძლება იქონიოს საკლასო ოთახში მყოფთა ქცევაზე“ არამხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაშიც (გვ. S27). მასაჩუსეტისის Sudbury Valley-ის სკოლა მაღალი საგანმანათლებლო წარმატების ნათელი მაგალითია. ამ სკოლაში, რომელსაც აქვს ძლიერი დემოკრატიული და ნორმატიული სივრცე და რომლის დევიზიცაა მოტივირებული სწავლება, პროექტირების ძირითადი პრინციპების დანერგვამ ხელი შეუწყო ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ადგილი არ აქვს მოსწავლეების ჩაგვრას და სხვა პრობლემურ საკითხებს (გვ. S28).

შემდეგი მნიშვნელოვანი სივრცე, რომელსაც შეუძლია პროექტირების ძირითადი პრინციპების წარმატებით გამოყენება, არის სამეზობლოები. ორი საკითხის შესწავლამ იმის ნათელი მაგალითი მოგვცა, თუ რა უპირატესობები გააჩნია პროექტირების ძირითადი პრინციპების გამოყენებას სამეზობლოებისთვის. პირველი საკითხი ეხება დასავლეთის საზოგადოების გაერთიანებას ბუფალოსა და ნიუ იორკში. მეორე კი ცნობილია სახელწოდებით: „დააპროექტეთ თქვენი პარკი თქვენ თვითონვე ბინგამტონში, ნიუ იორკში“.

პირველი ყურადღებას ამახვილებს სამეზობლოზე, „რომელიც ხასიათდება საბინაო მარაგების არსებითად შემცირებით; იატაკქვეშა ეკონომიკის მომძლავრებით და ქონების ღირებულებების საგრძნობლად შემცირებით (WOC, 2013, გვ. S29). ამ შემთხვევაში, პრინციპების უმეტესობის გამოყენებამ გადაჭრა წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემები. მეორე შემთხვევის დროს, აღნიშნული პრინციპები გამოიყენეს სამეზობლო პარკის შესაქმნელად (გვ. S29) და დროთა განმავლობაში მათ შეძლეს შეექმნათ „უსაფრთხო, დაცული, ესთეტიურად მიმზიდველი გარემო“.

აღნიშნულ და სხვა შემთხვევაში, პროექტირების ძირითადი პრინციპების გამოყენების შედეგია ის, რომ შესაძლებელია ამ პრინციპების განზოგადება, რადგან ისინი „გამომდინარეობს არა მხოლოდ პოლიტიკური თეორიიდან, არამედ ცხოველთა ნებისმიერი სახეობისთვის და თვითონ ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი და გამოიხატება თანამშრომლობის ფორმით“ (WOC, 2013, გვ. 30).

„ჩვენი დაკვირვება რამდენიმე მაგალითზე... მხოლოდ ზღვაში წვეთია, მაგრამ ადასტურებს იდეას, რომ პროექტირების ძირითადი პრინციპები შეიძლება განზოგადდეს. ადამიანის სოციალური ქცევის შემსწავლელი ვრცელი ლიტერატურა შეიძლება დავაკავშიროთ პროექტირების ძირითად პრინციპებთან რეტროსპექტივაში და მოვახდინოთ მათი განზოგადება“ (გვ. S30).

ჰუმანისტური ხელის ეკონომიკის გზაზე

აშშ-ის ეკონომიკა საკმაოდ კარგად ფუნქციონირებს წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ შედარებით უხეიროდ ართმევს თავს სოციალურ პრობლემებს. როგორ უნდა შეიცვალოს აღნიშნული სიტუაცია, ანუ როგორ უნდა მოხდეს ჰუმანისტური ხელის სტადიაზე გადასვლა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა იმის გააზრება, რომ ძირითადი პრინციპების განზოგადებული ვერსია, რომელიც გამოიყენება CPR დისფუნქციების დასაძლევად, შესაძლოა ასევე იქნეს გამოყენებული ეკონომიკის ბევრი ადამიანისეული დისფუნქციის აღმოსაფხვრელადაც. სავარაუდოდ, ძირითადი პრინციპების სწორად გამოყენება საშუალებას მისცემს ეკონომიკას დაძლიოს საკუთარი ჩავარდნები, რომელიც უკავშირდება სიმსუქნეს, სიღარიბეს, სხვადასხვა მავნე დამოკიდებულებას და ა.შ. იმისათვის, რომ ამ მიმართულებით სვლა შევძლოთ, აუცილებელია იმ დისფუნქციების (ჩავარდნების) აღმოფხვრისკენ ორიენტირებული კულტურული ევოლუციის პროცესი, რაც ადამიანს უკავშირდება. კულტურული ევოლუცია, უილსონის სიტყვებით (2015, გვ. 19-21), ჰგავს ბუნებრივ შერჩევას, რომელიც დაფუძნებულია კონკრეტულ პიროვნებაზე, იმისგან განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქს „ბუნებრივ შერჩევასთან ჯგუფებს შორის“. კულტურული ევოლუცია მოიცავს მრავალ სოციალურ ექსპერიმენტს, რომელთაგან ზოგიერთი წინასწარაა განსაზღვრული, ზოგიც – სიტუაციურია (Wilson 2011, pp. 353-354). ზოგიერთი კულტურული ევოლუცია შეიძლება ჩაითვალოს „მართვად მუტაციად“ (გვ. 354). უილსონი წერს: „ცხოვრება რთულია, ჩვენი აღქმის უნარი კი მნიშვნელოვნად შეზღუდული. ჩვენ გვჭირდება მრავალი ალტერნატივის განხილვა და მათ შორის საუკეთესოს არჩევა შესაბამისი შედეგების გათვალისწინებით. ჩვენ გვჭირდება, რომ ვმართოთ ჩვენი კულტურული ევოლუციის პროცესი“ (გვ. 354).

კულტურული ევოლუციის პროცესით სასურველი შედეგების მიღება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი მასშტაბის შერჩევის შემთხვევაში, რომელიც გაცილებით ფართოა პროექტირების პროცესთან შედარებით. კულტურული ევოლუციის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს, მაგრამ არა მაინცდამაინც ისეთი, რომელიც მიგვიყვანს სასურველ ფუნქციურ ორგანიზაციამდე. რაღაც მარტივად შეიძლება აირიოს და გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს (Wilson, 2011, p. 354). როგორც ჩანს, ყოველთვის იარსებებს ადამიანთა ისეთი მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც მუდმივად შეენიანაღმდეგება კარგ იდეებს. ყველაზე კარგი, რისი იმედიც შეიძლება გვექონდეს, ეს არის კარგი ლიდერები და ქვეყნის ძლიერი, მიზანსწრაფული მოსახლეობა. იმის ცოდნა, რომ არსებობს ძირითადი პრინციპები, რომელთა ჯეროვნად დაცვამ შეიძლება გააუმჯობესოს ადამიანთა მდგომარეობა, ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. სოციალ-ეკონომიკური დისფუნქციის დაძლევის მიზანი ბევრისთვის თავისთავად

არის მოტივაციის წყარო; ჰუმანისტური ხელის ეტაპზე გადასვლის ჯილდო, რომელიც მოიცავს პოზიტიურ ინსტიტუციურ ტრანსფორმაციას, რაც უდავოდ ფასეულია.

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ წამყვანი ავტორების ნაწილი (ა. ჩანდლერი, რ. ლანგლოისი და სხვ.), რომელთაც არსებითი ცოდნა გააჩნდათ აშშ-ის ეკონომიკის განვითარების სტადიების შესახებ, აქტიურად იყენებდნენ მეტაფორებს, როგორც მოკლე გზას ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის დასახასიათებლად. ნაშრომმა შემოგვთავაზა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პერიოდების შედარებით მოკლე განმარტებები მეტაფორების („უხილავი ხელი“, „ხილული ხელი“, „გაქრობადი ხელი“) საშუალებით. ეჭვგარეშეა, რომ არიან ეკონომისტები, რომელთაც შეუძლიათ სხვანაირად დაახასიათონ ამერიკის ეკონომიკის განვითარების ეტაპები. ასეა თუ ისე, ნაშრომში განხილული პერიოდები განსაკუთრებით საჭიროებს გამოყოფას და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის იმის თაობაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს შემდეგი ეკონომიკური სტადია – ჰუმანისტური ხელი.

ნაშრომის შემდეგი ნაწილი ეხება ელინორ ოსტრომისა და დევიდ უილსონის კვლევებს, სადაც ასახულია ფუნქციური ორგანიზაციების თვისებები, რომლებსაც მოიცავს ჰუმანისტური ხელის ეკონომიკური სტადია. ოსტრომმა გააცნობიერა, რომ ჯგუფებს უჭირთ ფუნქციონირება, როდესაც მისი წევრები ზრუნავენ მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე სხვების კეთილდღეობის შემცირების ხარჯზე, ეს ინვესს ჯფუფის ფუნქციონირების არევას და კრახს. ოსტრომმა და უილსონმა განაცხადეს, რომ საჭიროა ფუნქციური ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომლის წევრებიც ერთმანეთს ნდობას გამოუცხადებენ, საერთო მიზნის მიღწევაში იქნებიან ერთად ჩართულები და გამოავლენენ კომუნიკაბელურობის მაღალ დონეს. ჰუმანისტური ხელის ეკონომიკა არის ის ეკონომიკა, სადაც დომინანტი ეკონომიკური ორგანიზაციები ფუნქციური ორგანიზაციების სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნულ ორგანიზაციებში ეკონომიკური აქტიურობიდან ადამიანისეული დანახარჯები გაცილებით ნაკლები იქნება აშშ-ის თანამედროვე ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებად კომპანიებთან შედარებით. უდავოა, რომ მისი ფუნქციონირების მაღალი დონიდან, არაეკონომიკური სახის მოტივაციიდან, ადამიანისეული დანახარჯების მცირე დონიდან და კეთილდღეობის ზოგადად მაღალი დონიდან გამომდინარე, გვჭირდება ჰუმანისტური ხელის ეკონომიკა. შეუძლია კი კულტურულ ევოლუციას მიგვიყვანოს ჰუმანისტური ხელის ეკონომიკამდე? ამ მომენტისათვის ამაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს. თუმცა, ამერიკის მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი და ამასთან მზარდი ნაწილი, ემხრობა ჰუმანისტური ხელის ეკონომიკაზე გადასვლას.

References:

- Chandler Jr. Alfred D. (2019) Wikipedia, January.
- Chandler Jr. Alfred D. (1977) *The Visible Hand: Managerial Revolution in American Business*. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Chappell, T. (1993) *The Soul of a Business: Managing for Profit and the Common Good*. New York: Bantam Books.
- Hardin, G. (1968) "The Tragedy of the Commons." *Science*, 162, pp. 1243-1248.
- Lager, F. "Chico" (1994) *Ben and Jerry's: The Inside Scoop*. New York: Crown Trade.
- Langlois, R. (2003) "The Vanishing Hand: The Changing Dynamics of Industrial Capitalism." *Industrial and Corporate Change*, 12(2), pp. 351-385.
- McCloskey, D. (1985) *The Rhetoric of Economics*. Madison. Wisconsin: University of Wisconsin Press.
- McCraw, Thomas K. (2008) "Alfred Chandler: His Vision and Achievement." *Business History Review*, 82(2), Summer, 207-226.
- Ostrom E. (1990) *Governing the Commons: The Evolution of Institutions for Collective Action*. Cambridge: Cambridge University Press.
- Ostrom E. (2009) "Beyond Markets and States: Polycentric Governance of Complex Economic Systems." Nobel Prize Lecture.
- Roddick A. (1991) *Body and Soul: Profits with Principles—The Amazing Success Story of Anita Roddick and The Body Shop*. New York: Crown Trade.
- Smith A. (1937 [1776]) *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*. New York: Modern Library.
- Tomer John F. (2017) "Why Consumers Are Not Sovereign: The Socio-Economic Causes of Market Failure." *Real-World Economics Review*, 81, September, pp. 76-90.
- Usselman, Steven W. (2006) "Still Visible." *Technology and Culture*, 47(3), July, pp. 584-596.
- Wilson David S., Ostrom E., Cox Michael E. (2013) "Generalizing the Core Design Principles for the Efficacy of Groups." *Journal of Economic Behavior and Organization*, 90S, pp. S21-S32.
- Wilson, David S. (2011) *The Neighborhood Project: Using Evolution to Improve My City, One Block at a Time*. New York: Little, Brown.
- Wilson, David S. (2015) *Does Altruism Exist? Culture, Genes, and the Welfare of Others*. New Haven: Yale University Press.

ეკონომიკური მეტაფორები, რომლებსაც საინტერესო დასკვნებაზე მივყავართ

(კომენტარი პროფ. **ჯონ ფ. ტომერის** სტატიაზე „მეტაფორები აშშ-ის ეკონომიკის განვითარების დასახასიათებლად: უხილავი და ხილული ხელის ეკონომიკური სტადიების ჰუმანისტური ხელის სტადიად გარდაქმნა“)

ელგუჯა მეკვაბიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
elguja.mekvabishvili@tsu.ge

ამ ცოტა ხნის წინ, ჩვენი ჟურნალის რედკოლეგიის წევრმა აკად. ლადო პაპავამ მე, როგორც მთავარ რედაქტორს, საინტერესო იდეა შემომთავაზა: ჟურნალში პერიოდულად გამოგვექვეყნებინა დასავლეთის კარგად ცნობილი თუ შედარებით უცნობი ეკონომისტების აქტუალურ პრობლემებზე დაწერილი სტატიების ქართული თარგმანები. იდეის ხორცშესხმის პირველი ნაბიჯი იყო ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“ 2019 წლის მესამე ნომერში თვალსაჩინო ამერიკელი ეკონომისტის პ. კრუგმანის სტატიის ქართული თარგმანის გამოქვეყნება, რომელსაც კომენტარი დაურთო ლ. პაპავამ.

წინამდებარე ნომერში მკითხველს ვთავაზობთ მანჰეტენის კოლეჯის ემერიტუსი-პროფესორის ჯ. ფ. ტომერის სტატიას, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით.

პირველი, ეს არის „წმინდა“ თეორიულ-მეთოდოლოგიური შინაარსის სტატია, რომლის მსგავსი ნაშრომებით ნაკლებადაა განებივრებული ჩვენი მკითხველი. მეორე, სტატია შეიცავს ბევრ ორიგინალურ მოსაზრებას და მესამე, მასში განვითარებული შეხედულებები, შეიძლება ითქვას, რომ წინააღმდეგობაშია დასავლეთის თანამედროვე მიწინსწიერი ნეოკლასიკური მიმართულების მთავარ პოსტულატებთან.

რა არის მეტაფორა და რას აძლევს ეკონომისტს მისი გამოყენება? სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ მეტაფორა არის ენა, რომელიც ეკონომისტმა შეიძლება გამოიყენოს და ამავე დროს ის გამოხატავს მკვლევარის ფილოსოფიურ და ეკონომიკურ ხედვებს. მეტაფორების საშუალებით შესაძლებელია ორი განსხვავებული სფეროს – კოგნიტიურის და ემოციურის ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანა.

ეკონომიკურ ანალიზში მეტაფორების გამოყენების კლასიკური ნიმუში ა. სმიტმა შემოგვთავაზა „უხილავი ხელის“ და „ეკონომიკური ადამიანის“ სახით, რომლებიც ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. „უხილავი ხელის“ ქვეშ იგულისხმება თავისუფალი ბაზარი, რომელიც ინდივიდს იმაზე მეტის გაკეთებას აიძულებს, რაც არ შედიოდა მის გეგმებში და სწორედ ამ გზით მნიშვნელოვნად ზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას. სწორედ ეს პრინციპი გახდა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ფუნდამენტი XVIII-XIX საუკუნეთა განმავლობაში. თუმცა, თავისუფალი ბაზარი რეალურ სინამდვილეში არ დარჩა ისეთი უნაკლო და იდეალური, როგორც იგი ა. სმიტს წარმოედგინა. პირიქით, მას ბევრი ხარვეზი აღმოაჩნდა, რომელიც ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია როგორც „ბაზრის ჩავარდნა“, ანუ „ბაზრის ფიასკო“. სწორედ თავისუფალი ბაზრის დისფუნქციური ხასიათით უნდა აიხსნას, სტატიის ავტორის აზრით, ე.წ. „ხილული ხელის“ მეტაფორის წარმოშობა, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად ა. ჩანდლერი, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ე.წ. „მენეჯერული კაპიტალიზმის“ დასახასიათებლად იყენებს.

„ხილული ხელის“ სტადიაზე აშშ-ის (და მასთან ერთად სხვა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების) ეკონომიკაში ბევრი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ინსტიტუციური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ცვლილება განხორციელდა. მათ შორისაა – „კაპიტალი საკუთრების“ და „კაპიტალი მართვის“ ფუნქციების ერთმანეთისგან გამიჯვნა და მენეჯერთა ფენის პოზიციების საგრძნობი გაძლიერება. სტატიის ავტორს მოჰყავს ჩანდლერის შემდეგი სიტყვები: „მენეჯერები ეკონომიკური გადანყვებულების მიმღებ პირთა ყველაზე გავლენიანი ჯგუფი გახდა“. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ახალი ტიპის კორპორაციები, რომლებიც აშშ-ის ეკონომიკის ლოკომოტივად გადაიქცა.

„გაქრობადი ხელის“ მეტაფორა XX საუკუნის კაპიტალიზმის ფუნქციონირებას უკავშირდება. იგი გამოიხატა, ერთი მხრივ, ფირმების გადაჭარბებული დივერსიფიკაციის შესუსტებით, მეორე მხრივ კი: ა) წარმოებისა და მართვის ქსელური სისტემების განვითარებით და ბ) რესურსებისა და მზა პროდუქციის ბაზრების გლობალიზაციით. ჩვენი აზრით, სტატიაში „გაქრობადი ხელის“ ფენომენის ანალიზს შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა და მისი ბევრი ასპექტი ჩვენთვის ბუნდოვანი დარჩა.

ეკონომიკური განვითარების ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლისას, მხოლოდ ეკონომიკის სტრუქტურაში არ ხდება ცვლილება. მნიშვნელოვან ძვრებს აქვს ადგილი კაპიტალისა და სხვა რესურსების მფლობელთა მოტივაციამაც. კერძოდ, ადგილი აქვს წმინდა ეკონომიკური მოტივის – მოგების არა-ეკონომიკური მოტივებით ჩანაცვლებას. სტატიაში რამდენიმე კომპანიის მაგალითია განხილული აღნიშნული ცვლილების საილუსტრაციოდ. ამასთანავე, ავტორი გარკვეულ ნიადაგს ამზადებს, ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესო და სიახლის შემცველ საკითხზე გადასასვლელად, რომელიც ეხება პერსპექტივაში

აშშ-ის ეკონომიკის „ჰუმანისტური ხელის“ პირობებში ფუნქციონირებას. რამ შეიძლება განაპირობოს ახალ სტადიაზე გადასვლის აუცილებლობა? ავტორის აზრით, ეს შეიძლება მოხდეს იმ უზარმაზარი დისბალანსის საფუძველზე, რომელიც ამჟამად არსებობს აშშ-ში ეკონომიკურ და ადამიანისეულ მაჩვენებლებს შორის. ხშირ შემთხვევაში, ეკონომიკური პროგრესი მიიღწეოდა ადამიანური დანახარჯების (დანაკარგების) გაზრდის გზით.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ამჟამად აშშ-ში უამრავი ადამიანი იტანჯება სხვადასხვა ქრონიკული დაავადებით, ქარბზონიანობით, რაც არასწორი და არაჯანსაღი კვების პირდაპირი შედეგია, ნარკოტიკებზე დამოკიდებულებით, უთანასწორობით, სიღარიბით და ა.შ. შეუქცევადი ხასიათი მიიღო ეკოლოგიური გარემოს გაუარესებამაც. ერთი სიტყვით, ჩვენ საქმე გვაქვს ჰუმანისტარულ და სოციალურ დისფუნქციასთან, რომელიც ბაზრის ჩავარდნის პირდაპირ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. „ჰუმანისტური ხელის“ სტადიაზე გადასვლა, როგორც ჩანს, რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება, რომელსაც გარდამავალი პერიოდი დასჭირდება. მის მთავარ ამოცანად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ადამიანისეული მაჩვენებლების იმგვარად გაუმჯობესება, რომელიც ზიანს არ მიაყენებს ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას.

აღნიშნული რთული ტრანსფორმირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ასპექტი უკავშირდება თანამედროვე კორპორაციების მართვის ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას, გზებს, მექანიზმებს და მეთოდებს. ეს საკითხი ნაშრომში წარმოდგენილია ე. ოსტრომის მიერ საერთო კეთილდღეობის რესურსების გამოყენების კვლევაზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ჯგუფური მუშაობით, ერთმანეთთან პირისპირ საუბრით, ურთიერთდობით და ა.შ. აქედან გამომდინარე, ყველაფერი ეს შეიძლება კოლექტივიზმზე დამყარებული ურთიერთობების ცნებაში გაერთიანდეს. ოსტრომისა და ტომერის აღნიშნული მოსაზრებები, ვფიქრობთ, ძალიან ახლოსაა თანამედროვე მენეჯმენტის „მამად“ აღიარებული პ. დრაკერის შეხედულებებთან. დრაკერი კორპორაციების სტრუქტურულ ცვლილებებს სწორედ პიროვნებათაშორისი ურთიერთობების კუთხით განიხილავს (Druker, 1999) და აღნიშნავს, რომ თანამედროვე კორპორაციებში დასაქმებული მუშაკები ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან არა იმდენად „დაქვემდებარებაში“, რამდენადაც „პარტნიორულ ურთიერთობებში“ (გვ.18). ამასთანავე, იძულებამ დაკარგა ორგანიზაციის საფუძველშემქმნელი ელემენტის მნიშვნელობა, მისი ადგილი კი დაიკავა ნდობამ (**trust**) და ერთმანეთთან თანამშრომლობამ (გვ.187).

ოსტრომმა თავისი დასკვნა მცირე მასშტაბის სიტუაციებთან მიმართებით გააკეთა, მაგრამ ეს, სტატიის ავტორის აზრით, არ გამორიცხავს უფრო დიდ სიტუაციებზე მისი ექსტრაპოლაციის შესაძლებლობას.

ჰუმანისტური ხელის ეკონომიკის (და მასთან ერთად საზოგადოების) დამკვიდრება რამდენიმე მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს. პირველი, შრომის უმაღლესი მწარმოებლურობის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს

ადამიანთა მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ამ საფუძველზე პრიორიტეტული ფასეულობა გახდება ადამიანის სულიერი, კულტურული, ინტელექტუალური მოთხოვნილებები. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური საზოგადოება შეიცვლება პოსტეკონომიურით იმის მსგავსად, როგორც XX საუკუნის 70-იანი და 80-იანი წლების მიჯნაზე ინდუსტრიული ეკონომიკა (საზოგადოება) შეიცვალა პოსტინდუსტრიულით (Bell, 1976; Toffler, 1970); მეორე, მიღწეული იქნება სოციალური სამართლიანობის გაცილებით მაღალი დონე დღევანდელთან შედარებით. მესამე მიმართულებად პროფ. ტომერის მიერ განიხილება კულტურული ევოლუციის პროცესი, რომელიც მრავალ სოციალურ ექსპერიმენტს მოიცავს და მისი აზრით, გარკვეულ „მართვად მუტაციად“ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

დასასრულ, გვსურს აღვნიშნოთ, რომ სერიოზული და საინტერესო მკვლევარის მიერ საზოგადოებრივი პროგრესის ასე ფართო ზოგადცივილიზაციური კონტექსტით გააზრების მცდელობა, მის გამოთქმებს თუ გამოვიყენებთ, „უდაოდ ფასეულია“, ახალი „მოტივაციების წყაროა“ და „ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა“.

ლიტერატურა:

- მექვაბიშვილი ე. (2018) გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა ინტელექტი. თბ., გვ. 234-236.
- Bell D. (1976) *The Coming of Post-Industrial Society*. N. Y.
- Drucker P. (1999) *Management challenges for the 21st century*. Harper Business, N.Y.
- Toffler A. (1970) *Future Shock*. Random House, N.Y.
- Антипина О.Н., Иноземцев В.Л. (1998) Постэкономическая революция и глобальные проблемы. *Общественные науки и современность*. № 4. с. 162-173.

References:

- Antipina O. N., Inozemcev V. L. (1998) “Postekonomicheskaya revolucia i globalnie problemi. Obshestvennie nauki i sovremennost” [“Post-Economic Revolution and Global Issues. Social Sciences and Contemporaneity, #4, p. 162-173 (in Russian).
- Bell D. (1976) *The Coming of Post-Industrial Society*. N.Y.
- Drucker P. (1999) *Management challenges for the 21st century*. Harper Business, N.Y.
- Mekvabishvili E. (2018) *Globalizaciis epokhis finansuri krizisebi da sakartvelos ekonomika* [The Financial Crisis of the Globalization Era and the Economy of Georgia]. Inteleqti. Tbilisi, p. 234-236 (in Georgian).
- Toffler A. (1970) *Future Shock*. Random House, N.Y.

Economic Metaphors that Lead Us to Interesting Conclusions

(Commentary on Prof. *John F. Tomer's* article:

“Metaphors for the Evolution of the American Economy: Progressing from the Invisible and Visible Hands to the Humanistic Hand”)

Elguja Mekvabishvili

Professor Iv. Javakhishvili Tblisi State University

elguja.mekvabishvili@tsu.ge

Recently a member of the editorial board of our Journal, Acad. Lado Papava, offered me, as editor-in-chief, an interesting idea: to publish Georgian translations of articles written on topical problems of well-known or relatively unknown Western economists in the journal periodically. The first step in implementing the idea was the publication of Georgian translation of the article of the prominent American economist P. Krugman in the third issue of the journal „Economics and Business,, with commentary by L. Papava.

In the present issue, we offer our readers the article by John F. Tomer, Manhattan College Emeritus Professor, which, we think is interesting in several respects.

First, this is an article of „purely,, theoretical and methodological content, the kind of work which our readers are less pampered with. Secondly, the article contains many original ideas, and thirdly, the views developed therein may be inconsistent with the main postulates of the modern mainstream neoclassical direction.

What is a metaphor and what does its use give to the economist? The author notes that metaphor is a language that an economist can use and at the same time expresses the philosophical and economic views of the researcher. Metaphors can bring two distinct areas, cognitive and emotional together.

A. Smith offered us a classical example of the use of metaphors in economic analysis as an „invisible hand,, and an „economic man,, which are organically interconnected. Under „invisible hand,, it is meant a free market that forces an individual to do more that was not in his or her plans, and in this way significantly increases public welfare. It was this principle that became the basis of the functioning of a capitalist market economy during the XVIII-XIX centuries. However, the free market in reality did not appear to be as perfect and as ideal as it was imagined by A. Smith. On the contrary, it had many flaws, known in economic theory as „market failures,, or „market fiasco,. According to the author of the article, through the dysfunctional nature of the free market should be explained the origin of the „visible hand,, metaphor, which some scholars, for example A. Chandler uses it to characterize so-called „managerial capitalism,, in the late 19th and early 20th centuries.

At the “visible hand” stage, there were carried out many important structural, institutional, and organizational-economic changes in the US (and other leading capitalist countries) economies. These include the separation of the functions of „Capital Ownership,,

and „Capital Management,, from each other and the significant strengthening of managerial positions. The author of the article quotes Chandler as saying: „Managers have become the most influential group of economic decision-makers.,, At the same time, new types of corporations were formed that became the locomotive of the US economy.

The „disappearing hand,, metaphor relates to the functioning of the XX century capitalism. It is expressed, on the one hand, in weakening of firms' excessive diversification, on the other hand: (a) in the development of production and management network systems, and (b) in the globalization of resources and finished product markets. In our opinion, the analysis of the phenomenon of the „disappearing hand,, in the article has received relatively little attention and many aspects of it have remained unclear to us.

Moving from one stage of economic development to another does not merely change the structure of the economy. There are significant shifts in the motivation of owners of capital and other resources. In particular, there is a substitution of purely economic motives for non-economic motives of profit. The article provides examples of several companies to illustrate these changes. At the same time, the author is preparing some ground, in our view, to move on to the most interesting and novel issue, concerning the prospect of functioning of the US economy in the conditions of „humanistic hand,,. What may be the reason for moving to a new stage? According to the author, the huge imbalance that currently exists between economic and human indicators in the United States. In many cases, economic progress was achieved through increased human costs (losses).

The author of the article points out that many people in the US currently suffer from various chronic diseases, overweight, which is a direct result of improper and unhealthy nutrition, drug addiction, inequality, poverty, etc. The deterioration of the ecological environment got also an irreversible nature. In short, we are dealing with humanitarian and social dysfunction, which can be seen as a direct result of market failure. Moving to the stage of „humanistic hand,, seems to be a difficult and lengthy process that will require a transitional period. Its main task may be the improvement of human indicators in a way that does not harm the effective functioning of the economy.

Another important and interesting aspect of this complex transformation is related to the opportunities, ways, mechanisms and methods of enhancing the effectiveness of modern corporations' management. This issue presented in the thesis is based on E. Ostrom's research about the use of common well-being resources, according to which the noted goal can be achieved through teamwork, face-to-face communication, mutual trust, and so on. All of the above can be combined into the notion of a relationship based on collectivism. These considerations of Ostrom and Tomer are, we think, very close to the beliefs of Drucker which is recognized as the „father,, of modern management. Drucker discusses structural changes in interpersonal relationships (Drucker, 1999), noting that workers in modern corporations are not „subordinate,, to each other, but rather to „partnerships,, (p.18). At the same time, coercion has lost the importance of the founding element of the organization, trust and co-operation (p.187) with each other taking its place.

Ostrom made his conclusion on small-scale situations, but this, in the author's view, does not exclude the possibility of extrapolating it to larger situations.

Establishing a humanistic hand economy (and society along with it) can be accomplished in several ways. First, the achievement of high labor productivity that ensures maximum satisfaction of human needs. On this basis, priority value will become the spiritual, cultural, intellectual needs of man. This means that the economic society will be replaced by the post-economic one just as the industrial economy (society) was replaced by the post-industrial at the turn of the 70s and 80s (Bell, 1976; Toffler, 1970); Second, a much higher level of social justice will be achieved as compared with today's. Prof. Tomer discusses the third direction as the process of cultural evolution, which involves many social experiments, and in his view may be regarded as some sort of „managed mutation“.

Finally, we would like to point out that a serious and interesting researcher's attempt to understand public progress in such a broad general civilization context, whether we use it or not, is „undoubtedly valuable“, a „source of new motivation“, and provides a „basis for optimism“.

On Overcoming the Contradiction between Global Economic Development and Environmental Pollution

Alexandru Gribincea

Lector Free International University of Moldova
agribincea@mail.ru

Teimuraz Shengelia

Professor Iv. Javakhishvili Tbilisi State University
shengelia.temur@gmail.com

Currently a new vector for the development of the world economy is being crystallized. An impetus for growth has been provided by accelerated competition, global economic crises, climate changes on the globe. Between the desire for economic growth and its consequences lie ecological contradictions. Ecology has struggled with the desire for economic development as well as with political, social and cultural issues. The consequences of the contradictions are highlighted by the establishment of environment-oriented international economic policies and instruments, by implementation of legislative support, by financial investments in ecological and innovation projects in the field. Every country should take into account orientation of development vector, applying predominantly economic incentives to sustainable economic development. The use of previous measures and policies have not convinced all states and have not led to positive consequences. The measures applied are not enough to change cardinal environmental protection activity. Solving contradictions, economic and environmental issues will solve the problem of resources, improve the living environment, will provide economic advantages in the competitive struggle. The purpose of the present investigation is to research the contradiction between world economy development and ways to overcome environmental pollution. The results of the research have shown some ways in which the contradictions between economic growth and the environment condition could be overcome.

Keywords: economic development, economic incentives, energy, energy conservation, energy sources, non-renewable sources and renewable sources.

JEL Codes : A13, B41, N12, Q51.

Introduction. The major long-term goals of any government are to stimulate economic development, increase the population's well-being, maintain social-economic stability. For these reasons, knowledge is needed regarding factors that stimulate economic growth and ultimately constraint possible adverse consequences of economic growth. The process

of human interaction with nature is known to be the content of any production. The economy represents the art of rational and efficient management of this process, otherwise, as experience shows, economic and environmental crises are inevitable. The pressure on the environment and ecosystems as a result of anthropogenic activity on land and sea is increasing. Changes occurring on the planet require, in particular, adjustment of government policy and actions. The development of the world economy can be sustained if today's generations can meet their own needs without compromising the ability of future generations to do so [Ben-Shaul D'vora 2019, 21]. Achieving these goals will contribute to greater convergence between EU Member States and within society and to balance differences across the world. The issue of contradictions between the desire to develop the economic sector is accompanied by an increasing volume of natural resources, the use of energy and the emergence of waste. If the products obtained from manufacturing are necessary, the waste is no longer of interest and is disposed of. Unfortunately, not all are degradable, polluting the environment, affecting the health of human beings. The Kyoto agreement, Rio de Janeiro and others, have not been successful so far.

The purpose of the investigation is to research the contradiction between the development of the world economy and the ways of overcoming the environment pollution.

The degree of investigation. Research by scientists like Piscunova T.A., indicates that economic globalization favors accelerating and deepening of ecological problems. Significant role in changing the development vector of the world economy, in regional economy towards greening is played by entrepreneurship. The development of the investigated theme was tackled in „sustainable development,, by R.Stavins, J.Stiglitz, D.Wheeler, N.Stern, Gro Harlem Brundtland. At the same time, so far, issues related to the influence of ecology on the development of international economic relations have been developed relatively little by Suetin A. In a series of periodicals, materials have been published on international environmental agreements and the use of individual environmental policy tools in developed countries by Nuoffer G., Usharova L. and financing by Spiridonov A. regarding environmental policy

Research methodology. The achieved objectives were solved by identifying and systematizing the trends in the development of the world economy, taking into account the environmental factor. The investigation technique is based on a critical economic analysis of the characteristics of the world economy in the context of globalizing environmental problems. The authors used historical, statistical and comparative methods in their research. The first revealed the gradual character of the deepening processes of the environmental problems and the development of theoretical concepts of world economy development, taking into account the environmental factor, as well as the practical activities on environmental issues of the states, companies and international community. Statistical processing of data selected from analytical materials of international organizations, institutes, specialized agencies and companies was used to identify characteristics of the environmental situation, to develop environmental market, to designate the role of environmental investments in implementation of a new vector of the global economy, characteristics of individual elements

of growth oriented to the environment. The publications and reports of international economic structures served as a support for the research. The comparative method has helped to illustrate particularities of the ecological situation and the policies implemented by different groups of countries and regions.

Results and analyses. Economic development is indispensable from energy, it is the engine of economic and social development. Economic activity and energy production are accompanied by waste that is often polluting. Most of the countries are aware of the seriousness of environmental pollution problem. This research provides a comprehensive assessment of economic consequences of air pollution with repercussions over the following decades, focusing on the impact on mortality, morbidity and changes in crop yields caused by high pollutant concentrations. Unless stricter policies are adopted, as the findings indicate, there will be a significant increase in global emissions and atmospheric pollutant concentrations, with serious effects on both human health and the environment. The impact on the market of outdoor air pollution is expected to lead to significant economic costs, which is illustrated at regional and sectoral level, and to substantial annual costs of worldwide assistance.

Evaluation of the World Countries through Ecological Efficiency Index, 2018 [Ben-Shaul D’vora 2019, 20]

Table 1.

Rating	Country	Index	Rating	Country	Index
1	Switzerland	87,42	11	Iceland	78,57
2	France	83,95	12	Spain	78, 39
3	Denmark	81,60	13	Germany	78,37
4	Malta	80,90	19	Israel	75,01
5	Sweden	80,51	20	Japan	74,12
6	UK	79,89	45	Romania	54,78
7	Luxembourg	79,12	49	Singapore	64,23
8	Austria	78,97	52	Russia	63,57
9	Ireland	78,77	60	South Korea	62,30
10	Finland	78,64	112	Rep. of Moldova	51,97

IMF Reports [IMF Annual Report 2018], World Bank, OECD, United Nations Conference on the Human Environment (UNEP), Action Program for Protection of the Ozone Layer, Global Action Program for Protection of the Marine Environment; International Action Network for Coral Reefs, United Nations Commission for Sustainable Development (CSD), United Nations Development Program (UNDP), United Nations Economic Commission for Europe (UNECE), European Commission Directorate-General for Environment, Council Environment of the European Union, European Environment Agency (EEA) etc. The reports of these structures provide plausible global projections of the magnitude of

economic consequences of pollution in the open air, water, soil, in the absence of political actions other than those already existing. The projections thus reflect the costs of inaction in terms of environmental pollution. The OECD's prospects for the environment up to 2050 provide data on the consequences of inaction, which did not take into account the reactions caused by the environmental paradigms and the lack of resources for the economy. These reports attempt to address this gap through a detailed economic modeling framework that links environmental pollution with economic growth and well-being.

The authors' investigations focused on the impact of air, water and soil pollution caused by high concentrations of suspended powders (PM_{2.5}), ozone from soil level for the period 2015-2060. The OECD report specifies the market costs for environmental pollution (focusing on labor productivity, health costs due to diseases and changes in crop yields), using a modeling approach that links economic activity to atmospheric pollutant emissions, chemical concentrations, biophysical impacts and their effects on the economy. The analysis also evaluates the non-market effects on health (mortality and morbidity), using the results of direct evaluation studies. Economic growth demand for energy will lead to a significant increase in global emissions of atmospheric pollutants. Increased emissions, along with other factors, such as climate change, will lead to increased concentrations of particulate matter (PM_{2.5}) and soil ozone. Increased concentrations of PM_{2.5} and ozone will lead to substantial effects on health and the environment. In particular, the premature deaths caused by outdoor air pollution in 2010 amounted to about 3 million people, while in 2060 it is estimated to reach 6-9 million.


Estimated number of deaths caused by outdoor air pollution is realized per year per million people. The market impact of air pollution is expected to lead to global economic costs that gradually increase to 20% of global GDP. Costs related to additional health expenses and labor productivity losses dominate in the long term. The global community is alerted to environmental events. We can notice some moments of awareness about the environmental issues. The authors highlight some events or trends that have marked the ecology and the environment in the last period. Year 2019 is still running, yet the authors can highlight 10 most significant activities in the field of ecology:

1. *The ever-deepening mismatch between citizens' expectations and ecology.* Increased efforts in terms of ecological protection lead to population's efforts to reduce consumption (purchasing power), to reduce travel, to advance CO₂ tax and fuel or energy taxation, which are considered as necessary measures to protect nature.

2. *A warming of +1.5 degrees is being observed.* IPCC report – Intergovernmental Panel on Climate Change indicates the rise in temperature on the Globe. Therefore, it is necessary to quickly rethink our production models, our economic and social paradigm. The IMF lending mechanism is meant to provide zero interest rate loans for low income countries. The aim is to reduce poverty, to help those with low incomes, those limited in financial sources, related to the heating of the atmosphere by + 1,5°C [Gribincea A., Scortescu S. 2010, 155-157].

Causes of Death on the Globe

Fig. 1



www.aif.ru/dontknows

3. *Awareness of the dangers that threaten biodiversity worldwide.* Global warming leads to the biodiversity crisis. The adverse effects are related to disappearance of bees, disappearance of insects, etc. The authors realized that protection of ecosystems, fight against deforestation and reduction of urban expansion represented, fundamentally ecological aspects, in conservation of biodiversity.

4. *Increasing the frequency of natural disasters, caused by global warming.* In recent years we are seeing more and more natural disasters related to global warming. Humanity has become aware of the connection between climate and disaster.

5. *Now we are talking openly about the collapse of human societies.* Could our societies collapse in the face of ecological threat or energy crisis? The inability of the society to reduce or stop its polluting activities can lead to irreversible changes in nature.

Although we are facing a catastrophe, some developed countries like Australia do not want to give up on coal extraction [Sources of pollution. https://xn--80ajgpcpbhkds4a4g.xn--p1ai/articles/selskohozy_ajst_vennoe-zagryaznenie-okruzhayushhej-sredy/]. According to statistics, one third of US youth do not plan childbirth for climate change fear [Sources of pollution. https://xn--80ajgpcpbhkds4a4g.xn--p1ai/articles/selskohozy_ajst_vennoe-zagryaznenie-okruzhayushhej-sredy/].

6. *We are starting to advance in agricultural and food practices.* Frequently, environmental problems have been reduced to problems related to energy or industry. Nevertheless, agriculture is one of the largest sources of pollution on account of greenhouse gas emissions and the destruction of ecosystems [The Danube transports annually. [Accessed 03.10.2019]. Available: <https://www.g4media.ro/raport-dunarea-transporta-annual-in-marea-neagra-pestel-500-tone-de-plastic-pe-an.html>]. The big debate is done on the prohibition of glyphosate, the problem of neonicotinoid pesticides, the issues concerning the use of land, the use of pesticides in organic farming, etc.

7. *Some cities begin to act against the ubiquity of cars.* Over the last years there is a real impulse of activities which are intended to reduce the number of cars in cities (except Chisinau). Cities around the world have announced or strengthened measures to reduce the use of personal vehicles in city centers. About 1/3 of the products made on Earth are found in junk yards. In the EU, 88 billion tons of food waste is produced annually, which is 173 kg per person. In the Republic of Moldova there are 370 thousand tons of waste, 87,000 being recycled, 60000 destroyed, 224 thousand tons deposited in junk yards. A city dweller compared to a villager produces 1: 0.5 kg / day garbage [Wind Europe. (Accessed 03.10.2019). Available: <https://www.zfcorporate.ro/zf-ro/energie/eoliene-sustintute-doar-de-vant-17069203>]. The Danube, for instance, transports over 1,500 tons of plastic annually into the Black Sea [The Danube transports annually. (Accessed 03.10.2019). Available: <https://www.g4media.ro/raport-dunarea-transporta-annual-in-marea-neagra-pestel-500-tone-de-plastic-pe-an.html>].


8. *The transformation of renewable energy advances slowly.* Many countries, cities, regions across the globe have developed their transition policies in the field of energy, from traditional sources to alternative ones. Application of decarbonised energy (renewable energy, nuclear energy), energy efficiency policies: these are good examples of policies to be implemented.

9. *A minority of citizens begin to take action.* The number of people who want to reduce consumption of traditional energy resources is minimal [Gribincea A., Scortescu S. 2010, 155-157]. However, they reduce the use of traditional fuel cars, save energy, reduce meat consumption.

10. *Influences assume ownership rights over environmental issues.* More and more social networks have shown their commitment to ecological causes. The launched movement is a good example of these spontaneous movements meant to change mindsets.

The Cost of Renewable Energy Compared to those Using Gas, Coal and other Sources

Fig. 2.



Rezume

Environmental problems have ceased to be purely ecological ones and thus are considered as directly affecting the economic security of the countries. Under the influence of globalization of the world economy, international competition and strategic management of CTN are intensified, being closely related to ecological aspects.

Studies have shown that an important trend over the last years has been accompanied by a significant increase of investments in environmental innovation, which is an important economic link of many states. The analysis shows that the key factors of environmental degradation in the post-socialist countries are the predominance of industries that waste intensive and environmentally polluting resources. The machines and equipment in the structure of industrial production have a high degree of impairment of fixed assets, a relatively low degree of efficiency in the use of resources and production as a whole due to low technological level of economy, insufficient development of ecological market, and environmental policy problems.

Due to the negative effect on the environment, economic growth must be based on sustainable technologies, renewable products and materials. The consequences of pollution lead to degradation of population’s health, food shortage, famine. Flora and fauna, resources are irreversibly destroyed, the future generations become devoid of them.

Although at the highest level the UN and other international forums discuss environ-

mental issues (the Rome Club, the Kyoto Agreement, the Rio Agreement, Horizon 2020, etc.), not all countries follow the decisions taken, continuing the defective practice of pollution.

The authors believe that the problem could be solved through a complex of legislative (restrictive), economic (stimulative) and social (educational) measures at the level of countries. Solving environmental problems requires considerable investments, however, many countries have neither technological nor financial resources to move to a new development stage.

References:

- The Fourth Report on the State of the Energy Union. [Accessed 03.10.2019]. <https://ec.europa.eu/transparency/regdoc/rep/1/2019/RO/COM-2019-175-F1-RO-MAIN-PART-1.PDF>
- Ben-Shaul D'vora. Israel Environment & Nature: Environmental Issues. [Las visit 03.10.2019]. <https://www.jewish virtual library.org/environmental-issues-in-israel>
- Brundtland Gro Harlem (1987). Mother of Sustainable Development. Norsk Biografisk Leksikon, WHO and The Elders. p.85.
- Gribincea A., Scortescu S. (2010). Increased natural gas purchase prices. In: Journal of Economic Studies. Year 4, no.1-2, pp.155-157.
- IMF Annual Report 2018. Building a Shared Future. [Accessed 03.10.2019]. <https://www.imf.org/external/pubs/ft/ar/2018/eng/assets/pdf/imf-annual-report-2018-ru.pdf>
- Stiglitz Joseph E. (2019). La Concentration du Marché Menace L'économie Américaine. In: Preject Synducate.
- Shengelia T.(2014). Tendencies of the Capital International Movement and its Influence on the Economy on the Sovereign State. International Journal of Science, Technology and Medicine. Nova Science Publishers, Inc. Volume 6, Issue 1, p.p. 49-55.
- Stroe C., Gribincea A., Epuras O. (2011). The Future of the Fuel Market. International Scientific Conference Economic Problems of European Development. March 25, Chisinau: ULIM, 2011, pp.23-33.
- Sources of Pollution. [Last visit 03.10.2019]. https://xn--80ajgpcpbhkds4a4g.xn--p1ai/articles/selskohozy_ajst_vennoe-zagryaznenie-okruzhayushhej-sredy
- The Economic Consequences of Outdoor Air Pollution. [Last visit 03.10.2019]. <http://www.oecd.org/environment/the-economic-consequences-of-outdoor-air-pollution-9789264257474-en.htm>
- The DanubeT transports Annually. [Accessed 03.10.2019]. <https://www.g4media.ro/raport-dunarea-transporta-annual-in-marea-neagra-pest-1-500-tone-de-plastic-pe-an.html>
- Wind Europe. [Accessed 03.10.2019]. <https://www.zfcorporate.ro/zf-ro/energie/eoliene-sustinute-doar-de-vant-17069203>
- Causes of Death on the Globe. [Last visit 03.10.2019]. https://aif.ru/dontknows/infographics/prichiny_smertnosti_v_mire_infografika

გლობალურ ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაბინძურებას შორის წინააღმდეგობის დაძლევის შესახებ

ალექსანდრე გრიბინცეა

მოლდოვას საერთაშორისო თავისუფალი
უნივერსიტეტის ლექტორი
agribincea@mail.ru

თემურ შენგელია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
shengelia.temur@gmail.com

ეკოლოგიური პრობლემები უკვე არ წარმოადგენს წმინდა ეკოლოგიურს. შესაბამისად მიჩნეულია, რომ ისინი ეხება ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოებას. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ზეგავლენის საფუძველზე ძლიერდება საერთაშორისო კონკურენცია და ტნკ-ის სტრატეგიული მართვა, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ეკოლოგიურ ასპექტებთან.

კვლევებმა აჩვენეს, რომ ბოლო წლების მნიშვნელოვანი ტენდენციაა ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა ეკოლოგიურ ინოვაციებში, რაც წარმოადგენს მრავალი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური კავშირის შედეგს. ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნების ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის მნიშვნელოვანი ფაქტორებია იმ დარგების სიმრავლე, რომლებიც მოიხმარს რესურსებს და აბინძურებს ბუნებრივ გარემოს. ეკონომიკის დაბალი ტექნოლოგიური დონის, ეკოლოგიური ბაზრის არასაკმარისი განვითარებისა და ეკოლოგიური პოლიტიკის პრობლემების გამო, მანქანები და მოწყობილობანი სამრეწველო წარმოების სტრუქტურაში ხასიათდება ძირითადი საშუალებების გაუფასურების მაღალი ხარისხით, რესურსებისა და მთლიანად წარმოების შეფარდებით დაბალი ეფექტიანობის დონით.

გარემო პირობებზე ნეგატიური ზეგავლენის გამო, ეკონომიკური ზრდა უნდა დაეფუძნოს მდგრად ტექნოლოგიებს, განახლებად პროდუქტებსა და მასალებს. დაბინძურების შედეგებს მიყვავართ მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესებამდე, საკვები პროდუქტების დეფიციტამდე, შიმშილამდე. ფლორა და ფაუნა, რესურსები გაუნახლებლად ნადგურდება, მომავალი თაობები კარგავს მათ.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ყველაზე მაღალ დონესა და სხვა საერთაშორისო ფორუმებზე განიხილავენ ეკოლოგიურ პრობლემებს (რომის კლუბი, კიოტოს შეთანხმება, რიო დე ჟენეროს შეთანხმება, ჰორიზონტი-2020 და სხვ.), ყველა ქვეყანა როდი მისდევს მიღებულ გადაწყვეტილებებს, აგრძელებს რა დაბინძურების მანკიერ პრაქტიკას.

ავტორებს მიაჩნიათ, რომ ქვეყნების დონეზე პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია საკანონმდებლო (შეზღუდვების), ეკონომიკური (სტიმულირების) და სოციალური (საგანმანათლებლო) ზომების კომპლექსური მიღების საფუძველზე. ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს. მიუხედავად ამისა, მრავალი ქვეყანა არ ფლობს არც ტექნოლოგიას და არც ფინანსურ რესურსებს განვითარების ახალ დონეზე გადასასვლელად.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური წახალისება, ენერჯია, ენერჯიის დაზოგვა, ენერჯიის რესურსები, არაგანახლებადი და განახლებადი წყაროები.

სახელმწიფო ვალი – ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი (2000 წლის შემდგომი პერიოდის საქართველოს მაგალითზე)

იოსებ არჩვაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი
josepharchvadze@yahoo.com

სესხი და ვალი – საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორიებია. ამასთან, მიუხედავად შინაარსის მსგავსებისა, მათ შორის ეტიმოლოგიური განსხვავება მაინც შესამჩნევია. პირველში აქცენტი გაკეთებულია კრედიტორისაგან **მოზიდულ** სახსრებზე, მეორეში კი – ამ კრედიტორისადმი ნარმოშობილ **ფინანსურ ვალდებულებაზე**. არსებული სესხის მეშვეობით მოდიან შესაბამისობაში ეკონომიკის და მისი ცალკეული სექტორების, სუბიექტების რესურსები; ხორციელდება, ზიარჭურჭელის პრინციპით, ერთ სფეროში აბსოლუტურად თუ შეფარდებით ჭარბი რესურსების სწრაფი „გადასროლა“ ეკონომიკის იმ სფეროებსა და სექტორებში, სადაც მისი დეფიციტი შეინიშნება. აღნიშნულის შედეგად ჩქარდება ეკონომიკური პროცესები, ზრდის დინამიზმი და, საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების კეთილდღეობა.

ეკონომიკური ურთიერთობების ამ ფორმას მიმართავს ცივილიზებული საზოგადოების ყველა ინსტიტუციური ერთეული სახელმწიფოს ჩათვლით. უფრო მეტიც, მაკროეკონომიკურ პროცესებზე სწორედ აღებული სესხების, სახელმწიფო ვალის სიდიდე და მისი მომსახურების მასშტაბები და პერსპექტივები ახდენს განმსაზღვრელ გავლენას და მნიშვნელოვანწილად აყალიბებს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის დისკურსს. როგორც წესი, სესხად აღებული და სახელმწიფო ვალის სახით ქვეყანაში შემოსული ფულადი სახსრები ქმნის დამატებით ფინანსურ რესურსს, რომლითაც ძირითადად იფარება ბიუჯეტის დეფიციტი, ხორციელდება მუნიციპალური და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ენერგეტიკის სექტორის განვითარება და ა.შ. კერძო სექტორის მიერ მოზიდული სესხები ემსახურება შესაბამისი ბიზნესაქტივობის გაფართოებას. მთლიანობაში, სესხის ორივე ფორმა – სახელმწიფო და კერძო, მათი ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში, პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის, მისი ცალკეული დარგებისა თუ რეგიონების განვითარებაზე, მაკროეკონომიკურ ზრდასა და, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

საკვანძო სიტყვები: სესხი, სახელმწიფო ვალი, ვალის მომსახურება, პროცენტი, სახელმწიფო ბიუჯეტი.

სახელმწიფო ვალის არსი და მისი დინამიკა საქართველოში 2000-2019 წლებში


ზოგადად, აღებული სესხი მედიკამენტური საშუალებასავითაა – გარკვეული, ოპტიმალური დოზა მის მიმღებს შველის, ფეხზე დააყენებს, პრობლემებს დააძლევინებს, ხოლო თუ დოზა დანიშნულზე მეტია, არასათანადოა ან არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული, მან სხეულს – ადამიანის იქნება ის, ორგანიზაციის თუ მთელი სახელმწიფოსი, შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს, თვით ლეტალური შედეგის დადგომაც კი გამოიწვიოს. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად თავად სესხის (ვალის) აღების ფაქტს, რამდენადაც მის ზომას და ეფექტიან, მიზნობრივ გამოყენებას.

საქართველოს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, სახელმწიფო ვალი პრაქტიკულად არ ჰქონია. ამასთან, კარგადაა ცნობილი, თუ რა რთულ გეოპოლიტიკურ თუ ინსტიტუციურ პრობლემებს უკავშირდებოდა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფორმირება. სიმბოლურია, რომ ერთ-ერთი პირველი კრედიტი 2.5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც დამოუკიდებელმა საქართველომ მიიღო საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისაგან (მსოფლიო ბანკი) უკავშირდებოდა 1991-1992 წლების თბილისის ომის შედეგად დაზიანებული მთავრობის სახლის (ამჟამინდელი პარლამენტის შენობა) რეაბილიტაციას. სულ, 1990-იანი წლებიდან დღემდე, საქართველოს აღებული აქვს 16 მლრდ აშშ დოლარზე მეტი სახელმწიფო სესხი, რომლის 3/5 უკვე გასტუმრებულია.

ქვემოთ მოტანილი გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდებოდა საქართველოს ეკონომიკა და ამ ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – სახელმწიფო ვალის სიდიდე.

საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტისა (მსპ) და სახელმწიფო ვალის დინამიკა 2001-2019 წლებში % (2000წ.-100%)

დიაგრამა 1




მიუხედავად გავრცელებული საწინააღმდეგო მოსაზრებისა, საქართველოს ეკონომიკის ზრდა ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე, აღემატება სახელმწიფო ვალის ზრდის დინამიკას. თუ სახელმწიფო ვალების თანაფარდობა მსპ-სთან (სილაგაძე, პაპავა, 2019) 2000 წელს 66.7 % იყო, ამჟამად ის, მიუხედავად იმისა, რომ ლარი განიცდის საგრძნობ დეველვაციას, ხოლო სახელმწიფო ვალების დიდი ნაწილი (4/5-ზე მეტი) მოდის საგარეო ვალებზე, 45 %-ს არ აღემატება.

სახელმწიფო ვალების ხსენებული წილი სტაბილურად ეგზოგენური (საგარეო) წარმომავლობისაა. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და წამყვანი სახელმწიფოების როლი საქართველოს ინსტიტუციურ რეფორმებსა და ეკონომიკურ განვითარებაში ფასდაუდებელია. ამასთან, საქართველოს ეკონომიკის ზრდის, საბანკო სექტორის განვითარების წყალობით, შესაძლებელი გახდა ქვეყნის შიდა რესურსების მობილიზება სახელმწიფო საშინაო ვალის სახით. გრაფიკი 2-ის მონაცემები ადასტურებს, რომ სახელმწიფო ვალების შიდა და გარე წყაროების ზრდის დინამიკა ბოლო 15 წლის მანძილზე, არსებითად არ განსხვავდებოდა და ისინი თითქმის პარალელური, პროპორციული რეჟიმით იზრდებოდა.

საშინაო და საგარეო ვალის დინამიკა 2005-2018 წლებში % (2004=100%)

დიაგრამა 2



ზოგადად, თანამედროვე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური სისტემა აგებულია იმ პრინციპებზე, რომ მთავარია არა ვალის სიდიდე, არამედ მისი მომსახურების შესაძლებლობა. მდიდარი ქვეყნები და მისი სუბიექტები თავიანთ საქმიანობას დიდწილად ალღობული კრედიტებით ახორციელებენ. სესხებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი, სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნესგა-

რემო, მათ შესაძლებლობას აძლევს საკუთარი მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაქსიმალურად მოკლე ვადებსა და მინიმალური დანაკარგებით შეძლონ. კრედიტის ღირებულება აშშ-ში დაახლოებით 2.25% -ია, კანადაში – 1.75%, გაერთიანებულ სამეფოში – კიდევ უფრო ნაკლები – 0.75%, ავსტრალიაში-3.4%, ისრაელში-2.4%.

კრედიტის ღირებულება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, საქართველოსთან შედარებით (საქართველო საშუალოდ – 7.2%), დაახლოებით 2.5-ჯერ უფრო დაბალია, მაგრამ ეს პრინციპი აგრეთვე გულისხმობს აღებული ვალების მიზნობრიობის, ათვისებისა და დაფარვის ვადების მკაცრ დაცვას.

სახელმწიფო ვალის სიმძიმის კრიტერიუმები

რადგანაც ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მასშტაბებით, მოსახლეობის რიცხოვნობით და ეკონომიკური სიძლიერით, მათი შედარება სახელმწიფო ვალების მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ ორი კრიტერიუმით:

- ა) ვალის თანაფარდობით ქვეყნის მსპ-თან;
- ბ) ვალის სიდიდით მოსახლეობის ერთ სულზე.

მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს სახელმწიფო ვალები 2018 წლის ბოლოს 5.0 ათას ლარს აღწევდა და მათი მოცულობა ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე 5.4-ჯერ გაიზარდა (2018 წ. %-ით 2000 წ.-თან = 543.7%). იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ნომინალური მსპ უფრო სწრაფად იზრდებდა, ვიდრე სახელმწიფო ვალები, ამ უკანასკნელის თანაფარდობა ქვეყნის ეკონომიკის მოცულობასთან შემცირდა 2000 წლის 67.7 %-დან 2018 წლის 45.1 %-მდე, თუმცა, გავლილი თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე, საქართველოს ჰქონია პერიოდი, როდესაც აღნიშნული თანაფარდობა გაცილებით ნაკლებიც იყო (იხ. ცხრილი 1).


საქართველოს სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მსპ-თან 2000-2019 წლებში %
ცხრილი 1

	2000	2005	2007	2010	2015	2018	2019 (მოსალოდნელი)
%	67.7	40.0	25.5	42.4	41.5	45.1	46.9

ამასთან, პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო არ მიეკუთვნება აღნიშნული ინდიკატორით არც „ლიდერებს“ (ამ მხრივ აშკარად გამოირჩევა უკრაინა) და არც „აუტსაიდერებს“, რაზეც მრავლისმეტყველ ინფორმაციას დიაგრამა 2 იძლევა.

სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მთლიან შიგა პროდუქტთან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 2018 წელს (პროცენტი)


დიაგრამა 3



გაცილებით მაღალია სახელმწიფო ვალების თანაფარდობა განვითარებული ქვეყნების მიხედვით, რომელთათვისაც, „როგორც წესი“, სახელმწიფო ვალის თანაფარდობა ქვეყნის ეკონომიკის წლიურ სიდიდეს საგრძნობლად აღემატება. სახელმწიფო ვალების თანაფარდობა მსპ-თან განვითარებულ ქვეყნებში 4-ჯერ და მეტად აღემატებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს (Kovzanadze, 2018, 185-187).

ბოლო მონაცემებით, მსოფლიოს ქვეყნების ჯამური მთლიანი ეროვნული პროდუქტი 83.86784 ტრლნ აშშ დოლარია, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის სიდიდე მსოფლიო პროდუქტის 98% აღწევს იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოები, როგორც წესი, უარს არ ამბობენ საგარეოსთან ერთად საშინაო ვალების აღებაზეც. მთლიანი სახელმწიფო ვალის სიდიდე მრავალ ქვეყანაში ამ ქვეყნების მსპ-ს საგრძნობლად აღემატება. მეორე კრიტერიუმი – სახელმწიფო ვალის სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე გვეუბნება, თუ რა სიმძიმის ვალი მოდის ქვეყნის თითოეულ ადამიანზე. დიაგრამა 4 აჩვენებს საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის ჯამურ სიდიდეს საქართველოს ეროვნულ ვალუტასა და აშშ დოლარებში 2000-2018 წლებში.

საქართველოს სახელმწიფო ვალი მოსახლეობის ერთ სულზე 2000-2018 წლებში
დიაგრამა 4



2000 წელთან შედარებით, 2018 წლისთვის, საქართველოს მსპ გაიზარდა ლარებში – 6.8-ჯერ, აშშ დოლარებში ოფიციალური კურსით – 5.6-ჯერ. ამავე დროს, სახელმწიფო ვალი გაიზარდა: ლარებში დენომინირებული – 4.5-ჯერ, ხოლო აშშ დოლარებში დენომინირებული – 3.5-ჯერ (მოსახლეობის ერთ სულზე შესაბამისად, 5.4-ჯერ და 4.2-ჯერ). მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო ვალის წინმსწრები ზრდა ვალის საერთო მოცულობის ზრდასთან შედარებით განპირობებულია ამ ხნის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის მკვეთრი, 17.7%-ით შემცირებით.


რადგანაც საქართველოს სახელმწიფო ვალის დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია აღებული, ხსენებულ ორივე კრიტერიუმზე დიდ გავლენას ახდენს *ეროვნული ვალუტის კურსი*. ამ კურსის სიდიდე და სახელმწიფო ვალის სიდიდეები ერთმანეთთან, ფაქტობრივად, უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. რაც უფრო მყარია ეროვნული ვალუტა, მით უფრო მსუბუქია სახელმწიფო ვალის ტვირთი, ხოლო ეროვნული ვალუტის კურსის დაცემის შემთხვევაში, შესაბამისი პროპორციით იზრდება (თვით ახალი ვალები აუღებლობის პირობებშიც კი) ვალის ტვირთი. **მთავრობის მიერ აღებული საშინაო და საგარეო ვალის ჯამური სიდიდე რომ არ აღემატებოდეს მსპ-ის 60 %-ს**, ეს მოთხოვნა არამარტო აფიქსირებს აღნიშნული თანაფარდობის ზღვრულ მიზანშეწონილ სიდიდეს, არამედ ის ნორმატიულ დატვირთვასაც ატარებს, რამეთუ დაფიქსირებულია საქართველოს ორგანულ კანონში „*ეკონომიკური თავისუფლების შესახებ*“ (2011 წ.). როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას ამ მხრივ, ჯერჯერობით, „რესურსი კიდევ აქვს“ – ამ კრიტერიუმით მას შეუძლია დამატებით კიდევ არანაკლებ 2.2 მლრდ. აშშ დოლარის სესხის აღება.

თუ მხოლოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობით აღებულ სესხებზე ვიმსჯელებთ, რომელშიც, რა თქმა უნდა, ქვეყნის შიგნით აღებული სესხებიც იგულისხმება, მაშინ საქართველოს სახელმწიფო ვალი ქვეყნის მსპ-ის მხოლოდ 45.1 %-ია. თუ ანალოგიურად მივუდგებით სხვა ქვეყნების სახელმწიფო სესხების შეფასებასაც, ვნახავთ, რომ კერძო სექტორის გამოკლებით, ქვეყნის ვალების მაჩვენებელი საგრძობლად მცირდება, თუმცა, ბევრ ქვეყანაში ის მაინც საქართველოს შესაბამის მაჩვენებელზე მაღალია. მაგალითად, აზერბაიჯანის სახელმწიფო ვალი შეადგენს ქვეყნის მსპ-ის 48.8 %-ს, სომხეთისა – 56.7% -ს, გაერთიანებული სამეფოსი – 87.0 %-ს, საფრანგეთისა – 98.5 %-ს.

საქართველოსგან განსხვავებით, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო ვალის სიდიდე 2.0 ათას აშშ დოლარიც კი არ არის, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო ვალის მაჩვენებელი საკმაოდ სოლიდურია და ამ მაჩვენებლით საქართველოს გაცილებით მეტად უსწრებენ, ვიდრე ეკონომიკურად (მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მსპ-თ), რაზეც მკაფიო წარმოდგენას დიაგრამა 5 იძლევა.

მსპ და სახელმწიფო ვალი მოსახლეობის ერთ სულზე 2018 წელს (ჯერადად საქართველოსთან; საქართველო = 1)

დიაგრამა 5



როგორც დიაგრამიდან ჩანს, მოსახლეობის ერთ სულზე აშშ საქართველოს უსწრებს: მსპ-ით – 13.2-ჯერ, ხოლო სახელმწიფო ვალის სიდიდით – 31.1-ჯერ, საბერძნეთი, შესაბამისად- 4.3-ჯერ და 25.3-ჯერ, იაპონია – 8.9-ჯერ და 45.7-ჯერ...

ცხრილი 2 გვიჩვენებს, თუ მოსახლეობის ერთ სულზე რამდენად მეტია (რამდენჯერ უსწრებს) ამ ქვეყნების წინსწრება საქართველოსთან, ვალის მეტობით მსპ-თ მეტობასთან შედარებით.

მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის წინსწრება საქართველოსთან, ვალის მეტობით მსპ-თ მეტობასთან შედარებით 2018 წელს (მოსახლეობის ერთ სულზე; ჯერ; მეტობა მსპ-ს მიხედვით = 1)

ცხრილი 2

ქვეყნები	ოფიციალური კურსით გაანგარიშებულ მსპ-თან	ვალუტის მყიდველობითი უნარიანობით გაანგარიშებულ მსპ-თან
საბერძნეთი	5.8	10.0
იაპონია	5.1	13.1
იტალია	4.4	9.1
ბელგია	3.2	7.6
გაერთიანებული სამეფო	3.1	7.0
საფრანგეთი	3.0	6.7
ავსტრია	2.5	5.9
აშშ	2.4	5.9
ირლანდია	2.0	4.9
რუსეთი	1.0	0.9

საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი (არასახელმწიფო სექტორის – კომერციული ბანკებისა და ბიზნესსექტორის ჩათვლით) 2019 წლის დასაწყისის მდგომარეობით, დაახლოებით 4.8 ათასი აშშ დოლარია, მათ შორის უშუალოდ სახელმწიფოს (მთავრობისა და ეროვნული ბანკის) – დაახლოებით 2.0 ათასი აშშ დოლარი. ქვეყნის საშინაო ვალის სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე 1054 ლარია, ანუ მთლიანობაში (საშინაო და საგარეო ვალი) მოსახლეობის ერთ სულზე არ აღემატება 5 ათას ლარს (4974 ლარი), რაც ლარისა და დოლარის ოფიციალური კურსით 2.0 ათასი აშშ დოლარიც კი არ არის (\$1978).

ბევრია ეს თუ ცოტა?

შედარებისათვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგალითად, აშშ-ის ერთ მოქალაქეზე ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის სიდიდე 58.2 ათასი აშშ დოლარია, გერმანიაში – 65.6 ათასი აშშ დოლარი, საფრანგეთში – 87.2 ათასი, გაერთიანებულ სამეფოში – 127.0 ათასი აშშ დოლარი...

რა თქმა უნდა, ამ ქვეყნების ეკონომიკები საქართველოზე გაცილებით დიდები და ძლიერებია, თუმცა მოსახლეობის ერთ სულზე ვალის სიდიდით ისინი

გაცილებით მეტად გვისწრებენ, ვიდრე წარმოებული მსპ-ით. ამიტომაც, **ვალის რეალური სიმძიმის განსაზღვრისათვის მის სიდიდეს ქვეყნის მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს – მსპ-ს უდარებენ.** ამ მაჩვენებლით კი მსოფლიოს 188 სახელმწიფოს შორის, საქართველო (მსპ-ს 110%) არც თუ სახარბიელო – 36-ე ადგილზე იმყოფება, „სადღაც“ სლოვენისა და ბუტანს შორის. შედარებისათვის: აშშ საგარეო ვალი ამ ქვეყნის მსპ-ს 115%-ია, გერმანიისა, შესაბამისად, 141%, საფრანგეთის – 213%, გაერთიანებული სამეფოსი – 313%, ნიდერლანდების კი – 522%.

საქართველოს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ვალების სტრუქტურა და მომსახურების ფასი

ვალების მეშვეობით დამატებითი ფინანსური რესურსები მობილიზების საგარეო და საშინაო გზებიდან ქართული სახელმწიფო, მისი ხელისუფლება უპირატესობას **საგარეო ვალებს** ანიჭებს – მისი უფრო მსხვილმასშტაბიანი მიღების შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამგვარი სესხების აღების კრედიტორები არიან **საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები** (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ა.შ.), ან **კონკრეტული სახელმწიფოები** (აშშ, გერმანია, იაპონია, კუვეიტი, თურქეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და ა.შ.). ბოლო მონაცემებით, **საგარეო სესხების 73.7% აღებულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისაგან, 17.0% – სხვა სახელმწიფოებისაგან, 9.2% კი, გამოშვებული ფასიანი ქაღალდებია** (ე.წ. ევრობონდები).

ყველა საგარეო ვალის საშუალო საკონტრაქტო ვადა 22.2 წელია, საიდანაც საშუალო შეღავათიანი პერიოდი (ანუ დრო, რომლის განმავლობაში არ ხდება ვალის მომსახურება) – 8.1 წელი, საპროცენტო განაკვეთი (2.20%) კი

* ეს ის ევრობონდებია, რომლის მეშვეობითაც 2008 წლის გაზაფხულზე საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ მოახერხა 500-მილიონიანი სესხის აღება მინისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისათვის, კონტრაქტის მიხედვით, გადახდის საბოლოო ვადად 2013 წელი იყო დათქმული.


2019 წელი მთავრდება და არც გაზსაცავია აშენებული და არც ვალებია გასტუმრებული (ესაა, რომ 2011 წელს „მოხერხდა“ აღნიშნული ვალის რესტრუქტურირაცია - გადახდის გადავადება 8 წლით და აღებული სესხის მომსახურებაზე 0.3 პუნქტით ნაკლებ წლიურ პროცენტზე კრედიტორის დათანხმება). მაგრამ თუ როგორ მოხდა დასახელებული 500 მლნ აშშ დოლარის ათვისება, ამაზე კონკრეტული პასუხის მისაღებად, ალბათ, ფინანსთა სამინისტროს უნდა მივმართოთ. მარტივი გათვლებიც კი ადასტურებს, რომ **აუშენებელი მინისქვეშა გაზსაცავისათვის აღებულ 500-მილიონიან კრედიტში 2021 წლისთვის ჯამში, თავის პროცენტიანად, 900 მლნ აშშ დოლარი იქნება გადასახდელი!** ამის გამო ორი წლის შემდეგ ბიუჯეტში (2021 წ.) ყველა წყაროდან მობილიზებული ყოველი მეექვსე ლარი საგარეო ვალის მომსახურებაზე იქნება წარმართული.

საკმაოდ ახლოსაა განვითარებული ქვეყნების ინფლაციის მაჩვენებელთან. მაგალითად, XXI საუკუნის გავლილი 18 წლიდან აშშ-ში ინფლაციის მაჩვენებელი 9 წლის მანძილზე 2.2%-ზე მეტი იყო.

სახელმწიფო ვალის მომსახურების ზღვრულ მაჩვენებლად მიჩნეულია მსკ-ის 5% (საქართველოსათვის 2019 წლის მდგომარეობით, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2.2%-ია). ამასთან, 2021 წლისთვის, როდესაც დადგება საქართველოს უახლეს ისტორიაში ზემოხსენებული ყველაზე „ეგზოტიკური“ საგარეო ვალის – ე.წ. ევრობონდების (500 მლნ აშშ დოლარის) გადახდის დრო, საგარეო ვალების მომსახურების თანაფარდობა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებთან, პრაქტიკულად გაორმაგდება და 2018 წლის 8.5%-ის ნაცვლად, 16.5%-ს მიაღწევს. 2011 წელი, საგარეო ვალების მომსახურების საერთო ტრენდის ქრონოლოგიაში ისევე „გამოირჩევა“, როგორც ე.წ. „მწოლიარე პოლიციელი“ – საავტომობილო გზებზე.

მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების თანაფარდობა ექსპორტსა და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან 2016-2023 წლებში

დიაგრამა 6



რაც შეეხება სახელმწიფო ვალით მობილიზებულ შიდა რესურსებს, ვის აქვს ქვეყანაში იმდენი ფინანსური რესურსი, რომ მთავრობის მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს?! – დღევანდელი მოცემულობით, მხოლოდ კომერციულ ბანკებს.

საქართველოს მთავრობას მიმოქცევაში გამოშვებული აქვს 6 და 12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები, 2, 5 და 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციები. საშუალოწლიური საპროცენტო განაკვეთი, 2018 წლის დამლევის მდგომარეობით, 8.3% იყო, ანუ საგარეო ვალების საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთთან (2.20%) შედარებით, თითქმის 3.8-ჯერ უფრო მაღალი. ამის გამოცაა, რომ 2018 წელს, მიუხედავად სამთავრობო ვალების მთლიან მოცულობაში შედარებით დაბალი წილისა (1/5-ზე ნაკლები), საშინაო ვალის მომსახურებაზე, მომსახურების მთლიანი თანხის თითქმის ნახევარი (47.0%) მოდიოდა. მთლიანობაში, საშინაო და საგარეო ვალის მომსახურებაზე მხოლოდ პროცენტის სახით, 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა 520 მლნ ლარზე მეტი გადაიხადა (275.8 მლნ ლარი – საგარეო და 244.3 მლნ ლარი – საშინაო ვალის პროცენტის სახით). 2012 წლის შემდეგ, საქართველომ მარტო საგარეო ვალის პროცენტის სახით უკვე გადაიხადა 500 მლნ აშშ დოლარზე მეტი და 2023 წლამდე გადასახდელი აქვს თითქმის კიდევ ერთი ამდენი (468.1 მლნ აშშ დოლარი).

ცხრილი 3 მკაფიო წარმოდგენას იძლევა ბოლო 4 და მომდევნო ოთხი წლის მანძილზე საგარეო ვალის მომსახურებაზე გაღებული ხარჯების მოცულობაზე.

**საქართველოს საგარეო ვალის მომსახურება 2016-2023 წლებში
(მლნ აშშ დოლარი)**

ცხრილი 3

	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	სულ 2016-2023 წწ.
სულ	222.9	275.6	388.7	459.6	417.0	874.8	441.9	472.6	3553.1
მათ შორის:									
ძირითადი თანხა	140.5	180.9	282.6	331.1	298.1	766.7	340.7	361.1	2701.7
პროცენტი	82.4	94.6	106.0	128.5	118.9	108.1	101.1	111.5	851.1

მთლიანობაში, 2016-2023 წლების მანძილზე, შიდა და გარე ვალების მომსახურებაზე, სახელმწიფოს მოუწევს დაახლოებით 17.5 მლრდ ლარის გაღება (ანუ 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელზე მეტი), მათ შორის მხოლოდ პროცენტის სახით – არანაკლებ 4.2 მლრდ ლარისა.

უახლოეს წლებში გათვალისწინებულია როგორც საგარეო, ასევე საშინაო ვალის ზრდა, საშინაო ვალის რამდენადმე უფრო სწრაფი ზრდის გამო. 2023

წლის საგარეო ვალის მოცულობა 2016 წელთან შედარებით გაიზარდა 56.9%-ით, ხოლო საშინაო ვალისა 103.3%-ით. შედეგად, სახელმწიფო ვალის მთლიან მოცულობაში საგარეო ვალის წილი, მართალია, შეინარჩუნებს წამყვან როლს, თუმცა მისი წილი რამდენადმე შემცირდება – 2016 წლის 79.1 %-იდან 2023 წლის 74.8% – მდე.

ზოგადად, საერთაშორისო სესხები – ეს არის „ქუჩა ორმხრივი მოძრაობით“. – სახელმწიფოები და მისი ბიზნესსუბიექტები ერთ შემთხვევაში გამოდიან როგორც კრედიტორები, მეორე შემთხვევაში კი როგორც სესხის ამღებები. ამიტომ, მართალია, საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო მასშტაბით ჯერჯერობით მხოლოდ „ხელი აქვს გაშვერილი“ და სხვა ქვეყნებისადმი კრედიტორის მუნდირი ჯერ არ მოუგია, მაგრამ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოებს, აგრეთვე, ქვეყნის კომერციული ბანკებსა და ბიზნესსტრუქტურებს 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, **სხვა ქვეყნების სუბიექტებზე გაცემული აქვთ დაახლოებით 7.4 მლრდ აშშ დოლარის სესხი**. შესაბამისად, **საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა** (სხვაობამ ალებულ და გაცემულ სესხებს შორის) 10.4 მლრდ. აშშ დოლარი (28.1 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მსპ-ის 64.4% -ია. აქედან, **სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი „მხოლოდ“ 3.9 მლრდ აშშ დოლარია (10.6 მლრდ ლარი) – ქვეყნის მსპ-ის 1/4-ზე ნაკლები (24.2%)**.

სახელმწიფოს მიერ ალებულ სესხებზე მსჯელობა არასრული იქნებოდა, თუ არ შევხებოდით მისი გამოყენების ეფექტიანობის საკითხს, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, კორელაციას ქვეყნის ეკონომიკის, ერთი მხრივ, და სახელმწიფო ვალების მატების, მეორე მხრივ, სიდიდეთა შორის.

რა თქმა უნდა, ქვეყნის მსპ-ს ზრდა დამოკიდებულია არამარტო სახელმწიფოს მიერ ალებული სესხების მოცულობაზე. ეკონომიკის ზრდაში უზარმაზარი წვლილი შეაქვს კერძო სექტორს. თვით სახელმწიფოს მიერ ალებული სესხები ნაკლებადაა კომერციული დატვირთვის და ის უფრო მეტად საზოგადოებრივი საქონლის, საერთო კეთილდღეობის და უსაფრთხოების საჭიროებისათვის გამოიყენება.


მიუხედავად ამისა, ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ მოგვეხინა 2000 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოს მსპ-სა და სახელმწიფო ვალების მატების მაჩვენებლების შედარება, რაზეც წარმოდგენას დიაგრამა 7 იძლევა:

ზემოხსენებული თანაფარდობის შემცირების ერთ-ერთ მიზეზად, ალებული სესხების ფუნქციონალური დანიშნულების სპეციფიკის გარდა, შეიძლება დასახელდეს **საქართველოს შიდა ფასების მსოფლიო ბაზრის ფასებთან დაახლოების პროცესი**, რის გამოც ალებული სესხების საინვესტიციო მულტიპლიკატორული ეფექტიანობის დონე ამჟამად თითქმის ორჯერ უფრო დაბალია, ვიდრე 2000-იანი წლების დასაწყისში.

სახელმწიფო ვალზე მსჯელობისას მხედველობაში მიიღება არამხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების – მთავრობის, არამედ ეროვნული ბანკის

საქართველოს მსპ-ის მატება სახელმწიფო ვალების ზრდის ყოველ ერთ ლარზე
2001-2019 წ.წ.

დიაგრამა 7



მიერ აღებული სესხებიც. ამასთან, ქვეყნის მთლიან ვალში სახელმწიფო ვალი არა თუ არაა ერთადერთი, არამედ მოცულობითაც აღარაა ძირითადი. – 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი 17.8 მლრდ აშშ დოლარია, რაც საქართველოს ბოლო ოთხი კვარტალის მაძილზე ქვეყანაში შექმნილი მსპ-ს 110%-ია. აქედან, უშუალოდ სახელმწიფო სექტორის წილად მოდის მთლიანი საგარეო ვალის მხოლოდ 41.9 % – 7.4 მლრდ აშშ დოლარი (20.0 მლრდ ლარი), რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 5.4 მლრდ აშშ დოლარი (14.4 მლრდ ლარი; მთლიანი ვალის 30.3 %), ეროვნული ბანკის ვალდებულებები – 376.4 მლნ აშშ დოლარი (1.0 მლრდ ლარი; მთელი ვალის 2.1 %), ხოლო სახელმწიფო კომპანიების სესხები -1696.5 მლნ დოლარი; მთელი ვალის 9.5%).


საგარეო სესხების დანარჩენი, ანუ დიდი ნაწილი (თითქმის 3/5) მოდის არასახელმწიფო სექტორზე – კომერციულ ბანკებზე, ბიზნესსა და კომპანიათაშორის სესხებზე. ანუ, ამ ვალის გასტუმრებაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია. – ისინი მთლიანად შესაბამისი კომერციული საბანკო თუ ბიზნესსტრუქტურების პასუხისმგებ-

ლობითაა აღებული. კონკრეტულად, კერძო საბანკო სექტორის საგარეო ვალი 4.2 მლრდ აშშ დოლარია, სხვა სექტორების საგარეო ვალი კი – 5.4 მლრდ აშშ დოლარი (14.7 მლრდ ლარი; მსპ-ს 33.6 %) და კომპანიათაშორისო ვალი – 2.4 მლრდ აშშ დოლარი (6.5 მლრდ. ლარი; მსპ-ს 14.9 %).

განსხვავებით სახელმწიფო ვალის მსპ-სთან თანაფარდობისა და სახელმწიფო ვალის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებისა, არ არსებობს კრიტიერიუმი, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის მთლიან საგარეო ვალებში სახელმწიფო ვალების ოპტიმალურობის დონეს. მეტ-ნაკლებად თანაბრად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგარეო ვალების სტრუქტურაში, სახელმწიფო ვალების წილი აბსოლუტურად გასხვავებულია. ზოგ ქვეყანას საკმაოდ სოლიდური საგარეო ვალი აქვთ, რომლის მოცულობა ჯერადად აღემატება შესაბამისი ქვეყნის მსპ-ს (მაგალითად, გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, იაპონია...), თუმცა იმის გამო, რომ ამგვარი ვალების დიდი ნაწილი ყალიბდება არასახელმწიფო ინსტიტუტების, კერძო ბიზნესისა და კომერციული ბანკების საგარეო ეკონომიკური აქტიურობის გამო, უშუალოდ სახელმწიფოს წილი საგარეო ვალების მთლიან მოცულობაში, საკმაოდ მოკრძალებულია. ყოველივე ამაზე მკაფიო წარმოდგენას დიაგრამა 8 იძლევა.

სახელმწიფო ვალების წილი ქვეყნის მთლიან საგარეო ვალში (%)

დიაგრამა 8



რა თქმა უნდა, ერთ სტატიაში ძნელია ვალების მთელი ანატომიისა და გენეალოგიის წარმოჩენა, მაგრამ ის, რომ მხოლოდ **სამთავრობო სექტორის ხაზით წლის განმავლობაში საქართველოს ვალების მომსახურებაზე (ძირითადი თანხის დაფარვასა და პროცენტის გადახდაზე) საბიუჯეტო შემოსუ-**

ლობებიდან მიემართება ყოველი მეხუთე ლარი, არ შეიძლება არ ინვესტირებული იყოს, არც თუ მდიდარი და შეძლებული საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას. თუ რამდენად რაციონალურად, მიზნობრივად იხარჯება, გამოიყენება სესხების მეშვეობით მობილიზებული სახსრები – ეს ნამდვილად წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს, მით უფრო, ზემოთ უკვე აღნიშნული 2008 წლის აპრილში აღებული 500-მილიონიანი დოლარის სესხის „ეფექტიანი“ გამოყენების მაგალითის გათვალისწინებით. ვფიქრობთ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანობის საკითხს სახელმწიფოს მიერ აღებული სესხების გამოყენების ნაწილში და შესაბამისი ინფორმაცია მიიწოდოს ხელისუფლებას არამარტო პოსტფაქტუმ, არამედ მიმდინარე ხარჯების განხორციელების პარალელურად.

დასკვნა

ამრიგად, საქართველო სრულად იყენებს თანამედროვე ფინანსური ურთიერთობების ისეთ ფორმას, როგორცაა სახელმწიფო შიდა და გარე წყაროებიდან სესხების მობილიზაცია, რომლის ზრდა ნიშნავს ქართული სახელმწიფოსადმი კრედიტორების გაზრდილ ნდობას და მზაობას – ხელი გაუმართონ ახალგაზრდა სახელმწიფოს მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის პროექტების დაფინანსებაში. მართალია, 2007 წლის შემდეგ, სახელმწიფო ვალის თანაფარდობა ქვეყნის მსპ-სთან განაგრძობს ზრდას, თუმცა კრიტიკულ, ზღვრულ დონეს (მსპ-ის 60%) ის ჯერაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ის გარემოება, რომ მიუხედავად აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდისა, სახელმწიფო ვალის მთლიანი მოცულობის ზრდის ტემპი აშკარად ჩამორჩება ეროვნულ ვალუტაში ნომინალური მსპ-ის ზრდის დინამიკას, მიუთითებს ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს ეკონომიკის ზრდის შინაგან პოტენციალზე. სახელმწიფო ვალის სიდიდით მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს ჩამორჩენა მონივნავს საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან ჯერადად მეტია, ვიდრე მათგანვე ჩამორჩენა ეკონომიკური განვითარების დონით (მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მსპ-ით). აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მთლიანი ვალებიდან სახელმწიფო ვალის წილი 2/5%-ს არ აღემატება, რაც ასევე მიანიშნებს საქართველოს ბიზნესსუბიექტების, საბანკო სექტორის ფართო ჩართულობას საერთაშორისო ურთიერთობებში და მათდამი არსებულ ნდობის საკმაოდ მაღალ რეიტინგს.

ამავე დროს, გაზრდილი სესხების მომსახურება მოითხოვს მიმდინარე საბიუჯეტო დანახარჯების საკმაოდ სოლიდურ ნაწილს, მაშინ როდესაც ეროვნული ვალუტის მერყევი კურსი და მისი დევალვაციისადმი „მიდრეკილება“, დამატებითი რისკფაქტორის მატარებელია აღებული სესხების გამო სახელმწიფო ვალის მომსახურების მასშტაბებისა და ტვირთის ფორმირებაში.

ლიტერატურა:

- არჩვაძე ი. (2019). მთავარია არა ვალის რაოდენობა, არამედ მისი ეფექტურად გამოყენება! (ვალები ჩვენი მღელვარებისა). „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 ივლისი.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები. www.mof.ge.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge.
- მსოფლიო ბანკის მონაცემები. <https://data.worldbank.org/indicator/FR.INR.RINR?locations=US>
- Ковзанадзе И. (2016) Уроки мирового экономического кризиса и формирование новой модели развития.
- Kovzanadze I. (2018). Global Economy Post-Crisis to Sustainable Development..
- Валовой национальный продукт (ВНП, ВВД) стран мира. <https://nonews.co/directory/lists/countries/gni>
- Внешний долг стран мира 2018.
- https://www.google.com/search?q=%D0%B2%D0%BD%D0%B5%D1%88%D0%BD%D0%B8%D0%B9+%D0%B4%D0%BE%D0%BB%D0%B3+%D1%81%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD+%D0%BC%D0%B8%D1%80%D0%B0+2018&sa=X&ved=2ahUKEwiLo_heHjAhWFmIsKHWjSCeUQ1QIoAHoECAoQAQ&biw=1047&bih=640
- World Economic Outlook Database. April 2019. www.imf.org.

References:

- Archvadze J. (2019) “Mtavaria ara valis raodenoba, aramed misi efeqturi gamoyeneba! (valebi chveni mghelvarebisa).”Saqartvelos Respublika”, 5 ivlisi [Important is not the Amount of Debt, but its Effective Use! (Debts for Our Thrill), newspaper ~Republic of Georgia”, 5 July] (In Georgian).
- Saqartvelos finasta saministros monacemebi (Data of Georgia Ministry of Finances). (In Georgian) www.mof.ge
- Saqartvelos statistikis erovnuli samsaxuris monacemebi (Data from the National Statistics Office of Georgia). (In Georgian) www.geostat.ge
- Msoplio bankis monacemebi (World Bank Data).(In Georgian).
- <https://data.worldbank.org/indicator/FR.INR.RINR?locations=US>
- Kovzanadze I. (2016). Uroki mirovogo ekonomicheskogo krizisa i formirovanie novoi modeli razvitiia. [The Lessons of the Global Economic Crisis and the Formation of a New Development Model. 2016] (In Russian).
- Kovzanadze I. (2018). Global Economy Post-Crisis to Sustainable Development.
- Valovoi nacionalnii product (VNP, VND) stran mira (In Russian).
- <https://nonews.co/directory/lists/countries/gni>
- Vneshnii dolg stran mira [External Debt of World Countries] (In Russian).
- https://www.google.com/search?q=%D0%B2%D0%BD%D0%B5%D1%88%D0%BD%D0%B8%D0%B9+%D0%B4%D0%BE%D0%BB%D0%B3+%D1%81%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD+%D0%BC%D0%B8%D1%80%D0%B0+2018&sa=X&ved=2ahUKEwiLo_heHjAhWFmIsKHWjSCeUQ1QIoAHoECAoQAQ&biw=1047&bih=640
- World Economic Outlook Database. April 2019. www.imf.org.

Government Debt as an Important Factor for the Economy Growth (On the example of Georgia after 2000-s)

Joseph Archvadze

Professor, Kutaisi University

josepharchvadze@yahoo.com

Loan and debt – are the most important economic categories of market economy. By means of a selected loan, the resources of the economy and its individual segments are reconciled, on a principle of equilibrium, there are transfer of excessive resources to those areas and segments of the economy where their deficits are observed. As a result, economic processes, growth dynamism and, ultimately, the well-being of the entire society will accelerate.

As a rule, borrowed money from the state debt creates additional financial resources, mainly covering the budget deficit, improving municipal and road infrastructure, energy sector development, etc. Private sector loans serve to expand relevant business activity. Overall, both forms of lending – public and private –if they are effectively used, have a positive impact on the country's economy, its individual sectors or regions, on macroeconomic growth and ultimately on the welfare of the population.

Despite the widespread assumption, **the growth of Georgia's economy over the past two decades exceeds the growth dynamics of public debt.** If the debt-to-GDP ratio was 66.7 percent in 2000, despite the fact, that currently Lari is devalued, and the large number of state debts (more than 4/5) present foreign debt, it doesn't exceed 45 percent.

This share of public debt is originally exogenous (foreign). The role of international financial institutions and leading states in the institutional reforms and economic development of our country is invaluable. At the same time, thanks to the growth of the Georgian economy and the development of the banking sector, it is possible to mobilize the country's internal resources in the form of *domestic debt*.

In general, financial and economic system of the modern world is built on the principles that **it is not important the size of the debt, but the ability to repay it.** Wealthy countries and their entities conduct their activities largely by credits.- Low interest rates on loans, a stable and predictable business environment, enables them to meet their current needs in the shortest possible time and with minimal losses. In developed market economy countries, in comparison with Georgia it is about 2.5 times lower (Georgia on average- 7.2%). But this principle also implies strict adherence to their repayment terms of the debts owed.

As countries differ in size, population and economic strength, they can only be compared against public debt by two criteria:

- A) The debt-to-GDP ratio of the country;
- B) The largest debt per capita population.

Georgia's public debt per capita at the end of 2018 reached to 5.0 thousand GEL and their volume increased by 5.4 times in the last two decades (2018 year% to 2000 = 543.7%).

Taken into the consideration that *the country's nominal GDP was growing faster than the state debts*, the latter's ratio to the country's economy decreased from 67.7 percent in 2000 to 45.1 percent in 2018, though Georgia has had periods in nearly two decades when the mentioned ratio was much lower (see Table below).

The ratio of public debt according to developed countries is much higher, for which, as a rule, the ratio of state debt to the country's annual economy is significantly higher. The ratio of state debts to GDP in the developed countries was four times more than the same index of the post-Soviet countries.

In year 2018 in comparison with the year 2000 Georgia's gross domestic product (GDP) increased by 6.8 times in GEL and by 5.6 times in US dollars. At the same time, state debt increased: by 4.5 times in GEL denominated and by 3.5 times denominated in US dollars (by 5.4 times and by 4.2 times per capita, respectively). Predominant growth of state debt per capita in comparison with the increase of total debt is driven by a sharp 17.7 percent decline of Georgian population over this period.

Of course, the economies of these countries are much larger and stronger than Georgia, but they are far ahead by debt burden per capita than by the produced GDP. Therefore, to determine **the real burden of the debt, its value is compared with the country's main macroeconomic indicator –to gross domestic product**. By this figure, Georgia is ranked 36th place out of 188 countries in the world (110% of GDP), „somewhere,, between Slovenia and Bhutan.

For mobilizing additional financial resources by help of foreign and domestic debts, Georgian government prefers **foreign debt**—because of the big amount they can get. The lenders for such loans are international financial institutions (IMF, World Bank, European Investment Bank, European Bank for Reconstruction and Development, Asian Development Bank, etc.) *or specific countries* (US, Germany, Japan, Kuwait, Turkey, Kazakhstan, Azerbaijan, etc.). According to the latest data, **73.7% of foreign loans come from international financial institutions, 17.0% from other countries and 9.2% from securities** (so-called Eurobonds).

The average contractual deadline of all external debt is 22.2 years, with an average preferential period (ie, the time when the debt is not covered) – 8.1 years, with the interest rate (2.20%) it is close to the inflation rate of developed countries. For example, inflation in the US from the past 18 years in the 21st century, it has been above 2.2% during the nine years.

The 5% of GDP is considered to be as the marginal indicator of public debt coverage (currently by the data 2019 it is around 2.2% in Georgia). By 2021, when the most „exotic,, foreign debt in the most recent history of Georgia must be covered—so called Eurobonds (500 million US dollars), the ratio of external debt coverage to state budget revenues will eventually double and reach 16.5% instead of 8.5% that was in year 2018.

The Government of Georgia has issued *6- and 12-month Treasury Bills, 2-, 5- and 10-year Treasury Bonds*. The annual average interest rate was 8.3% at the end of 2018, **which is almost 3.8 times higher than the average annual interest rate on external debt (2.20%)**. Because of this in 2018, despite the relatively low share (less than 1/5) in total government debts, almost half (47.0%) of total debt payment was made on domestic debt service.

Both foreign and domestic debt growth is projected to increase in the coming years due to the latter's faster growth (external debt volume will increase by 56.9% in 2023 in comparison with the year 2016, while domestic debt will increase by 103.3%. As a result the share of external debt in the whole state debt, will maintain a leading role, though its share will be somewhat reduced –from 79.1 percent of the year 2016 to 74.8 percent by the year 2023).

Keywords: Loan, government debt, debt service, interest, state budget.

JEL Codes: H60, H63, H68

სასურსათო დამოუკიდებლობა სახელმწიფოებრივი აუსცილბლობაა

პაატა კოლუაშვილი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი
paata_koguashvili@hotmail.com

ნიკო ჩიხლაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
chixi@mail.ru

*„ჩვენ მართო იმას უნდა ვეცადოთ, პური იმდენი მოვიყვანოთ,
რომ სასყიდელი არ გავვიხდეს, ჩვენ და ჩვენს შინაურ ბაზარს ეყოს“*

ილია ჭავჭავაძე

საქართველო ოდითგანვე ხორბლის მწარმოებელ და მოხმარებელ ერთ-ერთ სამაგალითო ქვეყნად იყო მიჩნეული. წარმოდგენილ სტატიაში ავტორები ასაბუთებენ, რომ მარცვლეულის, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სურსათის წარმოება პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული, რისთვისაც აუცილებელია სახნავი მიწების სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რაც საშუალება მოგვცემს საშუალოვადიან პერიოდში წარმოებული იქნას 1,0-1,1 მლნ ტ. მარცვლეული. ეს კი სრულიად საკმარისია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. საკუთრივ ხორბალი შეიძლება ვაწარმოოთ ჩვენი მოთხოვნილების 60-65%-ის ფარგლებში, რომლის 1 ტონის ღირებულება 25-30 აშშ დოლარით ნაკლები იქნება იმპორტირებულთან შედარებით. ამისათვის აუცილებელია არსებული აგრარული პოლიტიკის შეცვლა და მისი მსოფლიო გლობალურ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საკვანძო სიტყვები: ხორბალი, სახელმწიფო პროგრამა, სურსათი, ეფექტიანობა, იმპორტი.

შესავალი

მარცვლეულის მეურნეობის განვითარების პრობლემას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ნებისმიერი მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან მარცვლეული წარმოადგენს უალტერნატივო საფუძველს პურისა და პურპროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძის და რძის პროდუქტების, კვერცხისა და სხვა ძირითადი პროდუქტების წარმოებისთვის.

ქართველი ხალხი ხორბალს იცნობდა ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში და უკვე მოჰყავდათ ხორბლის რამდენიმე სახეობა („იფქლი“, „ასლი“, „დიკა“, „მანა“, „ზანდურიო“, „დოლი“, „ხულოგო“). ხორბლის ამგვარი დიფერენცირებული სახეობრივი სახელწოდება არცერთი ქვეყნის ხალხს არ გააჩნია, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ხორბლის კულტურულ სახეობათა ფორმირებაში ქართველმა ერმა უმნიშვნელოვანესი მონაწილეობა მიიღო. აკადემიკოს ნ. ვავილოვის აზრით, ხორბლის ფორმათა წარმოქმნაში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია (კოლუაშვილი, 2013, გვ. 38).

სადღეისოდ მსოფლიოში აღწერილი და რეგისტრირებულია ხორბლის ბოტანიკურ გვარში შემავალი 23 კულტურული და 4 ველური სახეობა. ამათგან, საქართველოში წარმოდგენილია 14 კულტურული სახეობა. გარდა ამისა, ქართული ხორბლის სახეობებისაგან მიღებულია კიდევ 4 კულტურული სახეობა, რაც, ერთად აღებული, შეადგენს ხორბლის გვარში შემავალ სახეობათა 65%-ს. ქართულ კულტურულ ხორბალთა შორის აღწერილია 150-ზე მეტი სახესხვაობა და ჯიშთა დიდი მრავალფეროვნება (160-მდე). მათ წარმოქმნას და ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო საქართველოს ბიოგეოკლიმატურმა მრავალფეროვნებამ, ქართველი კაცის გარჯამ, შემოქმედებითმა უნარმა და ხალხურმა სელექციამ. ქართველ ერს ხორბლის მოვლა-მოყვანის დიდი ისტორიული გამოცდილება გააჩნია (ნასყიდაშვილი, 1992, გვ.30).

სასურსათო პრობლემა და საქართველო მარცვლეულის წარმოების კონტექსტით

ახლო მომავალში სასურსათო პრობლემის გამწვავების მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, ავტორიტეტული ჟურნალი თუ სასურსათო პრობლემატიკასთან ახლომდგომი ცნობილი მეცნიერი და სპეციალისტი აფრთხილებდა მთელ მსოფლიოს. კერძოდ, ჯერ კიდევ XX საუკუნის ბოლოს გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროგნოზი იმის თაობაზე, რომ 2015-2020 წლებში პლანეტის მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე 50%-ით გაიზრდებოდა, რაც უმწვავეს სასურსათო კრიზისს განაპირობებდა.

ეს ოფიციალური განცხადება სერიოზული გამაფრთხილებელი სიგნალი უნდა გამხდარიყო სურსათის იმპორტიორი განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგან გლობალური სასურსათო კრიზისის ნეგატიური შედეგები, როგორც წესი, პირველ რიგში ასეთი კატეგორიის ქვეყნების ღარიბ მოსახლეობაზე აისახება.

მსოფლიოში ბოლო ორ ათწლეულში გამოიკვეთა მარცვლეულის წარმოების შემცირების და მასზე ფასების პერმანენტული ზრდის ტენდენცია. ამ უკანასკნელს კი ისიც განაპირობებს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა ბევრად უსწრებს მოსახლეობის ერთ სულზე მარცვლეულის წარმოების ზრდის ტემპს.

ბოლო 4 ათეული წლის განმავლობაში 1 ტონა ხორბლის საერთაშორისო ფასი 80,4 აშშ დოლარიდან 173,4 აშშ დოლარამდე გაიზარდა. მსოფლიოში იაფი საკვების ეპოქა დასრულდა.

ხორბლის მსოფლიო ფასი 1980-2019 წლებში (აშშ დოლარი)

ცხრილი 1

პერიოდი	ერთი ბუშელი	ერთი ტონა
1980, 15, XII	4.91	80,4
1990, 10, XII	2.66	97,7
2000, 4, XII	2.74	100,7
2010, 27, XII	7.94	291,7
2015, 21, XII	4.68	171,9
2016, 5, XII	4.16	152,8
2017, 18, XII	4.25	156,1
2018, 24, XII	5.12	188,1
2019, 13 VIII	4.72	173,4

წყარო: <https://www.macrotrends.net/2534/wheat-prices-historical-chart-data>

ამიტომ, რომ მარცვლი, როგორც სტრატეგიული საქონელი, ითვლება არამარტო თითოეული ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების მთავარ გარანტიად, არამედ მარცვლის იმპორტიორ ქვეყნებზე პოლიტიკური ზემოქმედების მძლავრ იარაღადაც (კოლუაშვილი 2004, გვ. 23). თუ ამას დავუმატებთ FAO-ს მიერ გაკეთებულ არაოპტიმისტურ პროგნოზს მარცვლეულის მოყვანა-მინოდებასთან დაკავშირებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარცვლის „სასურსათო და პოლიტიკური ფასიო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამ ორგანიზაციის მონაცემებით, ხორბლის მსოფლიო წარმოებამ 2018 წელს შეადგინა 736,1 მლნ ტონა, რაც 2,7%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. არასასურველი კლიმატური პირობები, განსაკუთრებით დსთ-ს ქვეყნებში, შემცირების ძირითადი მიზეზია, რაც ნაწილობრივ იქნება კომპენსირებული სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის წვლილის მცირე ზრდით. 2019 წელს ხორბლის მოსავალი რუსეთში 10 მლნ ტონით ნაკლები იყო, მოსავლიანობა კი – 2018 წლის 1,9 ტონიდან 1,5 ტონამდე შემცირდა. ხოლო ყაზახეთში იგივე მაჩვენებელი 0,7 ტონამდე დაეცა. ხორბალზე გაზრდილი მოთხოვნა მისი წარმოების შემცირების პირობებში, 2019 წლის ბოლოსათვის გამოიწვევს მსოფლიო მარაგების 3,3%-ით შემცირებას (FAO, 2018).

როგორც ცნობილია, მარცვლეულის მსოფლიო რეზერვების უდიდეს ნაწილს მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო ფლობს. ესენია აშშ, კანადა და ევროკავშირის ქვეყნები. ამ ქვეყნებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ, რომელზეც მსოფლიო მოსახლეობის 5% და მარცვლის მარაგების 47-50% მოდის. ეს იმ

დროს, როცა მსოფლიოში მარცვლეულის იმპორტს სხვადასხვა მოცულობით 120-მდე ქვეყანა აწარმოებს. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია სასურსათო კრიზისის წარმოშობის შემთხვევაში, მარცვლის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მდგომარეობაც. პირველი საყურადღებო სიმპტომები ამ მიმართულებით უკვე შეინიშნება. კერძოდ, დასავლეთის ქვეყნებში ბოლო პერიოდში ხდება აგრარული პოლიტიკის გადახედვა, რაც გამოიხატება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან ფერმერებისათვის განუვლი დახმარებების (სუბსიდიების) შემცირებაში, ხოლო მეორე მხრივ – იმ მკაცრი ღონისძიებების შესუსტებაში, რაც მიმართული იყო საგარეო კონკურენციისაგან შიგა ბაზრების დასაცავად. ეს პოლიტიკა უკვე სამართლებრივად აისახა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ე.წ. „ურუგვაის და დოჰას რაუნდების“ დოკუმენტებში.

ამ კონტექსტით ერთობ საინტერესოა FAO-ს და ევროკავშირის პოზიცია განვითარებადი ქვეყნების მიმართ სურსათის, მ.შ. ხორბლის იმპორტის თაობაზე. ნიშანდობლივია, რომ ხსენებული ავტორიტეტული ორგანიზაციების დამოკიდებულება ამ მიმართულებით მკვეთრად და კატეგორიულად უარყოფითია. ისინი აღიარებენ, რომ მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე დასავლეთის სახელმწიფოებში ფერმერთა სუბსიდირების სისტემა, მართალია, ეხმარება შედარებით ღარიბ იმპორტიორ ქვეყნებს იმპორტის გაიაფებაში, მაგრამ დაბალი ფასები სურსათზე, მათ შორის მარცვლეულზე, ბევრ განვითარებად ქვეყანას აიძულებს უგულვებელყოს საკუთარი წარმოება, რაც საბოლოო ანგარიშით, მსოფლიოში სურსათის წარმოების შემცირებას და მასზე ფასების გარდაუვალ ზრდას იწვევს.

შექმნილი სიტუაციის გამო ქვეყნები, რომელთაც შესაბამისი მიწის რესურსები გააჩნიათ, სურსათის თვითუზრუნველყოფის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, ძალისხმევას არ იშურებენ ადგილზე მარცვლეული მეურნეობის განვითარებისთვის, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მისი წარმოების შედარებითი თუ აბსოლუტური უპირატესობანი. ფაქტია, რომ მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულის მიწოდება აგროწარმოების „ბიოლოგიზაციის“ ტემპების დაჩქარების კვალობაზე კიდევ უფრო შემცირდება, რაც მასზე ფასების კიდევ უფრო ზრდას გამოიწვევს.

კარგადაა გასაცნობიერებელი, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება მოშიმშილეთა რიცხოვნობა და ამდენად, საჭიროა ადგილებზე მარცვლეულის წარმოების გადიდების ყველა რეზერვის ამოქმედება პრობლემის კიდევ უფრო გამძაფრების თავიდან აცილების მიზნით.

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უშიშროების ორი ძირითადი კრიტერიუმია აღიარებული და ორივე მათგანი მარცვლეულს უკავშირდება. ესენია – მარცვლეულის გადაუდებელი მარაგები და მარცვლის წარმოების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. პირველი ქმნის აუცილებელ გა-

რანტიასა და სიმყარეს საგანგებო სიტუაციების დროს, ხოლო მეორე აჩვენებს მარცვლეულის იმპორტზე ამა თუ იმ ქვეყნის დამოკიდებულების ხარისხსა და დონეს (ქვეყანაში პუპროდუქტების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმებიდან გამომდინარე).

ამასთან, საყოველთაოდ მიღებულია, რომ ხელუხლებელია მარცვლის მარაგის ის გარდამავალი მოცულობა, რაც მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით საკმარისია მოხმარების 55-60 კალენდარული დღის განმავლობაში, ანუ მოთხოვნილების 17-18%-ის ოდენობით (რა თქმა უნდა, მისასაღამებელია, თუ უფრო მეტი რაოდენობის მარაგი აქვს შექმნილი ქვეყანას).

საქართველოში მარცვლეულიდან როგორც ხორბალს, ასევე სიმინდს განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ იგი ოდითგანვე უპირველესად ხორბლის მწარმოებელ და მოხმარებელ ერთ-ერთ სამაგალითო ქვეყნად იყო მიჩნეული.

დამოუკიდებლობის მოპოვებას ე.წ. „საკავშირო ფონდებიდანო მარცვლის ცენტრალიზებული მონოდების პრაქტიკის გაუქმება მოჰყვა, რის გამოც საქართველოში მუშაობა ერთბაშად შეწყვიტა კომბინირებული საკვების მწარმოებელმა ქარხნებმა, ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანილმა მეფრინველეობის ფაბრიკებმა, მეხორცული და მერძეული მიმართულების სპეციალიზებულმა კომპლექსებმა და სხვ. შედეგად, კატასტროფულად შემცირდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რამაც სერიოზული გავლენა იქონია მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებაზე. კერძოდ, მკვეთრად შემცირდა ამ პროდუქტების სულადობრივი მოხმარების დონე, გაუარესდა კვების რაციონის სტრუქტურა და სხვ.

სამწუხაროდ, საქართველომ, როგორც მწარმოებელმა ქვეყანამ, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ეს პოზიციები მკვეთრად დათმო. ასე, მაგალითად, 1950 წლისთვის საქართველო აწარმოებდა 786 ათას ტონა მარცვლეულს, ანუ მოსახლეობის 1 სულზე 223 კგ-ს, (მოსახლეობის რიცხოვნობა ამ პერიოდში 3.5 მლნ-ს შეადგენდა). 1980 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 5 მლნ-ს გადასცდა და მოსახლეობის 1 სულზე მარცვლის წარმოებამ 121 კგ, შეადგინა (მომდევნო ათწლეუდი სურათი პრაქტიკულად არ შეცვლილა. 1990 წლისთვის საქართველოს მოსახლეობამ შეადგინა 5.4 მლნ. და მოსახლეობის 1 სულზე კვლავ 121 კგ მარცვლეული იქნა წარმოებული). 2000-2003 წლებში მარცვლის წარმოება, მართალია, გაიზარდა 150-155 კგ-მდე მოსახლეობის 1 სულზე, მაგრამ ის მხოლოდ მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ხარჯზე მოდის – ამ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობა 1 მლნ-ით შემცირდა (მარცვლეულის სტრუქტურაში სიმინდს პირველი ადგილი, ხოლო ხორბალს მეორე ადგილი უკავია. მათზე მოდის მთლიანი მარცვლეულის საშუალოდ 90%, ხოლო დანარჩენზე – ქერი, შვრია და ა.შ 10%.

მარცვლეულის წარმოება საქართველოში 2010-2018 წლებში

ცხრილი 2

წელი	2010 წ.	2015 წ.	2018 წ.
მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა, ათასი კაცი	3786.7	3725.3	3726.5
მარცვლეულის (ხორბალი, ქერი, შვრია, სიმინდი) წარმოება, ათასი ტონა	214.8	356.2	363.7
მათ შორის:			
ხორბალი	48.4	125.6	107.1
სიმინდი	141.1	184.6	194.2
წილი მარცვლეულის მთლიან წარმოებაში, %			
– ხორბლის	22,5	35,3	29,4
– სიმინდის	65,7	51,8	53,4
მარცვლეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე, კგ	56,7	95,6	97,6
მათ შორის:			
ხორბალი	12,8	33,7	28,7
სიმინდი	37,3	49,6	52,1
თვითუზრუნველყოფის დონე, %:			
– ხორბლით	6	17	15
– სიმინდით	96	77	71

წყარო: შედგენილია ავტორთა მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით

ამდენად, რეალურად უკიდურესად რთული მდგომარეობა შეიქმნა: მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, 2018 წელს ხორბლის წარმოებით 7,8-ჯერ ჩამორჩება 1950 წლის მაჩვენებელს, 4,2-ჯერ – 1980 წლის მაჩვენებელს და 5,4 ჯერ – 2003 წლის მაჩვენებელს (იხ. ცხრილი 2)

მარცვლეულის წარმოების გადიდების შესაძლებლობები

ზემოთ აღნიშნული ტენდენციებისა და მონაცემების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველო, როგორც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, პოტენციურად დგას სასურსათო საფრთხის წინაშე. უდავოა, რომ ხორბლის წარმოებისა და მოხმარების ბალანსში არსებობს მწვავე დეფიციტი. რის გამოც მასზე გადახდისუნარიანი მოთხოვნა იმპორტის ხარჯზე უნდა შეივსოს, ე.ი. საფრთხე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით აშკარაა. ასეთ ვითარებაში საქართველო ობიექტურად ხდება დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყანაზე, რომელიც განახორციელებს იმპორტს, ან ჰუმანიტარულ დახმარებას რაღაც სარგებლის ხარჯზე.

დადგენილია, რომ ქვეყანას ყოველწლიურად სჭირდება 1500-1700 ათასი ტონა მარცვლეული, საიდანაც უშუალოდ სასურსათო დანიშნულების უნდა იყოს 780 ათასი ტონა. პურსა და პურპროდუქტებზე გადაანგარიშებით, ეს მოცულობა 680-690 ათასი ტონას შეადგენს, რომლისთვისაც საჭიროა 525-530 ათასი ტონა ფქვილი. აქედან ადგილზე წარმოებული ხორბლიდან შესაძლოა მიღებული იქნეს 120-140 ათასი ტონა ფქვილი (140-150 ათ. ტონა საშუალოდ, სასაქონლო ხორბლის წარმოებიდან გამომდინარე). დანარჩენი ოდენობა კი იმპორტით უნდა იქნეს შევსებული (იხ. ცხრილი 3).

მარცვლეულის იმპორტი საქართველოში 2008-2018 წლებში (მლნ აშშ დოლარი)
ცხრილი 3

წელი	მარცვლეული – სულ	მათ შორის ხორბალი	ხორბლის წილი მარცვლეულის იმპორტში, %
2008	113,3613	108,8517	96,0
2009	113,4271	105,0602	92,6
2010	179,0637	174,0547	97,2
2011	196,5481	184,2322	93,7
2012	249,6049	239,9502	96,1
2013	203,5139	184,836	90,8
2014	167,0969	151,7578	90,8
2015	134,5381	119,3524	88,7
2016	100,0621	86,0615	86,0
2017	114,5025	98,175	85,7
2018	132,8005	114,9037	86,5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.geostat.ge

ამკარაა, რომ მარცვლეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე სისტემატურად მცირდება, მაშინ როცა პურსა და პურპროდუქტებზე მოხმარება ქვეყანაში ფიზიოლოგიურ ნორმას მნიშვნელოვნად აჭარბებს (ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 350 გრამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად მიიხმარს 420-450 გრამს, რაც სხვა პროდუქტებზე ხელმიუწვდომლობით უნდა აიხსნას).

მოსახლეობის ამა თუ იმ ფენის შველა საკვების გაძვირების პირობებში უნდა ემყარებოდეს არა მისთვის საკვების სუბსიდირებას (ანუ საკვების ხელოვნურ გაიაფებას), არამედ მისი შემოსავლის ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის შემოსავლის გაზრდა ყოველთვის ვერ გაუხსნორდება საკვების ფასის ზრდას, ეს მოსახლეობის სხვადასხვა ფენას სხვადასხვაგვარად ეხება. ყველაზე მძიმე პერსპექტივა ამ მხრივ აქვს ლარიბი ქვეყნების ლარიბ მოსახლეობას (საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 20,1%-ია, ხოლო ჯინის კოეფიციენტი 0,37). (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019). ყველა ქვეყნისთვის ხსენებული პროცესის

შედეგი დამოკიდებული იქნება ერთზე – მთავრობის პოლიტიკის ხარისხზე. წააგებს ყველაზე მეტად ის, ვისაც აგროსასურსათო პოლიტიკა ყველაზე ცუდად ორგანიზებული ექნება.

მეცნიერებისა და სპეციალისტების გათვლებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ტრანსფორმაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყანაში მარცვლის ნათესი ფართობი გაიზარდოს 150 ათასი ჰა-თი, ანუ 350 ათას ჰა-მდე. სახნავი მიწების ასეთი სტრუქტურული ტრანსფორმაცია საშუალება იძლევა საქართველოში საშუალოვადიან პერიოდში წარმოებული იქნეს 1,0-1,1 მლნ ტ. მარცვლეული, რაც სრულიად საკმარისია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის (საკმარისობის კოეფიციენტის მიხედვით). საკუთრივ ხორბალი შეიძლება ვანარმოთ ჩვენი მოთხოვნილების 60-65%-ის ფარგლებში.

ი. ლომოურის მინათმოქმედების ს/კ ინსტიტუტისა და საწარმო გაერთიანების «ლომთაგორასო ტექნოლოგიურ რუკებზე დაყრდნობით შესრულებულმა გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში წარმოებული 1 ტონა ხორბლის ღირებულება 25-30 აშშ დოლარით ნაკლები იქნება იმპორტირებულთან შედარებით.

ჩვენი ქვეყნის მცირემნიშვნობის გათვალისწინებით, მომავალში აქცენტი აღებული უნდა იქნეს ძირითადად მარცვლის მოსავლის გადიდების ინტენსიურ ფაქტორებზე. ხორბლისა და სიმინდის ინტენსიური (მაღალმოსავლიანი) ჯიშების დანერგვა საშუალებას მოგვცემს პერსპექტივაში მივიღოთ ჰა-ზე საშუალოდ 4 ტონა ხორბალი და 8 ტონა სიმინდი.

საქართველს სერიოზული რეზერვები გააჩნია მელიორირებული მიწების ფართობების გადიდების, არსებული სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქციის, მათი ტექნიკური მოდერნიზაციის და წყალუზრუნველყოფის ამაღლების ხარჯზე. მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი მარცვლეული მეურნეობის, როგორც დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიმართულებით, ნიადაგების დაცვის, აგროქიმიური მომსახურების და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების კუთხით. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში არსებული დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების გაკულტურების და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის ღონისძიებები (მათი საერთო ფართობი 210 ათას ჰა-ს აღემატება). მოსავლიანობის ზრდას უნდა დაექვემდებაროს მარცვლეულის ელიტური თესლის წარმოების, მინდვრად სწორი თესლბრუნვების და პროგრესული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის და საერთოდ -სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონის ამაღლება.

ზემოაღნიშნული რეზერვების ამოქმედება და მარცვლეულის წარმოების არსებითი გადიდება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მოხდება მისი წარმოების მატერიალურ-ეკონომიკური სტიმულირების ყველა არსებული ბერკეტის და საშუალების გამოყენება, რაშიც სახელმწიფომ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

მარცვლის წარმოების სტიმულირება მრავალი მიმართულებით შეიძლება გაიშალოს. კერძოდ, მარცვლეული ნათესის გათავისუფლება გადასახადისაგან. შესაძლოა გამოყენებულ იქნეს აგრეთვე წარმოებული მარცვლის სახელმწიფო გარანტირებული შესყიდვის, შეღავათიანი საკრედიტო, სადაზღვევო სისტემები, პირდაპირი სუბსიდიები (ეს არ იქნება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებების დარღვევა, რადგან, ამ ორგანიზაციის წესდების თანახმად, ქვეყანას შეუძლია საექსპორტო შემოსავლების 5%-ი წარმართოს მნიშვნელოვანი დარგების სუბსიდირებაზე) და სხვა.

მარცვლეული მეურნეობის განვითარებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი სამომხმარებლო ბაზრის დაცვის პრობლემაა. სამომხმარებლო ბაზარზე, არცთუ იშვიათად, სხვადასხვა ქვეყნიდან შემოდის კარგად გაფორმებული – შეფუთვის თვალსაზრისით, მაგრამ საკმაოდ უხარისხო, იაფი პროდუქცია, რომელიც გათვლილია ჩვენი დაბალი გადახდისუნარიანი მოსახლეობისათვის. ამ წესით ბაზარზე მოხვედრილი პროდუქცია ქვეყნისათვის მრავალმხრივი ზარალის მომტანია. პირველ რიგში, ის ზიანის მომტანია მისი უშუალო მომხმარებლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, ხოლო შემდგომ კი – ზოგადად ქვეყნის ბიუჯეტისთვის. მხედველობაში გვაქვს არა იმდენად პირდაპირი დანაკარგები (გადასახადის დამალვა და ა.შ.), არამედ დანაკარგები, რომელიც მიიღება ადგილობრივი მენარმეებისთვის არაკეთილსაიმედო სამენარმეო გარემოს შექმნით.

უდავო ფაქტია, რომ ჩვენი მარცვლეულის მწარმოებლები ყოველწლიურად დგებიან წარმოებული მარცვლეულის რეალიზაციის პრობლემის წინაშე. ბაზარზე იაფი და უხარისხო პროდუქციის არსებობა, მათ არც თუ იშვიათად, აიძულებს მარცვლეული გაყიდონ ძალიან დაბალი ფასით, განიცადონ მნიშვნელოვანი ზარალი და შემდგომში კი საერთოდ ხელი აიღონ ამ საქმიანობაზე. ამ ვითარებაში იზრდება დაუმუშავებელი ფართობების რაოდენობა და უმუშევართა რიცხოვნობა, ქვეყნიდან გადინებული ვალუტის მოცულობა და მარცვლეულის იმპორტზე ქვეყნის დამოკიდებულების ხარისხი, მისგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგებით.

საქართველოში მოქმედებს 180-მდე მარცვლის გადამმუშავებელი წვრილი და მსხვილი საწარმოო სიმძლავრის მქონე ქარხანა, რომელთა ჯამური საწარმოო დღეღამური სიმძლავრე 6500 ტონას შეადგენს. აქედან 16 მსხვილ საწარმოს საერთო სიმძლავრე 3500 ტონას აღემატება დღეღამეში. დღეს ეს სიმძლავრეები მხოლოდ მინიმალურად – 10-15%-ით არის გამოყენებული, რაც თავის მხრივ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს წარმოშობს.

პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში არსებული აგრარული პოლიტიკის შეცვლა და მისი მსოფლიო გლობალურ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა უნდა იქნეს მიჩნეული. საქმე ეხება ეროვნული ეკონომიკის სფეროს, რომელიც მწვავე კრიზისშია და საქონელმწარმოებელს, რომელსაც არავითარი სტიმული არ გააჩნია მუშაობისათვის, არადა, ის ქმნის ადამიანთა საარსებო საკვებ პროდუქტებს და სწორედ მის მიერ შექმნილი პროდუქციის დეფიციტის გამო არის კრიზისი.

პროგნოზი

ეკონომიკური გათვლების შედეგად გამოვლინდა, რომ 2025 წლისათვის ხორბლის ფართობის ოპტიმალურ ზღვრად მიჩნეულია: 114,0 ათასი ჰა, მოსავლის – 421,8 ათასი ტონა, სამარცვლე 120,0 ათასი ჰა და საფურაჟე 50,0 ათასი ჰა. სიმინდის სულ – 170,0 ათასი ჰა და 714,0 ათასი ტონა,* ქერის – 50,0 ათასი ჰა და 160,0 ათასი ტონა, შვრიის – 20,0 ათასი ჰა და 50,0 ათასი ტონა (იხ. ცხრილი 4 და 5). მიწის კონსოლიდაციის განხორციელების შემთხვევაში, ხორბლის ნათესი ფართობი შეიძლება გაიზარდოს 150,0 ათას ჰა-მდე.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი (ათასი ჰა) (ოპტიმიზებული, 2025 წ.)

ცხრილი 4

ს/ს კულტურები	საქართველო	მათ შორის რეგიონები									
		აჭარა	იმერეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი
სულ ნათესი	625	9,2	80,6	70,7	19,1	7,0	62,6	35,8	155,0	121,6	63,4
ხორბალი	114	–	0,7	–	–	–	26,3	5,3	52,2	23,0	6,5
სიმინდი და სამარცვლე საფურაჟე	170	4,0	53,3	51,8	11,2	3,5	4,7	6,5	16,8	15,4	2,8
ლობიო	13	0,12	0,5	0,3	0,06	0,02	3,8	3,8	2,8	1,0	0,6
მზესუმზირა	15	–	–	–	–	–	0,08	0,8	13,2	0,82	0.1

ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ხელსაყრელი ბიოგეოკლიმატური პირობები მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის, მისი მოყვანის უნარჩვევები და ტრადიციები, მარცვლეულის გადამამუშავებელი საწარმოო სიმძლავრეები და წარმოებული პროდუქციის გასაღების ადგილობრივი ბაზარი, არ უნდა იყოს აბსოლუტურად დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებიდან მარცვლეულის იმპორტზე.

* მეცხოველეობაში საკვებად ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში აპრობირებული მალაღმოსავლიანი კულტურა ტრიტიკალე

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოცულობა (ათასი ტონა)
(ოპტიმიზებული, 2025 წ.)

ცხრილი 5

ს/ს კულტურები	საქართველო	მათ შორის რეგიონები									
		აჭარა	იმერეთი	სამეგრელო-ზე-სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი
ხორბალი	421,8	–	2,6	–	–	–	97,3	19,6	193,1	85,1	24,1
ქერი	160,0	–	0,2	–	–	–	26,4	5,2	23,0	32,2	73,0
შვრია	50,0	–	–	–	–	–	3,0	4,8	24,8	13,2	4,2
სიმინდი და სამარცვლე საფურაჟე	714,0	16,8	223,8	217,6	47	14,7	19,7	27,3	70,6	64,7	11,8
ლობიო	14,05	0,3	0,9	0,5	0,2	0,05	2,0	2,6	4,7	1,7	1,1
ჭვავი	5,4	–	–	–	–	–	–	–	–	3,0	2,4
მზესუმზირა	22,0	–	–	–	–	–	0,1	1,2	19,4	1,2	0,1
სოიო	12,0	–	3,8	7,7	0,1	–	0,4	–	–	–	–

დასკვნა

პრობლემის კიდევ უფრო გამძაფრების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა ქვეყნის შიგნით მარცვლეულის წარმოების გადიდების ყველა რეზერვის ამოქმედება, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში მისაღებია ფინანსურად, ტექნიკურ-ტექნოლოგიურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფილი მარცვლეულის მწარმოებელთა მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა – „მარცვალი“, რომელშიც ასევე გათვალისწინებული იქნება ელიტური თესლის წარმოების ორგანიზაციული ღონისძიებები.

ჩვენი აზრით, მარცვლეულის, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სურსათის წარმოება, პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული როგორც საშუალო, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში (ისევე როგორც საკუთარი თესლეულის, ნერგის, ჯიშიანი პირუტყვისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის კვლავწარმოების სხვა საშუალების წარმოება). აღნიშნულს მოითხოვს მსოფლიო სურსათის წარმოებაში შექმნილი ობიექტური რეალობა, საქართველოს საერთო ეკონომიკური ინტერესები და სურსათით უზრუნველყოფის ამოცანა.

დასახული ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში არსებული აგრარული პოლიტიკის შეცვლა და მისი მსოფლიო გლობალურ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა უნდა იქ-

ნეს მიჩნეული. საქმე ეხება ეროვნული ეკონომიკის სფეროს, რომელიც მწვავე კრიზისშია და საქონელმწარმოებელს, რომელსაც არავითარი სტიმული არ გააჩნია მუშაობისათვის, არადა, ის ქმნის ადამიანთა საარსებო საკვებ პროდუქტებს და სწორედ მის მიერ შექმნილი პროდუქციის დეფიციტის გამო არის კრიზისი. ამასთან, მისაღებია კანონები – „საქართველოს სასურსათო უშიშროების შესახებ“, „მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის დაცვისა და მდგრადი განვითარების შესახებ“, და სხვა, რომლებიც უნდა გახდეს გარკვეული ორიენტირები აგრონარმოების აღორძინებისა და სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. პრობლემის დაძლევა ხელისუფლების მხოლოდ დიდი ძალისხმევითა და პოლიტიკური ნებითაა შესაძლებელი. თქმულიდან გასაგები ხდება, რომ:

- სასურსათო უშიშროება ქვეყნისა და სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ამოცანაა;

- მთავრობის კომპეტენტურობა და აგროსასურსათო პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი და მიმართულება გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან გადარჩენისთვის.

დაუშვებელია ასეთი პოტენციალის მქონე ქვეყანა – საქართველო ხელგანვდილ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, როცა ხორბლის წარმოების გაზრდის ყოველგვარი საშუალება არსებობს. ეს კი აუცილებელია არსებული რეალობის და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

- კოლუაშვილი პ. (2004). საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბ., „კოლორი“.
- კოლუაშვილი პ. (2013). ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალთ. თბ., „მერიდიანი“.
- ნასყიდაშვილი პ. (1992). საქართველოს ხორბლის გენეტიკური და სელექციური ღირებულება. შ.: „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრომაცნე“. №1.
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019). <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>
- ქეშელაშვილი ო., კოლუაშვილი პ. (2017) საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზი. თბ., „საარი“.
- FAO (2018) Продовольственный прогноз, июль. <http://www.fao.org/3/CA0910RU/ca0910ru.pdf>

References:

- Koguashvili P. (2004). Saqartvelos sasursato ushishroeba: realoba da prognozebi. Tbilisi, “Kolori” [Georgia’s Food Security: Realities and Forecasts. Tb., “Colori”] (in Georgian).
- Koguashvili P. (2013). Ilia Chavchavadze meurnis tvalit. Tb., “Meridiani” [Ilia Chavchavadze’s Farmer Vision. Tb., “Color”] (in Georgian).

- Naskidashvili P. (1992). Saqartvelos xorblis genetikuri da seleqciuri girebuleba. Journ. “saqartvelos soplis meurneobis mecnierebata akademiis agromacne”, N1. [Genetic and Breeding Value of Georgian Wheat. Journ. „Agro-Messenger of the Georgian Academy of Agricultural Sciences,, N1.] (in Georgian).
- National Statistics Office (2019).
- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>
- Keshelashvili O., Koguashvili P. (2017). Saqartvelos soplis meurneobis ganvitarebis prognozi. Tb., “Saari”. [Agricultural Development’s Forecast of Georgia. Tb., “Saari”] (in Georgian).
- FAO (2018). Prodovolstvennyi prognoz (in Russian)
- <http://www.fao.org/3/CA0910RU/ca0910ru.pdf>

Food Independence is a State Necessity

Paata Koguashvili

Professor, Georgian Technical University

paata_koguashvili@hotmail.com

Niko Chikhladze

Professor, Akaki Tsereteli State University

chixi@mail.ru

Georgia has long been regarded as one of the exemplary countries in the production and consumption of wheat. To date, in the world there are listed and registered 23 cultural and 4 wild species in the wheat botanical genus. Of these, 14 cultural species of them are presented in Georgia.

In the world there has been observed a steady decline in grain production and prices over the past two decades: the international price of 1 ton of wheat has increased from \$80.4 to \$173.4 in the last four decades. The era of cheap food in the world is over. Therefore, grain as a strategic commodity is not only a key guarantee of economic independence for each country, but also a powerful tool for political influence on grain importing countries.

Due to the current situation, countries with relevant land resources, based on the generally recognized principles of food self-sufficiency, make every effort to develop grain farming on the ground, regardless of whether they have a comparative or an absolute advantage.

Georgia, as a grain-producing country, sharply lost ground in the last 50 years: according to per capita estimates, the indicators in 2018 for wheat production are 7.8 times lower than the indicators of 1950. Its production capacity is only 107.1 thousand tons.

The country needs 1500-1700 thousand tons of grain annually, of which 780 thousand tons should be used for food. According to the bread and bakery products, this volume is 680-690 thousand tons, for which 525-530 thousand tons of flour is required. From this, 120-140 thousand tons of flour can be obtained from locally produced wheat (140-150 thousand

tons on average, depending on commodity wheat production). The rest should be provided by import.

According to scientists and specialists, the transformation of agricultural land allows to increase the crop area in Georgia by 150 thousand hectares, or to 350 thousand hectares. Such a structural transformation of arable land allows for the production of 1.0-1.1 million tons of grain in the medium term which is sufficient for the country's food supply (according to the sufficiency ratio). Own wheat can be produced within 60-65% of the country's demand.

Calculations based on technological maps of I. Lomouri Agricultural Research Institute and Enterprise Association "Lomtagora" show that the cost of 1 ton of wheat produced in Georgia will be \$ 25-30 less than imported.

Economic calculations showed that by 2025, the optimal area for wheat is as follows: 114.0 thousand ha, crop – 421.8 thousand tons, cropland (120.0 thousand ha) and forage land (50.0 thousand ha), maize – 170,0 thousand ha and 714.0 thousand tons, barley – 50.0 thousand ha and 160.0 thousand tons, oats – 20.0 thousand ha and 50.0 thousand tons. In case of land consolidation, the crop area of wheat may be increased to 150.0 thousand ha.

To avoid further exacerbation of the problem, it is necessary to activate all reserves for increasing the production of grains domestically; for this reason, first of all, Georgia should adopt a program – "Grain" for supporting grain producers financially, technically, technologically and organizationally, which will also include organizational measures for elite seed production.

In our opinion, the production of grain as a strategic food must be considered as prioritized in the medium and long term (as well as the reproduction of its own seeds, saplings, varieties of livestock and agricultural products). This is required by an objective reality created in world food production, Georgia's overall economic interests, and the task of ensuring food security.

One of the key directions in solving this problem is to change the country's agricultural policy and bring it into line with global challenges. It is about the national economy, which is in a severe crisis, and the commodity producer, who has no incentive for labor; this is when he is creating human livelihoods and the crisis is due to a shortage of products. However, the laws on "Food Security of Georgia", „On the Protection and Sustainable Development of Multipurpose Agriculture,, etc. are to be adopted. They should become some focus in revitalizing agribusiness and resolving food problems. Only the government can overcome the problem. From all the above it is clear that:

- Ensuring food security is the top priority task for the state;
- The competence of the government and the degree and direction of its involvement in the agri-food process are crucial factors in saving the country from starvation;

It is inadmissible that a country with such potential for increasing wheat production is in a vulnerable position. It is necessary to overcome this situation, taking into account the current reality and the geopolitical situation.

Keywords: Wheat, state program, food, efficiency, import.

JEL Codes: Q10, Q13, Q14, Q18

ციფრული ეკონომიკა: მენეჯერებისა და პოლიტიკის გამოწვევები

ეკა ლეკაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
eka.lekashvili@tsu.ge

ნაშრომი წარმოადგენს ციფრული ეკონომიკის პრობლემატიკაზე არსებული თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფიული კვლევას. გაანალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის შედეგების სისტემატიზაცია გვიჩვენებს იმ მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების სიმრავლეს, რომელთა არსებობა და წარმოშობა უფრო მეტ ნიგნიერ მზაობას მოითხოვს თანამედროვე მოქალაქისა და ხელისუფლებისგან. ნეგატიური ეფექტები დაკავშირებულია რიგ გაურკვევლობასთან, რაც გაართულებს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების შერჩევას და გატარებას.

ამასთან, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ციფრული ეკონომიკის გამოწვევების ეფექტიანი მართვის ინსტრუმენტების მოსაძიებლად, მნიშვნელოვანია ახალი ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრება. საჭიროა კვლევების დივერსიფიკაცია როგორც ახალი ეკონომიკური მოდელის შესწავლის, ასევე მოდელის შიგნით ცალკეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოკვლევის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ინდუსტრია 4.0, ეკონომიკური პოლიტიკა.

შესავალი

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ მსოფლიოში, სადაც, ერთი მხრივ, დაჩქარებულია ახალი ტექნოლოგიების შემუშავების ტემპი, მაგრამ მეორე მხრივ – იზრდება სოციალურ-ეკონომიკური უთანანორობა არამარტო განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, არამედ ცალკეული ქვეყნის შიგნით საზოგადოებაში. ურიცხვი გაურკვევლობის ფონზე პრობლემების ეფექტიანად დაძლევა საჭიროებს ხელისუფლების, მეცნიერების და ბიზნესის სფეროს წარმომადგენელთა კოორდინირებულ მიდგომას ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების გადწყვეტისას.

მდგომარეობა გაართულა 2008 წლის გლობალურმა საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა, რის შედეგადაც მსოფლიო ეკონომიკა განსაკუთრებული სტრესის ქვეშ მოექცა. ადამიანები იმედოვნებდნენ, რომ მეოთხე სამრეწველო რევოლუცია და ციფრული ეკონომიკა ეფექტიანი პასუხი იქნებოდა განვითარებად

რებული ქვეყნების „დაავადებული“ ეკონომიკის ზრდისთვის. სამრეწველო რევოლუცია 4.0 და ციფრული ეკონომიკა ქმნის განსაკუთრებით რთულ სოციალურ-ეკონომიკურ კონფიგურაციას. ინდუსტრია 4.0 შედეგების და პერსპექტივის შეფასება უდიდეს მნიშვნელობას იძენს განსაკუთრებით მაშინ, როცა გლობალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ასეთი სტრესულია.

საკვლევი პრობლემის შესწავლის დონე და აქტუალურობა

რა უნდა გაითვალისწინონ ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებმა ეკონომიკური სტრატეგიების ფორმირებისას, რომ შეძლონ ციფრული რევოლუციის გამონვევების დაძლევა და მისი პროგრესული შედეგებით სარგებლობა და რა საფრთხეების წინაშე გვაყენებს ტექნოლოგიური განვითარება, რომლის გათვალისწინებითაც ეკონომიკურ პოლიტიკაში შესაძლებელი გახდება ინდუსტრია 4.0-ის ნეგატიური შედეგების ზეგავლენის შესუსტება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, მიზნად დავისახეთ ჩაგვეტარებინა ბიბლიოგრაფიული კვლევა თანამედროვე მონინავე სამეცნიერო ნაშრომების შესწავლის საფუძველზე და ინდუქციისა და დედუქციის მეთოდების გამოყენებით მოგვეხდინა ციფრული ეკონომიკის განვითარების მოლოდინების და გამონვევების სისტემატიზაცია. კვლევის შედეგები დაგვეხმარება ეკონომიკური პოლიტიკის სამომავლო კონცეფციის განჭვრეტაში. კვლევის პროცესში შევარჩიეთ უახლესი და მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ნაშრომები, ინდუქციის მეთოდის გამოყენებით მოვახდინეთ კვლევის შედეგების იდენტიფიკაცია და ბოლოს, დასკვნით ეტაპზე, განავახორციელეთ შერჩეული გაანალიზებული კვლევების შედეგების დაჯგუფება – სისტემატიზაცია.

კვლევის პროცესში შევისწავლეთ კოვაკსის (2018), ნგუნის და სხვები (2019), ბოსლერისა და ჰოლტის (2012), რემეიკენეს, გასპარენიერეს და შნიდერის (2018), უკოლოვის და სხვების (2018), ბაურის, ჰონგის და ლის (2017) და სხვათა შრომები, რომლებშიც წარმოდგენილია ციფრული ეკონომიკის განვითარების ერთმანეთისგან განსხვავებული სუბიექტური შეფასებები ისეთ პრობლემათიკაზე, როგორცაა ციფრული ეკონომიკა ეკონომიკურ ზრდასთან, ეკონომიკურ თეორიულ მოდელთან, მწარმოებლურობასთან, ჩრდილოვან ეკონომიკასთან, სხვადასხვა ინსტიტუციურ მექანიზმთან მიმართებით.

ციფრული ეკონომიკა – ვირტუალური სივრცის შესაძლებლობები

ციფრული ეკონომიკა ეკონომიკის მაღალტექნოლოგიურად აღჭურვილი ნაწილია, რომელიც თანხვედრაშია კვლავწარმოების პროცესში მიმდინარე ცვლილებებთან. ის იყენებს ვირტუალური სივრცის შესაძლებლობებს, როგორცაა ინტერნეტი, კომპიუტერები, ინფორმაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელოვნული ინტელექტი.

გაციფრულება არის მეთოდი, რომელიც ეკონომიკის ვირტუალურ სექტორს რეალურ სექტორთან აკავშირებს. ციფრული პლატფორმა ციფრული რესურსებია, რომლაც მოიცავს მომსახურებას და ინფორმაციის შინაარსს. ის მენარმესა და მომხმარებლებს შორის ღირებულების შემქმნელი ურთიერთობების შესაძლებლობას იძლევა. ციფრული პლატფორმები ციფრული ინფრასტრუქტურის უმაღლესი მწვერვალია. ესენია: ინტერნეტი, მონაცემთა ცენტრები, სმარტფონები და პლანშეტები. მარტივი ნვდომის ციფრული ინფრასტრუქტურა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი ციფრული სარისკო წამოწყებებისთვის.

ციფრული ტექნოლოგია ბიტებში წარმოდგენილი ინფორმაციაა, რაც ამცირებს ინფორმაციის შენახვის, გამოთვლის და გადაცემის დანახარჯებს. შესაბამისად, ციფრული ეკონომიკის კვლევებში შეისწავლება ციფრული ტექნოლოგიების გავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე.

ოლივერ კოვაკსი ანალიზებს მეოთხე სამრეწველო რევოლუციას, რომელსაც უფრო რთულ ეკონომიკაში გადავყავართ. (Kovacs, 2018). ავტორი კონცენტრირებას მრეწველობა 4.0 და ციფრული განვითარების პროცესში ინტერაქციის სირთულეზე ახდენს, რამაც შესაძლებელია განუსაზღვრელი შედეგები გამოიწვიოს და მთავრობას სტრუქტურული ცვლილებების გატარებისკენ მოუწოდებს. ამასთან, ავტორი ახალი ეკონომიკური მიმართულების საბაზისო პრინციპების ფორმულირებას გვთავაზობს მიმდინარე სამრეწველო რევოლუციის და ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში მდგრადი განვითარების კონტრიბუციის გზით.

ნაშრომში წარმოდგენილია ინდუსტრია 4.0 და ციფრული ეკონომიკის რეალისტური სურათი თავისი ნათელი და ბნელი მხარეებით. ავტორი თვლის, რომ ამ ტიპის ანალიზის გარეშე უბრალოდ თანამედროვე ეკონომიკის დამაბნეველი აღქმა გვექნება, რადგან განუსაზღვრელობის დონე მუდმივად იზრდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამთავრობო ინტერვენციები მიმართული იყოს ინდუსტრია 4.0-ის და ციფრული ეკონომიკის ხელშეწყობისა და მათი განვითარების შედეგად გამოწვეული დანაკარგების შემცირებისკენ.

ნაშრომში მოცემულია ინდუსტრია 4.0 და გაციფრულების 4 „ბნელი“ მხარე. მათ შორის მთავარია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გაურკვეველობები, რაც არამარტო კიბერ უსაფრთხოებას უკავშირდება (მონაცემთა დაცვა, სისტემის გატეხვა, კიბერმდგრადობა, კიბერტერორიზმი, კრედიტ და დებეტ ბარათების გატეხვა და ა.შ.), არამედ ინოვაციური ეკოსისტემის რისკებსაც ზრდის.

ავტორი განიხილავს ინდუსტრია 4.0 და გაციფრულების შემდეგ 4 „ბნელ“ მხარეს:

1. ავტომატიზაციის გავლენას დასაქმებაზე, რაც კომპიუტერიზაციის შედეგად დასაქმებული ადამიანების გამოთავისუფლების მაჩვენებელს გაზრდის (კოვაკსი, 2018, 141). ეს ნიშნავს ახალგაზრდების დასაქმების დაჩქარებას და

დაბალკვალიფიციური ასაკოვანი მოსახლეობის დასაქმების შენელებას. სამსახურების დაკარგვის ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდება მოსახლეობის გადახდისუუნარობა, რაც ინდივიდების გაკოტრებას გამოიწვევს;

2. მეორე უარყოფითი შედეგია კომპიუტერიზაციის გავლენა ადამიანების გონებრივ მდგომარეობაზე. გაციფრულებამ და ავტომატიზაციამ შესაძლებელია ადამიანების გონებრივ და ფიზიკურ ჯანმრთელობას ავნოს. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა სამუშაო პროცესი 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობდეს, რაც აღმასრულებლებს გაუჩენს იმის მოლოდინს, რომ ისინი შეძლებენ ძალიან სწრაფად მოქმედებას. ეს სამუშაო, ცხოვრების/დასვენების დროის ბალანსს დაარღვევს და სტრესს გაზრდის.

3. მნიშვნელოვანი პრობლემები გაჩნდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სტატისტიკასთან დაკავშირებით. ამ სფეროში რისკი და განუსაზღვრელობა დაკავშირებული იქნება იმასთან, რომ ერთი მხრივ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შეიჭრება ყველგან და ყველაფერში, რაც გამოიწვევს სტატისტიკური მეთოდოლოგიის გადახედვის საჭიროებას. გაიზარდება მწარმოებლურობის სტატისტიკური მონაცემები, ანუ მოხდება გადანაცვლება ციფრული ფიქსირებული აქტივებიდან ციფრული მომსახურებისკენ (მონაცემთა დამუშავება; კომპიუტერული და ქსელური დიზაინი და ა.შ). მეორე ასპექტი, რომელიც ამ საკითხს უკავშირდება არის დიდი მონაცემთა ბაზები (Big Data-based analyses), რაც დააჩქარებს ციფრების მეშვეობით მსოფლიოს შესახებ ჩვენს სამეცნიერო აღქმას. გაძლიერდება პროგნოზირების ახალი მიდგომები. ამასთან, საფინანსო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები უფრო მეტად ახსნადი იქნება ფსიქოლოგიით, ვიდრე მაკროეკონომიკური პრინციპებით. ეს, რა თქმა უნდა, მონაცემთა დიდი ბაზებისთვის დიდი გამოწვევა იქნება, რადგან მასში ვერ აისახება უთვლადი, გასაზომად რთული ასპექტები.

4. პრობლემებს გამოიწვევს შინაარსობრივი ურთერთკავშირების დაუდევარი უგულებელყოფა. გაუთვალისწინებელი შედეგების პირველი ნაკრები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის წინდაუხედავი ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშობა. კერძოდ, დაბალ ხელფასზე დამყარებული კონკურენტუნარიანობა იაფი ტექნოლოგიებით განსაზღვრული კონკურენტუნარიანობით შეიცვლება, რაც გააღრმავებს უთანასწორობას და ეკონომიკას ნაკლებად ინკლუზიურს გახდის. მეორე პრობლემა თავს იჩენს მაშინ, როდესაც სამეცნიერო საზოგადოება „დაინყებს სრიალს“ ფინანსური ბაზრების და სამრეწველო პოლიტიკის სხვადასხვა დროით ჰორიზონტებზე, რადგან საფინანსო სექტორი აქცენტირებული იქნება მოკლევადიან ინვესტიციებზე, ხოლო სამრეწველო სექტორი – გრძელვადიანზე. ამიტომ, ინდუსტრია 4.0 მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია გრძელვადიანი სესხების გაცემის კულტურის დამკვიდრება. მესამე მათგანი ჩნდება შრომის ბაზრის მოქნილობასა და სამრეწველო პოლიტიკას შორის „ურთიერთშეთამაშების“ უგულებელყოფით. მნიშვნელოვანია, რომ შრომის ბაზარი უფრო მოქნილი გახდეს, რათა შემცირდეს გვერდითი

ეფექტებიც. ეს ნიშნავს, რომ ინოვაციურ კომპანიებს შეეძლებათ უფრო ადვილად დაიქირაონ და დაითხოვონ სამსახურიდან დაქირავებულები, რაც შრომის ბაზრის ნაკლებ რეგულაციას საჭიროებს. ეს კი გაართულებს სათანადო კეთილდღეობის პოლიტიკის შემუშავებას და გატარებას.

ამრიგად, ავტორის აზრით, ინდუსტრია 4.0 და ციფრული ეკონომიკის შედეგების წარმატება დამოკიდებულია არამარტო ტრანსფორმაციის ტექნიკურ მოქნილობაზე, არამედ სოციალურად მიმღებლობაზე. ავტორი, ეკონომიკური მმართველობა 2.0-სთვის რეკომენდაციებს გვთავაზობს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ინდუსტრიის 4.0 და ციფრული ეკონომიკის მდგრად განვითარებას. ის ასევე ახალი ეკონომიკური აზროვნების განვითარების საჭიროებას ხედავს, რაც ნიშნავს ეკონომიკის შერწყმას მეცნიერების კომპლექსურ მიდგომასთან, რათა მივიღოთ რეალური სურათი ფენომენის (ინდუსტრია 4.) და მისი ხელშემწყობი სტრუქტურული ცვლილებების პოლიტიკის შესახებ.

ციფრული ეკონომიკის განვითარების ფონზე და ელექტრონული აქტივობის ზრდის პარალელურად, ციფრული ბიზნესებიდან არაპატიოსანი ფინანსური სარგებელი გაიზარდა. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტატისტიკური მეთოდოლოგიის არასრულყოფილების გამო, ციფრულ ბიზნესში მიმდინარე ეკონომიკური ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ალურიცხავია. შესაბამისად, **ციფრული ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ციფრული ჩრდილოვანი ეკონომიკის გაძლიერებას უკავშირდება.**

ციფრული ჩრდილოვანი ეკონომიკის შესახებ არსებული სამეცნიერო კვლევები ერთობ ცოტაა. თუმცა, ამ მხრივ საინტერესოა მიკოლას რომერის უნივერსიტეტის (ლიტვა) მკვლევარების რ. რემეიკენეს, ლ. გასპარენიერეს და ფ. შნეიდერის (Remeikiene R., Gaspareniene L, Schneider F. 2018, 696-717). მიერ ჩამოყალიბებული ციფრული ჩრდილოვანი ეკონომიკის არსის განმარტება. ავტორების აზრით, კვლევა მიზანმიმართული იყო ციფრული ჩრდილოვანი ეკონომიკის განმარტების შემოღებისკენ, მისი მახასიათებლების გამორკვევის საფუძველზე. შესაბამისად, კვლევა არალეგალურ ციფრულ აქტივობას ეხება, რომელიც ციფრული ეკონომიკის კრიმინალურ და ეკონომიკურ ასპექტებს მოიცავს. ჩრდილოვან ციფრულ ეკონომიკაში განიხილება ისეთი ციფრული მომსახურება და საქონლის ონლაინ გაყიდვა, რაც უშუალოდ ციფრულ სივრცეში ხორციელდება და, არალეგალური ინტერესებიდან და მატერიალური სარგებლის მიღების მიზნიდან გამომდინარე, არ ითვალისწინებს სამართლებრივ ნორმებს და რეგულაციებს. კვლევის მეთოდი სამეცნიერო ლიტრატურის ანალიზს და ექსპერტულ შეფასებას ემყარება.

ამასთან, ოფიციალური სტატისტიკის სიმცირემ, ციფრული ჩრდილოვანი ეკონომიკის არსის განმარტება გაართულა. კიბერდანაშაულზე და კიბერ-მეკობრეობაზე აქცენტირება ჩრდილოვანი ციფრული ეკონომიკის ბუნებას ვერ ხსნის, ამიტომაც საჭიროა ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფასების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება მისი თვისებებისა და არხების გამორკვევის საფუძველზე.

ბოსლერისა და ჰოლტის მიხედვით, ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი ნაწილი გენერირდება ციფრულ სივრცეში. ამიტომ **ჩრდილოვანი ციფრული ეკონომიკის მკაფიო დეფინიციის გარეშე საკითხის სწორად გაანალიზება და პოლიტიკის შემუშავება შეუძლებელია** (Bossler, Holt 2012, 165–181). მასში ძირითადად მოიაზრება სარგებელზე ორიენტირებული ინტერნეტზე დამყარებული არარეგისტრირებული აქტივობები და არალეგალური შემოსავლები, რომლებიც თავს იყრის ონლაინ ვაჭრობიდან და მომსახურებიდან (Zorz, 2015).

აღსანიშნავია, რომ ციფრული ჩრდილოვანი ეკონომიკის ტერმინის ქვეშ მოიაზრება მომხმარებელების, მყიდველების მხრიდან განხორციელებული აქტივობებიც, რომლებიც ელექტრონულ მეკობრეობას, საავტორო უფლებების დარღვევას და ელექტრონულ თაღლითობას უკავშირდება, რითაც მწარმოებელს შემოსავლები და ფულადი ნაკადები აკლდება.

ციფრული საწარმოების საინფორმაციო საჭიროებების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია რეალურ მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება, რათა შესაძლებელი იყოს მონაცემთა თავმოყრა და ანალიზი, რადგან ციფრული ინფორმაცია საწარმოო პროცესის საბაზისო ფაქტორი ხდება (Ukolov, Afanasyev, Vorontsov, Baikova, Bolshakova, 2018).

გაციფრულების მეშვეობით შესაძლებელია ობიექტის ვირტუალური კლონის ჩამოყალიბება, მისი სრული ასლის წარმოება. გაციფრულების პროცესში ყურადღება გამახვილებულია ტექნოლოგიურ ფუნქციებზე და საწარმოო პროცესის ყველა ფაზის ოპტიმალურ მოდელზე.

ასეთი შესაძლებლობები ტექნოლოგიური დანადგარების მოქმედების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ზრდის, იცავს მათ უსაფრთხოებას და მონიტორინგს.

უკოლოვის და სხვების კვლევა მიმართულია **გაციფრულების დაჩქარების საჭიროების შესწავლისკენ – გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე კორპორაციების კონკრენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.** (Ukolov, Afanasyev, Vorontsov, Baikova, Bolshakova, 2018). რუსეთის ეკონომიკის გაციფრულება, ბევრი ქვეყნის მსგავსად, მონაცემების აკუმულირების და მათზე თავისუფალი წვდომის საფეხურზეა, რაც ზრდის ამ მიმართულებით, მაგალითად, ციფრული ელექტრონული ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობებს.

აღნიშნული სამეცნიერო სტატიის **კვლევითი ჰიპოთეზა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინდუსტრიის სხვა დარგების გაციფრულების შესაძლებლობების საკვლევად და სტრატეგიული მიდგომების ჩამოსაყალიბებლად პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკისთვის.**

ბოლო წლებში უზარმაზარი ინტერესი გაჩნდა ციფრული პლატფორმების მიმართ, განსაკუთრებით ისეთ კომპანიებზე, რომლებმაც მოკლე დროში მიაღწიეს წარმატებას ბიზნესში ციფრულ პლატფორმაზე დაყრდნობით. მათ შორისაა ალიბაბა, ამაზონი, ფეისბუქი, გუგლი და სხვ. (Constatinides, Henfridsson, Parker. 2018). ბევრმა უძველესმა კომპანიამ გაიღო მნიშვნელოვანი ინვესტიცი-

ები ამ პლატფორმებთან ადაპტირების მიზნით, მათ შორისაა მანქანათმშენებლობის, ნავთობის წარმოების, მძიმე მანქანადასამშენებლების და ა.შ. მწარმოებლები, რომლებიც მნიშვნელოვან მიღწევებს უზრუნველყოფენ პლატფორმიზაციით.

ციფრული ეკონომიკის პრობლემატიკის შესწავლისას მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის ყურადღება მიიპყრო ციფრული ფულის საკითხმა, რადგან ის სრულიად ახალი რეალობის წინაშე აყენებს საფინანსო ეკონომიკურ ურთიერთობებს, როგორც ეროვნულ, ასევე, გლობალურ დონეებზე. ციფრული ფული – როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი რესურსი, აჩქარებს ბრუნვას და სასაქონლო ფულად ურთიერთობებს და მთლიანად – კვლავწარმოების პროცესს – შრომითი დანახარჯების შემცირებით და ეკონომიკური სუბიექტებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნით.

საქართველოშიც, სადაც ფინანსური საშუალებების დეფიციტია, ციფრული ვალუტის წარმოების, მისგან შემოსავლის მიღების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები ეკონომისტთა ყურადღებას იქცევს. ციფრული ვალუტის არსი და მისი მახასიათებლები განხილულია ნაშრომებში: *Cryptocurrency – A future medium of exchange* (Sichinava, 2019). ბიტკოინის, როგორც ციფრული ვალუტის სამართლებრივი რეგულირების კონცეპტუალური ასპექტები (გაბისონია, 2019), მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია – უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი გამოწვევა საქართველოში (გაგნიძე, 2019), *Small and Medium Enterprise Perspective in the Development of Digital Economy* (Gogorishvili, 2018) და სხვ.

კვლევებში წარმოდგენილია ძირითადად ციფრული ვალუტებით ვაჭრობის და რეგულირების საკითხები, რადგანაც საქართველო ციფრული ფულის წარმოებით და ვაჭრობის მაჩვენებლით, მეორე ადგილზეა მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ და ძალიან აქტუალურ თემას წარმოადგენს პრაქტიკოსი ბიზნესმენებისთვის. ამასთან, საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს ბიტკოინების პლატფორმების განვითარებას როგორც კერძო (მწარმოებელი სისტემები განთავსებულია თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში – ე.ლ.), ასევე საჯარო სექტორში, რაც თავის მხრივ, მოსახლეობას ციფრული ვალუტის გამოუმუშავებისადმი უფრო მეტ ინტერესს უღვიძებს. „ამასთან, საქართველოში შექმნილია სიდიდით მეორე ბიტკოინის მონაცემთა ცენტრი“. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ბიზნესში ჩართულ პროვაიდერებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოების და კორპორაციების მიერ კონტროლირებადი, ცენტრალიზებული, დახურული სისტემისგან და მათი მართვის გადანაცვლებების გასაიდუმლოებული პრაქტიკისგან განსხვავებით, დეცენტრალიზებული, ღია და გამჭვირვალე კრიპტოსისტემები სრულყოფილად პასუხობს თანამედროვე ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში მიმდინარე პროცესებსა და გამოწვევებს.

ციფრული ფულის – ბიტკოინის შესახებ საინტერესო კვლევა აქვთ ჩატარებული ბაურს, ჰონგს და ლის. კვლევაში მეცნიერები ბიტკოინს განმარტავენ როგორც ციფრულ ფულს დეცენტრალიზებული თანაზომადი გადახდების

ქსელში. ის სასაქონლო და ქალაქის ვალუტის ჰიბრიდია, რომელიც სამთავრობო და მონეტარული მმართველისგან დამოუკიდებელია და შინაარსობრივი ღირებულება არ აქვს (Baur, Hong, Lee. 2017).

სტატიაში გაანალიზებულია ბიტკოინის სტატიკური თვისებები და დადგენილია, რომ ის არ არის კორელაციაში ისეთ ტრადიციულ აქტივებთან, როგორიცაა აქციები, ობლიგაციები და ა.შ. როგორც ნორმალური, ასევე ფინანსური არასტაბილურობის პირობებში. ბიტკოინის ანგარიშების ტრანზაქციების მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის ძირითადად გამოყენებულია როგორც სპეკულაციური ინვესტიცია და არა როგორც ალტერნატიული ვალუტა ან გაცვლის საშუაშედეგო კომპონენტი.

ბიტკოინი უპირატესად განიხილება აქტივის სახით, რადგან იგი ვალუტის ყველა ფუნქციის მატარებელი არ არის (ვალუტას აქვს რა გადახდის, ღირებულების საზომის და დაგროვების ფუნქცია – ავტორი ე.ლ). ის ვირტუალური ვალუტების პოტენციურ მომხმარებლებს იზიდავს დაბალი ტრანზაქციული დანახარჯებით, თანაზომადობით, გლობალურობით და მთავრობისგან თავისუფალი დიზაინით. თუმცა, შესაძლებელია რომ მისი მეშვეობით შექმნილ იქნეს არალეგალური საქონელი (ნარკოტიკები, იარაღი და ა.შ). ის განიხილება როგორც სპეკულაციური ინსტრუმენტი. მოთხოვნა აქტივზე და ფასიც შესაძლებელია ძალიან ცვალებადი იყოს.

ამრიგად, ბიტკოინის, ან მსგავსი ალტერნატიული ვალუტების, ან აქტივების წარმატება უკავშირდება განსაზღვრული ვალუტის და საფინანსო აქტივების მდგომარეობას. დირკის, ბაურის, ჰონგის და ლის კვლევა (Bit coin: medium of exchange or speculative assets?) ადასტურებს, რომ ბიტკოინი ძირითადად გამოიყენება როგორც სპეკულაციური ინვესტიცია მისი მაღალი არასტაბილურობის/რყევის და დიდი უკუგების გამო.

კრიპტოვალუტების – როგორც ფინანსური აქტივების შესახებ საინტერესო კვლევა ეკუთვნით კორბეტს, ლუსის, არქუარტს და იაროვაიას კვლევაში მოცემულია ემპირიული ლიტერატურის სისტემური რევიზია, რომელიც უკავშირდება კრიპტოვალუტების, როგორც ფინანსური აქტივების ბაზრის განვითარებას 2009 წლიდან (Corbet, Lucey, Urquhart, Yarovaya 2018). სისტემური ანალიზის მეთოდის გამოყენებით მკვლევარებმა მიზნად დაისახეს სილრმისულად გამოეკვლიათ დარგში არსებული ცოდნა და მოეხდინათ შეუსწავლელი „ნაპრალები“ იდენტიფიკაცია. სისტემური ანალიზი ძლიერი ინსტრუმენტია მეცნიერების, პროფესიონალების და პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის არსებული მდგომარეობის შესახებ ცოდნის, საკითხის გარშემო არსებული როგორც თანხმობის, ასევე გაურკვევლობის მიმართულებით.

ავტორების დასკვნებით, **კვლევების უმეტესი ნაწილი პოზიტივიზმის კითხვებს პასუხობს, თუმცა, პრაქტიკოსებისთვის და პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის ფილოსოფიური, მეცნიერული პარადიგმები უფრო მნიშვნელოვანია.** ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები, თუ რომელი მიმართუ-

ლებებით არის შესაძლებელი კრიპტოვალუტის კვლევების დივერსიფიკაცია. კერძოდ, ასეთი საკითხებია კრიპტოვალუტის კვლევების მონაცემთა ბაზის გაფართოება; კრიპტოვალუტის სამართლებრივი, ეკონომიკური და მარეგულირებელი საკითხების კვლევა; ინფორმაციის ასიმეტრიულობის საკითხები; თეორიული განვითარება; ალტერნატიული პოტენციური სარგებელი ბლოკჩეინის მოხმარებიდან; კრიპტოვალუტის, როგორც აქტივის და როგორც ფულის შეფასება ინდივიდუალურად; გარემოსდაცვითი ცვლილებების საკითხი კრიპტოვალუტასთან მიმართებით და ა.შ. ამასთან, ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ პრობლემების ტრიადას: რეგულირების დეზორიენტაციას, ფასების გაბერვას და კიბერდანაშაულს.

ამასთან, მნიშვნელოვანია კიბერრისკების გათვალისწინება – არსებობს საფრთხე ჰაკერების მხრიდან. რმისი გამოყენება მარტივად შეუძლიათ ტერორისტებს და სხვა ბოროტმოქმედებს. ამის გამო, მაღალია მისი აკრძალვის რისკი. გარდა ამისა, ტრანზაქცია არ არის დაზღვეული – შესრულებული ტრანზაქციის შემდეგ გადარიცხული ვალუტის უკან დაბრუნება ვერ ხერხდება. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ვალუტა, ჯერჯერობით, არაოფიციალურია, არსებობს იმის შანსიც, რომ ბიტკოინის გადამცვლელმა რომელიმე სერვისმა მოიტყუოს. ფინანსური კრიზისის კვალდაკვალ კრიპტოვალუტა, ფაქტობრივად, უფრო მაღალი უსაფრთხოებისა და დაცულობისთვის შეიქმნა, ვიდრე ტრადიციული ფული და აქტივები, თუმცა როგორც რეალობა აჩვენებს, გაკოტრება და ჰაკერული თავდასხმა აქაც დასაშვებია. თანაც, კრიპტოვალუტის ბირჟების გაკოტრების და ანგარიშების გატეხვის შემთხვევაში დაზარალებული ყველაფერს კარგავს სწორედ მარეგულირებელი მექანიზმების არარსებობის გამო.

ამრიგად, კრიპტოვალუტა მაღალი რისკის შემცველი ინვესტიციაა, თუმცა მაღალი მოგებით. კრიპტოვალუტის ბაზარს არავინ აკონტროლებს და მას მხოლოდ საბაზრო მექანიზმი არეგულირებს, შესაბამისად, ახასიათებს ღირებულების ძლიერი ცვალებადობა და ხელსაყრელ გარემოს ქმნის სპეცულაციური გარიგებებისთვის, თუმცა აღსანიშნავია, რომ კრიპტოვალუტის საკითხის სათანადო თეორიულ-მეცნიერული დამუშავების გარეშე, შეუძლებელია რეგულირების პოლიტიკის ინსტრუმენტების განსაზღვრა და მოძიება (Lekashvili, Mamaladze, 2018).

ციფრული ეკონომიკის თეორიის საკითხთა კვლევისას მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ შეზღუდული რესურსების და მონოპოლიის მოდელები აღარ შეფერება ციფრულ ეპოქას. ეს ეხება როგორც კომერციულ სუბიექტებს, ასევე სახელმწიფოს. კომერციული ბლოკჩეინები მომავალში კონკურენციას გაუნევენ სახელმწიფო ბლოკჩეინებს, რომელიც დაემყარება სტრუქტურულ უპირატესობებს. ნატან უოგერსის აზრით კი, „ღია, საზოგადოებრივ ბლოკჩეინზე დაფუძნებული ქსელის ეფექტები აუცილებლად აღემატება ნებისმიერ კერძო სისტემას“ (Rogers, 2018).

ელექტრონული ფულის შემოსვლით და სირთულეების გაზრდით, საზოგადოებაში ფინანსურ ცენტრებსა და პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის კავშირი

შეიცვლება: ფინანსები იქნება უსაფრთხოებაზე დამყარებული, ხოლო უსაფრთხოება -ფინანსებზე დამყარებული. შესაბამისად, ბლოკჩეინი არის მხოლოდ იმ განვრცობადი ტექნოლოგიური ძალაუფლების გაკონტროლების ერთი კომპონენტი, რომელშიც ადამიანები ამჟამად იმყოფებიან.

კრიპტოვალუტების, როგორც საინვესტიციო აქტივის ფასის ქცევამ, უკანასკნელ პერიოდში მკვლევარების და ინვესტორების მხრიდან დიდი ყურადღება მიიპყრო. ნგუენის და სხვა მეცნიერთა კვლევა გვიჩვენებს, რომ კრიპტოვალუტების საპასუხო რეაქცია მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე არაეფექტიანი აღმოჩნდა. გამოიკვეთა მონეტარული პოლიტიკის ასიმეტრიული გავლენა კრიპტოვალუტის ამონაგებზე მკაცრი და რბილი მონეტარული პოლიტიკის რეჟიმების მიხედვით. საინტერესოა, რომ კვლევამ აჩვენა ოთხი ძირითადი კრიპტოვალუტის, მათ შორის ბიტკოინის რეაქცია ჩინეთის მკაცრ მონეტარულ პოლიტიკაზე, მაშინ როცა აშშ-ის მონეტარულ პოლიტიკას არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა კრიპტოვალუტების შემოსავლებზე. (Nguyen T., Nguyen B., Nguyen K., Pham 2019).

ციფრული ვალუტების კვლევის გარდა, მეცნიერთა დიდი ყურადღება მიიპყრო ციფრული საქონლის ეკონომიკური არსის შესწავლის საკითხმა. თ. რაინას ნაშრომში გამოკვლეულია ციფრული საქონლის ეკონომიკური ბუნება და მაჩვენებლები, ასევე, ორი გამოყენებითი საკითხი, რომელიც ეხება მასობრივი სამომხმარებლო მეკობრეობის და ციფრული საქონლის ღირებულების დადგენის პრობლემებს. ეს უკანასკნელი განიხილავს იმ შემთხვევებს, როდესაც მომხმარებლები აწარმოებენ, აწარმოებენ და ცვლიან ციფრულ საქონელს ისე, რომ მასზე დანახარჯის განევა არ უწევთ.

ამასთან, ავტორი უარყოფს აზრს, რომ ტრადიციული ეკონომიკა ციფრული ეკონომიკის პირობებში ვერ მუშაობს და საჭიროა „ახალი ეკონომიკისი“. (Rayna, 2008 13-33). ეს შედეგი გამომდინარეობს შემდეგი ფუნდამენტური ეკონომიკური თვისებებიდან: ციფრული საქონელი მარტივად ჩანაცვლებადია (შესაძლებელია ასლის წარმოება ხარისხის და ინფორმაციის დანაკარგის გარეშე). ციფრული საქონელი არის საზოგადოებრივი საქონელი და გრძელვადიანი მოხმარების საქონელი. ამასთან, ზოგიერთი ციფრული საქონელი საცდელი საქონელია და ბაზარზე არ მკვიდრდება.

კვლევები წარმოებს ციფრული ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის შესწავლის საკითხზეც. ქუს, საიმსის და ომაჰონის (2017) სამეცნიერო სტატია გვანვდის ახალ ემპირიულ მტკიცებულებას, რომლის მიხედვითაც **საზგასმულია ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართებით**. მასში შეფასებულია ციფრული ტექნოლოგიების გრძელვადიანი ეკონომიკური გავლენა მობილური ტელეფონებისა და ინტერნეტის მოხმარების ინდიკატორების საფუძველზე. სტატიაში წარმოდგენილია ავსტრალიის ეკონომიკის გაუმჯობესების შედეგები 2004-2014 წლებში ციფრული ტექნოლოგიების გავლენით. (Qu, Simes, O'Mahony 2017).

გოლდჰარბის და ტუკის სხვა კვლევებში მოცემულია ციფრული ტექნოლოგიების ცვლილებების გავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე. ავტორების აზრით, ციფრული ტექნოლოგიების ეფექტების შინაარსის გაგება არ მოითხოვს ახალ ეკონომიკურ თეორიას, ის მოითხოვს განსხვავებულ აქცენტებს. იბადება კითხვა „რა არის განსხვავება? რისი გაკეთება შეიძლება მარტივად, როცა ინფორმაცია მოცემული ბიტებში და არა ატომებში? ციფრული ტექნოლოგია ხშირად ნიშნავს, რომ დანახარჯები შეიძლება აფერხებდეს ეკონომიკურ აქტივობას. შესაბამისად, ციფრული ეკონომიკა გვიხსნის სტანდარტული ეკონომიკური მოდელების ცვლილებებს, როდესაც განსაზღვრული დანახარჯები არსებითად ეცემა, ან სულაც ნულს უტოლდება. ავტორები ახდენენ ამ სახის დანახარჯების კლასიფიკაციას 5 ჯგუფად:

1. ძიების უფრო დაბალი დანახარჯები;
2. გამრავლების უფრო დაბალი დანახარჯები;
3. ტრანსპორტირების უფრო დაბალი დანახარჯები;
4. მიკვლევის უფრო ნაკლები დანახარჯები;
5. ვერიფიკაციის /გადამოწმების უფრო ნაკლები დანახარჯები (Goldddfarb, Tucke. 2019).

თითოეული დანახარჯის ცვლილება აყალიბებს გაუმჯობესებულ ეკონომიკურ მოდელს. ამასთან, ციფრული ეკონომიკური ლიტერატურა მზარდ გავლენას ახდენს ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა – ეკონომიკური დანაშაული, საზოგადოებრივი საქონლის ეკონომიკა, ორგანიზაციული ეკონომიკა, ფინანსები, ურბანული ეკონომიკა, შრომის ეკონომიკა, განვითარების ეკონომიკა, საჯარო ფინანსები და საერთაშორისო ეკონომიკა. ავტორის აზრით, ციფრული ეკონომიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც აზროვნების გზა, რომელიც ეკონომიკის მრავალ მიმართულებას ეხება. ამასთან, გაციფრულებას სხვადასხვა შედეგი მოაქვს ქვეყნებისთვის, რეგიონებისთვის, ფირმებისა და ინდივიდებისთვის. ის გავლენას ახდენს მწარმოებლურობაზე, ვაჭრობაზე, ქალაქების ეკონომიკურ როლზე, სამამულო და საერთაშორისო აუტოსორსინგზე და იმაზეც, თუ როგორ იყენებენ ადამიანები დასვენების დროს.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მნიშვნელოვანი პრობლემაა კომერციული ინტერნეტაქტივობის კონტროლის ასპექტები დეცენტრალიზაციის ისტორიული კონტექსტით. გასათვალისწინებელია ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი კომერციული ინტერესებიც. შესაბამისად, ციფრული ტექნოლოგიების მთავარი პრობლემა უკავშირდება ინფორმაციის ღიაობას და კონტროლს.

მნიშვნელოვანია პროფესიულ კომპეტენციებს შორის საინფორმაციო წიგნიერების საკითხიც, რაც საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსში უნდა აისახოს განათლების საფეხურის ყველა დონეზე.

დასკვნა

ამრიგად, გაანალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის შედეგების სისტემატიზაცია გვიჩვენებს იმ მოსალოდნელი ნეგატიური შედეგის სიმრავლეს, რომელთა არსებობა და წარმოშობა უფრო მეტ წიგნიერ მზაობას მოითხოვს თანამედროვე მოქალაქისა და ხელისუფლებისგან. ნეგატიური ეფექტები დაკავშირებულია მთელ რიგ გაურკვევლობასთან, დაბალკვალიფიციური ასაკოვანი მოსახლეობის დასაქმების მოსალოდნელ შემცირებასთან, მენეჯერთა სტრუქტურული სამუშაო პირობების ზრდასთან, შემოსავლების არასამართლიან განაწილებასთან, ციფრული ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდასთან, კიბერდანაშაულთან, არაპატიოსანი ფინანსური სარგებლის ზრდასთან, რომელიც გააძლიერებს საფინანსო სექტორს და გაზრდის სპეკულაციური აქტივების სიდიდეს. შედეგად, გართულდება რეგულაცია, გაიბერება ფასები. საფინანსო ცენტრებსა და პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის კავშირები უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ეკონომიკის გაციფრულება, მართალია, დიდ დამატებით ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ მიმდინარე ოპერაციები ამცირებს ინფორმაციის ძიების, გამრავლების, ტრანსპორტირების, მიკვლევის და გადამონმების ხარჯებს. ამასთან, ციფრული ფულის გაჩენა აჩქარებს ბრუნვას. ის უფრო იაფი, სწრაფი და გლობალური შინაარსის მატარებელია ტრადიციულ ფულად საშუალებებთან შედარებით. მონაცემთა ბაზების ფორმირების გამარტივების პირობებში საჭირო გახდება საინფორმაციო მწარმოებლურობის აღრიცხვის მეთოდოლოგიის შემუშავება. ამ და სხვა გამოწვევების ეფექტიანი მართვის ინსტრუმენტების მოსაძიებლად, მნიშვნელოვანია ახალი ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრება, რომლის საფუძველზეც უნდა გამოკვლეულ იქნეს ახალი ეკონომიკური მოდელი ციფრული ეკონომიკის სახით.

ლიტერატურა:

- გაბისონია ზ. (2019) ბიტკოინის, როგორც ციფრული ვალუტის სამართლებრივი რეგულირების კონცეპტუალური ასპექტები, შედარებითი სამართლის ქართულ – გერმანული ჟურნალი, N2, გვ. 37-43.
- გაგნიძე ი. (2019) მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია – უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი გამოწვევა საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XII, #3.
- Bossler, A. M., Holt, T. J. (2012). Patrol officers' Perceived Role in Responding to Cybercrime, Policing an International Journal of Police Strategies & Management: 35(1): p.165–181.
- <https://doi.org/10.1108/13639511211215504> /ბოლო ნახვა 20 მაისი, 2019/.
- Constatinides P., Henfridsson O., Parker G. G. Platforms and Infrastructure in the Digital Age. vol. 29, no.2, pp. 381–400
- <https://doi.org/10.1287/isre.2018.0794> /ბოლო ნახვა 11 სექტემბერი, 2019/.

- Corbet S., Lucey B., Urquhart A., Yarovaya L. (2018). Crypto currencies as a financial asset: A systemic analysis. Elsevier B.V International Review of Financial Analysis. 182-200.
- Dirk G. Baur, Kihoon Hong, Adrian D. Lee. Bit Coin: Medium of Exchange or Speculative Assets? (2017). Elsevier B.V. Journal of International Financial Markets, Institutions and Money . pp.177-190.
- Gasparėnienė L., Remeikienė R., Ginevičius R. & Schieg, M. (2018) Adoption of Mimic Model for Estimation of Digital Shadow Economy. Technological and Economic Development of Economy. 24/4. 1453-1465 /ბოლო ნახვა 11 სექტემბერი, 2019/.
- Gogorishvili I. (2018). Small and Medium Enterprise Perspective in the Development of Digital Economy, E-Book of Abstract, Fifth Business Systems Laboratory International Symposium, Cocreating Responsible Futures in the Digital Age: Exploring new paths towards economic, social and environmental Sustainability, University “Federico II” of Naples, January 22-24.255-257. ISBN 9788890824265
- <http://bslab-symposium.net/Napoli-2018/BOA-BSLAB-Symposium-2018.pdf> /ბოლო ნახვა 14 სექტემბერი, 2019/.
- Goldfarb A., and Tucke C. Digital Economics. Journal of Economic Literature 2019, (57), 3-43.
- <https://doi.org/10.1257/jel.20171452>. /ბოლო ნახვა 24 სექტემბერი, 2019/.
- Kovacs O. (2018). The Dark Corners of the Industry 4.0 – Grounding Economic Governance 2.0. Technology in Society. 55 (2018). 140–145.
- Lekashvili E., Mamaladze L. Crypto Currency – A New Challenge for the Economy of Georgia. Copernican Journal of Finance and Accounting (2018, volume 7, issue 4). DOI:
- <http://dx.doi.org/10.12775/CJFA.2018.022> ISSN 2300-1240 (print); ISSN 2300-3065 (online) /ბოლო ნახვა 24 სექტემბერი, 2019/.
- Nguyen T. V., Nguyen B.T., Nguyen K.S., Pham H. Asymmetric Monetary Policy Effects in Crypto Currency Markets. Elsevier B.V. Research in International Business and Finance 48 (2019).335-339.
- Qu J., Simes R. and O’Mahony J. How do Digital Technologies Drive Economic Growth? Economic Record, vol.93.Issue, June, 2017. 57-69.
- Rayna T. Understanding the Challenges of Digital Economy: The Nature of Digital Goods, Communication & Strategies, no.71, 3rd quarter 2008, p.13 – 33.
- Remeikiene R., Gaspareniene L, Schneider F. G., The Definition of Digital Shadow Economy. (2018). Technological and Economic Development of Economy. Volume 24(2): 696-717.
- Rogers Z., Blockchain and the state: Vehicle or vice? AQ: Australian Quarterly, Vol. 89, No. 1 (JAN-MAR 2018), pp. 3-9, 44. Australian Institute of Policy and Science. <https://www.jstor.org/stable/26450190>. /ბოლო ნახვა 24 სექტემბერი, 2019/
- Sichinava D. Cryptocurrency – A Future Medium of Exchange (2019). Economics and Business, Vol.11 Issue 1(19). Iv. Javakhishvili Tbilisi State University. 15
- Vladimir F. Ukolov, Valentin Y. Afanasyev, Victor B. Vorontsov, Oksana V. Baikova, Olga I. Bolshakova. 2018.Digitalization of Economics and New Risks in the Leading Industries of FEC. Helix Vol.8; 6; E-ISSN: 2319-5592; P-ISSN: 2277-3495.
- Ukolov V. F., Afanasyev V.Y., Vorontsov V.B., Baikova O.V., Bolshakova O. I. (2018). Digitalization of Economics and New Risks in the Leading Industries of FEC. Helix Vol.8.E-

ISSN: 2319-5592; P-ISSN: 2277-3495.

- Zorz, M. (2015). Global black markets and the underground economy [online], [cited 12 October 2015]. Featured News. Available from Internet:
- <http://www.net-security.org/article.php?id=2288>/ბოლო ნახვა 20 მაისი, 2019/.
- <https://www.bm.ge/ka/article/diplomebi-blokchein-platformaze-gantavsdeba/38452/> / ბოლო ნახვა 24 სექტემბერი, 2019/.
- <http://www.iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-07-07-10-19-51> / ბოლო ნახვა 24 სექტემბერი, 2019/.

References:

- Gabisonia Z. (2019). Bitkoinis, rogorc cifruli valutis samartlebrivi regulirebis konceptualuri aspeqtobi, shedarebiti samartlis qartul-germanuli jurnali, [Bitcoin as a Digital Currency and its Conceptual Aspects of Legal Regulation, Georgian – German Journal of Comparative Law], 2/2019. p.p37-43 (in Georgian).
- Gagnidze I. (2019). Meotkhe industriuli revolucia – umaglesi ganatlebis umnishvnelovanesi gamocveva saqartveloshi. Journ. “ekonopmika da biznesi”, Vol. XII, N3 (in Georgian).
- Bossler, A. M., Holt, T. J. (2012). Patrol Officers’ Perceived Role in Responding to Cyber-crime, Policing an International Journal of Police Strategies & Management: 35(1): 165–181.
- <https://doi.org/10.1108/13639511211215504> /Last visit 20May, 2019/.
- Constantinides P., Henfridsson O., Parker G. G. Platforms and Infrastructure in the Digital Age. vol. 29, no.2, pp. 381–400
- <https://doi.org/10.1287/isre.2018.0794> /Last visit 11 September, 2019/.
- Corbet S., Lucey B., Urquhart A., Yarovaya L. (2018). Crypto Currencies as a fFinancial Asset: A Systemic Analyses. Elsevier B.V International Review of Financial Analyses. 182-200.
- Dirk G. Baur, Kihoon Hong, Adrian D. Lee. Bit Coin: Medium of Exchange or Speculative Assets? (2017). Elsevier B.V. Journal of International Financial Markets, Institutions and Money. pp.177-190.
- Gasparėnienė L., Remeikienė R., Ginevičius R., Schieg M. (2018) Adoption of Mimic Model for Estimation of Digital Shadow Economy. Technological and Economic Development of Economy. 24/4. 1453-1465 /Last visit 11 September, 2019/.
- Gogorishvili I. (2018). Small and Medium Enterprise Perspective in the Development of Digital Economy, E-Book of Abstract, Fifth Business Systems Laboratory International Symposium, Cocreating Responsible Futures in the Digital Age: Exploring New Paths towards Economic, Social and Environmental Sustainability, University “Federico II” of Naples, January 22-24.255-257. ISBN 9788890824265
- <http://bslab-symposium.net/Napoli-2018/BOA-BSLAB-Symposium-2018.pdf> /Last visit 14September, 2019/.
- Golddfarb A., Tucke C. Digital Economics. Journal of Economic Literature 2019, (57), 3-43.
- <https://doi.org/10.1257/jel.20171452>. /Last visit 24 September, 2019/.
- Kovacs O. (2018). The Dark Corners of the Industry 4.0 – Grounding Economic Governance 2.0. Technology in Society. 55 (2018). 140–145.

- Lekashvili E., Mamaladze L. Crypto Currency – A New Challenge for the Economy of Georgia. Copernican Journal of Finance and Accounting (2018, volume 7, issue 4). DOI: <http://dx.doi.org/10.12775/CJFA.2018.022> ISSN 2300-1240 (print); ISSN 2300-3065 (online) Last visit 24 September, 2019/.
- Nguyen T. V., Nguyen B.T., Nguyen K.S., Pham H. Asymmetric Monetary Policy Effects in Crypto Currency Markets. Elsevier B.V. Research in International Business and Finance 48 (2019).335-339.
- Qu J., Simes R. and O’Mahony J. How do Digital Technologies Drive Economic Growth? Economic Record, vol.93.Issue, June, 2017. 57-69.
- Rayna T. Understanding the Challenges of Digital Economy: The Nature of Digital Goods, Communication & Strategies, no.71, 3rd quarter 2008, p.13 – 33.
- Remeikiene R., Gaspareniene L, Schneider F. G., The Definition of Digital Shadow Economy. (2018). Technological and Economic Development of Economy. Volume 24(2): 696-717.
- Rogers Z., Blockchain and the state: Vehicle or vice? AQ: Australian Quarterly, Vol. 89, No. 1 (JAN-MAR 2018), pp. 3-9, 44. Australian Institute of Policy and Science. <https://www.jstor.org/stable/26450190/> (Last visit 24 September, 2019/.
- Sichinava D. (2019). Cryptocurrency – A Future Medium of Exchange (Journ. Economics and Business, Vol.11 Issue 1(19). Iv. Javakhishvili Tbilisi State University.
- Vladimir F. Ukolov, Valentin Y. Afanasyev, Victor B. Vorontsov, Oksana V. Baikova, Olga I. Bolshakova. 2018.Digitalization of Economics and New Risks in the Leading Industries of FEC. Helix Vol.8; 6; E-ISSN: 2319-5592; P-ISSN: 2277-3495.
- Ukolov V. F., Afanasyev V.Y., Vorontsov V.B., Baikova O.V., Bolshakova O. I. (2018). Digitalization of Economics and New Risks in the Leading Industries of FEC. Helix Vol.8.E-ISSN: 2319-5592; P-ISSN: 2277-3495.
- Zorz M. (2015). Global Black markets and the Underground Economy [online], [Last visit 12 October 2015]. Featured News. <http://www.net-security.org/article.php?id=2288> /Last visit 20 May, 2019/.
- <https://www.bm.ge/ka/article/diplomebi-blokchein-platformaze-gantavsdeba/38452/> /Last visit 24 September, 2019/.
- <http://www.iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-07-07-10-19-51> /Last visit 24September, 2019/.

The Digital Economy: The Challenges of Science and Politics

Eka Lekashvili

Associate Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

eka.lekashvili@tsu.ge

What should economic policy makers consider in process of developing economic strategies to tackle the challenges of the digital revolution and to take advantage of its progressive outcomes, and what are the threats to technological development that will allow industry 4.0 to have a negative impact on economic policy? To answer these questions, we aimed to conduct a bibliographic study based on the of modern advanced scientific papers and to systematize the expectations and challenges of the economic development of the digital economy using induction and deduction methods. The results of the study will help us to foresee the future concept of economic policy. During the research process, we selected the most recent and highly rated scientific papers, identified the results of the research using the induction method, and finally finalized the grouping of the results of the analyzed analyzes – systematization.

In the research process, we have studied the works of Kovaks (2018), Nguyen et al (2019), Bosler and Holt (2012), Remykenes, Gasparenier and Schneider (2018), Ukolov et al (2018), Baur, Hong and Lee (2017) and others, containing subjective assessments of the development of Digital Economics on Problems such as Digital Economics in relation to the economic growth, the theoretical economic model, productivity, the shadow economy, various institutional mechanisms.

The work presents a bibliographic study of contemporary scientific papers on the problems of digital economy. The systematization of the results of the analyzed scientific literature shows the multitude of expected negative outcomes whose existence and origin will require greater literacy from the modern citizen and government. The negative effects are linked to a number of uncertainties, the expected decline in the employment of under-aged people, the increase in stressful working conditions of managers, the unfair distribution of income, the growth of the digital shadow economy, cybercrime, the rise of ill-advised financial gain that will enhance financial sector and increase the value of speculative assets. The links between financial centers and political power will become even more important. As a result, economic policy regulation will be complicated.

From an economic point of view, digitizing the economy may require huge additional costs, but ongoing operations reduce the costs of searching, multiplying, transporting, tracking and verifying information. However, the emergence of digital money accelerates turnover. It is cheaper, faster and more global in content than traditional cash. In order to facilitate the formation of databases, it will be necessary to develop an information production accounting methodology. In order to find effective management tools for these and other challenges, it is important to establish a new economic mindset on the basis of

which a new economic model in the form of a digital economy should be explored. There is a need to diversify research into issues such as expanding the database of cryptocurrency studies; Research on the legal, economic and regulatory issues of cryptocurrencies; Issues of information asymmetry; Theoretical development; Alternative Potential Benefits of Blockchain Consumption; Valuation of cryptocurrencies as an asset and as an individual; The issue of environmental change with regard to cryptocurrencies, etc. However, the authors pay great attention to the triad of problems: disorientation of regulation, price spikes and cybercrime.

Keywords: Digital economy, industry 4.0, economic policy.

JEL Codes: O10, O11, O12, O20

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

საოჯახო მეურნეობები და მათი განვითარების პერსპექტივები აჭარაში

ბაურ ფუტკარაძე

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
ასოცირებული პროფესორი
f.futkaradze@bsma.edu.ge

ჯამბულ აბულაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი
jambulabuladze1@gmail.com

სტატიაში განხილულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საოჯახო მეურნეობების სარგებლობაში არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადანაწილების საკითხები, ასევე, მცირემიწიანობისა და სავარგულების ფრაგმენტაციის მაღალი დონის პირობებში საოჯახო მეურნეობების პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაძლებლობები. აღნიშნულია, რომ 31 202 საოჯახო მეურნეობაზე გადანაწილებულია 8 406 ჰა სახნავი სასოფლო-სამეურნეო სავარგული (საშუალო მაჩვენებელი ერთ საოჯახო მეურნეობაზე გადანაწილებულია 0.27 ჰა-ს შეადგენს), ხოლო 54 701 საოჯახო მეურნეობაზე – 14 839 ჰა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული სავარგული (საშუალო მაჩვენებელი ერთ საოჯახო მეურნეობაზე გადანაწილებულია 0.27 ჰა-ს შეადგენს). შესაბამისად, სახეზე გვაქვს წვრილი საოჯახო მეურნეობები, რომელთა ძირითადი ნაწილის საქმიანობა (გარდა ციტრუსის მწარმოებელი და შედარებით დიდი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით მოსარგებლე საოჯახო მეურნეობებისა) წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე არ არის და ვერც იქნება ორიენტირებული – ბაზარზე შეღწევადობისათვის საჭირო რაოდენობაზე გაცილებით მცირე წარმოების, დაბალი კონკურენტუნარიანობისა და ლოჯისტიკური სისტემის არ არსებობის გამო.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების შესაბამისად საოჯახო მეურნეობების დიფერენცირება შემდეგნაირია: ა) ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებელი 31 202 საოჯახო მეურ-

ნეობიდან 2682 საოჯახო მეურნეობას (8.4%) აქვს შესაძლებლობა ორიენტირებული იყოს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე, ხოლო 10802 საოჯახო მეურნეობას (34,6%) – ნამეტი პროდუქციის რეალიზაციაზე; ბ) მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებელი 54 701 საოჯახო მეურნეობიდან 23531 საოჯახო მეურნეობას (43%) აქვს შესაძლებლობა ორიენტირებული იყოს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე, ხოლო 16 606 საოჯახო მეურნეობას (30.4%) – ნამეტი პროდუქციის რეალიზაციაზე.

საოჯახო მეურნეობების ოპტიმიზაციის საკითხი ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, რაც ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა. საოჯახო მეურნეობების ოპტიმიზაციას, თავის მხრივ, განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის (პრივატიზების) დასრულება, რაც მიწის ბაზრის განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

საოჯახო მეურნეობებში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და წარმოების სტანდარტების დანერგვა, ბაზარზე მოთხოვნადი ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალპროდუქტიული ჯიშების გავრცელება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა არის ის ფაქტორები, რომლებიც საოჯახო მეურნეობების განვითარების პერსპექტივას ქმნის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკითხების გადანყვეტა საოჯახო მეურნეობებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ და საჭიროა შედეგზე ორიენტირებული სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

საკვანძო სიტყვები: სავარგულების ფრაგმენტაცია, საოჯახო მეურნეობები, კონკურენტუნარიანობა, მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

შესავალი

სოფლის მეურნეობა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დასაქმების ერთადერთ სფეროს წარმოადგენს, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფა, ასევე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. სახელმწიფოს მხრიდან აგროსექტორი აღიარებული პრიორიტეტულ დარგად, საერთაშორისო ორგანიზაციები ქმედით მხარდაჭერას გამოხატავენ აგროსექტორის განვითარებისათვის, ხოლო ზოგადად ქვეყანაში შესაძლებელია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რისთვისაც გატარებულია არა ერთი ღონისძიება. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, მსხვილი ინვესტიორებისათვის სასოფლო-სამეურნეო დარგი დღეის მდგომარეობით ქვეყანაში ერთ-ერთი არარენტაბელური, დაბალ კონკურენტუნარიანი და ნაკლებად საინტერესო მიმართულებაა.

აგროსექტორი კვლავ წარმოდგენილია წვრილი ფერმერული მეურნეობების სახით, სადაც ვერ ხერხდება ბუნებრივი რესურსებისა და წარმოების სხვა საშუალებების კონსოლიდაცია და შესაბამისად, მეურნეობების კომერციალიზაცია, რაც დარგის განვითარებისათვის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია. უფრო მეტიც, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და დასაქმების შესაძლებლობის დაბალი მაჩვენებლიდან გამომდინარე, ფერმერულ მეურნეობებში თვითდასაქმებულ პირთა შრომითი დანახარჯი, ამავე მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასის განსაზღვრაში, როგორც წესი, არ მონაწილეობს და ხშირ შემთხვევაში, პირველადი მწარმოებელი პროდუქციის რეალიზაციასა ახდენს რეალურ თვითღირებულებაზე გაცილებით დაბალი ფასით განეული შრომის დისპროპორციულად.

ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში, ევროპის კომისიის დაფინანსებით, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ განხორციელებული „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში – საქართველო“, კვლევის თანახმად „სოფლის მეურნეობის წილი მსპ-ში მნიშვნელოვნად მცირდება (25%-დან 1999 წელს, 9.3%-მდე 2011 წელს). სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის კლება რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: მიწების დანაწევრება, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის ნაკლებობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მაღალი ღირებულება და ძვირი ფინანსური რესურსები, თანამედროვე მექანიზაციის მომსახურების უქონლობა, ბაზრებზე ცუდი ხელმისაწვდომობა და რუსეთის სავაჭრო ემბარგო, და ზოგადად დეგრადირებული სასოფლო ინფრასტრუქტურა“ (გვ.12). ამავე კვლევაში (გვ. 15) აღნიშნულია, რომ „2005 წელს ჩატარებული სოფლის მეურნეობის აღწერის შესაბამისად, საქართველოში 700 000 სასოფლო – სამეურნეო მიწის ნაკვეთია. მათი 99% საოჯახო ფერმერებადაა კლასიფიცირებული. ფერმერულ სექტორში მცირე კერძო ფერმერები დომინირებს. 93%-ს 2 ჰა-ზე ნაკლები მიწა აქვს. ერთი ფერმის საშუალო ფართობია 2.3 ჰა. ნაკვეთების 82% არსებობის საშუალების კატეგორიას მიეკუთვნება, 18% არსებობის ნაწილობრივი საშუალების ან კომერციული ნაკვეთის კატეგორიას“.

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები, თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, ხოლო ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო არახელსაყრელი მდგომარეობაა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

საოჯახო მეურნეობების მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, როგორც წესი, ორიენტირებულია:

1. პირადი მოხმარებისათვის (თვითგამოკვების);
2. პირადი მოხმარებისა და ნამეტი პროდუქციის რეალიზაციაზე და
3. კომერციული მიზნებისათვის.

ჩამოთვლილთაგან თუ რომელ მიმართულებას განავითარებს ცალკეული საოჯახო მეურნეობა, დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოფაქტორებზე. მათ შორის მნიშვნელოვანია:

1. შრომითი რესურსები;
2. წარმოების საშუალებები;
3. ტექნოლოგიები;
4. მოთხოვნა-მიწოდება და სხვ.

წინამდებარე სტატიის მიზანია აჭარის რეგიონში არსებული მემცენარეობის მიმართულების საოჯახო მეურნეობების პოტენციალის ზოგადი ანალიზი, რომელიც განხილულია საოჯახო მეურნეობების მიერ სახნავი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით სარგებლობის ჭრილით.

ანალიზი ეფუძნება საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის – „მცირემინიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობა“, ფარგლებში ფორმირებულ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (სახნავი და მრავალწლიანი წარგავებით დაკავებული ფართობები) მონაცემთა ბაზას.

სახნავი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფრაგმენტაცია და მათი გადანაწილება საოჯახო მეურნეობებზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების დონეზე, სახნავი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფრაგმენტაციის მაჩვენებლის ანალიზის მიზნით, ფართობების მიხედვით, საოჯახო მეურნეობები პირობითად გაერთიანდა 4 ჯგუფში. მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი 1 სახით:

საოჯახო მეურნეობების გადანაწილება ჯგუფების შესაბამისად (სახნავი სას. სამ. სავარგულების მიხედვით)

ცხრილი 1

ჯგუფი	ფართობი	მეურნეობა/ფართობი	ხულო	შუახევი	ქედა	ხელვაჩაური	ქობულეთი	ბათუმი	სულ
ჯგუფი I	0.01-0.26	მეურნეობა	3663	2861	1696	3745	2975	2768	17708
		ფართობი ჰა	631	511	304	403	451	236	2536
ჯგუფი II	0.26-0.51	მეურნეობა	3312	2094	2242	1423	1569	172	10812
		ფართობი ჰა	1196	734	860	514	578	61	3943
ჯგუფი III	0.51-1.0	მეურნეობა	614	223	1003	284	419	25	2568
		ფართობი ჰა	430	139	700	190	315	17	1791
ჯგუფი IV	1.0 +	მეურნეობა	22	0	44	6	41	1	114
		ფართობი ჰა	26	0	52	7	50	1	136

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „მცირე მინიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობა“ – მონაცემთა ბაზა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირადი საჭიროებების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულ საოჯახო მეურნეობებს (თვითკმარ მეურნეობებს) მიეკუთვნება ისეთი მეურნეობები, რომელთა სარგებლობაში არსებული სახნავი მიწის ფართობი შეადგენს 0.01 ჰა-დან 0.26 ჰა-მდე. ასეთი ტიპის მეურნეობების აბსოლუტური უმრავლესობა აწარმოებს არა რომელიმე მონოკულტურის პროდუქციას მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით (იშვიათი გამონაკლისის გარდა), არამედ შერეული სახის ერთნაირ სასოფლო – სამეურნეო კულტურების პროდუქციას, რაც მცირე რაოდენობის სხვადასხვა დასახელების პროდუქციის წარმოებით შემოიფარგლება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირადი საჭიროებების მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და ნამეტი პროდუქციის რეალიზაციაზე ორიენტირებული მეურნეობების ჯგუფს, მათ სარგებლობაში არსებული სახნავი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით, რეგიონში მიეკუთვნება საოჯახო მეურნეობები, რომელთა სარგებლობაშია 0.26 ჰა-დან 0,51 ჰა-ს ჩათვლით სახნავი მიწის ფართობები.

აღნიშნული საოჯახო მეურნეობების საქმიანობა შედარებით ნაკლებადაა ორიენტირებული კომერციული მიზნებისაკენ, რადგან წარმოების არსებული მეთოდების პირობებში (დაბალპროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა, თანამედროვე ტექნოლოგიებზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, ლოჯისტიკური სისტემების არარსებობა, კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე, გაუმართავი ინფრასტრუქტურა და სხვ.), ნაკლებად სავარაუდოა მათი, როგორც ბაზრის სუბიექტებად ფუნქციონირება, ვინაიდან არასტაბილურად და სეზონურად აწოდებენ ნამეტ პროდუქციას ბაზარს. თუმცა, ეს ის პოტენციალია, რომელიც წარმოების კონსოლიდირების, მაღალპროდუქტიული და მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის წარმოების განვითარებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის პირობებში, შესაძლებელია მათი კომერციული მიმართულების საოჯახო მეურნეობებად ფორმირება.

III ჯგუფს მიკუთვნებული საოჯახო მეურნეობები, რომელთა სარგებლობაში არსებული სახნავი ფართობი შეადგენს შესაბამისად – 0.51 – 1.0 ჰა-ს, განიხილება კომერციულ მიმართულების საოჯახო მეურნეობებად, თუმცა, ამ დანიშნულებით მათ სრულყოფილ ფუნქციონირებას სხვადასხვა ხელშემშლელი ფაქტორები ახლავს თან.

მიუხედავად იმისა, რომ III და IV ჯგუფს მიკუთვნებული საოჯახო მეურნეობები ერთი კონტექსტით განიხილება, როგორც საქმიანობის კომერციული მიმართულება, IV ჯგუფი ანალიზისათვის ცალკე გამოიყო, რითაც მეტი სიცხადით წარმოჩინდა რეგიონში როგორც მცირე მინიანობის, ასევე ფრაგმენტაციის არსებული მდგომარეობა, ე.ი. სახნავი მიწის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სარგებლობის მიხედვით, მხოლოდ 114 საოჯახო მეურნეობაა (0.4%) წარმოდგენილი – თითოეულს სარგებლობაში გააჩნია 1.0 ჰა-ზე მეტი, ხოლო ჯამში, სულ – 136 ჰა სახნავი, აღნიშნული სავარგულების მხოლოდ 1.6%-ს შეადგენს.

ამდენად, მონაცემების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სახნავი სავარგულების სარგებლობის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში 31 202 საოჯახო მეურნეობიდან, რომელთა სარგებლობაშია სულ 8 406 ჰა სახნავი სასოფლო-სამეურნეო სავარგული:

1. 17708 საოჯახო მეურნეობას (57%) შესაძლებლობა აქვს ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის წარმოებით უზრუნველყოს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის საკმარისი პროდუქცია, რომელთა სარგებლობაშია, სულ – 2 536 ჰა სახნავი.

2. 10802 საოჯახო მეურნეობას (34,6%) შესაძლებლობა აქვს ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებით მიღებული პროდუქციიდან მოახდინოს საკუთარი საჭიროებისათვის წარმოებულზე ნამეტი პროდუქციის რეალიზაცია, რომელთა სარგებლობაშია, სულ – 3 943 ჰა სახნავი სავარგული;

3. 2682 საოჯახო მეურნეობას (8,4%) შესაძლებლობა აქვს განავითაროს ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის წარმოება პროდუქციის რეალიზაციის მიზნით, რომელთა სარგებლობაშია, სულ – 1927 ჰა სახნავი.

მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული სავარგულების ფრაგმენტაცია და მათი გადანაწილება საოჯახო მეურნეობებზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების დონეზე, მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული სავარგულების ფრაგმენტაციის მაჩვენებლის ანალიზის მიზნით, ფართობების მიხედვით, საოჯახო მეურნეობები სახნავი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ანალოგიურად, ამ შემთხვევაშიც პირობითად გაერთიანდა 4 ჯგუფში. მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი 2-ის სახით:

საოჯახო მეურნეობების გადანაწილება ჯგუფების შესაბამისად (მრავალწლიანი წარგავებით დაკავებული სას. სამ. სავარგულების მიხედვით)

ჯგუფი	ფართობი	მეურნეობა/ ფართობი	ხულო	შუახევი	ქედა	ხელვაჩაური	ქობულეთი	ბათუმი	სულ
ჯგუფი I	0.01-0.26	მეურნეობა	4256	3251	3418	9464	5735	5045	31170
		ფართობი ჰა	150	201	374	1692	1034	729	4180
ჯგუფი II	0.26-0.51	მეურნეობა	43	88	764	4827	8501	1293	15516
		ფართობი ჰა	16	31	279	1746	3266	446	5784
ჯგუფი III	0.51-1.0	მეურნეობა	11	21	1884	1175	4181	197	7469
		ფართობი ჰა	9	16	131	779	3052	131	4118
ჯგუფი IV	1.0 +	მეურნეობა	0	7	13	25	499	2	546
		ფართობი ჰა	0	11	21	29	693	3	757
სულ	0.01 +	მეურნეობა	4310	3367	6079	15491	18916	6538	54701
		ფართობი ჰა	175	259	805	4246	8045	1309	14839

მონაცემები დამუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „მცირე მიწიან ფერმერთა 2016 წლის სავაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობა“ – ფარგლებში ფორმირებულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

მრავალწლიანი კულტურების მიწის ფართობების ჯგუფს მიკუთვნებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირადი საჭიროებების მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და კომერციულ მიზნებზე ორიენტირებული საოჯახო მეურნეობების გამიჯვნის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტებში მრავალწლიანი კულტურას ძირითადად ციტრუსი და ნაწილობრივ კაკლოვანი (თხილი) წარმოადგენს, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა კომერციული მიზნებისათვის ინარმოება. შესაბამისად, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში 0.11 და მეტ ჰა მიწის ფართობზე გაშენებული მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარგებლე საოჯახო მეურნეობების საქმიანობა განიხილება, როგორც ბაზარზე სარეალიზაციო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი მეურნეობები.

ანალოგიური მიდგომით უნდა ვიხელმძღვანელოთ ქედის მუნიციპალიტეტში, სადაც შედარებით განვითარებულია მევენახეობა და კაკლოვანი კულტურების წარმოება (თხილი, კაკალი)*. რაც შეეხება ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებს, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობებზე საოჯახო მეურნეობები შერეული სახის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ეწევიან. შესაბამისად, როგორც სახნავი სავარგულების შემთხვევაში, 0.26 ჰა-მდე სავარგულების მოსარგებლე საოჯახო მეურნეობები განხილული უნდა იქნეს, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოება პირადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. 0.26 ჰა-ზე მეტი მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული სავარგულით მოსარგებლე საოჯახო მეურნეობები განიხილება, როგორც სარეალიზაციო პროდუქციის მწარმოებელი სუბიექტები. შესაბამისად, ფართობის აღნიშნული ზღვრული ნორმების მიხედვით ანალიზისათვის, რეგიონი პირობითად ორ ზონად იყოფა: 1) ხულო-შუახევის მუნიციპალიტეტები და 2) ქედის, ხელვაჩაურის, ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტები. შესაბამისი მონაცემები წარმოდგენილია ცხრილების სახით. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფრაგმენტაციის დონის თვალსაჩინოებისათვის, ცხრილებში მონაცემები დაჯგუფებულია საოჯახო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული სავარგულების ფართობების გადანაწილების მიხედვით.

* 0.05 ჰა და მეტი ფართობის სავარგულზე გაშენებული კეკნკროვანი კულტურების შემთხვევაში, მეურნეობები, ასევე სარეალიზაციო მიზნებისათვის მწარმოებელ საოჯახო მეურნეობებზე უნდა იქნეს განხილული, თუმცა, ამ ეტაპზე წარმოება უმნიშვნელოა და ზოგად ანალიზზე არსებით გავლენას არ ახდენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართებით, ბოლო წლებში, რეგიონში გარკვეული პროგრესი შეინიშნება, რაც შემდგომში ცალკე დაკვირვებისა და ანალიზის საგანი უნდა გახდეს.

ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული სავარგულების ფარაგმენტაცია და გადანაწილება საოჯახო მეურნეობებზე

ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული სავარგულების ფარაგმენტაცია და მათი გადანაწილება საოჯახო მეურნეობებზე წარმოდგენილია ცხრილი 3-ის სახით.

საოჯახო მეურნეობების გადანაწილება ჯგუფების შესაბამისად
(მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული სას.სამ. სავარგულების მიხედვით)
ცხრილი 3

ჯგუფი	ფართობი	მეურნეობა/ ფართობი	ხულო	შუახევი	სულ
ჯგუფი I	0.01-0.11	მეურნეობა	4158	2907	7065
		ფართობი ჰა	133	140	273
ჯგუფი II	0.11-0.26	მეურნეობა	98	344	442
		ფართობი ჰა	17	60	77
	0.26-0.51	მეურნეობა	43	88	131
		ფართობი ჰა	16	31	48
ჯგუფი III	0.51-1.0	მეურნეობა	11	21	32
		ფართობი ჰა	9	16	24
ჯგუფი IV	1.0 +	მეურნეობა	0	7	7
		ფართობი ჰა	0	11	11
სულ	0.01	მეურნეობა	4310	3367	7677
		ფართობი ჰა	174	259	433

მონაცემების დამუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „მცირე მიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობა“ – ფარგლებში ფორმირებულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

ცხრილის თანახმად, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული 433 ჰა სავარგულით სარგებლობს სულ 7 677 საოჯახო მეურნეობა. მათ შორის:

1. 7065 საოჯახო მეურნეობას (92%) შესაძლებლობა აქვს მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის წარმოებით უზრუნველყოს საკუთარი საჭიროებისათვის საკმარისი პროდუქცია, რომელთა სარგებლობა-შია სულ – 273 ჰა სავარგული.

2. 442 საოჯახო მეურნეობას (5.8%) შესაძლებლობა აქვს მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციიდან მოახდინოს საკუთარი საჭიროებისათვის წარმოებულზე ნამეტი პროდუქციის რეალიზაცია, რომელთა სარგებლობაშია სულ – 77 ჰა სახნავი.

3. 170 საოჯახო მეურნეობას (2,2%) შესაძლებლობა აქვს აწარმოოს მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქცია რეალიზაციის მიზნით, რომელთა სარგებლობაშია სულ – 83 ჰა სახნავი.

როგორც ანალიზით დგინდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ხულო და შუახევი) მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის წარმოება უმნიშვნელოა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნარგაობები ამავე მუნიციპალიტეტებში სულ 7 600-ზე მეტ საოჯახო მეურნეობას გააჩნია, მრავალწლიანი ნარგაობებით დაკავებული ფართობები ჯამში მხოლოდ 433 ჰა-ს შეადგენს. ამასთან საყურადღებოა, რომ ამ მუნიციპალიტეტებში აღნიშნული პროდუქცია რეალიზაციის მიზნით, ერთეული შემთხვევის გარდა, ფაქტობრივად არ იწარმოება.

ქედის, ხელვაჩაურის, ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული სავარგულების ფარაგმენტაცია და მათი გადანაწილება საოჯახო მეურნეობებზე

აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული სავარგულების ფარაგმენტაცია და მათი გადანაწილება საოჯახო მეურნეობებზე წარმოდგენილია ცხრილი 4-ის სახით:

საოჯახო მეურნეობების გადანაწილება ჯგუფების შესაბამისად (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული სას.სამ.სავარგულების მიხედვით) ცხრილი 4

ჯგუფი	ფართობი	მეურნეობა/ფართობი	ქედა	ხელვაჩაური	ქობულეთი	ბათუმი	სულ
ჯგუფი I	0.01-0.26	მეურნეობა	2187	2081	1198	2033	7499
		ფართობი ჰა	141	152	77	133	503
ჯგუფი II	0.26-0.51	მეურნეობა	1231	7383	4537	3013	16164
		ფართობი ჰა	234	1539	957	595	3325
	0.51-1.0	მეურნეობა	764	4827	8501	1293	15385
		ფართობი ჰა	279	1746	3366	446	5737
	1.0 +	მეურნეობა	1884	1175	4181	197	7437
		ფართობი ჰა	131	779	13052	131	4093
ჯგუფი IV	0.01 +	მეურნეობა	13	25	499	2	539
		ფართობი ჰა	21	29	21,45693	3	747
სულ	0.01 +	მეურნეობა	6079	15491	18916	6538	47024
		ფართობი ჰა	806	4246	8045	1308	14405

მონაცემების დამუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „მცირემზინიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობა“ – ფარგლებში ფორმირებულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

ცხრილის მონაცემებით, ქედის, ხელვაჩაურის, ბათუმისა და ქობულეთის მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული 14405 ჰა სავარგულით სარგებლობს სულ 47024 საოჯახო მეურნეობა, მათ შორის:

1. 7499 საოჯახო მეურნეობას (16%) შესაძლებლობა აქვს მრავალწლიანი კულტურების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი საჭიროებისათვის საკმარისი პროდუქცია, რომელთა სარგებლობაშია, სულ – 503 ჰა მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული სავარგული;


2. 16164 საოჯახო მეურნეობას (34%) შესაძლებლობა აქვს მრავალწლიანი კულტურების პროდუქციიდან მოახდინოს საკუთარი საჭიროებისათვის წარმოებულზე ნამეტი პროდუქციის რეალიზაცია, რომელთა სარგებლობაშია, სულ – 3325 ჰა;

3. 23361 საოჯახო მეურნეობას (50%) შესაძლებლობა აქვს აწარმოოს მრავალწლიანი კულტურების პროდუქცია რეალიზაციის მიზნით, რომელთა სარგებლობაშია, სულ – 10577 ჰა.

როგორც ანალიზით დგინდება, ქედის და დაბალი ზონის ხელვაჩაურის, ბათუმის, ქობულეთის მუნიციპალიტეტებში მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოება დასაქმებულთა ძირითადი საქმიანობაა როგორც საკუთარი მოხმარებისთვის, ასევე პროდუქციის რეალიზაციის მიზნით.

თვითკმარი, პოტენციურად კომერციული და კომერციული შესაძლებლობების საოჯახო მეურნეობები აჭარაში სულ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით მოსარგებლე საოჯახო მეურნეობების დიფერენცირება თვითკმარი, კომერციალიზაციის პოტენციური და კომერციული შესაძლებლობების მიხედვით, წარმოდგენილია გრაფიკში:



სულ რეგიონში როგორც ერთნლიანი, ასევე მრავალნლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის წარმოების მიმართულებით 85 893 საოჯახო მეურნეობაა თვითკმარი, კომერციალიზაციის პოტენციური და კომერციული შესაძლებლობების მიხედვით, რომელთა სარგებლობაშია 23 244 ჰა სახნავი და მრავალნლიანი ნარგავების სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მეურნეობები ჯგუფდება შემდეგი მაჩვენებლებით:

1. 32 272 საოჯახო მეურნეობას (37,6%) შესაძლებლობა აქვს აწარმოოს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის საკმარისი პროდუქცია, რომელთა სარგებლობაშია სულ – 3 312 (14,2%) ჰა;

2. 27 408 საოჯახო მეურნეობას (31,9%) შესაძლებლობა აქვს მოახდინოს საკუთარი საჭიროებისათვის წარმოებულზე ნამეტი პროდუქციის რეალიზაცია, რომელთა სარგებლობაშია სულ – 7345 (31,6 %) ჰა;

3. 26 213 საოჯახო მეურნეობას (30,5%) შესაძლებლობა აქვს მეურნეობა განავითაროს პროდუქციის რეალიზაციის მიზნით, რომელთა სარგებლობაშია სულ – 12 587 ჰა(54,2%) ჰა.

დასკვნა

როგორც წინამდებარე ანალიზი ცხადყოფს:

1. რეგიონში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფრაგმენტაციის მაღალი დონე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობასა და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანობაზე;

2. დაუმუშავებელი და დაქუცმაცებული მიწების, შესაბამისად – გამოუყენებელი ან არაეფექტიანად გამოყენებული რესურსების საკითხს, სამწუხაროდ, საკმარისი ყურადღება არ ეთმობა;

3. რეგისტრაციის გარეშე მიწათსარგებლობა, სარგებლობაში არსებული სავარგულების საკმაოდაა გაურკვეველი საკუთრების უფლება, რაც აფერხებს მიწის ბაზრის განვითარებას და კონსოლიდაციას.

4. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალურ გამოყენებასა კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე ალტერნატიული კულტურების დანერგვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რაც ბუნებრივი რესურსების, წარმოების საშუალებების, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნა – მიწოდებისა და ცალკეული კულტურის პროდუქციის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის სათანადო შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე უნდა იქნეს რეკომენდებული ფერმერებისა და აგრომენარმეებისათვის.

ლიტერატურა:

- სილაგაძე ა., პაპავა ვ. (2019) ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის “Gross Domestic Product”- ის ქართული სახელწოდების შესახებ || „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. XII, №2. გვ.180-181.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური „მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2018. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp> (ბოლო ნახვა 07.12.2019)
- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო <http://www.fao.org/3/aq673ka/aq673ka.pdf> (გვ.12) (ბოლო ნახვა 07.12. 2019)
- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო <http://www.fao.org/3/aq673ka/aq673ka.pdf> (გვ.15) (ბოლო ნახვა 07.12. 2019);
- სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსოლიდაციის სახელმწიფო სტრატეგიის აუცილებლობის შესახებ <http://eugeorgia.info/ka/article/632/sasoflo-sameurneo-miwebis-konsolidaciis--saxelmwifo-strategiis-aucileblobis-shesaxeb/>(**ბოლო ნახვა 07.12. 2019)**

References

- Papava V., Silagadze A. (2019). erti sakvanzo ekonomikuri terminis – „Gros Domestic Product“-is qartuli saxelwodebis shesaxeb [About One Economic Term – „Gros Domestic Product,,]. “Ekonomika da Biznesi” vol. XI, #2, pp. 180-181. (in Georgian.)
- Saqartvelos statistikis erovnuli samsaxuri “mtliani shida produqtis dargobrivi struqtura, 2018. [National Statistics Office of Georgia – Structure of Gross Output, 2018. <https://www.geostat.ge/en/modules/categories/23/gross-domestic-product-gdp>
- Soplis meurneobisa da soplis ganvitarebis seqtorebis shefaseba agmosavleti partniorobis qveynebshi Saqartvelo [Agriculture and Rural Development Sector Evaluation in Eastern Partnership countries, Georgia <http://www.fao.org/3/aq673ka/aq673ka.pdf> (გვ.12) (last viewed 07.12. 2019)
- Agriculture and Rural Development Sector Evaluation East in Partnership countries Georgia <http://www.fao.org/3/aq673ka/aq673ka.pdf> (გვ.15) (last viewed 07.12. 2019)
- On the Need for a State Strategy for the Consolidation of Agricultural Land <http://eugeorgia.info/ka/article/632/sasoflo-sameurneo-miwebis-konsolidaciis--saxelmwifo-strategiis-aucileblobis-shesaxeb/> (last viewed 14 .10. 2019

Family Farms and their Development Prospects in Adjara

Zaur Putkaradze

Associate Professor Batumi

State Maritime Academy

z.futkaradze@bsma.edu.ge

Jambul Abuladze

Doctoral Student Kutaisi University

jambulabuladze1@gmail.com

In the article, redistribution of arable land and perennial planting plots among households of Adjara Autonomous Republic is discussed. Also, based on data analysis, potential of primarily agricultural production in the condition of land scarcity and high level of land fragmentation is considered. In particular, based on database of Agriculture and Rural Development Agency's program "To promote spring work 2016 of small farmers", in Autonomous Republic of Adjara, 31 202 households own 8 406 ha arable land (average 0.27 ha per household). At the same time 54 701 households own 14 839 ha perennial plantings (average 0.27 ha per household). Accordingly, small households (with exception of citrus plantations and relatively big household farms) face the situation when they are not in the position to market their agricultural produce because of small volume of production, low level of competitiveness and lack of logistical support.

According to arable land ownership households are differentiated: a) from annual crop farming 31 202 households only 2 682 (8.4%) have chance to be oriented on marketing of their produce; while, 10 802 households (34.6%) could be oriented on sale of surplus produce; b) from 54 701 perennial crop farming households, 23 531 (43%) have capacity to market their produce, while 16 606 households (30.4%) to sell surplus produce;

Optimization of household farming is depended on arable land reform (privatization) conclusion, which provides opportunity for land market development.

Household farming development perspectives are depended on introduction: of modern farming technologies; production standards; distribution of high yielding annual and perennial crops; access and availability of agricultural machinery and finances. Those are factors determining development perspectives of household farming development. At the same time, it should be noted that households themselves are not in position to solve above mentioned problems, therefore result oriented technical and financial assistance from the Government and Donor organizations is required. Such assistance will improve socio economic situation of households and population in general.

Keywords: Land fragmentation, household farming, perennial plantings, one-year plantings.

JEL Codes: D10, D13, H31

Key Aspects of Green Economy and Its Development Prospects in Georgia*

Tsotne Iashvili

Doctoral Student Tbilisi State University

tsotneiashvili@yahoo.com

For the last several decades, the issues of Green Economy have been receiving a lot of attention and more and more countries are trying to make it one of the main strategies for their development. It should be mentioned that, Green Economy does not necessarily mean only environmental protection issues or an attempt to do less harm to the environment. The Green Economy is one of the means of economic growth, and it has a great impact on macroeconomic indicators. There are spheres where it is most effective and spheres where it is not advisable to use it. The article will discuss the prospects for Green Economy in Georgia and consider its macroeconomic impacts, outlooks and potential challenges along the way.

Keywords: *Green economy, green growth, macroeconomy, green economy in Georgia.* **JEL Codes:** O13, Q52, Q56, Q58

Introduction

Intense discussions on Green Economy has begun in the early 90's. Since then, more and more countries try to make it a top priority and a goal. Georgia is among the countries which has declared the Green Economy as a key direction of development and reflected it in the relevant documents. Many international organizations and unions are increasingly focusing on the issues of Green Economy and emphasizing its importance. For instance, the European Union. The Government of Georgia has declared about the priority of Green Economy 1 year ago. (2018) and made an official statement in the "Basic Data and Directions Document for 2019-2022". [20] In addition, the Association Agreement between the European Union and Georgia obliges the latter to develop environmental issues and to create conditions for the development of Green Economy, which respectively will become one of the key pillars of the country's sustainable development.

In the framework of this study there will be an attempt to analyze the essence and concept of Green Economy, theoretical, practical and macroeconomic aspects of its formation. Also, identifying the positive and negative aspects of Green Economy formation in Georgia and formulate relevant recommendations. To accomplish the goals set out in the article, the following aspects need to be analyzed:

* This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [PHDF-18-1264. Impact of Inequality on Economic Growth. Case of Georgia.

- Assessment and analysis of the Green Economy concept;
- Analysis of theoretical and practical issues of Green Economy formation;
- To analyze the impact of Green Economy on economic development;
- Review of macroeconomic aspects of Green Economy;
- Prospects for Green Economy in Georgia and the main challenges for its formation.

The Concept and Historical Aspects of Green Economy

It could be considered that the first indirect thoughts about the concept of Green Economy were as back as the 1970s. The latter was facilitated by the report – Limits to Growth – by famous Club of Roma. [3] Where it was discussed the slowdown of exponential growth, whereas it required huge resources. Club of Roma divided these resources into 2 parts. Physical (food, energy carriers, water and etc.) and Social Needs. In the latter they refer to social stability, education and etc. [3, pp. 43-46.] Since then, high attention has been paid to this issue. “Green Parties” were forming. Talking about the Green Economy as one of the social sciences and, generally, as one of the directions of economics has been going since the 1990s, particularly since 1992, when the United Nations Environmental Program (UNEP) conference was held. Later on, the concept of Green Economy has further developed and was added the concept of “Green Growth”, which largely describes the concept of itself Green Economy and economic growth based on it. Nowadays, two basic definitions have been formulated that clearly illustrates the concept of Green Economy. The first definition offered by UN Environment Program is as follows: “*Green Economy can be defined as an economy that results in improved human well-being and reduced inequalities over the long term, while not exposing future generations to significant environmental risks and ecological scarcities*” [14] According to the second definition: “*Green Growth means fostering economic growth and development, while ensuring that natural assets continue to provide the resources and environmental service on which our well-being relies*” [12]

Over time, the focus on Green Economy has increased. In 2009 UN announced Global Green New Deal (GGND). The aim of GGND was to reduce carbon dioxide dependence and ecosystem degradation worldwide. Besides, in 2012, in the frames of Rio+20 the countries agreed to develop concepts of Green Economy. [18]

Despite the fact that attention towards the Green Economy is growing, in terms of scientific literature there are no broad materials yet. For instance, up to 30% of research articles discuss Green Economy from the environmental standpoint. On the second place there are articles discussing issues of practical implementation of Green Economy. The latter accounts for 20%. Only 15% of articles are devoted the economic aspects of Green Economy as well as economic growth and sustainable development. On the 4th place Green Economy is analyzed from the state and institutional point of view, which represents 12% of the scientific literature on this topic. [5]

On the concept of Green Economy, it should be mentioned that is does not fully mean less harm to the environment or sustainable use of resources. Green Economy is also one of

the means of economic growth. But it requires significant initiatives and investments from both government and private sector. It is desirable that the whole burden of Green Economy formation process is not placed on households and customers who purchase, for example, “Green products or services” Green Economy requires the simultaneous involvement of all three economic entities in the process of formation, as a separate public or private sector will not be able to implement it unless the population understands the principles and concept of Green Economy. It should be also noted that the role of international organizations in shaping the Green Economy is significant. Green Economy is the cause of structural changes in the economy. Consequently, it has a significant impact on country’s macroeconomic performance, both in the short and long term.

Theoretical and Practical Aspects of Green Economy Formation

It is important to note, that Green Economy has the key areas and spheres of activities and sectors of economy where it is most effective. According to experts, the following sectors will be identified: [6]

- Renewable Energy;
- Green Buildings;
- Clean Transport;
- Water Management;
- Waste Management;
- Soil Management.

In order for Green Economy to be efficient and reach its objectives, it is important to meet the following principles:

1. The principle of sustainable development;
2. The principle of justice;
3. The principle of dignity;
4. The principle of security;
5. The principle of engagement;
6. Governing principle;
7. The principle of elasticity;
8. The principle of efficiency;
9. The principle for future generations. [24]

It is interesting to discuss one principle here. According to the 3rd principle, Green Economy helps in elimination of poverty, creates positive social effects, creates new jobs and transforms existing ones into Green Jobs.

Speaking about overcoming poverty using Green Economy principles, it is important to point out one circumstance. Generally, poor people live in the disadvantaged and poor environment, because they cannot afford to pay respective price for a better conditions and environment. [11] However, there is another side to the formation of Green Economy – Poor

people generally think less about preserving and taking care of environment. Therefore, when there is an opinion that Green Economy has the power to reduce poverty, government involvement in this case is needed to make the transformation process to Green Economy less painful. It should also be noted that as the net income of poor increases, so does their demand. However, whether this will have a positive impact on the environment or whether this process can reduce the environmental damage is not specified. In this respect, there is also an opinion on Kuznets' reversed U-curve: The damage to the environment initially increases, the lower net income of population is. Then, as the per capita income increases, the damage to the environment is reduced. However, there is a little empirical evidence to support the latter. [11, pp. 498-501]. Also, as mentioned above, income growth is usually reflected in higher demand.

In general, when it comes to Green Economy and environment, it is also important to consider how the environment and/or environmental damage affects net national income:

$$NNI = GNI - D_m - D_n, (1)$$

Whereas, **NNI** represents Net National Income;

GNI is Gross National Income;

D_m is depreciation of derivative capital assets;

D_n is depreciation of environmental capital.

Adding to (1) **R** and **A**, where **R** is environment recovery costs (e.g. in fisheries or forestry and etc.) while, **A** – costs that are aimed of avoiding environmental damage (e.g. preventive costs). For instance, funds for the prevention of air, water and soil pollution and etc. Then the equation will have the following look:

$$NNI = GNI - D_m - D_n - R - A (2)$$

Green Economy is associated with high expenditures. These expenditures are incurred by both the public and private sector, as well as the population. It is also interesting to note that the economic policy alone cannot guarantee the development of Green Economy. The involvement of population in this process is significant and its role cannot be expressed solely in improving economic performance (e.g. income growth) More efficient engagement of household is needed. A good example of this is waste management/separation, which can be managed most effectively and efficiently with the full involvement of population. In this case any kind of sanctions or fines would be less efficient.

However, worth to mention, that economic theory is well aware of practice of imposing taxes and sanctions on the environment damage, to mitigate its negative externalities. For example, the Pigouvian Taxes. [17] The purpose of this type of taxation is to reduce the impact of externalities, since the economic activity implies that, at least some minor damage environment will have. The second way is to obtain permissions on environment pollution. However, in both cases, the results in economic and environmental terms are almost identical.

There are other approached towards the above-mentioned: Regulation may turn out

better solutions than any other direct taxation. In this sense, regulations may, on contrary, facilitate the development of technologies. [10] According to Porter, environmental regulations can lead to both technology encouragement and the development of entrepreneurial innovations. In particular, entrepreneurs may be encouraged to develop and obtain new technologies or to run their business within existing technologies but using innovative methods. The latter not only protects the environment, but also stimulates economic growth and development.

Macroeconomic Aspects of Green Economy

It is important that, before the country announces Green Economy policy, to analyze its role and impact on the economy. In general, scientists e.g. [8, pp. 6-10] consider that there are several macroeconomic levels that need to be addressed when talking about the Green Economy:

- The first is to address issues of inter-generational agreement over how the overall well-being will be disturbed or utilized. The impact of decisions made on the well-being of future generations should be considered in the current period;
- The second is to study and consider the impact that environmental degradation has on aggregate supply, while environmental protection measures-on both aggregate supply and aggregate demand;
- The third issues concern economic growth, which is also related to Green Growth.

The reason for the economic growth is often and largely due to structural changes in the economy. Therefore, since the Green Economy itself involves a significant change in the structure of the economy, its factors must also be considered. Scholars: [8], [1] believe that the Green Economy should be viewed in the light of structural changes in the economy as the technological revolution or even the industrial revolution.

- The fourth and final level is how to fund global initiatives.

The formation of Green Economy is linked with investments. Otherwise, those economic spheres that are involved in the formation of Green Economy and do not make appropriate investments, in some cases in technologies, in some cases in human resources, will not be able to keep up with structural changes in the economy and may even stop economic activities.

Investing in the Green Economy (which is unavoidable if the country wants to develop Green Economy) in the first few years leads to decreasing the potential economic growth. However, in the long run it has a positive effect, for instance, on employment and also reduces environmental risks. Therefore, has a positive effect on reducing the costs connected with elimination of those risks.

Therefore, it is very important for the countries such as Georgia to consider the impact of above-mentioned factors. A good example of this might be the Georgian Government's decision that the Administrative Code of Georgia has banned to manufacture, sale and import of plastic and non-biodegradable bags since the April 11 of 2019. Appropriate fines

were imposed. [22] As the result, 50 plastic and non-biodegradable bag factories were closed forever, or temporarily unless the technological rearmament takes place. Consequently, the employed labor force remained unemployed. [16]

Current situation on the market is as follows: Despite the fact that the ban has been in place since April 11, 2019, plastic and non-biodegradable bags are still being sold on the market. New biodegradable bags have not been yet fully introduced into the Georgian market. Thus, in the process of Green Economy formation, the legislative framework and the administrative tools for its enforcement are very important. Which should ensure the introduction of basic regulations and the enforcement of relevant laws, in case of non-compliance. In this case, so far, it seems that this law is not being implemented efficiently, which can be considered as a significant weakness of the transformation to Green Economy. Consequently, in Georgia, we have concluded that a number of factories have been stopped and number of unemployed persons has increased. When it comes to product prices. New biodegradable bags will be 1.5-2 times more expensive than existing ones. Factories that want to stay on the market will have to rearmament and to invest in technologies.

Consequently, it is important to focus on the impact that the process of Green Economy formation has on employment.

Green Economy can create new jobs – Green Jobs – in sector of the economy such as:

- Renewable Energy;
- Construction;
- Transport;
- Agriculture.

However, there is, of course, a second opinion that the Green Economy will lead to the abolition of existing jobs and if there are no respective investments then it will lead to structural unemployment. As the Green Economy requires more efficient and up-to-date technologies and does not imply only rational use of resources, modern technologies without the respective knowledge and education will lead to job losses or it will be occupied by more highly skilled workforce that may come from abroad due to technology transformation and diffusion. During the formation of Green Economy, in *ceteris paribus*, marginal cost for companies' increases, as well as decreases sales, which in turn results in a lower number of employees. [2] But it should be mentioned that, even within the Green Economy framework there are still place for jobs such as, for example, marketing managers, sales managers, human resources specialist and etc.

It should be noted that the Green Economy will create new jobs in sectors of economy such as:

- Electric Vehicle Manufacturing – Software Engineers, Electrical Engineers, etc.;
- Wind and Solar energy sector – Environmental Engineers, Industrial Product

Managers, etc.

That is why it is important to invest not only in technologies but also in education in order to train relevant workers and specialists.

The table below [13] shows possible effects of Green Economy on employment, both positive and negative ones, also duration of works, its stability, sustainability and etc.

The Impact of Green Economy on Employment

Table N 1

Type of Impact	Observation
Positive and negative employment effects:	<ul style="list-style-type: none"> Green Economy can create new and remain already existing jobs; On the other hand, environmental protection regulation can have a negative impact (e.g.: raising the costs, decreasing the demand or making the company less competitive).
Creating new jobs and remaining the existing ones:	<ul style="list-style-type: none"> More new Green Jobs more likely to be created as new technologies and industries emerge and develop. (e.g.: Wind and Solar turbines, biofuels and etc.) Existing firms can become “Green”, thereby maintaining existing jobs, or transforming existing ones in line with Green Economy. By doing so, they will avoid possible job losses. (companies can change job methods or provide trainings).
Direct and Indirect employment effects:	<ul style="list-style-type: none"> New jobs are created in line with the increased demand and output, which is generated by the increased environmental protection costs. The effects of indirect employment are associated with increased demand for intermediate products as well as service.
Fixed- term and permanent jobs:	<ul style="list-style-type: none"> Installation jobs (for example, solar panel, or wind turbines) are usually fixed-term. As well as the types of jobs that are supported by any program or specific economic policy. Industrial and technical types of jobs are more permanent and long-term type.

Source: OECD, 2004 [13]

As the Table shows, Green Economy can really create new jobs as well as maintain existing ones. However, the latter needs extra efforts in the short-run. In particular, this involves investments. Also, important is the fact that companies will have to consider both increased competition and strict regulations. However, it is important to consider the role of the government. The government should have clearly defined position towards this issue. It should facilitate the transformation process on Green Economy. The latter may be expressed in both the introduction of benefits and the development of special programs.

Green Economy Formation and Key Challenges in Georgia

Green Economy in Georgia has no long history. About the direction of Green Economy and its formation was announced just over a year ago. However, Green Economy has become one of the top priorities for the country’s development and has also incorporated into the country’s “Basic Data and Directions Document for 2019-2022”. According to BDD, one of the priorities for the country has become not only Green Economy, but also

Green Growth. [20] The Government of Georgia aims to promote the development of Green Economy and encourage Green Growth. The document also says that Green Economy helps reduce business costs over long term. But, it is not mentioned about the costs involved in transforming to Green Economy in short-term. However, should be noted that the document also states that the government will support and encourage specific initiatives. For example, the production of eco food.

In General, it should be emphasized that Green Economy cannot create new vast number of jobs in agriculture. But it can help maintaining long-term jobs.

The document also mentions the Ecotourism and Renewable Energy. Also, introduction of resource saving technologies, etc. One of the tools mentioned to facilitates all the above-mentioned is – Start-Ups. Its establishment and popularization.

In addition, the creation of conducive conditions to Green Economy in Georgia is provided by number of documents. For instance, Social-Economic Development Strategy of Georgia: “Georgia 2020”. [19] Besides, Article N 301 Of the Association Agreement between the European Union and Georgia.

The United Nation Environment Program (UNEP) and other international institutions have studied those sectors of economy that have greatest potential to become part of Green Economy and create stable Green Jobs [15].

Sectors with Green Jobs Potential

Table 2

Sector	Green Economy Potential	Green (long-term) job potential
Energy	Very Good	Very Good
Industry	Good	Good
Transport	Good	Good
Construction	Very Good	Very Good
Agriculture	Very Good	Very Good
Forestry	Good	Good

Source: UNEP/ILO/IOE/ITUC, 2008 [15]

It should be noted that, sub-sectors in some above-mentioned sectors do not have a potential to create Green Jobs or engage in the Green Economy at all. For instance, such as the cement manufacturing in industry sector. Also, the chances of aviation in transport to fall within the Green Economy are low in the nearest future.

To assess Green Economy in the country one can use the Global Green Economy Index (GGEI). GGEI evaluates existing and potential Green Economy in several countries. The index measures the efficiency of Green Economy in 130 countries. Both quantitative and qualitative indicators are used to calculate it. [9]


The index is significant not only for assessing country's Green Economy performance or potential but, also for attracting investors.

Calculation of the index has begun in 2010 and since 2018 there has been a record for Georgia as well. According to index, out of 130 countries Georgia is ranked 45th and account for 0.5183. Which is an average. The top three countries are Sweden, Switzerland and Iceland with 0.7608, 0.7594 and 0.7129 respectively. The last place is taken by Bahrain (0.3304).

According to the index, Georgia ranks 23rd out of 40 countries in Europe. While Georgia is the best performer among the Eastern European Partnership countries.

Global Green Economy Index in EaP

Diagram 1



Source: by Author based on GGEI data. [9]


As mentioned above, there are sectors of economy where the outlook of Green Economy is quite high. Therefore, it is important that in the country where Green Economy is set up, consider sectors where the latter is particularly well-functioning and these sectors play a decent role in the country's economy and employment.

For these purposes, it will be interesting to review Georgia's gross output picture in terms of Green Economy perspective. Gross output of Georgia's economy as of 2018 in percentages is as follows: [23]

Georgia’s Total Output Structure as of 2018, %

Diagram 2

Structure of Gross Output 2018*, %




Analyzing Georgia’s gross output by sectors and considering other factors, it would be optimal to start to implement Green Economy from the agricultural sector, as its share in the economy is currently quite low, while in terms of employment (self-employment) is one of the biggest. Also, agribusiness output has been declining since 2014 (see diagram N 3)

Share Agribusiness Gross Output in Country’s Gross output, %

Diagram 3

აგრობიზნესის მთლიანი გამოშვების წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში, %



Source: Geostat.ge [23]

If the agricultural sector starts to form a Green Economy, then country will not only achieve sustainable development in agriculture and agribusiness but also create long-term Green Jobs in this sector. In addition, the formation of Green Economy in agriculture will also promote the growth of ecotourism and agritourism. Given the fact that tourism is one of the fastest growing sectors in Georgia and also one of the key priorities. Thus, implementation of Green Economy principles in the agricultural sector will be the most efficient and also the fastest. It will have less negative social impact.

As for the other sectors, implementation of Green Economy principles in construction sector is not advisable at the given stage. As construction it is a very dynamic sector that is developing rapidly. However, this sector also faces challenges. In particular, new economic policies and regulations against the excessive debt have made it increasingly difficult to obtain various types of loans, including mortgages. Consequently, there are quite a number of new regulations in this sector and implementation of Green Economy policies in the construction sector, will inevitably lead to increased business costs in the short-run. In turn it will lead in a rise of their product or service price. All of this will not have a positive impact on the development of this sector. As for the industry, which is ranked number one in Georgia's gross output, it is likely to be very painful to apply the principle of Green Economy. Not only economically but socially wise as well. Even the developed countries, despite the considerable efforts, still fail to achieve great success in implementing Green Economy regulations.* It is therefore, important that the transition to Green Economy begins from the agricultural sector in Georgia.

Conclusions and Recommendations

Green Economy is not only about sustainable and rational use of resources; it is much more than environment protection. Green Economy is complex and related to the macroeconomic aspects of economy, such as, for instance, employment. Green Economy is a complex phenomenon and is linked to the structural changes in economy.

It is important to consider the following recommendations when implementing Green economy in Georgia:

- Establishment of broad legislative framework that will have efficient administrative enforcement tools;
- When forming Green Economy, the economic sector should be selected on the basis of number of principles: For example, sector's employment opportunities within Green Economy, potential to participate in Green Economy, as well as, costs and impact on both short and long-term macroeconomic indicators;
- In the process of transition to Green Economy, it is important to consider the fact that government, private sector and households must act together in its formation;
- The government should bear in mind that Green Economy requires a large amount

* E.g. Germany has postponed its decision to reduce Greenhouse gas emission since it is not expected to be implemented by 2020. Source: www.commersant.ge

of investments and often this process will be long-term. Therefore, it must consider the short-term social and economic effects that accompany the transformation process;

- It is desirable if the government is involved in the process of improving the GGEI. Also, improving other related indexes;
- The government should do its utmost to facilitate the distribution and maximum availability of investments flow related technologies;
- Dissemination of technology-related knowledge and training of relevant personnel is required.

Given the above considerations in relation to those sectors of the economy that have the highest potential of Green Economy, then it can be said that Georgia, generally, has a good potential to make Green Economy one of the key areas of development. This is evidenced even by the index of GGEI. Calculating the index for Georgia started in 2018 and in the first year Georgia took a decent place. One of the main reasons for this probably is the great potential country's environment has to offer to Green Economy, in general.

It is important that the country views the transformation strategy and goal of Green Economy as a primarily economic event. Any decision in the process must be taken in accordance with this principle. If the country deliberately and step by step makes complex changes in this direction, then Green Economy can indeed become the cornerstone of sustainable development.

ლიტერატურა:

- მენქიუ გრ. (2000). ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, „დიოგენე“.
- თოლორდავა ჟ. (2017). მწვანე ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3.
- საქართველოს მთავრობა. „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2019-2022 წლებისთვის“.
- Cosby, „Trade, sustainable development and a green economy: Benefits, challenges and risks,“ Second Preparatory Committee Meeting for United Nations Conference on Sustainable Development, p. 40, 2017.
- C. Ö. Sevilay ATLAMA, „The Possible Effects of Green Economy on Employment,“ EconAnadolu 2011: Anadolu International Conference in Economics II, pp. 3-6, 2011.
- D. L. M. J. R. W. W. B. I. Donella H. Meadows, THE LIMITS TO GROWTH, New York: Universe Books, 1972.
- G. P. f. E. a. Growth, 20 January 2018. [Online]. Available:
- Eleonore Loiseau, „Green Economy and related concepts: an overview,“ Journal of Cleaner Production, pp. 3-4, 2016.
- J. A. Ocampo, „The macroeconomics of the green economy,“ Second Preparatory Committee Meeting for United Nations Conference on Sustainable Development, pp. 16-36, 2017.
- J. A. Ocampo, „The Transition to a Green Economy: Benefits, Challenges and Risks from a Sustainable Development Perspective,“ Second Preparatory Committee Meeting for United Nations Conference on Sustainable Development , pp. 6-7, 2017.

- 9. J. Tamanini, „Measuring National Performance in the Green Economy; 5th Edition,, DUAL CITIZEN LLC, New York, 2016.
- 10. M. E. Porter, „Green and Competitive: Ending the Stalemate,, Harvard Business Review, 1995.
- 11. M. Todaro and S. Smith, „Economic Development 11th Edition,, in Economic Development 11th Edition, Boston, Pearsons Ltd, 2010, pp. 495-501.
- 12. OECD, „Towards Green Growth,, Towards Green Growth, p. 9, 2011.
- 13. OECD, ENVIRONMENT AND EMPLOYMENT: AN ASSESSMENT, Paris: OECD, 2004.
- 14. UNEP, „Green Economy Reports: A Preview,, United Nations Environment Program, 2010.
- 15. UNEP/ILO/IOE/ITUC, „Green Jobs: Towards Decent Work in a Sustainable, Low-Carbon World,, 2008.
- <http://www.info9.ge/ekonomika/206478-saqarthveloshi-50-mde-satsarmo-ikhureba-asobithadamiani-umushevari-rcheba.html?lang=ka-GE>
- K. Krialashvili, 10 May 2019. [Online]. Available: <https://www.slideshare.net/ketikrialashvili/ss-78196550>
- http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf.
- http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=491&info_id=67211&lang_id=GEO
- www.matsne.gov.ge, 04 May 2019. [Online]. Available: <https://matsne.gov.ge/document/view/28216>
- Geostat, 12 May 2019. [Online]. Available: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>
- <http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf>
- http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf

References:

- Cosby, „Trade, sustainable development and a green economy: Benefits, challenges and risks,, *Second Preparatory Committee Meeting for United Nations Conference on Sustainable Development*, p. 40, 2017.
- C. Ö. Sevilay ATLAMA, „The Possible Effects of Green Economy on Employment,, *EconAnadolu 2011: Anadolu International Conference in Economics II*, pp. 3-6, 2011.
- D. L. M. J. R. W. W. B. I. Donella H. Meadows, THE LIMITS TO GROWTH, New York: Universe Books, 1972.
- G. P. f. E. a. Growth, 20 January 2018. [Online]. Available: <http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf>.
- Eleonore Loiseau, „Green Economy and related concepts: an overview,, *Journal of Cleaner Production*, pp. 3-4, 2016.
- GreenAlt, 10 May 2019. [Online]. Available: http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf.
- J. A. Ocampo, „The macroeconomics of the green economy,, *Second Preparatory Committee Meeting for United Nations Conference on Sustainable Development*, pp. 16-36, 2017.

- J. A. Ocampo, „The Transition to a Green Economy: Benefits, Challenges and Risks from a Sustainable Development Perspective,, *Second Preparatory Committee Meeting for United Nations Conference on Sustainable Development* , pp. 6-7, 2017.
- J. Tamanini, „Measuring National Performance in the Green Economy; 5th Edition,, DUAL CITIZEN LLC, New York, 2016.
- M. E. Porter, „Green and Competitive: Ending the Stalemate,, *Harvard Business Review*, 1995.
- M. Todaro and S. Smith, „Economic Development 11th Edition,, in *Economic Development 11th Edition*, Boston, Pearsons Ltd, 2010, pp. 495-501.
- OECD, „Towards Green Growth,, *Towards Green Growth*, p. 9, 2011.
- OECD, ENVIRONMENT AND EMPLOYMENT: AN ASSESSMENT, Paris: OECD, 2004.
- UNEP, „Green Economy Reports: A Preview,, United Nations Environment Program, 2010.
- UNEP/ILO/IOE/ITUC, „Green Jobs: Towards Decent Work in a Sustainable, Low-Carbon World,, 2008.
- [www.info9.ge](http://www.info9.ge/ekonomika/206478-saqarthveloshi-50-mde-satsarmo-ikhureba-asobith-adamiani-umushevari-rcheba.html?lang=ka-GE), „www.info9.ge,, 04 May 2019. [Online]. Available: <http://www.info9.ge/ekonomika/206478-saqarthveloshi-50-mde-satsarmo-ikhureba-asobith-adamiani-umushevari-rcheba.html?lang=ka-GE>.
- G. Mankiw. *ekonomikis principebi*, Tbilisi: Diogene, 2000. (G.Mankiw, Principles of Economics, Tbilisi: Diogene, 2000 (in Georgian))
- J. Tolordava, „mtsvane ekonomikis zogierti sakitxi,, *`Ekonomika da Biznesi,,* p.3, 2017. [Some Issues of Green Economy,,] „*Economics and Business,,* p. 3, 2017 (in Georgian)
- Government of Georgia. Decree „e,, 14 June 2014. [Online]. Available: http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf. (in Georgian)
- Government of Georgia. „Kveynis Dziritadi Monacemebis da Mimartulebebis Dokumenti 2019-2022 wlebistvis,, „Basic Data and Directions Document for 2019-2022,, Tbilisi, 2019 (in Georgian).
- Government of Georgia, 7 May 2019. [Online]. Available: http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=491&info_id=67211&lang_id=GEO.
- [www.matsne.gov.ge](https://matsne.gov.ge), 04 May 2019. [Online]. Available: <https://matsne.gov.ge/document/view/28216>.
- Geostat, 12 May 2019. [Online]. Available: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>.
- K. Krialashvili, 10 May 2019. [Online]. Available: <https://www.slideshare.net/ketikrialashvili/ss-78196550>.

მწვანე ეკონომიკის ძირითადი ასპექტები და მისი განვითარების პარასპექტივები საქართველოში

ცოტნე იაშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
tsotneiashvili@yahoo.com*

ბოლო რამდენიმე ათეული წელია მწვანე ეკონომიკის საკითხები უფრო დიდ ყურადღებას იპყრობს და სულ უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს ის აქციოს განვითარების მთავარ სტრატეგიად, მათ შორის არის საქართველოც.

მწვანე ეკონომიკაზე მსჯელობა XX ს. 90-იანი წლებიდან იწყება. შემდგომში მწვანე ეკონომიკის კონცეფცია უფრო განვითარდა და დაემატა „მწვანე ზრდის“ კონცეფცია, რაშიც იგულისხმება მწვანე ეკონომიკაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მწვანე ეკონომიკა, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებასთან ერთად, არის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი საშუალება, ასევე იწვევს სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში. ამიტომ საჭიროა მთავრობის და ბიზნესსექტორის ერთობლივი ჩართულობა და ინვესტიციების განხორციელება.

უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე ეკონომიკას აქვს თავისი მოქმედების სფეროები და ეკონომიკის სექტორები, სადაც ის ყველაზე ეფექტიანია. ექსპერტების აზრით, გამოიყოფა შემდეგი სექტორები: განახლებადი ენერჯია, მწვანე შენობები, სუფთა ტრანსპორტი, წყლის მართვა, ნარჩენების მართვა, მინის მართვა.

მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი გავლენას ახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სანამ ქვეყანა გამოაცხადებს მწვანე ეკონომიკის პოლიტიკას გაანალიზებულ იქნეს მისი როლი და გავლენა ეკონომიკაზე. ზოგადად, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მწვანე ეკონომიკაზე მსჯელობისას აუცილებელია რამდენიმე მაკროეკონომიკური დონის გამოყოფა:

- პირველი შეეხება თაობებს შორის ურთიერთშეთანხმების საკითხს იმაზე, თუ როგორ იქნება გადანაწილებული მთლიანი კეთილდღეობა;
- მეორე, იმ გავლენის შესწავლა და გათვალისწინებაა, რომლის მიხედვითაც გარემოს დეგრადაციას გავლენა აქვს ერთობლივ მიწოდებაზე, ხოლო გარემოსდაცვით ღონისძიებებს კი – როგორც მიწოდებაზე, ასევე ერთობლივ მოთხოვნაზე;
- მესამე საკითხი შეეხება ეკონომიკურ ზრდას, რაც ასევე დაკავშირებულია მწვანე ზრდასთან. ეკონომიკური ზრდის ფაქტორი ხშირად და მეტწილად არის სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში. არსებობს მოსაზრება, რომ

მწვანე ეკონომიკა, ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების ასპექტით, განხილული უნდა იყოს როგორც ტექნოლოგიური რევოლუცია ან/და თუნდაც ინდუსტრიული რევოლუცია;

- მეოთხე და საბოლოო დონე განეკუთვნება იმ საკითხს, თუ როგორ უნდა მოხდეს გლობალური ინიციატივების დაფინანსება.

მწვანე ეკონომიკის ფორმირება დაკავშირებულია ინვესტიციების განხორციელებასთან. სხვა შემთხვევაში, ეკონომიკის ის სტრუქტურები, რაც მოექცევა მწვანე ეკონომიკის ფორმირების სფეროში და არ განახორციელებენ შესაბამის ინვესტიციებს, რიგ შემთხვევაში ტექნოლოგიებში, რიგ შემთხვევაში – ადამიანურ რესურსებში, ვერ შეძლებენ ფეხი აუწყონ სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში და შესაძლოა შეწყვიტონ კიდევ ეკონომიკური საქმიანობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს დასაქმებაზე მწვანე ეკონომიკის გავლენაზე. მწვანე ეკონომიკას შეუძლია შექმნას ახალი „მწვანე“ სამუშაო ადგილები ეკონომიკის ისეთ სექტორებში, როგორიცაა: განახლებადი ენერჯია, მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა.


არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც მწვანე ეკონომიკა გამოიწვევს არსებული სამუშაო ადგილების გაუქმებას თუ არ განხორციელდება ინვესტიციები შესაბამისი მიმართულებით. მწვანე ეკონომიკის ფორმირების პროცესში, სხვა თანაბარ პირობებში, იზრდება კომპანიებისთვის ზღვრული დანახარჯები, ხოლო მცირდება გაყიდვა, რაც, აისახება დასაქმებულთა ნაკლებ რაოდენობაში. თუმცა, მწვანე ეკონომიკაშიც მოიძებნება ადგილი ისეთი ტიპის სამუშაოსთვის, რომელიც დღესაც არის სტანდარტულად ბაზარზე. მაგალითად, მარკეტინგი, გაყიდვების სპეციალისტები, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები და ა.შ.

რაც შეეხება საქართველოში მწვანე ეკონომიკას, მას არ აქვს დიდი ხნის ისტორია, თუმცა, მთავრობის შესაბამის დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ის ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის განვითარებას და მწვანე ზრდის ნახალისებას. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ მწვანე ეკონომიკა ხელს უწყობს გრძელვადიან პერიოდში ბიზნესის დანახარჯების შემცირებას, თუმცა, არაფერია ნათქვამი, თუ რა ხარჯებს მოითხოვს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა მოკლევადიან პერიოდში. მაგრამ, დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო ხელს შეუწყობს და ნახალისებს კონკრეტულ ინიციატივებს. მაგალითად, ეკოლოგიურად სუფთა საკვების წარმოებას, ასევე ეკო და აგროტურიზმის განვითარებას.

ზოგადად, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სოფლის მეურნეობაში მწვანე ეკონომიკა ვერ ქმნის ახალ დამატებით სამუშაო ადგილებს, თუმცა, მას შეუძლია სტაბილური გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შენარჩუნებას შეუწყოს ხელი. ზოგადი სიტუაცია დასაქმების მხრივ მწვანე ეკონომიკაში ასეთია:

სექტორი	მწვანე ეკონომიკის პოტენციალი	მწვანე (გრძელვადიანი) სამუშაო ადგილების პოტენციალი
ენერჯია	ძალიან კარგი	ძალიან კარგი
მრეწველობა	კარგი	კარგი
ტრანსპორტი	კარგი	კარგი
მშენებლობა	ძალიან კარგი	ძალიან კარგი
სოფლის მეურნეობა	ძალიან კარგი	ძალიან კარგი
მეტყვეობა	კარგი	კარგი

ქვეყანაში მწვანე ეკონომიკის მდგომარეობის და პოტენციალის შესაფასებლად სხვადასხვა ინდექსი გამოიყენება. მათ შორის გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი (GGEI), რომლის მიხედვით, საქართველო ევროპაში 39 ქვეყანას შორის 23-ე ადგილზეა, ხოლო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველოს მაჩვენებელი საუკეთესოა.



GGEI ინდექსზე დაყრდნობით, საქართველოს აქვს კარგი პოტენციალი გადავიდეს მწვანე ეკონომიკის პოლიტიკაზე. თუმცა, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს ეკონომიკის ის სექტორები, სადაც მოკლევადიან პერიოდში ყველაზე ნაკლები ეკონომიკური და სოციალური დანაკარგი ექნება აღნიშნულ პროცესზე გადასვლას, ასევე, დასაქმების მხრივ იქნება ყველაზე ეფექტიანი. აუცილებელია მწვანე ეკონომიკაზე ყურადღება გამახვილდეს უწინარეს როგორც ეკონომიკურ მოვლენაზე, რომელიც ინვესტს სტრუქტურულ ცვლილებებს და შემდგომში, როგორც გარემოს დაცვის ერთ-ერთ საშუალებაზე.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, მწვანე ზრდა, მაკროეკონომიკა, მწვანე ეკონომიკა საქართველოში.

როგორ მოქმედებს სხვაბის არჩევანი ინდივიდის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე (ექსპერიმენტული კვლევა)

ქუჩი ბიჭია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
q.bichia@iset.ge

ადამიანის კოგნიტური რესურსები შეზღუდულია, რის გამოც ისინი ავლენენ არა სრულად, არამედ მიოპიურად რაციონალურ ქცევას. ექსპერიმენტულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანები განუსაზღვრელობის პირობებში ხშირად ითვალისწინებენ ანალოგიურ სიტუაციაში სხვების არჩევანის შესახებ ინფორმაციას და მიმართავენ ჯგუფურ ქცევას. გარკვეულ შემთხვევებში შეინიშნება გადაწყვეტილების მიღების თვლის ევრისტიკის მეთოდი. ჯგუფური ქცევის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება მარტივი და იაფი იყოს და ინდივიდები ენდობოდნენ სხვების მიერ რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარს. ჯგუფური ქცევისკენ მიდრეკილება ინდივიდებში არ განსხვავდება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: გადაწყვეტილების მიღების თეორია, ჯგუფური ქცევა, ქცევითი ეკონომიკა, შეზღუდული რაციონალურობა.

შესავალი

ჯგუფური ქცევა გულისხმობს ინდივიდის მიერ სხვების ქცევის იმიტაციას, როცა ის რაიმე სახის ჯგუფში იმყოფება და სხვა წევრების არჩევანს ხედავს. ჯგუფური ქცევის გავლენა ხშირია სიტუაციებში, როდესაც ადამიანები ბუნდოვანი გადაწყვეტილების წინაშე დგანან. ამ დროს ისინი დამატებითი ინფორმაციის წყაროდ მსგავს სიტუაციაში სხვების ქმედებას იყენებენ და მსგავს ქმედებას იმეორებენ, ანუ ადამიანები აკეთებენ გარკვეულ არჩევანს მხოლოდ იმიტომ, რომ მის გარშემო სხვებმა გააკეთეს ეს არჩევანი. ამ შემთხვევაში, დაშვება, რომ წინამორბედებმა გააზრებული და ინფორმირებული არჩევანი გააკეთეს, მცდარი იქნება. შედეგად წარმოიშობა *ინფორმაციული ჩიხი*, რაც გულისხმობს ყველა მომდევნო გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ ერთნაირი არჩევანის გაკეთებას, მიუხედავად იმისა, საკუთარი ინფორმაცია კარნახობს

* მიოპიურად რაციონალური - მიოპია ბერძნული სიტყვაა და ახლომხედველობას ნიშნავს. სრულად რაციონალური ინდივიდისგან განსხვავებით, მიოპიურად რაციონალური ადამიანი თვლის, რომ სხვების არჩევანი ინფორმირებული იყო და ვერ ითვალისწინებს მათ მიერ შემთხვევითი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

ამას თუ ეწინააღმდეგება ასეთ გადაწყვეტილებას. აქედან ჩანს, რომ ჯგუფურ ქცევაზე დაყრდნობას შეუძლია საზოგადოების ცუდ შედეგამდე მიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად სასარგებლოა პრობლემის სწრაფად და მარტივად გადაჭრისთვის. ჯგუფური ქცევა საზოგადოებისათვის შეიძლება საუკეთესო შედეგი იყოს მაშინ, როცა იგი არჩევანის ვერსიების განხილვაში მონაწილეობს დიდი რაოდენობით ვარიანტების განხილვის პრობლემის გასამარტივებლად და დროის დასაზოგად, მაგრამ შერჩეულ მცირე რაოდენობის ვარიანტებს შორის არჩევანის გაკეთება ხდება ყველას მიერ დამოუკიდებლად.

ჯგუფური ქცევა შეიძლება იყოს ინფორმაციული ან ნორმატიული. ინფორმაციული ჯგუფური ქცევა ვლინდება იმ შემთხვევაში, როცა განუსაზღვრელობის არსებობის პირობებში სხვებზე დაკვირვება ხდება გარკვეული არჩევანის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად. ნორმატიული ჯგუფური ქცევის შემთხვევაში, გარკვეული ზენოლა ან მოლოდინი ინდივიდს აიძულებს ჯგუფის ქცევა გაიმეოროს. ეს ფენომენი ვლინდება მრავალ ეკონომიკურ და არამარტო ეკონომიკურ გადაწყვეტილებებში. ჯგუფური ქცევა მოქმედებს ადამიანების სამომხმარებლო არჩევანზე, ფასიანი ქალაქების ანალიტიკოსების, საერთო ფონდების მენეჯერების, საბანკო მომსახურების მომხმარებლების, ფირმების გაერთიანებების, სამუშაო ვაკანსიაზე აყვანის გადაწყვეტილებებზე, ეკონომიკურ პროგნოზებზე, გარკვეული სამედიცინო პროცედურების თუ მედიკამენტების ფართო გავრცელებასა და მრავალ სხვა სიტუაციაზე. ეს სიტუაციები მოიცავს გარეგან ეფექტებს, რაც ფიზიკურად არ ზემოქმედებს სხვებზე, მაგრამ ინფორმაციულ დონეზე გავლენას ახდენს სხვების გადაწყვეტილებებზე.

ჯგუფური ქცევის ექსპერიმენტები

ჯგუფური ქცევის მცირერიცხოვან ექსპერიმენტულ კვლევათა შორის საყურადღებოა 1997 წელს ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა რაციონალური ინდივიდების ჯგუფური ქცევის შესწავლას (Anderson & Holt, 1997). ავტორებმა შეისწავლეს ექვსკაციანი ჯგუფებში განაწილებული 72 ინდივიდის გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ექსპერიმენტში ინდივიდები შემთხვევითი თანმიმდევრობით იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ჯგუფში ყოველი მომდევნოსთვის ცნობილი იყო წინამორბედების გადაწყვეტილებები, მაგრამ არა მათი სიგნალები. გადაწყვეტილებები ეხებოდა ყუთში ბურთების განაწილებას. ერთ ყუთში 2 შავი და 1 თეთრი ბურთი იყო, მეორეში კი – 2 თეთრი და 1 შავი. ინდივიდი ბრმად იღებდა 1 ბურთს და უნდა გამოეცნო, რომელი ყუთიდან იყო ეს ბურთი, შემდეგ კი უკან ჩაებრუნებინა ბურთი. ამ სიტუაციაში სიგნალი გულისხმობს იმას, რა ფერისაა ამოღებული ბურთი. სიგნალი გარკვეულ, მაგრამ არა სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, რომელი ყუთიდანაა ბურთი. ინფორმაციული ჩიხი წარმოიშობა მაშინ, როცა წინამორბედების ქცევაზე დაყრდნობით საკუთარი სიგნალის წინააღმდეგ წასვლა არის ბაიეზურად*

* ბაიეზურად ოპტიმალური - ბაიეზურად ოპტიმალურია არჩევანი, რომელიც ბაიეზის წესის მიხედვით ალბათობების განახლების პრინციპს ეყრდნობა. განუსაზღვრელობის პირობებში მოსალოდნელი შედეგის სანყისი ალბათობა ბაიეზის წესით განახლდება ახალი ინფორმაციის მიღების შესაბამისად.

ოპტიმალური ქცევა. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ჯამში 122-დან 87 პერიოდში წარმოიშვა ინფორმაციული ჩიხი. ამასთან, დადებითი ინფორმაციული ჩიხის რაოდენობა ორჯერ აღემატებოდა უარყოფითისას. ასევე აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა 26%-ში ინდივიდებმა საკუთარი ინფორმაციის სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი მიუხედავად იმისა, რომ სხვების ქცევის გამეორება იყო ბაიეზურად ოპტიმალური. 4%-ის შემთხვევაში გადანყვეტილება არ შეესაბამებოდა არც კერძო ინფორმაციის მიხედვით გადანყვეტას და არც ბაიეზის წესს.

მოგვიანებით მსგავსი ექსპერიმენტი ჩატარდა სიგნალების განსხვავებული სტრუქტურის პირობებში (SgROI, 2003). მკვლევარმა მონაწილეებს დაავალა ბურთის ყუთში დაბრუნების შემდეგ ერთი ბურთის ხელახლა ამოღება. გარდა ამისა, ექსპერიმენტის მონაწილეებს შეეძლოთ არამარტო ყუთის პირდაპირ გამოცნობა, არამედ დალოდებაც, სანამ დამატებით მონაწილეების არჩევანს არ ნახავდნენ. როგორც აღმოჩნდა, ყველა სესია დასრულდა 2-3 პერიოდში (მაქსიმალური 15-დან). შერეული სიგნალის მქონე მონაწილეებმა თითქმის ყველა ეტაპზე ჯგუფურ ქცევას მიმართეს სხვების არჩევანის განმეორებით და მეტწილად სწორი პასუხი მიიღეს, თუმცა, იყო ნეგატიური ჯგუფური ქცევის მაგალითებიც. შემთხვევების 85%-90% შეესაბამებოდა რაციონალურ ქცევას იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაზეც მონაწილეებს მიუწვდებოდათ ხელი.

საყურადღებოა წიგნების ინტერნეტშესყიდვის ანალიზი ჯგუფური ქცევის კუთხით (Chen, 2008). ინტერნეტში ქცევა უფრო ძლიერ გადამდებია და მეტად შეინიშნება იმიტაციის გავლენა. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ვარსკვლავების სისტემა (5 – ბალიანი შეფასებით) და გაყიდვების მოცულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდუალურ გადანყვეტილებებზე და ხშირად ინვესტორს ჯგუფურ ქცევას. ამასთან, რეკომენდაციების სისტემაში სხვა მომხმარებლების რეკომენდაციებს უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე ექსპერტის რეკომენდაციებს, საიტის მფლობელების რეკომენდაციებს კი ყველაზე ნაკლები შედეგი აღმოაჩნდა.


ექსპერიმენტის აღწერა

ჩვენ მიერ ჩატარდა ექსპერიმენტი, რომლის მიზანი იყო ინდივიდების გადანყვეტილების მიღების პროცესზე დაკვირვება და მასში ჯგუფური ქცევის გავლენის ანალიზი. კერძოდ, მოცემულ კვლევაში შესწავლილ იქნა, რამდენად არიან ადამიანები მზად ინფორმაციის მისაღებად გარკვეული ხარჯი გასწიონ, რამდენად ენდობიან ინდივიდები სხვებისგან არაპირდაპირი გზით მიღებულ ინფორმაციას, ანიჭებენ თუ არა ისინი უპირატესობას საკუთარ სიგნალს, არის თუ არა ბაიეზური განახლება ადამიანთა გადანყვეტილების მიღების პროცესის კარგი მიახლოება და, ბოლოს, მიმართავენ თუ არა ადამიანები მარტივი თვლის ევრისტიკას. ექსპერიმენტისთვის მონაწილეების შერჩევა მოხდა ინტერნეტის საშუალებით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 240-მა ადამიანმა, რომელთა განაწილება მოცემულია დიაგრამაში 1. მონაწილეთა მესამედი იყო მამრობი-


თი, ორი მესამედი კი – მდედრობითი სქესის. მათი თითქმის ნახევარი წარმოდგენილია 26-35 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან, 38% – 18-25 წლის ჯგუფიდან, 9% – 36-50 წლის ჯგუფიდან, 3%-3% კი – 18 წლამდე და 50 წელს ზემოთ ჯგუფიდან.

ექსპერიმენტის მონაწილეთა ასაკობრივი (ა) და სქესობრივი (ბ) განაწილება, დიაგრამა 1

(ა) ასაკობრივი განაწილება



(ბ) სქესობრივი განაწილება



კონკრეტულ ჰიპოთეზებზე პასუხის გასაცემად შემუშავდა თამაში, რომელიც ინდივიდების გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დაკვირვების საშუალებას იძლევა. სულ არის 10 ქეისი, რომელთაგან ერთ-ერთში არის პრიზი, დანარჩენები კი ცარიელია. მოთამაშეს თავიდან აქვს 3 ქულა, რომელიც შეუძლია დახარჯოს ან შეინახოს, ხოლო პრიზი 10 ქულაა, რომლის მისაღებად მონაწილეს შეეძლოთ სამიდან ერთ-ერთი სტრატეგიის არჩევა: რომელიმე ქეისის ბრმად არჩევა, 1 ქულის დახარჯვა შემთხვევით შერჩეული 5 ქეისის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ან 3 ქულის დახარჯვა ინფორმაციის მიღებასთან ერ-

თად წინა 3 მოთამაშის არჩევანის სანახავად. თუ მოთამაშეები ინფორმაციის მიღებას გადაწყვეტდნენ, მათი წარმოდგენით შემთხვევით შერჩეული 10-დან 5 ქეისზე მიიღებდნენ ინფორმაციას, 10 ქულა იყო მასში თუ 0. თუმცა, დამატებითი ფაქტორი იყო ის, რომ მიღებული ინფორმაცია თითოეული შერჩეული ქეისის შესახებ იყო 80%-იანი სიზუსტის. ამიტომ არსებობდა შანსი, რომ არასწორ ინფორმაციას მიიღებდნენ და შეცდომაში შევიდოდნენ ქეისის შერჩევისას. ამ სიტუაციაში ღირებული ხდება სხვა მოთამაშეების არჩევანის ნახვის შესაძლებლობა. თუ მოთამაშე სამივე ქულას დახარჯავდა, 5 ქეისის შესახებ 80%-იანი სიზუსტის ინფორმაციასთან ერთად მიიღებდა სხვა 3 მოთამაშის მიერ არჩეული ქეისების ნომრებს. ეს ინფორმაცია სხვადასხვა ინდივიდისთვის სხვადასხვა ღირებულების მქონეა. ამიტომ, ზოგმა მონაწილემ მართებულად ჩათვალა ამ ინფორმაციისთვის დამატებით 2 ქულის დახარჯვა, ზოგმა კი ამ ქულების დაზოგვა ამჯობინა. ინფორმაციის მიღების და წინამორბედების არჩევანის ნახვის დროს მონაწილეები დარწმუნებული იყვნენ, რომ შემთხვევით შერჩეულ ინფორმაციას იღებდნენ, მაგრამ რეალურად შეირჩა ისეთი სიტუაციები, სადაც ნათლად ჩანს ჯგუფური ქცევის კუთხით საინტერესო ფაქტორები. ამასთან, მონაწილეებმა მიიღეს ინსტრუქცია, რომ თითო ქულის მოგება წარმოედგინათ 10 ლარის შესაბამის მოგებად. ამ მიზნით საწყისი 3 ქულის დაზოგვა გამორიცხული იყო. ამგვარად, ფულადი პრიზი რეალური არ იყო, მაგრამ მონაწილეთა პასუხები უბრალოდ თამაშის შედეგის ნაცვლად რეალურ არჩევანზე მიუთითებდა.

რაციონალური მოთამაშის გადაწყვეტილებები

პირველ რიგში, უნდა ითქვას, როგორი იქნებოდა ეკონომიკურად რაციონალური მონაწილის ქცევა თითოეულ შემთხვევაში. სტრატეგიების ასარჩევად მოთამაშემ უნდა შეაღაროს მოსალოდნელი სარგებლიანობის დონეები თითოეული მათგანის არჩევნისას. ბრმა არჩევანის პირობებში სწორად გამოცნობის შანსი არის 0.1, შესაბამისად მოსალოდნელი უკუგება არის $13 \cdot 0.1 = 1.3$ ქულა. 5 ქეისის შესახებ ინფორმაციის მისაღებად 1 ქულის დახარჯვის შემთხვევაში მოსალოდნელი უკუგება არის $12 \cdot 0.5 \cdot 0.8 \approx 1.9$. რაც შეეხება მესამე სტრატეგიას – 3 ქულის დახარჯვა ინფორმაციის მისაღებად და წინა 3 მოთამაშის არჩევანის გასაგებად – ამ შემთხვევაში ცალსახა პასუხი არ არსებობს და უფრო რთული ანალიზია საჭირო. თეორიული მოდელების მიხედვით არა მარტო ყველა ინდივიდი იქცევა რაციონალურად, არამედ ყველა ინდივიდი ასევე თვლის, რომ სხვებიც იქცევიან რაციონალურად. ამ დაშვების პირობებში სხვების არჩევანის შესახებ ინფორმაციის მიღება სასარგებლოა.

მოცემული ექსპერიმენტის მიზნებიდან გამომდინარე, მონაწილეები შემთხვევით შერჩეული პირობების ნაცვლად, იმყოფებოდნენ ერთნაირ პირობებში, რომელიც შეესაბამება წინასწარ შერჩეულ კონკრეტულ შემთხვევას. ექ-

სპერიმენტის მონაწილეების გადმოსახედიდან ისინი იღებდნენ შემთხვევითად შერჩეული 5 ქეისის შესახებ 0.8 ალბათობით ზუსტ ინფორმაციას, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იყო. დამატებით ქულების დახარჯვის შემთხვევაში კი, მათი წარმოდგენით, ისინი იღებდნენ შემთხვევით შერჩეული 3 სხვა მონაწილის მიერ არჩეული ქეისის ნომრებს. რეალურად ყველა მონაწილეს მიეწოდა ერთიდაიგივე ინფორმაცია და წინამორბედების მიერ არჩეული ქეისების ერთი და იგივე ნომრები. მონაწილეებისთვის მინოდებული იყო ინფორმაცია, რომ 1, 6, 8 და 9 ქეისები 0 ქულას შეიცავდა, ქეისი 2-ში კი იყო 10 ქულა. დამატებითი ინფორმაცია წინა სამი მოთამაშის შესახებ ირწმუნებოდა, რომ მათ აირჩიეს ქეისები 5, 8 და 8 (პირველმა 5, მეორე და მესამემ კი – 8).

ამ სიტუაციის ანალიზი საინტერესოა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ეს ინფორმაცია შეესაბამება სიტუაციას, როცა საკუთარი ინფორმაცია ეწინააღმდეგება წინა მოთამაშეების არჩევანს. ერთი მხრივ, საკუთარი ინფორმაცია ინდივიდს ეუბნება, რომ ქეისი 2 აირჩიოს. მეორე მხრივ, წინა ორი მოთამაშის 8 ნომრის არჩევანი ეწინააღმდეგება საკუთარ ინფორმაციას, რომ ქეისი 8 შეიცავს 0 ქულას. ბაიეზის წესით განახლებული ალბათობა – 2, 5 და 8 ნომერი, ქეისებისთვის იქნება:

$$Pr(2) = \frac{0.1 \cdot 0.8}{0.1 \cdot 0.8 + 0.9 \cdot 0.2} = 0.31, Pr(5) = \frac{0.1 \cdot 0.8}{0.1 \cdot 0.8 + 0.9 \cdot 0.2} = 0.31 \text{ და } Pr(8) = \frac{0.1 \cdot 0.8^2 + 0.2}{0.1 \cdot 0.8^2 + 0.2 + 0.9 \cdot 0.8 \cdot 0.2^2} = 0.31$$

დანარჩენი ქეისებისთვის კი არის 0.1. თანაბარი ალბათობის გამო, მონაწილეთა გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, შესაძლებელია გაირკვეს, საკუთარ ინფორმაციას ანიჭებენ ინდივიდები უპირატესობას თუ არა. თუმცა, არაერთი კვლევა მიუთითებს ინდივიდების მიერ საკუთარი ინფორმაციის უპირატესად შეფასების ტენდენციას (Fischhoff, Slovic, and Lichtenstein, 1977; Batchelor and Dua, 1992).

ამ სიტუაციის მეორედ შერჩევის მიზეზია ქულების სახით ხარჯების განაწილება. რადგანაც 1.3 ქულა < 1.97 ქულა, ოპტიმალურია მინიმუმ 1 ქულის დახარჯვა ინფორმაციის მისაღებად. შეუძლებელია ექსპერიმენტში 3 ქულის დახარჯვის ზუსტი მოსალოდნელი უკუგების განისაზღვრა. გარდა ამისა, მოგებისა და ზარალის მიღების რისკის მიმართ დამოკიდებულება ყველას განსხვავებული აქვს. ამიტომ, 10 ქეისის თამაშში მონაწილეთა ქცევაზე დაკვირვებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, ინფორმაციის მოპოვებისთვის არსებული დანახარჯი უღირთ თუ არა მონაწილეებს. მიოპიურად რაციონალურმა ინდივიდმა შეიძლება ივარაუდოს, რომ $0.8 * 0.8 \approx 0.16$ ალბათობით, წინა მოთამაშე სწორ არჩევანს გააკეთებს. მაშინ სამი წინამორბედის ასეთი არჩევანის ნახვა მას დაეხმარება უფრო ზუსტი არჩევანის გაკეთებაში. ზემოთ მოცემულ შემთხვევაში მოსალოდნელი უკუგება არის 3.1 ქულა და 3 ქულის დახარჯვის სტრატეგია რეტროაქტიურად რაციონალური გადაწყვეტილებაა.*

მიოპიურისგან განსხვავებით, სრულად რაციონალური ინდივიდი ითვალისწინებს იმას, რომ აუცილებელი არაა წინამორბედის გადაწყვეტილება ეყ-

* არავინ ინანებდა 3 ქულის დახარჯვას ex post შეფასებისას.

რდნობოდეს ინფორმაციას, რომელიც მას რომელიმე ქეისში 10 ქულის შემცველობაზე მიუთითებს. წინამორბედის ინფორმაცია შეიძლება იყოს არასრულყოფილი რამდენიმე მიმართულებით. ეს ყველაფერი ცვლის ანალიზის პროცესს, რადგან წინა მოთამაშის არჩეული ქეისის ნომერი უკვე არა 0.31, არამედ დაახლოებით 0.22 ალბათობით აღწერს მომგებიანი ქეისის გამოცნობის შანსს. ის ფაქტი, რომ წინა მოთამაშემ აირჩია რომელიმე კონკრეტული ქეისი, არ ნიშნავს ამ ქეისის სასარგებლოდ მიღებული ინფორმაციის არსებობას. ამ ფაქტის გათვალისწინებითა და ზემოთ მოყვანილ ინფორმაციულ სტრუქტურაზე დაყრდნობით განახლებული ალბათობები 2, 5 და 8 ნომერი ქეისებისთვის იქნება: $Pr(2)=0.31$, $Pr(5)=0.22$ და $Pr(8)=0.13$. ამ პირობებში ყველამ საკუთარი ინფორმაციის მიხედვით მოქმედება უნდა აირჩიოს და დამატებითი 2 ქულის დახარჯვას არანაირი სარგებელი არ მოაქვს.

ექსპერიმენტში მოცემულ მეორე სიტუაციაში წინა მოთამაშეები ირჩევენ 7, 7 და 2 ქეისებს. ამ დროს 2 და 7 ნომერ ქეისებში 10 ქულის არსებობის განახლებული ალბათობა მიოპიური ინდივიდისთვის იქნება

$$Pr(2) = \frac{0.1 \cdot 0.8 \cdot 0.8}{0.1 \cdot 0.8 \cdot 0.8 + 0.9 \cdot 0.2 \cdot 0.2} = 0.64 \text{ და } Pr(7) = \frac{0.1 \cdot 0.8 \cdot 0.8}{0.1 \cdot 0.8 \cdot 0.8 + 0.9 \cdot 0.2 \cdot 0.2} = 0.64$$

მოთამაშემ უნდა გადანყვიტოს საკუთარ ინფორმაციას ენდოს თუ სხვებისას (ან მონეტა ააგდოს). სრულად რაციონალური ინდივიდისთვის კი განახლებული ალბათობა იქნება

$$Pr(2) = \frac{0.1 \cdot 0.8 \cdot 0.22}{(0.1 \cdot 0.8 + 0.9 \cdot 0.2) \cdot 0.1} = 0.68 \text{ და } Pr(7) = \frac{0.1 \cdot 0.22^2}{0.1^2} = 0.48.$$

ის აუცილებლად საკუთარ ინფორმაციას მიანიჭებს უპირატესობას.

ექსპერიმენტის შედეგები

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ინდივიდთათვის მნიშვნელოვანია, რა ხარჯის განწევა უნევთ ინფორმაციის მისაღებად და ვის ინფორმაციას უნდა დაეყრდნონ ისინი. როგორც კვლევამ აჩვენა, ყველაზე მეტმა აირჩია 1 ქულის დახარჯვა (45%), ყველაზე ნაკლებმა კი – 3 ქულის (22%). ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფური ქცევა შეინიშნება, მაგრამ ის უნივერსალური არაა. ჯგუფური ქცევის ასეთი დაბალი მაჩვენებელი ნაწილობრივ გამოწვეულია ინფორმაციის მისაღებად გასანევი ძალიან მაღალი დანახარჯით.

აქედან შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება. პირველ რიგში, ადამიანები განსხვავებულად რეაგირებენ სიტუაციებზე (საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ჰეტეროგენულობა). ამიტომ იმის დაშვება, რომ ყველა ინდივიდი ერთნაირად იღებს გადაწყვეტილებებს, არარეალურია. აუცილებელია ადამიანთა სხვადასხვა ტიპის გათვალისწინება, რაც მათ შორის ურთიერთობის შედეგებზე მოქმედებს. ამასთან, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ადამიანები

ინფორმაციული სიმწირის დროს ჯგუფურ ქცევას მიმართავენ. ინფორმაციული ჯგუფური ქცევა ხშირად სასარგებლოა და საზოგადოება უკეთესი არჩევანისკენ მიჰყავს, მაგრამ ადამიანები ზოგჯერ უშვებენ, რომ სხვებს იმაზე მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე ეს შეიძლება რეალურად ხდებოდეს. მაგალითად, სხვა მოთამაშე თუ აირჩევს ქეისს 8, ექსპერიმენტის მონაწილეები მეტწილად თვლიან, რომ მათ ამ ქეისის სასარგებლო ინფორმაცია მიიღეს, თუმცა, მათ შეიძლება რამდენიმე ქეისს შორის ბრმად მოუწიათ არჩევანის გაკეთება. სხვა მოთამაშის არჩევანი მით უფრო ნაკლებ ინფორმაციულია, თუ უცნობია მან ქულები დახარჯა თუ არა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. ჯგუფური ქცევის შედეგად არასასურველი ინფორმაციული ჩიხის მიღება სწორედ ასეთი სიტუაციის წარმოშობის შედეგად ხდება. როცა ინდივიდები სხვების გადაწყვეტილებებს ზედმეტად ენდობიან და სხვებს გადამეტებულ ინფორმირებულობას მიაწერენ, საზოგადოებამ შეიძლება არასასურველი შედეგი მიიღოს.

როგორც ჩანს, სქესს და ასაკს მნიშვნელობა არა აქვს ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, რადგან თითოეული სტრატეგია მეტწილად თანაბრად განაწილდა სქესობრივ და ასაკობრივ ჯგუფებში. თუმცა, 25 წლამდე ასაკის მონაწილეები ოდნავ უფრო დიდი წილით იყვნენ წარმოდგენილი ბრმა გადაწყვეტილების ჯგუფში, 26 წლიდან ზემოთ მონაწილეები კი – მცირედით მეტად სრული ინფორმაციის მიმღებთა ჯგუფში. ჩატარებული მრავალცვლადიანი ლოგისტიკური რეგრესიული მოდელის შედეგები, რომელიც მოცემულია ცხრილში 1. აჩვენებს, რომ სქესის და ასაკის კოეფიციენტები მართლაც სტატისტიკურად უმნიშვნელოა ($p > 0.05$).

ალბათობის ფარდობის ტესტი ცვლადების მნიშვნელოვნების დასადგენად
ცხრილი 1

ალბათობის ფარდობის ტესტი

ეფექტი	მოდელის მორგების კრიტერიუმები	ალბათობის ფარდობის ტესტები			
	-2 ლოგარითმული ალბათობა შემცირებულ მოდელში	(χ^2) – ნიკვადრატი	თავისუფლების ხარისხი	მნიშვნელოვნების დონე	
მუდმივა	153.994	0.000	0	0.000	
სქესი	160.660	6.666	9	0.672	
ასაკი-18	161.824	7.830	9	0.551	
ასაკი-26	161.190	7.195	9	0.617	
ასაკი-36	159.884	5.889	9	0.751	
ასაკი-51	163.949	9.955	9	0.354	


მოცემულ ექსპერიმენტში მონაწილეთა დიდმა ნაწილმა დამოუკიდებელი გადანყვეტილების მიღება არჩია (იხ. ცხრილი 1). მხოლოდ 22%-მა მოისურვა 2 ქულის დახარჯვა სხვა მოთამაშეების გადანყვეტილების სანახავად. ამის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს. პირველი მიზეზი ისაა, რომ ინდივიდების ნაწილი არ თვლის, რომ სხვები რაციონალურ არჩევანს გააკეთებენ. მათ შორის, ვინც სტრატეგიის არჩევის მიზეზი დაასახელა, 15%-მა აღნიშნა, რომ არ ენდობა სხვების რაციონალური გადანყვეტილების მიღების უნარს. ამ მაჩვენებელმა შეადგინა 20% იმ მონაწილეებს შორის, ვინც სხვისი არჩევანის ნახვა არ ისურვა. მათი თვალთახედვით, სხვების არჩევანის ნახვა არანაირ დამატებით ინფორმაციას არ მიაწვდიდა მონაწილეს. მეორე მიზეზი უკავშირდება ინფორმაციის მიღების ხარჯს. 7%-ის აზრით 2 ქულა ძალიან დიდი ხარჯი იყო იმისთვის, რომ სხვა მოთამაშეების არჩევანის ნახვისთვის გაეღოთ. ეს მიაწვდიდა იმაზე, რომ ინფორმაციის მიღების დანახარჯის ცვლით შესაძლებელია მონაწილეთა არჩევანზე ზემოქმედება, მაგრამ, ყოველთვის იარსებებს კატეგორია, რომელიც ინფორმაციას ნულოვანი ხარჯის შემთხვევაშიც კი არ მიიღებს, რადგან სხვების ქცევას არასოდეს დაეყრდნობა.

0 ქულის დახარჯვის შემთხვევაში მონაწილეებს ბრმად უნდა გამოეცნოთ 10-ქულიანი ქეისის ნომერი. უმრავლესობამ აირჩია საყვარელი ნომერი ან უბრალოდ მიენდო ინტუიციას. როგორც აღმოჩნდა, თანაბარი შანსების მიუხედავად, მონაწილეები ნაკლებ წონას ანიჭებენ პირველ და ბოლო ქეისებს (ისინი ყველაზე ნაკლებმა, 4-მა მონაწილემ აირჩია), რაც რამდენიმე ინდივიდმა სიტყვიერ პასუხებშიც დაადასტურა. ადამიანთა ნაწილის წარმოდგენაში ექსტრემალური, ყველაზე დაბალი და მაღალი მნიშვნელობები ნაკლებად მოსალოდნელია.

1 ქულის დახარჯვის პირობებში რაციონალური არჩევანი იყო ქეისი 2-ის დასახელება. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდთა 79% ასეც მოიქცა, სხვა რიცხვებზე დასახელდა. არასრულყოფილი ინფორმაციის პირობებში ზოგმა მონაწილემ მაინც საყვარელი რიცხვის ან ინტუიციის ნდობა ამჯობინა. ზოგმა კი გადანყვეტილება აბსოლუტურად შემთხვევითობაზე დაყრდნობით მიიღო. ასეთი კატეგორია ხშირად იჩენს თავს ჯგუფური გადანყვეტილებების მიღების პროცესში და ართულებს დასკვნების გაკეთებას, რადგან ქულის დახარჯვას არა აქვს რაციონალური გამართლება, თუ მოხდება მიღებული ინფორმაციის უგულებელყოფა. შედეგების შეჯამება მოცემულია დიაგრამა 2-ში.

სხვადასხვა ქეისის შერჩევის სიხშირის განაწილება მონაწილეებს შორის, რომლებმაც 1 ქულის დახარჯვა გადანყვიტეს


დიაგრამა 2



3 ქულის დახარჯვის შემთხვევაში მონაწილეებმა დამატებითი ინფორმაცია მიიღეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ხშირად არჩეული ციფრები აღმოჩნდა 2, 5 და 8. მიუხედავად ამისა, დიაგრამა 3-დან თვალსაჩინოა, რომ მონაწილეთა 17%-მა სხვა რიცხვები დაასახელა.

სხვადასხვა ქეისის შერჩევის სიხშირის განაწილება მონაწილეებს შორის, რომლებმაც 3 ქულის დახარჯვა გადანყვიტეს


დიაგრამა 3



რაციონალური ვერსიებიდან (2, 5 და 8) დომინირებს ქეისი ნომერი 2. ეს იმაზე მიაჩნია, რომ ინდივიდები მეტ წონას ანიჭებენ საკუთარ სიგნალს. ამ სამი ვერსიის მომხრეთა 68%-მა აირჩია ქეისი 2. სრული რაციონალურობის პირობებში 2 მართლაც იყო ყველაზე სწორი არჩევანი. მაგრამ სრული რაციონალურობა არაა მოსალოდნელი ინდივიდებისგან, რადგან, როგორც კვლევამ აჩვენა, ექსპერიმენტის არც ერთ მონაწილეს არ უფიქრია, რომ ინფორმაციის მიუხედავად, სხვისი გადანყვეტილება შემთხვევითი შეიძლებოდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, მათ არ გაუთვალისწინებიათ, რომ სხვა მოთამაშეებისთვის თუ 5 ქეისის შესახებ ინფორმაცია ყველა მათგანში 0 ქულაზე მიაჩნებოდა, მათ ბრმად მოუწევდათ გადანყვეტილების მიღება (ინფორმაციის ფლობის მიუხედავად). ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეებმა გადანყვეტილება მიოპიური რაციონალურობის ან შეზღუდული რაციონალურობის პირობებში მიიღეს. ამ ჰიპოთეზას ამყარებს შემდეგი კითხვაც, რომელშიც მონაწილეებს შეატყობინეს, რომ წინა მოთამაშეთა არჩევანი – 5, 8 და 8 იყო ინფორმაციაზე დაყრდნობილი და არა – ბრმა. პირობების ამგვარმა ცვლილებამ გამოიწვია პასუხების დიდი ოდენობის გადანაწილება ქეისზე – 8, რაზეც მეტყველებს დიაგრამა 4.

სხვადასხვა ქეისის შერჩევის სიხშირის განაწილება მონაწილეებს შორის, როცა წინა მოთამაშეებმა ქეისები 5, 8 და 8 აირჩიეს ინფორმაციაზე დაყრდნობით და არა ბრმად

დიაგრამა 4



მიუხედავად იმისა, რომ ქეისი 2-ის პოპულარობამ იკლო, რაციონალურ მოთამაშეთა 40%-მა მაინც ამ ნომერზე გააკეთა არჩევანი. ეს დამატებით ამყარებს მოსაზრებას, რომ ინდივიდთა გარკვეული კატეგორია გადანყვეტილების საკუთარ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებას ამჯობინებს. როგორც ჩანს, ეს თვისება ყველასთვის არაა დამახასიათებელი, რადგან 18%-მა საკუთარი ინ-


ფორმაციის წინააღმდეგ აირჩია ქეისი 8. სხვის ინფორმირებულ გადაწყვეტილებაში დარწმუნების შემდეგ ეს მაჩვენებელი გაიზარდა 47%-მდე. მართლაც, სხვა კვლევებიც მიუთითებს იმაზე, რომ ჯგუფური ქცევის დონე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად დამაჯერებლად გამოიყურება სხვების ქცევა. დამაჯერებლობაზე მოქმედებს ის, თუ რამდენად სანდოდ მიიჩნევენ ინდივიდი სხვის ინფორმაციას. ასევე შეიძლება იმოქმედოს იმან, თუ რამდენად ავტორიტეტულია იმიტაციის ადრესატი, რაც ამ შემთხვევაში მოქმედი ფაქტორი არ იყო.

ინფორმაციის კონფლიქტის მიუხედავად, ქეისი 8 ორი სასარგებლო სიგნალით უფრო ხშირად აირჩიეს, ვიდრე ქეისი 5. თუმცა, არც ქეისი 5 იყო იშვიათი არჩევანი. მასზე რაციონალური გადაწყვეტილებების 14% მოვიდა სხვების არჩევანის ნახვის შემთხვევაშიც და მაშინაც, როცა ეს არჩევანი ინფორმირებულად იყო გაკეთებული და არა ბრმად. ქეისში 5 თანაბარი ალბათობით შეიძლებოდა ყოფილიყო 10 ქულა მიოპიურად რაციონალური ინდივიდისთვის, მაგრამ სრულად რაციონალური მოთამაშისთვის მას უფრო მაღალი ალბათობა ჰქონდა, ვიდრე ქეისს – 8, რომელიც უფრო ხშირად აირჩიეს. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სრული რაციონალურობა ვერ ახსნის მონაწილეთა უმრავლესობის ქცევას.

შემდეგი კითხვა საკუთარ და სხვების ინფორმაციას შორის კონფლიქტის გარეშე იყო მოცემული, რაც მიზნად ისახავდა ჯგუფური ქცევის დონეზე დაკვირვებას დამაბრკოლებელი გარემოების გარეშე. ამ ვარიანტში წინა მოთამაშეებმა აირჩიეს ქეისები – 7, 7 და 2. მოცემულ შემთხვევაში საკუთარი ინფორმაცია არ იყო მიმართული სხვების არჩევანის წინააღმდეგ. ამ პირობებში მონაწილეთა არჩევანი მეტწილად შეჩერდა ქეისზე 2 (იხ. დიაგრამა 5).

სხვადასხვა ქეისის შერჩევის სიხშირის განაწილება მონაწილეთა შორის, როცა წინა მოთამაშეებმა აირჩიეს 7, 7 და 2 ქეისები

დიაგრამა 5



როგორც ჩანს, ერთი თანამოაზრის არსებობა ძლიერი ფაქტორი აღმოჩნდა მონაწილეთათვის და რაციონალურ გადაწყვეტილებათა 80% ქეისი 2-ის სასარგებლოდ მიიღეს. ეს დასკვნა ეთანხმება ს. ეშის ექსპერიმენტების შედეგებს (Asch, 1955). მიოპიურად რაციონალური ინდივიდისთვის ალბათობა, რომ 10 ქულა არის ქეისში, 2 თანაბარია ქეისი 7-ის ალბათობის და ტოლია $Pr(2)=Pr(7)=0.64$. მიუხედავად ამისა, უმრავლესობამ საკუთარი სიგნალის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. კვლევამ აჩვენა, რომ ინდივიდთა ნაწილი სხვის ინფორმაციას ენდო და ქეისი 7 აირჩია. ეს ქეისი 2-ის მერე ყველაზე მეტმა მონაწილემ აირჩია. აღსანიშნავია, რომ სრულად რაციონალური გადაწყვეტილება ქეისი 2-ის არჩევანზე მიუთითებს, რადგან $Pr(7)=0.48 < 0.64$. ამიტომ, შეუძლებელია მოცემული ექსპერიმენტის ფარგლებში საკუთარი ინფორმაციისთვის გადაჭარბებული წონის მინიჭების ეფექტის გამოყოფა სრული რაციონალურობის გადაწყვეტილებისგან.

მოცემულ ექსპერიმენტში ჯგუფური ქცევის მინიმალური დონე უნდა დაფიქსირებულიყო, რადგან პირველ შემთხვევაში, სხვების არჩევანი, ეწინააღმდეგებოდა საკუთარ ინფორმაციას, მეორე შემთხვევაში, კი ერთ-ერთ წინამორბედს საკუთარი ინფორმაციის გამამყარებელი არჩევანი ჰქონდა გაკეთებული.

ექსპერიმენტის მონაწილეებზე დაკვირვებამ, მათ მიერ არჩეული დახარჯული ქულების რაოდენობის მიხედვით, აჩვენა, რომ სხვადასხვა კატეგორიაში მოხვედრილმა ინდივიდმა განსხვავებულად გააკეთა არჩევანი. ცხრილი 2-ში მოცემულ ANOVA პროცედურის შედეგები აჩვენებს, რომ კატეგორიებს შორის განსხვავებული საშუალო მაჩვენებელია და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია მნიშვნელოვნების 1%-იან დონეზე – $p < 0.01$.

სხვადასხვა ქულის დანახარჯის ჯგუფების ANOVA პროცედურის შედეგები

ცხრილი 2

ANOVA

ქულების კატეგორიები

	კვადრატული ჯამები	თავისუფლების ხარისხი	საშუალო კვადრატული ჯამები	F	მნიშვნელობის დონე
ჯგუფებს შორის	26.100	9	2.900	6.567	0.000
ჯგუფის შიგნით	100.677	228	0.442		
ჯამური	126.777	237			

თვლის ევრისტიკა

ექსპერიმენტის ბოლო კითხვა ეხებოდა გადაწყვეტილების მიღების წესის განსაზღვრას. თეორიული მოდელები მეტწილად უშვებს, რომ ადამიანები ბაიზურად რაციონალურები არიან და ბაიეზის წესით განახლებულ წარმოდგენებ-

ზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს. ამის საპირისპიროდ, ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანები უფრო მარტივ, ევრისტიკულ მეთოდებს მიმართავენ. ერთ-ერთი ასეთი ევრისტიკული მეთოდია თვლის ევრისტიკა. ამ მეთოდით ინდივიდები ითვლიან სხვადასხვა ალტერნატივის სასარგებლოდ არსებული სიგნალების რაოდენობას და ყველაზე მეტი სიგნალის მქონე ვარიანტს ირჩევენ. თვლის ევრისტიკაზე ადრე ჩატარებული კვლევა მეტყველებს იმაზე, რომ ზოგი ინდივიდი გადაწყვეტილების მიღების პროცესის გასამარტივებლად მიმართავს ამ მეთოდს (Anderson & Holt, 1997). მეცნიერებმა შეადგინეს ასიმეტრიული თამაში, რომელშიც ორ ყუთში გადანაწილებული იყო განსხვავებული რაოდენობის შავი და თეთრი ბურთები. კვლევამ აჩვენა, რომ ექსპერიმენტის მონაწილეები ზოგჯერ თვლის ევრისტიკას მიმართავენ ბაიეზური გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მცირე ნაწილი კი, ბაიეზურად სწორ გადაწყვეტილებას იღებს და არ ამჟღავნებს თვლის ევრისტიკის გამოყენებას.

10 ქეისის მაგალითზე პირველ შემთხვევაში სხვა მოთამაშეებმა 5, 8 და 8 ქეისები აირჩიეს, საკუთარი ინფორმაციით კი ქეისში 2 იყო 10 ქულა, ქეისში 8 კი – 0 ქულა. თვლის ევრისტიკის მიხედვით, ქეისი 8-ის სასარგებლო და საწინააღმდეგო სიგნალები ერთმანეთს აბათილებს და 1 სასარგებლო სიგნალი რჩება ქეისი 2, 5 და 8-ისთვის. თვლის ევრისტიკის და ბაიეზური გამოთვლის შედეგები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. მიოპიურად რაციონალური ინდივიდისთვისაც ტოლი ალბათობით იყო ეს სამი ქეისი წარმოდგენილი. ამიტომ, ბოლო კითხვა შედეგენილია ისეთი სიტუაციისთვის, როცა თვლის ევრისტიკა და ალბათობის ბაიეზური განახლება განსხვავებულ შედეგებს იძლევა. ამისთვის ექსპერიმენტის მონაწილეებს მიენოდათ შემდეგი პირობა:

A. 10 – ქულიანი ქეისის ნომერი ლუნია 60%-ის ალბათობით და კენცია – 40% ალბათობით;

B. 10 – ქულიანი ქეისის ნომერი არის 5-ის ზევით რიცხვებში 80% ალბათობით და 5-მდე (ჩათვლით) რიცხვებში 20% ალბათობით;

A. და B. პირობებს შორის ერთ-ერთი სწორია, მეორე – არა. ამასთან, 80% სიზუსტის ინფორმაციის მქონე 5 მოთამაშის მიერ არჩეული ქეისის შესახებ არის ინფორმაცია:



ამ სიტუაციაში ინდივიდს საკუთარი ინფორმაცია არა აქვს, ამიტომ მხოლოდ სხვების არჩევანზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს, რომელი ქეისი აირჩიოს. ცხრილში 3 ნაჩვენებია ქეისი 4 და ქეისი 7-ის სასარგებლო სხვადასხვა რაოდენობის სიგნალების არსებობისას რა ალბათობითაა სწორი – პირობა A. ხაზგასმულია და მუქად ნაჩვენებია ის სიტუაციები, რომლის დროსაც თვლის ევრისტიკა და ბაიეზური გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ერთმანეთს

ბაიეზის წესით განახლებული ალბათობა, რომ პირობა A არის სწორი, დამოკიდებული ქეისი 4-ისა და ქეისი 7-ის სასარგებლო სიგნალების რაოდენობაზე

ცხრილი 3


არჩეული 7 ნომერი ქეისების რაოდენობა

		0	1	2	3	4
არჩეული 4 ნომერი ქეისების რაოდენობა	0	0.50	0.33	0.20	0.11	0.06
	1	0.75	0.60	0.43	0.27	0.16
	2	0.90	0.82	0.69	0.53	0.36
	3	0.96	0.93	0.87	0.77	0.63
	4	0.99	0.98	0.95	0.91	0.84

დიაგრამა 6 აღწერს შედეგებს, რომლის მიხედვით გადაწყვეტილებათა 58% აიხსნება თვლის ევრისტიკის გამოყენებით, 17% კი ბაიეზურად რაციონალური აღმოჩნდა. ინდივიდთა ნაწილის ქცევა სრულიად შემთხვევითია და გადაწყვეტილების მიღების არც ერთი წესით არ აიხსნება. შემთხვევითი გადაწყვეტილებები არაა გასაკვირი, რაც ჯგუფის ქცევაში ხშირად შეინიშნება.

სხვადასხვა ქეისის შერჩევის სიხშირის განაწილება მონაწილეებს შორის, როცა წინა მოთამაშეებმა აირჩიეს 7, 7, 4, 4 და 7 ქეისები

დიაგრამა 6



დასკვნა

ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია რამდენიმე დასკვნის გაკეთება. პირველ რიგში, არაა გასაკვირი, რომ ინდივიდები ინფორმაციულ ჯგუფურ ქცევას მიმართავენ. თუმცა, თეორიული მოდელისგან განსხვავებით და ს. ეშის სოციალური ფსიქოლოგიის ექსპერიმენტების შედეგების მსგავსად, ადამიანთა საყურადღებო ნაწილი არასოდეს მიმართავს ჯგუფურ ქცევას. მოცემული კვლევა განსხვავდება ადრეული კვლევებისგან იმ კუთხით, რომ დამატებითი ინფორმაციის მიღება გარკვეული დანახარჯის განეგას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტის მონაწილეებისგან მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ მათი ნაწილი ნულოვანი დანახარჯის პირობებშიც არ მიიღებდა ინფორმაციას წინა მოთამაშეების გადაწყვეტილებების შესახებ. ინფორმაციის მიღებაზე უარის მიზეზად ზოგი მონაწილე ასახელებს ხარჯის თავიდან აცილების სურვილს, ზოგი კი უბრალოდ არ ენდობა სხვების მიერ რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარს და სრულიად უსარგებლოდ თვლის მათი არჩევანის შესახებ ინფორმაციას. მართლაც, მონაწილეთა მხოლოდ 22%-მა გადაწყვიტა სხვების არჩევანის ნახვა 2 ქულის ხარჯად, რაც შესაძლო მოგების (10 ქულის) მეხუთედი იყო. როგორც გაირკვა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი არაინფორმირებულ გადაწყვეტილებებს იღებს და არანაირი ხარჯის განეგა არ სურს ინფორმირებულობის დონის გასაზრდელად.

ამასთან, მონაწილეთა დიდი ნაწილი საკუთარ ინფორმაციას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე სხვებისგან მიღებულ ინფორმაციას. ამაზე მიუთითებს რაციონალური გადაწყვეტილებების 68%, რომლის მიხედვითაც მონაწილეებმა ქეისი 2 აირჩიეს და არა 5 ან 8, რომლებსაც თანაბარი ალბათობით შეიძლებოდა 10 ქულა მოეტანათ.

სიგნალების მარტივი დათვლის ევრისტიკის გამოყენება არც თუ ისე იშვიათია ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებში. კვლევამ აჩვენა, რომ გადაწყვეტილებათა 58% თვლის ევრისტიკის გამოყენებით მიიღება, 17% კი ბაიეზური განახლების წესს შეესაბამება. ეს იმას ნიშნავს, რომ სავარაუდოდ ბაიეზური მოდელი რეალობის არც ისე ზუსტი მიახლოებაა და გადაწყვეტილების პროცესის ასახსნელად საჭიროა განსხვავებული მოდელის შემუშავება. მიუხედავად ამისა, ბაიეზური მოდელის შედეგები ხშირად ემთხვევა თვლის ევრისტიკის შედეგებს და მათ შორის განსხვავებაზე საუბარი მხოლოდ ასიმეტრიული მოვლენების ანალიზის შემთხვევაში ხდება რელევანტური.

ამ შედეგების გამოყენება შესაძლებელია როგორც სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისას, ასევე კერძო ფირმების მიერ მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებისას ან ინდივიდების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ გარემოს დაბინძურების შემცირების, ელექტროენერჯის დაზოგვის, კრიმინალურ დანაშაულთა რიცხვის შემცირების და მრავალი სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად

მან უნდა გაითვალისწინოს ჯგუფური ქცევაზე მოქმედი ფაქტორები. გარემოს დაბინძურების შესამცირებლად მოსახლეობისთვის მასშტაბური დაბინძურების შედეგების ჩვენება არ იქნება სასარგებლო, რადგან სხვები თუ არ იცავენ ბუნებას, ჯგუფური ქცევის გავლენით არც მათ გაუჩნდებათ ბუნების დაცვის მოტივაცია. ამის ნაცვლად ხაზგასმა უნდა გაკეთდეს ბუნების სუფთად შენარჩუნების უპირატესობაზე. ჯგუფური ქცევის წარმატებით გამოყენების კარგი მაგალითია 1956 წელს ელვის პრესლის მიწვევა ტელევიზიაში, რათა ფართო მასებისთვის ეჩვენებინათ, თუ როგორ იკეთებს ის ნემსს პოლიოვირუსული ინფექციის წინააღმდეგ. შედეგად, ვაქცინაციის დონე გაიზარდა 75%-დან 90%-მდე. საზოგადოებრივ ფიგურებს აქვთ ძალა, იმოქმედონ სხვების ქცევაზე და ამის გამოყენება შეუძლიათ როგორც სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლებს, ასევე კერძო ფირმებს. კვლევები ადასტურებს, რომ ტელევიზიით სხვადასხვა დანაშაულის შესახებ ახალი ამბების ხშირი გაშუქება იწვევს ამ დანაშაულის კიდევ უფრო გახშირებას, რადგან მოსახლეობა ფიქრობს, რომ ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ფირმებისთვის ჯგუფური ქცევა ძლიერი მარკეტინგული ხრიკია გაყიდვის გასაზრდელად. ყალბი მყიდველების შექმნა ან პირველი მყიდველებისთვის ძალიან დაბალი ფასის შეთავაზება ქმნის წარმოდგენას, რომ პროდუქტი ბევრად უფრო მოთხოვნადია, ვიდრე რეალურად. შედეგად, ახალი მყიდველები ჩნდება და ყალბი მოთხოვნა რეალურში გადაიზრდება. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინოა ინტერნეტგაყიდვებში, სადაც მომხმარებლები დიდ ყურადღებას აქცევენ სხვების მიერ პროდუქტის შეფასებას და კომენტარებს. მომხმარებლის გადასახედიდან, მნიშვნელოვანია მან იცოდეს ჯგუფური ქცევის შესახებ და დარწმუნდეს სხვების ქცევის ავთენტურობაში, რომ არ მოექცეს ყალბი რეკომენდაციების და კომენტარების გავლენის ქვეშ. მომხმარებლები ცდილობენ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები თავიდან აიცილონ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფირმა საკუთარ პროდუქტზე ჯგუფური ქცევის გამოსაწვევად უნდა ეცადოს, მომხმარებლებს მარტივად მიეწოდოს ინფორმაცია სხვების ქცევის შესახებ.

ლიტერატურა:

References:

- Anderson L. R., Holt C. A. (1997, Dec.). Information Cascades in the Laboratory. The American Economic Review, Vol. 87, No. 5, pp. 847-862.
- Asch S. E. (1955, November). Opinions and Social Pressure. Scientific American, 19, pp. 31-35.
- Batchelor R., Dua P. (1992). Conservatism and Consensus-Seeking among Economic Forecasters. Journal of Forecasting 11, pp. 169-181.
- Chen Y-F. (2008). Herd Behavior in Purchasing Books Online. Computers in Human Behavior 24, pp. 1977-1992

- Fischhoff B., Slovic P., Lichtenstein S. (1977). Knowing with Certainty: The Appropriateness of Extreme Confidence. *Journal of Experimental Psychology* 3, pp. 552-564.
- SgROI D. (2003). The Right Choice at the Right Time: A Herding Experiment in Endogenous Time. *Experimental Economics*, 6(2), pp. 159–180.

How Does Choices Made by Others Affect Individual's Economic Decisions (Experimental Study)

Quji Bichia

Doctoral Student

IV. Javakhishvili Tbilisi State University

q.bichia@iset.ge

Experimental research has shown that people under uncertainty often observe information about choices of others in a similar situation and resort to group behavior. Human cognitive resources are limited, so they exhibit not fully but myopic rational behavior. In certain situations, the method of decision-making heuristics, called counting heuristic is observed. Group behavior can emerge when additional information is easily accessible and inexpensive and when individuals trust the ability of others to make rational decisions.

Group behavior, arising by imitation of others, is not uncommon in situations in which decision-making is made with a lack of information. Observing others reduces the level of uncertainty, but sometimes it leads to undesirable results. Group behavior is the result of a kind of externality that influences the perceptions of individuals through the information received. This phenomenon is observed in consumers of certain products, security analysts, general fund managers, banking service users and others.

An experiment was conducted in 1997 to investigate group behavior. The experiment showed that group behavior emerged in 87 out of 122 total periods. In 26% of cases, individuals made choices in favor of their own information even though repetition of others' behaviors was Bayes-optimal (Anderson & Holt, 1997). Later similar experiments were conducted and participants with mixed signals were observed to form group behavior at almost every stage by repeating others' choices (SgROI, 2003). Behavior on the Internet is more contagious and the impact of imitation is more pronounced. The experiment has shown that the 5-star system and sales volume have a significant influence on individual decisions and often lead to group behavior (Chen, 2008).

The purpose of current study was to observe the decision-making process of individuals and analyze the impact of group behavior on it in several ways. A total of 240

people participated in the survey. A game was developed for observing the decision-making process of individuals. Within the experiment participants had to choose one of the 10 suitcases in the hope of winning a possible 10 points. As it turned out, some individuals often resort to informational group behavior but not everyone. This study differs from earlier studies in that additional information requires some cost.

Some participants place greater importance on their own information than information received from others. This is indicated by 68% of rational decisions, according to which participants chose case 2 rather than 5 or 8, which would otherwise have equal probability of winning 10 points. Similarly, the analysis of the next situation showed that 80% chose case 2 against case 7, which still had the same chance of giving 10 points from the perspective of a myopic rational individual. The use of simple counting heuristic is not uncommon in individual decisions. Research shows that 58% of decisions are made using a heuristic, and 17% are in line with Bayesian updating.

These results can be applied to various types of public policy planning, as well as development of marketing strategies by private firms. For example, in order to reduce environmental pollution, reducing electricity consumption, cutting crime rates and many other socially useful purposes, the state must take into account the factors that influence group behavior. A good example of the successful use of group behavior is invitation of Elvis Presley to television in 1956 to show the masses how he is getting vaccinated against poliovirus infection. As a result, vaccination rate has increased from 75% to 90%. Public figures have the power to influence the behavior of others and can be used by both state policy makers and private firms. Studies show that frequent news coverage of various crimes on television is causing an increase in this crime, as people think it has become a common occurrence.

Group behavior for firms is a powerful marketing trick to drive sales. Creating fake buyers or offering very low price to first time buyers creates the impression that the product is much more desirable than it actually is. As a result, new buyers are emerging and fake demand will turn into real. This is even more evident in online sales, where consumers pay close attention to product reviews and comments by others. From the user's point of view, it is important to know about group behavior and to be sure of the authenticity of others' behavior so as not to be influenced by false recommendations and comments.

Keywords: Decision theory, group behavior, behavioral economics, bounded rationality

JEL Codes: D00, D01, D03

ფინანსები და საბანკო საქმე ✧ აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი
FINANCE & BANKING ✧ ACCOUNTING, AUDITING

სასესიო პროცენტის გამოყენების ეთიკურ-ეკონომიკურ მხარეთა ანალიზი
თანამედროვე ისლამში

ბასილ ხიზანიშვილი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მონვეული პროფესორი
basil.khizanishvili@yahoo.com

ისლამი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის იძლევა პოზიტიურ ფასეულობათა სისტემას. ისლამური ეკონომიკის ეთიკა, ინდივიდუალური ეთიკის სფეროს მიმართულებით, თანხვედრაშია დასავლურ-ქრისტიანულ წარმოდგენებთან. საკითხავია, თუ რამდენად განსაზღვრავს ისლამური ეკონომიკის ეთიკის პრინციპები მუსლიმთა ფაქტობრივ ქცევებს, რადგან ახლო აღმოსავლეთის ისლამურ სახელმწიფოთა ეკონომიკური ჩამორჩენილობის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს (სასესიო) პროცენტის აკრძალვა წარმოადგენს. ისტორიულად ყურანი მორწმუნეთათვის კრძალავს მევახშეობას (რიბა). მის საპირისპიროდ, ის მხარს უჭერს აქციონერულ (საპაიო) პრინციპებზე დამყარებული საკუთარი კაპიტალის დროებით ასიგნებას მოგება-წაგების წინასწარ შეთანხმებული წილით. ისლამური ფინანსური სისტემის მხარდამჭერები მასში ხედავენ პროცენტის მომტანი ფულადი სესხების ალტერნატივის უპირატეს ფორმას. ისინი ამგვარი პოზიციით აბრკოლებენ ისლამურ ეკონომიკათა მოდერნიზების პროცესსა და ისლამური საფინანსო სისტემების გლობალიზაციის პროცესში სრულფასოვან მონაწილეობას.

საკვანძო სიტყვები: ისლამი, ისლამი და ქრისტიანობა, ისლამური ეკონომიკის ეთიკა, ყურანი და მევახშეობა (რიბა).

შესავალი

ისლამი ამქვეყნიური ცხოვრებისთვის იძლევა პოზიტიურ ფასეულობათა სისტემას ზოგადად და შრომით ცხოვრებაში მონაწილეობისთვის – განსაკუთრებით. ისლამური ეკონომიკის ეთიკა [A. Ghanie Ghaussy, 1983] თავისი შინაარსით, ინდივიდუალური ეთიკის სფეროს მიმართულებით ავლენს თანხვედრას

დასავლურ-ქრისტიანულ წარმოდგენებთან. ადამიანს, როგორც ღმერთის წარმომადგენელს დედამიწაზე, ღვთის მიერ ქმნილის მხოლოდ სარგებლობის უფლება გააჩნია. მან არ უნდა გაანადგუროს ის, მუდამ უნდა იყოს საკუთარ ქმედებებზე პასუხიმგებელი და ითვისისწინებდეს მომავალ თაობათა სამართლიან მოთხოვნებს, რაც არაგანახლებადი რესურსების (წიაღისეულის, ასევე წყლის) მოფრთხილებასა და გარემოს დაცვაზე ზრუნვას გულისხმობს. ისლამური სამართალი აღიარებს კერძო საკუთრების უფლებას წარმოების საშუალებებზე. ნაციონალიზაცია და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის სიტუაციებში. წარმოების ფაქტორები – მიწა და კაპიტალი მხოლოდ შრომით ხდება პროდუქტიული, ამიტომ შემოსავლების მიღება მხოლოდ მათი ფლობით არ უნდა ხდებოდეს. დაფინანსების, საიჯარო თუ სხვა სახის ხელშეკრულებები, წარმოების ფაქტორთა გამოყენებასთან დაკავშირებული შემოსავლები და რისკები, რაც მონაწილეთა, ანუ ბიზნესსუბიექტების ირგვლივ ერთიანდება, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეული სამართლიანობის კრიტერიუმებს. იკრძალება იმგვარ საქმიანობათა და მოქმედებათა ფორმები, რომლებიც ასოციალურ და სხვა დამაზიანებელ, საფრთხის შემცველ შედეგებს უკავშირდება, საიდანაც, სხვათა შორის, გამომდინარეობს ის, რომ ბაზრებზე უნდა ბატონობდეს კონკურენცია, ხოლო მონოპოლიები კი უნდა იქნეს პარალიზებული. გარდა ამისა, ყველა სახის ტრანზაქცია არის აკრძალული, რაც უკავშირდება ერთი მხარის მოგებას და მეორე მხარის წაგებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხავია, განსაზღვრავს თუ არა ისლამური ეკონომიკის ტრადიციული ეთიკა მუსლიმთა ფაქტობრივ ქცევებს, და თუ განსაზღვრავს, მაშინ – რამდენად, რადგან ახლო აღმოსავლეთის ისლამურ სახელმწიფოთა ეკონომიკური ჩამორჩენილობის ერთ-ერთ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს სასესხო პროცენტის აკრძალვა წარმოადგენს, რასაც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

პროცენტის აკრძალვის მაგალითი ვარგისია, ერთი მხრივ, მეთოდურ და კონცეპტუალურ პრობლემათა დემონსტრირებისთვის, რაც დღეს „ისლამური გადანყვევტილებების“ დეფინიციასთან დგას კომპლექსურად და გლობალურად გადაჯაჭვულ მსოფლიოში. მეორე მხრივ, ბოლო წლებში აშკარა გახდა გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის კვალდაკვალ, დასავლეთის ინტენსიური გავლენები ეკონომიკურ ქვესისტემებსა თუ ცხოვრების სფეროებზე, რომლებშიც ისლამური სისტემის მხარდამჭერთა აზრით, ისლამურ წყაროებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ქცევის ფორმათა და ინსტიტუციათა განსაკუთრებული ზომით ლეგიტიმაცია, თუმცა, რისი რეალიზებაც ყოველთვის რთული და საფუძვლიანი კონტროლერების საგანს წარმოადგენს.

ყურანი მორწმუნეთათვის კრძალავდა მევახშეობას (რიბა). უპროცენტო ფინანსური სისტემის მხარდამჭერთათვის ამ ცნებით ნაგულისხმევია არამხოლოდ ქრისტეს აქეთ VII საუკუნის არაბეთში გავრცელებული მევახშეობის

პრაქტიკა, არამედ ნებისმიერი პროცენტი არსებული სასესხო შეთანხმებასა თუ ხელშეკრულებასთან.

რიბას აკრძალვის მკაცრი ინტერპრეტაციის მხარდამჭერებიც კი ვერ უარყოფენ კაპიტალის პოტენციურ პროდუქტიულობას. თუმცა, ისინი მიანიშნებენ წინასწარმეტყველის დროს ვაჭართა შორის არსებული დიდი ერთობლივი პროექტების დაფინანსების ჩვეულებრივ ტიპზე, რაც დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება დახასიათდეს, როგორც საკუთარი კაპიტალის დროებითი, შესაბამისად პროექტთან დაკავშირებული ასიგნება მოგების ან ნაგების წინასწარშეთანხმებული ნილით. ისლამური ფინანსური სისტემის მხარდამჭერები მასში ხედავენ პროცენტის მომტანი ფულადი სესხების ქეშმარიტად უშუალო და აღმატებულ ალტერნატივას, და მათ სურთ, რომ აქციონერულ (საპაიო) პრინციპზე დამყარებული ამგვარ კაპიტალდაბანდებათა ტექნიკა, შეძლებისდაგვარად, ყველა ფინანსური ტრანზაქციის საფუძვლად აქციონ. სხვათა შორის, ამის გასამართლებლად, ისინი მინიშნებენ აკეთებენ იმაზე, რომ აქციონერული(საპაიო) დაფინანსების დროს, რისკები და შანსები სამართლიანად უნდა გადანაწილდეს ინვესტორთა და სამენარმო საქმიანობით დაკავებულ პარტნიორებს შორის: მოქმედი მენარმე თავისუფლდება, რადგან ინვესტორი ზარალის რისკებს მასთან ერთად სწევს, მაშინ როდესაც პროცენტული სესხის დროს ინვესტორი არავითარ რისკს არ სწევს და ზარალი მხოლოდ და მხოლოდ მენარმემ უნდა აანაზღაუროს.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმი ეკონომისტების მიერ პროპაგანდირებული იდეალი მხოლოდ მოგება-ზარალის თანამონაწილეობაზე დამყარებული ფინანსური სისტემის შესახებ, მნიშვნელოვანი ეთიკური და ფუნქციონალური პრობლემებით არის დამძიმებული. ასე, მაგალითად, მცირე მეანაბრებს, რომლებსაც ბანკებში შემნახველ ანგარიშებზე (დეპოზიტებზე) აქვთ ფულადი შენატანები, ბანკები ვაჭართა მსგავსად მოეპყრობიან, რამდენადაც ისინი ნდობას უცხადებენ ბანკებს, ისინი მათთან ერთად იყოფენ როგორც ბანკების მოგებას, ასევე ნაგებას. მათი ანაბრების სუბსტანცია სამართლებრივად არ არის გარანტირებული. თუმცა, ვაჭრებისაგან განსხვავებით, მცირე მეანაბრებს პრაქტიკულად არავითარი შესაძლებლობა არ აქვთ კონტროლი განახორციელონ ბანკების მიერ მათი ფულის გამოყენებასთან მიმართებით, რაც ბუნებრივია, ეჭვის გაჩენის მნიშვნელოვანი საბაზი შეიძლება გახდეს რისკებისა და შანსების განაწილების პატიოსნებასთან დაკავშირებით.

ისლამური საბანკო საქმის თეორეტიკოსები ხანგრძლივი დროის განმავლობაში უარყოფდნენ, რომ მათ მიერ პროპაგანდირებული მოგება-ზარალის თანამონაწილეობის ბაზისზე დაფუძნებული დაფინანსების გვერდით, ასევე ისლამური სამართლის მიხედვით დასაშვები დაფინანსების (სხვა) ფორმები შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, რასაც ეკონომიკური თვალსაზრისით, თითქმის მსგავსი შედეგები გააჩნიათ, როგორც ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ პროცენტულ სესხებს. თუმცა, დაუშვებელია, რომ ბანკი კომპანიაზე გასცემდეს

პროცენტულ ფულად სესხებს, რომლითაც ეს უკანასკნელი შეიძენდა მანქანა-დანადგარებსა თუ მზა ნაწარმს მათ მიერ გამოსაშვები პროდუქციის კომლექტაციისთვის, მაგრამ სამართლებრივად არ არის საკამათო, თუ ბანკი კომპანიას გაუყიდის ამ მანქანა-დანადგარებსა და მზა ნაწარმს; გარდა ამისა, მოგვიანებით კომპანიისგან ბანკში გადასახდელი ფასი, ბანკის მიერ გაცემულ ჯამურ ღირებულებაზე მეტია. ეკონომიკურად ფასთა სხვაობა შეესაბამება მოზიდული კაპიტალის შემოსავლიდან მიღებულ პროცენტს, მაგრამ სამართლებრივად არ არსებობს არანაირი სასესხო ხელშეკრულება და ბანკი იღებს არა აკრძალულ პროცენტს, არამედ აღწევს დასაშვებ მოგებას სავაჭრო ფირმიდან. დაფინანსების ეს ტექნიკა მყარი ფულადი ნამატი, ისლამურ ბანკებში ფართოდაა გავრცელებული.

ისლამური ეკონომიკის მოდერნიზაციის გამოწვევები

მართალია, ისლამური საბანკო საქმის [S. Al-Harran, 1995] თეორეტიკოსები აკრიტიკებენ არსებულ ბანკებს სავაჭრო ფირმების დაფინანსებითი პრაქტიკის გამო, რადგან ისინი ამით აშკარად უხვევენ იდეალისკენ მიმავალი გზიდან, მაგრამ მათ არ შეუძლიათ აჩვენონ, ამ გავრცელებული პრაქტიკის დაუშვებლობა, მათ მიერ ცალსახა უპირატესობის გამოვლენისა თუ საყოველთაოდ, პირველხარისხოვნად აღიარებული ნორმატიული ორიენტირების დარღვევის მიზეზით. თუმცა, როდესაც მიმდინარე საბანკო პრაქტიკა გარკვეული პერსპექტივებიდან არასასურველია, მაგრამ არა დაუშვებელი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ის მნიშვნელოვან როლს ითამაშებს: თითქმის ყველა ისლამურმა ბანკმა უნდა შეინარჩუნოს და დაამტკიცოს საფინანსო სისტემაში სასესხო პროცენტზე ბაზირებულ და კონვენციონალურ ბანკებზე თავისი უპირატესობა. სხვათა შორის, ისლამურ ბანკებს შეუძლიათ შეამცირონ საშემოსავლო რისკები, დაზოგონ საკონტროლო (საზედამხედველო) ხარჯები და მარტივად გადაჭრან დეპოზიტებისა და დაფინანსების დროსთან დაკავშირებული შესაბამისობის(თანაფარდობა-თანხვედნილობის) პრობლემები. როდესაც ეს ასეა და ამასთან, როდესაც მენარმეთა არა უმნიშვნელო ნაწილს აინტერესებს მოგება, ვიდრე მორალური პრინციპების პატივისცემა, კუმულაცია სწორედ რომ ძალზე ცუდ რისკებს წარმოადგენს ბანკებთან, რომლებიც მოგებისა და ზარალის თანამონაწილეობის პრინციპის უფართოეს გამოყენებაზე ზრუნავენ; არ არის გამორიცხული, კომპანიები სარისკო პროექტებით მზად იყვნენ ამ პროექტების თანმხლები რისკები გაუნაწილონ ბანკებს, მაშინ როდესაც ფირმები განსაკუთრებული მოგების მიღების მოლოდინებით არჩევენ დაფინანსებისთვის ჩვეულებრივ ფიქსირებული თანხა გადაიხადონ და დამატებითი მოგება თავისთვის დაიტოვონ. ეს შესაძლოა მივიდეს იქამდე, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მორალურად მოსაწონი ქცევები ბანკებისთვის არ იყოს ღირებული და მორალურ აქტიორებს მოუწიოთ ეკონომიკური ნეგატივის მიღება და მასთან შეგუება.

(თანა)მონანილეობასა თუ გაზრდილ დაფინანსებაზე დაფუძნებული საბანკო სისტემის ტექნიკურ-კონცეფციური მთავარი პრობლემაა ის, რომ ორივე ხელშეკრულების ტიპი უშუალოდ არ გამოდგება ბანკებს შორის არსებულ სალდოთა დასაბალანსებლად: კონვენციურ(ტრადიციულ) სისტემაში ბანკებს შეუძლიათ საკუთარ განკარგულებაში მყოფი საშუალებების (რისი მოკლე დროისთვის არანაირი მიმზიდველი გამოყენების შესაძლებლობა არ გააჩნიათ), ხელსაყრელი, რენტაბელური პროექტების მქონე ბანკებისთვის გადაცემა: და პირიქით, ბანკებს შეუძლიათ მოკლევადიან ლიკვიდობასთან დაკავშირებული სირთულენი სხვა ბანკების კრედიტებით დაძლიონ. ბანკებს შორის არსებული მოკლევადიანი ლიკვიდობის ტრანსფერების მიმართულება და მოცულობა პროცენტით რეგულირდება. მუსლიმი ეკონომისტები და საბანკო საქმის პრაქტიკოსები ტრანზაქციათა ამ სახეობის მნიშვნელობას ისლამური ფინანსური სისტემის ეფექტიანობისთვის მთლიანად, და ცალკეული ფინანსური ინსტიტუციის რენტაბელობისთვის, დიდი დროის განმავლობაში არასათანადოდ აფასებდნენ. თანდათანობით ეს შეიცვალა, როდესაც მას, ისლამური ბანკების მხრიდან ადგილი ჰქონდა როგორც პროცენტით დეტერმინირებულ ეკონომიკებში(მაგ., ეგვიპტე, იორდანია, ბაჰრეინი, თურქეთი, მალაიზია), ასევე ისლამიზებულ სისტემებში(განსაკუთრებით პაკისტანი და ირანი), რაშიც, თეორიულ დისკუსიებთან ერთად, პირველ რიგში, დიდია პრაქტიკული გამოცდილების დამსახურება. როგორც ჩანს, ძალზე ძნელი აღმოჩნდა მოკლევადიანი ლიკვიდობის მენეჯმენტის ინსტრუმენტთან, შესაბამისად უპროცენტო ფულის ბაზართან დაკავშირებით, ბანკის პრაქტიკოსების სურვილთა ასრულება. რადგან ეს ბანკთაშორის ლიკვიდობის მოკლევადიან ტრანსმისიას შეეხება, ერთი მხრივ, გამორიცხავს დაფინანსების ტექნიკათა პირდაპირ გამოყენებას, რაც რეალური აქტივის (ფართო მოხმარების საქონლის/საგნებისა და წარმოების საშუალებათა) შესახებ სავაჭრო და ქირავნობის ხელშეკრულებებს ემყარება. მეორე მხრივ, ლიკვიდობის მოთხოვნადი ბანკის მოგებაში (თუ ზარალში) მონანილეობა ასევე არ არის დამაჯერებელი გადაწყვეტილება, რადგან ის უზინარესად მნიშვნელოვანი დროითი ჩამორჩენებით განისაზღვრება და მოკლევადიანი ლიკვიდობის ტრანსმისიის ეფექტური ფასი, მხოლოდ შემდეგ შეიძლება იქნეს დადგენილი.

პრაქტიკა დაიწყო იმის საპასუხოდ, რომ განვეითარებინათ რელატიურად რთული ფინანსური სტრუქტურები (ფონდებით, ე.ი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებითა და სავაჭრო სერთიფიკატებით), რათა „ისლამური“ ბაზრის პროცენტის აკრძალვის ფორმალური, შესაბამისად სამართლებრივი დაცვით შეექმნათ მოლკევადიანი ფასიანი ლიკვიდობის დათმობები ბანკებს შორის, რაც ფუნქციონალურ ფულად ბაზრებზე პროცენტის ბაზის უნდა შეესაბამებოდეს, ანუ უნდა იყოს მისი ეკვივალენტი. ყურადღებას იმსახურებს ის, რომ წლების წინ საკმაო რაოდენობის კონვენციური არაბული და დასავლური ბანკები მონანილეობდნენ უპროცენტო ფულადი ბაზრების კონსტრუქციის განვითარებაში, რომლებსაც ამ საქმიანობით (მათ შორის, უპროცენტო განყოფილებების, ანუ

ისლამური შვილობილების დაფუძნებით) და ზოგადად, საკუთარი მყოფობით ბაზრებზე, სურდათ ისლამური ქვეყნების გაძლიერება და მზარდად პროგრესირებად ე.წ. Submarket-ზე(გარკვეული სასაქონლო ჯგუფისა და მომსახურების სახეობის ბაზარზე) მონაწილეობის მიღებინება. კონვეციური ბანკებისთვის ისლამის (რელატიური) მნიშვნელობა მათი გლობალიზაციის სტრატეგიების ფარგლებში ისაა, რომ რიბა-აკრძალვა განსაზღვრავს აშკარად მომგებიანი ბაზრის სეგმენტს. პირიქით, ისინი ხელს უშლიან ისლამურ ბანკებს გლობალური კონკურენციით და აწარმოებენ ეფექტურ წნეხს უპროცენტოდ მომუშავე საფინანსო ინსტიტუციების მიმართ. ისლამურ ბანკებს არ შეუძლიათ ამ წნეხის აცილება, რამდენადაც მათ მართებთ იმის გათვალისწინება, რომ მუსლიმურ ქვეყნებში ძნელად არსებობს მუდამ „სეკულარულზე“ ორიენტირებულ ხელისუფლებათაგან სანქცირებული პრივილეგიები და პროტექციები. ამიტომ, ისლამური ბანკების უმეტესობა მიჰყვება კოოპერაციისა და აკომოდაციის სტრატეგიებს, რათა ისინიც ასევე დაბრუნდნენ (საკუთარ თუ სხვა ბანკებისგან შემოთავაზებულ) ფულადი ბაზრის კონსტრუქციაში, მათივე ლიკვიდობის მეწვემენტისთვის.

ისლამური ეკონომიკის სისტემურ-კონსტიტუირებად სფეროში ადგილი აქვს კონვენციური და ისლამური ბანკების ინსტრუმენტთა შორის მომავალ ეკონომიკურ დაახლოებას; განსხვავებები ჯერ კიდევ არსებობს რიტორიკაში, შესაბამისად, კლიენტურასთან დამოკიდებულებასა და ნაწილობრივ, ფორმალურად უპროცენტო საფონდო და სასერთიფიკატო მოდელის რთულ სამართლებრივ კონსტრუქციებში. ასე მოწყობილ და მომართულ ისლამურ საბანკო სისტემებს, – განსაკუთრებით სპეკულაციური ტრანზაქციების მიუხედავად, შეუძლიათ პრაქტიკულად მსგავსი საწარმოების ერთნაირი კომერციული პირობებით დაფინანსება და ტექნიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად, კონვენციური სისტემის მსგავსად, ისინი ეკონომიკური განვითარების მიმართულებით მეტად აღარც ხელშემწყობი და არც ხელშემშლელი ფაქტორის როლს ითამაშებენ. ამდენად, თუ ისლამი ეკონომიკურ ინსტიტუციათა სფეროში „სამართლებრივ წვრილმანებამდე“ რედუცირდება, ის არ ითამაშებს სუბსტანციურ როლს გლობალიზაციის პროცესში. მსგავსი ტენდენცია სავსებით იმსახურებს დაკვირვებას, რომელიც ასევე მუსლიმი იურისტების მხრიდან არის გარანტირებული და ფულადი ბაზრების კონსტრუქციის შესაბამისი ანალოგიისთვის – ფორმულირებული.

თუმცა, ეს განვითარება მრავალრიცხოვანი მუსლიმი ეკონომისტებისა და იდეოლოგების კრიტიკის საგანს წარმოადგენს, რომლებიც პირველ რიგში, დისტრიბიციული წესების მიხედვით ისლამის შეზღუდვებს „ბაზრის წმინდა ეფექტიანობის“ წინააღმდეგ, მიიჩნევენ კანონიერად და ეკონომიკური გაწვლენის სტრუქტურებსა და განაწილების ურთიერთობებს გვახსენებენ. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ არამხოლოდ ისლამური სამყაროს ქვეყნებს შორის არსებობს კეთილდღეობის მკვეთრი განსხვავება, არამედ, ასევე უმეტეს ქვეყ-

ნებში. ისინი ეკონომიკის შემდგომ განვითარებას ხედავენ ისლამური ქვეყნების საერთო რესურსების ოპტიმალურ რეალიზაციაში შიდა მოხმარებისთვის (ე.ი. რეგიონალიზაცია გლობალიზაციის ნაცვლად). მათი სურვილია სპეციალურად ისლამური საბანკო სისტემის იმგვარად მოწყობა, რომ ის არსებული ელიტის მიღმა ხელს უწყობდეს მოქმედ მენარმეებსა და ლოკალური ეკონომიკების განვითარების უწყვეტ პროცესს. ამგვარი პოზიცია შეიძლება „ისლამის სულითაც“ კი იქნეს გამართლებული და ასევე თავსებადია ეკონომიკურ-ეთიკური პრინციპებით, ეს არ არის პირველადი წყაროების ერთადერთი შესაძლო ინტერპრეტაცია. პირველადი კონტროლერების დასასრულის პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია, რადგან ანალოგიის ტრადიციული მეთოდი ისლამური სამართლის შემდგომი განვითარებისთვის, თავის ზღვარს აღწევს. თანამედროვე რაციონალური არგუმენტებისკენ მძლავრი შემობრუნება, შესაბამისად, ისტორიული მაგალითებისგან მკვეთრი გამიჯვნა-გათავისუფლება წარმოადგენს გარდაუვალ შეუქცევად პროცესს, რასაც უკვე თავად ტრადიციული სახელისუფლო თუ სხვა გავლენიანი სტრუქტურებიც აღარ აყენებენ ეჭვქვეშ. იმის მიხედვით, თუ რომელი მიმართულება ჰპოვებს წარმატებას და მიაღწევს აღიარებას, არსებითად განსაზღვრავს ისლამის (რელატიურ) მნიშვნელობას და მის განსხვავებულობას ეკონომიკის გლობალიზაციისაგან. მას (ისლამს) შეუძლია დასავლური ბაზრის რაციონალიზაციის გზის მოსაძებნად/მოსამზადებლად გადადგას შემდგომი ქმედითი ნაბიჯები, ან გამოიწვიოს პოლიტიკური კონტრამოძრაობა, რომელიც ანტიდასავლურ პროცესებში ტრანსფორმირდება. რასაკვირველია, უკანასკნელი არის უფრო პოლიტიკურ ძალთა ბალანსის, ვიდრე სხვა ძირითად ფასეულობათა გამოხატულება.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ იმ პირობებში, როდესაც მრავალსაუკუნოვანი მეთოდოლოგიის შენარჩუნება იძლევა ინსტრუმენტების განვითარების შესაძლებლობას, რომელიც ასევე ისლამურ საფინანსო ინსტიტუციებს, შესაბამისად საფინანსო სისტემებს რთავს გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობის ნებას, ისლამურ წყაროთა „თანამედროვე“ ინტერპრეტატორები, რომლებიც ჯიუტად დგანან მოგება-ზარალის მონაწილეობის კონცეფტებზე, შეძლებისდაგვარად აბრკოლებენ ისლამურ ეკონომიკათა მოდერნიზების პროცესებს, და ეს ხდება სწორედ მაშინ, როდესაც მათი მოდელები ავლენს ფუნქციურ დეფიციტს და ქმნის არასტაბილურობას. ამის თაობაზე შესაძლებელი იქნებოდა რაციონალური დისპუტების გამართვა, რაშიც მონაწილეობას ასევე მიიღებდნენ დასავლელი მეცნიერები და რითაც საკუთარ წვლილს შეიტანდნენ თანამედროვე მეცნიერებების ინტელექტუალურ გლობალიზაციაში.

ლიტერატურა:

References:

1. A. Ghanie Ghaussy, Die islamische Wirtschaftsethik und Wirtschaftslehre, Jahrbuch für Sozialwissenschaft, Bd. 34, H. 3, Lucius and Lucius Verlagsgesellschaft mbH, Stuttgart, 1983.
2. Das Zinsverbot 'Riba' im Islamic Banking – Islamic Banking Blog., islamicbankingblog.de/das-zinsverbot-riba-im-islamic-banking/
3. S. Al-Harran, Leading Issues in Islamic Banking and Finance, Petaling Jaya., 1995.

The Analysis of the ethic-economic Sides of Loan Interest Using in modern Islam

Vasil Khizanishvili

Invited Professor

Telavi State University

basil.khizanishvili@yahoo.com

Islam gives for the worldly life the positive value system. Ethics of Islamic economics is in agreement with the West-Christian attitudes towards the individual ethical sphere. It is to ask how much define ethics of Islamic economics principles factual behaviors of Muslims, because the basic determinable factor of the economic backwardness of Near East Islamic countries represents loan interest prohibition. The Quran forbids historically usury (riba). Against this, it supports on the joint-stock(share) principle based temporal assignment of own capital with a beforehand agreed part of win or loss. The supporters of Islamic financial system seem in this primary interest-yielding alternative form of the money loans. By such position they hinder valuable participation of the process of Islamic economic modernization and Islamic financial systems in globalization process.

Keywords: Islam, Islam and Christianity, Ethics of Islamic Economics, Koran and usury (Reba).

JEL Codes: H80, H81, H89

ბიზნესი ✧ მენეჯმენტი ✧ მარკეტინგი ✧ ტურიზმი
BUSINESS ✧ MANAGEMENT ✧ MARKETING ✧ TOURISM

მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და როლი თანამედროვე
საქართველოს ეკონომიკაში

უშანგი სამადაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ushangi.samadashvili@tsu.ge

ნაშრომში დაზუსტებულია კონკრეტულად რა იგულისხმება „მცირე და საშუალო ბიზნესის ქვეშ“, რადგანაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, მათ შორის საქართველოშიც, არ არსებობს მცირე და საშუალო საწარმოების უნიფიცირებული განმარტება, რაც გარკვეულ გაუგებრობებს ბადებს. მოცემულია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების პარამეტრების და ევროკავშირში შესაბამისი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი ძველი და ახალი მეთოდოლოგიით. ნაჩვენებია, რომ მცირე ბიზნესის არსი და მნიშვნელობა ვლინდება მის ფუნქციებში, რომელთა პრიორიტეტულობა, აქტუალურობიდან გამომდინარე, დროსა და სივრცეში იცვლება. ქრონოლოგიურად არის გაანალიზებული საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოშობა-განვითარების პერიპეტიები.

საკვანძო სიტყვები: მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი, ძველი და ახალი მეთოდოლოგია, გარდამავალი პერიოდი.

შესავალი

ყოველ დისციპლინას აქვს საკუთარი ცნებითი აპარატი (ინსტრუმენტარეიმი), რომლის მეშვეობითაც შეიცნობა ობიექტური სინამდვილე, ანუ საკუთარი შესწავლის საგანი. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ბიზნესის საფუძვლებია. ისმის კითხვა – რისთვის გეჭირდება ბიზნესის საფუძვლების ცნებების ცოდნა? – როგორც ხელოვნისაგან არ უნდა ველოდეთ სასურველ სამეურნეო შედეგს, როდესაც იგი შრომის იარაღებს (ინსტრუმენტებს) ინსტრუქციის შეუსაბამოდ იყენებს, ისე, ბიზნესის მკვლევრისგან ნაკლებად მოსალოდნელია რაიმე სასი-

კეთო, ცნებების (ინსტრუმენტების), მაგალითად, „მცირე და საშუალო ბიზნესის“ უზუსტოდ გამოყენების შემთხვევაში. ცნებითი აპარატის კარგი ცოდნა გვეხმარება არამხოლოდ ეკონომიკური სინამდვილის სწორად შეცნობასა და ბიზნესის ენაზე ზუსტად მეტყველებაში, არამედ ბიზნესის წარმატება-წარუმატებლობის მიზეზთა გამოვლენაშიც. მაგალითად, იმის გარკვევაში, ფირმის გაკოტრების მიზეზი ცუდი ბიზნესიდეაა (მენარმეა), თუ არაკვალიფიციური და მოუქნელი ხელმძღვანელობა (მენეჯერი).

მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის თანამედროვე გაგება და გენეზისი

ყოფითი ცნობიერების დონეზე მცირე ბიზნესში მოიაზრება საუბნო მაღაზია, პურის საცხობი, სასადილო, სილამაზის სალონი და სხვა, ხოლო მსხვილ ბიზნესში – კი-ისეთი გიგანტები, როგორცაა ჯენერალ ელექტრიკი (აშშ); როილ დათჩი (დიდი ბრიტანეთი-დანია); კოკა-კოლა (აშშ), ნიპონ ტელეგრაფი (იაპონია), ექსონი (აშშ), „გაზპრომი“ (რუსეთი) და სხვა.

„მსხვილი ბიზნესი“ ძირითადად ეკონომიკური ცნებაა, რის გამო, როგორც მსოფლიო, ასევე ქართული კანონმდებლობა არ გამოაცალკავებს ცნებას – „მსხვილი ბიზნესი“. ისე როგორც მსხვილ, საშუალო ბიზნესსაც არა აქვს განსაკუთრებული სამრთლებრივი სტატუსი. მას უჭირავს შუალედური პოზიცია ეკონომიკის სხვადასხვა პოლუსზე მყოფ მცირე და მსხვილ ბიზნესს, ასევე, მცირე ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის. „მსხვილისა“ და „საშუალოსაგან“ განსხვავებით კი, მცირე ბიზნესი განისაზღვრება, როგორც ეკონომიკურად, ისე იურიდიულად.

სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, მათ შორის საქართველოშიც, არ არსებობს მცირე და საშუალო საწარმოების უნიფიცირებული განმარტება, რაც გარკვეულ გაუგებრობებს ბადებს. ასე, მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) და შემოსავლების სამსახური მცირე ბიზნესს განსხვავებულად განსაზღვრავენ. კერძოდ, მცირე საწარმო, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საგადასახადო კოდექსის მიხედვით აღიარებული მცირე მენარმის სტატუსი (ამას უფრო კონკრეტულად ქვემოთ ვიხილავთ).

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, მცირე საწარმოებში მოიაზრება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები. სწორედ ამიტომ ისმის კითხვა – როგორ გამოიყურება საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პარამეტრები ევროკავშირის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით? – დღეისათვის ევროკომისია მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებს განსაზღვრავს 2005 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კრიტერიუმების მიხედვით. ევროკომისიის მიხედვით, მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების კლასიფიცირებულია შემდეგნაირად (იხ ცხრილი 1).

ევროკომისიის მიხედვით მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების კლასიფიკაცია

ცხრილი 1

ზომა	დასაქმება	ბრუნვა (მლნ ევრო)	ან აქტივები (მლნ ევრო)
მსხვილი	>250	> 50	> 43
საშუალო	<250	≤ 50	≤ 43
მცირე	< 50	≤ 10	≤ 10
მიკრო	<10	≤ 2	≤ 2

წყარო: Гурьянов П., Критерии определения размеров малого и среднего бизнеса. №10, 2011, с.4.

ცხრილიდან გამომდინარე, ევროკომისიის მიხედვით, მიკრო საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4 კაცს, ხოლო მაქსიმალური წლიური ბრუნვა 2 მლნ ევროს. შესაბამისად, მცირე საწარმოში – 49 კაცს და – 10 მლნ ევროს; საშუალოში კი – 249 კაცს და – 50 მილიონ ევროს; მსხვილ საწარმოში კი დასაქმებულთა რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 250 კაცს, ხოლო მაქსიმალური წლიური ბრუნვა – 50 მლნ ევროს (Гурьянов 2011, с.4).

ცნობილია, რომ საქართველოში 2017 წლამდე საწარმოთა ზომა განისაზღვრებოდა 2002 წელს შემუშავებული მეთოდოლოგიით, რომელიც ემყარებოდა საწარმოთა ბრუნვასა და დასაქმებულთა საშუალო წლიურ რაოდენობას. შესაბამისად, მსხვილ საწარმოებს განეკუთვნებოდა საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატებოდა 100 კაცს და საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა – 1.5 მლნ ლარს; საშუალო ზომის საწარმოებში შედიოდა ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა მერყეობდა 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე; მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნებოდა ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა არ აღემატებოდა 20 დასაქმებულს და საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა 0.5 მლნ ლარს.

დინამიკურმა სამეუნეო პრაქტიკამ და საქართველოს ევროკავშირზე ორიენტაციამ გვიჩვენა, რომ საქსტატის მიერ 2002 წელს დადგენილი ნორმები (500,000 ლარის ქვემოთ – მცირე, 500,000-დან 1,500,000-მდე – საშუალო და 1,500,000 ზევით მსხვილი), აღარ შეესაბამებოდა თანამედროვე ეკონომიკური განვითარების რეალობას და, მითუმეტეს, ევროპის ქვეყნებში დადგენილ მცირე და საშუალო ბიზნესის განმსაზღვრელ ნორმებს. სწორედ ამიტომ მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების განახლების პრიორიტეტული ღონისძი-

ების ფარგლებში „საქსტატის“ მიერ განხორციელდა მცირე და საშუალო სანარმოთა არსებული განმარტების ანალიზი და შესწავლილი იქნა საერთაშორისო პრაქტიკა. საერთაშორისო გამოცდილების შესწავლამ აჩვენა, რომ სანარმოთა ზომის განსაზღვრისას სხვადასხვა კრიტერიუმი გამოიყენება, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია სანარმოთა ზომის განსაზღვრა დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და ბრუნვის მოცულობის მაჩვენებლის მიხედვით. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის ანალიზისა და „ევროსტატის“ კრიტერიუმების გათვალისწინებით, „საქსტატის“ მიერ შემუშავდა რეკომენდაცია მცირე და საშუალო სანარმოთა განმარტების განახლებისთვის დასაქმებულთა რაოდენობისა და სანარმოთა საქონელბრუნვის მოცულობის გათვალისწინებით, მაგრამ განსხვავებული ზღვრული ოდენობით. ამასთან, ბრუნვის მაჩვენებლის კრიტერიუმის გამოყენების შემთხვევაში, დიაპაზონის განსაზღვრისას გამოყენებულ იქნა მყიდველობითი უნარის პარიტეტი (2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2016).

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოში 2017 წლის აპრილიდან განახლდა მცირე და საშუალო სანარმოთა განმარტება და დაუახლოვდა ევროსტატის განმარტებას. საქსტატის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სანარმოების ზომის მიხედვით დაყოფის კრიტერიუმები ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი2).

მიკრო, მცირე და საშუალო სანარმოების კლასიფიკაცია საქსტატის მიხედვით
ცხრილი 2

ზომა	დასაქმება	ბრუნვა (მლნ ლარი)
მსხვილი	>250	> 60
საშუალო	<250	≤ 60
მცირე	< 50	≤ 12
მიკრო	<10	≤ 2

წყარო: საქსტატი

ცხრილიდან გამომდინარე, საქსტატის ახალი მეთოდოლოგიით, მსხვილ სანარმოებში მოიაზრება სანარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს და საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს; საშუალო ზომის სანარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სანარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე; მცირე ზომისაა სა-

წარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარს.

როგორც ჩანს, საქსტატის მეთოდოლოგია ითვალისწინებს დასაქმებულთა რაოდენობასა და ბრუნვის მოცულობას, თუმცა გაზრდილია მათი ზღვრული ოდენობები. კერძოდ, მცირე სანარმოში დასაქმებულთა რაოდენობის ზღვარი 2.5-ჯერ, ხოლო წლიური ბრუნვის მოცულობის ზღვარი – 24-ჯერ. საშუალო სანარმოში, როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, ასევე წლიური ბრუნვის მოცულობის ზღვარი გაზრდილია 5-ჯერ; მსხვილ სანარმოში დასაქმებულთა რაოდენობის ზღვარი 2.5-ჯერ, წლიური ბრუნვის მოცულობის ზღვარი კი, 40-ჯერაა გაზრდილი.

ამგვარი განსაზღვრება მნიშვნელოვანია ევროკავშირის დაფინანსების პროგრამებისთვის, რომლის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. ვფიქრობთ, კვლევების ჩატარებისას გაურკვევლობების გამორიცხვისათვის, მიკრო ბიზნესის პარამეტრებიც უნდა დაუახლოვდეს ევროსტატის პარამეტრებს. შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომლის მიხედვით მენარმებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა გრანტებზე, ვინაიდან კომპანიები (მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ინდ. მენარმე და ა.შ.) არ შეიძლება იყვნენ გრანტის ბენეფიციარები, რაც ქმნის დაბრკოლებას ალტერნატიული დაფინანსების ხელმისაწვდომობისათვის. აღნიშნული შეზღუდვა, ასევე, პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს ან/და დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით და ზღუდავს კომპანიებში ინოვაციების და კვლევისა და განვითარების შესაძლებლობებს.

საქსტატის მეთოდოლოგიის პარალელურად, მენარმეობის ლეგალიზაციისა და გააქტიურებისათვის, 2018 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდა მცირე ბიზნესის დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი, რის შედეგადაც მცირე ბიზნესისთვის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შემცირდა ხუთჯერ – 5%-იდან 1%-მდე, ხოლო მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის შეზღუდვის ნორმა გაიზარდა ხუთჯერ – 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე. მცირე მენარმენი 1%-იან ბრუნვის გადასახადს გადაიხდიან თვის ბოლოს და არა წინასწარ, ე. წ. საავანსო რეჟიმით. მენარმეები უზრუნველყოფილი არიან, აგრეთვე, გამარტივებული საგადასახადო აღრიცხვით, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საგადასახადო ადმინისტრირების ხარჯი.

2018 წლის 30 აგვისტოს მონაცემებით, მცირე ბიზნესის სტატუსი და შესაბამისად 1%-იანი დაბეგვრის რეჟიმი აქვს 68 ათასამდე გადამხდელს. თუმცა, საშუალო ბიზნესი ამ შემთხვევაში უგულვებლყოფილია, რადგან ის ექვემდებარება ჩვეულებრივ დაბეგვრას. მიგვაჩნია, რომ რადგან მსხვილი სანარმოებისათვის გათვალისწინებული რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან განთავისუფლების რეჟიმით, ანუ ე.წ. ესტონური მოდელით, ვერ ისარგებლეს მცირე მენარმეებმა, მთავრობის მხრიდან ინიცირებული ამგვარი რეფორმა

დროული და ლოგიკური იყო. ვფიქრობთ, ეს სიახლე გაზრდის რეგისტრირებულ სანარმოთა რაოდენობას, გააფართოებს ოფიციალურ მენარმეთა ბაზას, რადგანაც დასაწყისშივე ძალიან ბევრ, დაახლოებით 120 ათასამდე მენარმეს შეეხება და შემდგომ, შესაძლოა მათი რაოდენობა 150-200 ათასმდე გაიზარდოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ისინიც მოახდენენ თავისი საქმიანობის რეგისტრაცია-ლეგალიზაციას, ვინც დღეს „ჩრდილშია“.

მენარმე ფიზიკური პირი უფლებამოსილია, მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით, მიმართოს შემოსავლების სამსახურს, რომელიც გაცემს მცირე ბიზნესის სერტიფიკატს. მცირე ბიზნესის სტატუსის მენარმე ფიზიკური პირი ითვლება მცირედ და სარგებლობს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით იმ შემთხვევაში, თუ მისი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული წლიური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 500 000 ლარს. ამასთან, მცირე მენარმე გადაცდება თუ არა წლიური ერთობლივი შემოსავალის 100 000 ლარიან ზღვარს, იხდის დღგ-ს, მაგრამ 500 000 ლარამდე წლიური ბრუნვის შემთხვევაში, განსხვავებით ადრე მოქმედი საკანონმდებლო ნორმისაგან, ინარჩუნებს მცირე ბიზნესის მენარმე ფიზიკური პირის სტატუსს და იხდის შეღავათიან 1%-იან ფიქსირებულ გადასახადს. 500 000 ლარზე ზევით წლიური ერთობლივი შემოსავალის შემთხვევაში კი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3%-ით. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირი ამ ნაწილის მიხედვით დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირებისთვის) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე. მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა. თუმცა, საქსტატის კლასიფიკაციით, 12 მლნ ლარამდე წლიური შემოსავლის შემთხვევაში, მცირე ბიზნესად რჩება. ე.ი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული მცირე სანარმო უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საგადასახადო კოდექსის მიხედვით აღიარებული მცირე მენარმის სტატუსი. ამან, სხვადასხვა პროგრამების განხორციელებისა და შეფასებისას, შესაძლებელია გამოიწვიოს სერიოზული გაუგებრობები.

შესაბამისად, რომელიმე პროგრამის განსხვავებული კლასიფიკაციით შეფასებისას ვლენულობთ სრულიად განსხვავებულ შედეგებს, რაც ართულებს მცირე და საშუალო სანარმოთა განვითარებისთვის სწორი პოლიტიკის შემუშავებას. აღნიშნულის თავიდან აცილებისათვის საჭიროა მცირე მენარმის სტატუსის განმსაზღვრელი ზღვრების გადახედვა, რადგან სახეზეა დიდი განსხვავება სტატისტიკური მეთოდოლოგიით განსაზღვრულ სანარმოს ზომებსა (ზედა ზღვარი: 12 მლნ ლარი) და დაბეგვრის მიზნებისთვის განსაზღვრულ სანარმოს ზომებს შორის (ზედა ზღვარი: 500 ათასი ლარი). შესაბამისად, რეალურად ნაკლები სანარმო სარგებლობს ამ სტატუსით მაშინ, როცა სანარმო რომელიც

არ სარგებლობს შეღავათიანი დაბეგვრის სისტემით მაინც მცირე სანარმოს კატეგორიაში ხვდება სტატისტიკის მეთოდოლოგიის მიხედვით, რადგან ამას ემატება ის სანარმოები, რომელთა წლიური შემოსავალი აღემატება 500 ათას ლარს და ნაკლებია 12 მლნ ლარზე.

ამგვარად, მცირე ბიზნესს საქსტატის და შემოსავლების სამსახური განსხვავებულად განსაზღვრავს. საქსტატის მიერ განხორციელებული ცვლილება ბიზნესის კლასიფიკაციის მეთოდოლოგიაში თავსებადია ევროკავშირის მეთოდოლოგიასთან. თუმცა, შემოსავლების სამსახური არ მიჰყვება ამ ცვლილებას, რაც მცირე და საშუალო სანარმოთა განვითარებას ქვეყანაში მნიშვნელოვნად აფერხებს. სწორედ ამიტომ, რეფორმის ფარგლებში აუცილებელია საგადასახადო და სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებული მცირე და საშუალო ბიზნესის განსხვავებული განმარტებების შესაბამისობაში მოყვანა, უნიფიცირება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მცირე მენარმის სტატუსის შემოღებას, სიკეთებთან ერთად, შესაძლებელია მოჰყვეს საბიუჯეტო და სხვა სახის უარყოფითი ეფექტიც. სახელმწიფო ბიუჯეტს დაახლოებით 40 მლნ ლარი დააკლდება. რაც შეეხება რისკფაქტორებს, რაც შეიძლება გამოვლინდნენ ამ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ და რამაც შესაძლოა დამატებით შეამციროს საგადასახადო შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის წრილით, რეალობა მდგომარეობს შემდეგში: მომსახურების სფეროში, მაგ., სამშენებლო ბიზნესში, სარემონტო მომსახურებაზე დასაქმებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მცირე ბიზნესის მენარმე ფიზიკური პირის სტატუსი, რაც არ შედის აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალში, ხოლო დამქირავებელი (ამ შემთხვევაში სამშენებლო კომპანია) აღარ დაბეგრავს საშემოსავლო გადასახადით, ანუ ნაცვლად 20%-ისა (საშემოსავლო გადასახადი) დაიბეგრებიან 1%-ით (მცირე ბიზნესის სტატუსი). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს არის საკმაოდ დიდი რისკი იმისა, რომ ბიუჯეტში შემოვიდეს უფრო ნაკლები შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის წრილით, ვინემ დაგეგმილია (ბუკია, 2019).

საზგადასახადო ისიც, რომ ევროკრიტიერიუმებზე გადასვლამ ავტომატურად გაზარდა მცირე და საშუალო სანარმოების რაოდენობა, ხოლო საშუალო და მსხვილი სანარმოებისა – შეამცირა. ამჟამად ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 70% მხოლოდ 350 მსხვილი სანარმოს გადასახადებით ყალიბდება. დანარჩენი 30% კი, მცირე ბიზნესის საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის. გამოდის, რომ მთელი ქვეყანა 350 მსხვილი მენარმის ამარაა დარჩენილი, რომელთაც ნებისმიერი პირადი უკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლიათ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყონ, გადაუკეტონ მას საარსებო ფინანსური წყარო და „ხალხს ქვეყანა თავზე დაამხონ“. ამგვარად, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, მენარმეთა თანაბარ პირობებში ჩაყენებისათვის, მცირე საგადასახადო

ტვირთისა და ეკონომიკის ლეგალიზაციისათვის, მიზანშეწონილია მცირე საგადასახადო შეღავათები და საგადასახადო ტვირთის არა რამდენიმე ასეულ, არამედ რამდენიმე ათეულობით ათას მენარმეზე გადანაწილება.

საქართველოში მსხვილ ქალაქებსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების, რეგიონული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდის, რეგიონში თანამედროვე ბიზნესპრაქტიკის დამკვიდრების, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის, გამომუშავებული შემოსავლების რეგიონებშივე ათვისების, რეგიონული პროდუქციის დივერსიფიკაციისა და რეგიონის მკვიდრთა მიგრაციის შემცირების მიზნით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, 2011 წელს ამოქმედდა მიკრო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა.

აღნიშნული პროგრამა გამიზნულია რეგიონებში როგორც საკუთარი ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის, ასევე არსებულის გაფართოება/გადაიარაღებისთვის. კონკრეტულად, ფინანსური დახმარების განევის გზით (ფინანსური მხარდაჭერა: ერთ მენარმეზე მაქს. 5,000 ლარი; ორ მენარმეზე მაქს. 10,000 ლარი; მენარმეთა ჯგუფზე მაქს 15,000 ლარი. თანამონაწილეობა: მოთხოვნილი თანხის მინიმუმ 20%) რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის (პროფესიუნალური ბიზნესკონსალტინგი, ბიზნესუნარების ტრენინგი, ბიზნესგეგმების მიღება, ინდივიდუალური კონსულტაციები) არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

მიკრომენარმის სტატუსის მოსაპოვებლად, ფიზიკური პირი უფლებამოსილია მიმართოს შემოსავლების სამსახურს, თუ იგი აკმაყოფილებს სამ მოთხოვნას:

1. საქმიანობას ეწევა დამოუკიდებლად და არ ჰყავს დაქირავებული მუშახელი;
2. მისი ერთობლივი შემოსავალი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით არ აღემატება 30.000 ლარს;
3. მისი საქმიანობა არ ხვდება მთავრობის N 415-ე დადგენილებით ჩამოთვლილ აკრძალული საქმიანობათა სიაში.

მიკრომენარმის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ფიზიკურ პირს, რაც განაპირობებს მის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით ყოფნას, კერძოდ, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს და სარეგისტრაციო გადასახდელს.

2018 წლის 20 აგვისტოდან პროგრამა ახალი პირობებით განახლდა. ცვლილებების შესაბამისად, საგრანტო თანხა ერთ მენარმე სუბიექტზე 20 000 ლარამდე გაიზარდა და ასევე შესაძლებელია არსებული, 2015-2017 წლებში დაფინანსებული ბენეფიციარების (სტარტაპების) განმეორებით დაფინანსება. იმისთვის, რომ მენარმე სუბიექტებს/მენარმე სუბიექტთა ჯგუფს კვლავ ჰქონდეს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა, მათ უნდა წარად-

გინონ პროექტი, რომელიც შეეხება მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოება/გადაიარაღებას. განსხვავებულად განისაზღვრება თანამონაწილეობის წილიც – პროგრამის მოსარგებლის/მოსარგებლეთა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 %-ით მაშინ, როდესაც პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20%-ით. როგორც ითქვა, ასევე, გაზრდილია დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და ნაცვლად 15 000 ლარისა, შეადგენს 20 000 ლარს.

2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს – „წარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მიკრო ბიზნესთან დაკავშირებით მხარდაჭერილია 6 212 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიცია შეადგენს 61 მლნ ლარზე მეტს, ამასთანავე, თანადაფინანსების სახით გაიცა 46.9 მლნ ლარი, ხოლო სულ დაფინანსებულია 9,384 ბენეფიციარი. შევნიშავთ, რომ აღნიშნულ პროგრამაზე რეგისტრაცია წელიწადში ერთხელ ცხადდება (თავისუფლება, 2018, 33).

სამეურნეო პრაქტიკიდან გამომდინარე, კანონით მინიჭებული პრივილეგიების შესანარჩუნებლად მიკრომენარმე ზოგჯერ იძულებულია ან საერთოდ არ გამოიყენოს დაქირავებული შრომა, ან დაასაქმოს ოჯახის წევრები, ან არალეგალურად დაასაქმოს ადამიანები. შემოსავლის ზედა ზღვარიც საკმაოდ დაბალია – თვეში საშუალოდ 2500 ლარის შემოსავალი მენარმისთვის, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული, ადვილი მისაღწევია. სტიმული, რომ მენარმემ არ გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი, ამცირებს მუშაკთა დაქირავებით წარმოების გაფართოებისა და წლიური შემოსავლების გაზრდის სურვილს. ეს მაშინ, როდესაც უცხოელმა ბიზნესმენმა, მაგალითად, აშშ-ში საკუთარი საქმე რომ წამოიწყოს, სხვა მოთხოვნებთან ერთად სულ ცოტა ადგილობრივი 5-6 კაცი მაინც უნდა დაასაქმოს. თვით „სტრატეგიაშიც“ ხაზგასმულია, რომ მცირე და საშუალო საწარმოები ერთ-ერთი მთავარი ძალა სამუშაო ადგილების შესაქმნელად და აქ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა პრიორიტეტულია, ანუ შეღავათები არ უნდა აფერხებდეს ბიზნესის ზრდა-განვითარებას, ბრუნვის ზრდასა და მუშაკთა ოფიციალურად დაქირავებას.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში საწარმოების ზომების მიხედვით კლასიფიკაციის კრიტერიუმები სპეციფიკურია, ჩვენ ვემხრობით შემდეგ თვალსაზრისს: საწარმო მიეკუთვნება მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს კონკრეტულ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებს. ამასთან, კრიტერიუმების ზღვრები ეფუძნება ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკის და კომპანიების განვითარების მაჩვენებლებს და შესაბამისობაშია სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებთან.

ამგვარად, მცირე ბიზნესი არის მცირე საწარმოების ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოში გამოყენებულ მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, ზღვრებს და რომელსაც

შედარებით მცირე კაპიტალდაბანდებებით შეუძლია სწრაფად გაზარდოს ეკონომიკაში საქონელმწარმოებელთა რაოდენობა და ოპერატიულად დააკმაყოფილოს საქონელსა და მოსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნილება. სწორედ ამიტომ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და მისი განვითარების ყველაზე რეალური და ეფექტიანი საშუალებაა მცირე ბიზნესის განვითარება. თუმცა, მცირე ბიზნესის განსაზღვრების ცოდნა სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ მის შესახებ გვაქვს სრულყოფილი ცოდნა. ამისათვის უნდა ვიცოდეთ ისიც, თუ როგორ წარმოიშვა მცირე ბიზნესი, რა გზები გამოიარა და როგორ მოვიდა დღევანდლამდე. ამ მიმართებით საჭიროა გაკეთდეს მოკლე ისტორიული ექსკურსი მცირე მენარმეობის განვითარებაში.

პირველი წერილობითი ცნობები მცირე ბიზნესზე 4000 წლის წინანდელია. აქედან იღებს სათავეს მენარმეობა, რომელიც დღეს მრავალფეროვან პროდუქციასა და მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს. მცირე ბიზნესი გვხვდება თითქმის ყველა უძველეს კულტურაში. ამ საქმეში გამოირჩეოდნენ არაბები, ბაბილონელები, ეგვიპტელები, ბერძნები, ფინიკიელები და რომაელები. მაშინდელი პროდუქცია და მომსახურება ხშირად უხარისხო და დაუდევრად შესრულებული იყო. ამის გამო მომხმარებელი არც თუ იშვიათად მოტყუებული რჩებოდა. ამიტომ მცირე სანარმოებს უყურებდნენ სიძულვილით (Сирополисе 1997, 16).

ტერმინი – „მცირე ბიზნესი“, პირველად აშშ-ში გამოიყენეს 1953 წელს მიღებულ კანონში „მცირე ბიზნესის შესახებ“. მცირე ბიზნესი ბიზნესის სტრუქტურული შემადგენელი ნაწილია. სხვათა შორის, ისტორიულად, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაშიც სწორედ მცირე ბიზნესმა შეიტანა დიდი წვლილი. როგორც ცნობილია, მცირე ბიზნესი ჩაისახა და განვითარდა აშშ-ში, რაც ევროპიდან ემიგრაციის დიდ ტალღასთან იყო დაკავშირებული. აუთვისებელ ტერიტორიებზე ემიგრანტებს სჭირდებოდათ საქონელი და მომსახურება. ასე გაჩნდა პირველი ოჯახური საცხოვრებელი, სახელოსნოები, მაღაზიები, სასადილოები, სამრეცხაოები და სხვა. ამიტომ, შემთხვევითი სულაც არ არის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე მენარმეობას, ანუ მცირე ბიზნესს.

მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, სახელმწიფოს ეფექტიანი მხარდაჭერით, მცირე და საშუალო ბიზნესი იძენს განსაკუთრებულ **სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ** მნიშვნელობას:

1. მცირე და საშუალო ბიზნესის სოციალური მნიშვნელობა განპირობებულია მცირე სანარმოში დაქირავებულ მუშაკთა მეტი რაოდენობით, რაც საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებრივი მახასიათებელია. 2. განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყ-

ნებში მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკური მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ სანარმოთა უმეტესი ნაწილი მოქმედებს ეკონომიკის ამ სექტორში, უზრუნველყოფს ჯანსაღ კონკურენციას, ამ სექტორშია კონცენტრირებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა და წარმოებული მსპ-ის (მთლიანი სამამულო პროდუქტი) (პაპავა, სილაგაძე, 2019) მნიშვნელოვანი წილი.

3. მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკური მნიშვნელობა ვლინდება იმით, რომ ის არის საშუალო კლასის ფორმირების საფუძველი, რაც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიად გვევლინება.

ხაზგასასმელია, რომ მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) ფუნქციები დროისა და სივრცის მიხედვით იცვლება. მსს განსაკუთრებულ ფუნქციას იძენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის. მისი როლი არ განისაზღვრება მხოლოდ საბაზრო სისტემის განვითარებითა და მისი მექანიზმის სრულყოფით. საქართველოსა და მის მსგავს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისათვის პირველი რიგის ამოცანაა თვით ამ საბაზრო სისტემის საფუძვლების შექმნა, რაც მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბებით იწყება. მათი მეშვეობით მიიღწევა დიდი ზომის საწარმოების რესტრუქტურირება, ბაზართან ადაპტირება და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი ჭარბი სამუშაო ძალის დასაქმება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობა (გობეჯიშვილი, 2013, 4).

ამრიგად, სავსებით ნათელია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის ფორმირება-ფუნქციონირება-განვითარებისთვის. უფრო კონკრეტულად, თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში მცირე საწარმოები, თავიანთი მრავალფეროვანი ფუნქციით, ხელს უწყობს:

1. გაუმართლებლად გამსხვილებული საწარმოების დეკონცენტრაციას, დემონოპოლიზაციას, პრივატიზებას და ამ გზით დამოუკიდებელ საქონელმწარმოებელთა გამრავლებას, ანუ საბაზრო-კონკურენტულ ურთიერთობაზე გადასვლას. ეს ფუნქცია განსაკუთრებით აქტუალური იყო საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში. ეს მაშინ, როცა უმსხვილესი თანამედროვე კორპორაციები – IBM, MacDonald's, Microsoft და სხვები, სწორედ რომ მცირე ზომის საწარმოებიდანაა ამოზრდილი. აშშ-ში გავრცელებულია გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც „ამერიკული ეკონომიკის ხერხემალს დიდი კორპორაციები წარმოადგენენ, მის კუნთებს კი მცირე ფირმები ქმნიან“ (Edward 1963, 1,2);

2. მომხმარებლებთან უშუალო კონტაქტის გამო, მოთხოვნილებისადმი ოპერატიულ რეაგირებას და მის შესაბამისად საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიის, მართვის ფორმების, ეკონომიკური სტრუქტურის და ა. შ. გარდაქმნას, ანუ საზოგადოების ბაზრის მოთხოვნებისაკენ შემოტრიალებას და სტაბილიზაციას;

3. ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, დასაქმების ხელშეწყობასა და უმუშევრობის დონის შემცირებას;

4. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის (სტუდენტები, მოსწავლეები, დიასახლისები, შრომისუნარშეზღუდულები, პენსიონერები და სხვა) სრული და არასრული სამუშაო დღით შრომით საქმიანობაში ჩართვას და ინკლიუზიურ ეკონომიკურ ზრდას;

5. ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა საზოგადოებასთან რეინტეგრაციას, რესოციალიზაციას და დეკრიმინალიზაციას;

6. მსხვილთან შედარებით ნაკლები კაპიტალითა და რესურსებით საქმის დაწყებას და წარმოების განვითარებას;

7. კერძო ინიციატივისა და ინოვაციური საქმიანობის გამოვლენისათვის ფართო ასპარეზის შექმნას. სიახლის გამოცდას, სწრაფ დაწერგვას და ახალი საქონლის გამოშვებაზე გადასვლას;

8. ადგილობრივი წარმოებით არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლებას, ექსპორტის ნახალისებასა და ინტერნაციონალიზაციას;

9. მსხვილი კომპანიების ლოგისტიკაში და დისტრიბუციაში მომსახურებას, ანუ ბიზნესქსელის შექმნას;

10. ხელისუფლების ადგილობრივი თვითმართვის ორგანოებისათვის სამეურნეო საფუძვლების განმტკიცებას და თვითუზრუნველყოფადი ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რადგანაც ისინი, უპირატესად, ადგილობრივი რესურსებით და ადგილობრივი ბაზრისთვის საქმიანობენ;

11. ქვეყანაში საშუალო კლასის ფორმირებას, რომელიც არის ეკონომიკური უსაფრთხოების, სიღარიბის დაძლევისა და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი;

12. ემანსიპაციისა გამო ქალთა ჩაბმას მცირე ბიზნესში, ანუ ბიზნესუმენტთა მომრავლებით ინკლიუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას;

13. ცენტრსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობისა და შემოსავლებრივი უთანაბრობის შერბილებას;

14. საქმის წამოწყების და პროფილის შეცვლის სიოოლეს;

15. მოქნილ მენეჯმენტს, ტრადიციულ გემოვნებასა და სტანდარტებთან იოლად შეგუებას;

16. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ხარჯების შემცირებას. შემოსავლების მხრივ მცირე ბიზნესის განვითარება ქმნის ახალ საგადასახადო ბაზას, რაც ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების სახით აისახება. ხარჯვით ნაწილში მცირე ბიზნესის განვითარება ზრდის ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლებს, რაც ამცირებს ბიუჯეტიდან შესაბამის სოციალურ ტრანსფერების გამოყოფის აუცილებლობას.

სწორედ ჩამოთვლილი უპირატესობების გამოა, რომ აშშ-ის მხოლოდ მრეწველობაში მოქმედებს 3 მლნ მცირე სანარმო. ისინი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით ნახევარს აწარმოებენ. ის, რომ იაპონია თავისი ეკონომიკური განვითარების დონით ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში, მცირე და საშუალო სანარმოებს უნდა უმაღლოდეს. იქ საყოველთაოდ ცნობილი მსხვილი კონცერნები, ეროვნული ეკონომიკის აისბერგების მხოლოდ მწვერვალებს წარმოადგე-

ნენ, საფუძველი კი მცირე და საშუალო საწარმოებია. მათზე მოდის რეალიზებული სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 53%, საბითუმო ვაჭრობის 60% და საცალო ვაჭრობის 80%-ზე მეტი.

შევნიშნავთ, რომ ჩამოთვლილი ფუნქციების პრიორიტეტულობა, აქტუალურობიდან გამომდინარე, დროსა და სივრცეში იცვლება. მცირე ბიზნესი განსაკუთრებით აქტუალური იყო განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, როცა სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო ეკონომიკას აშენებდნენ. მცირე ბიზნესის ფუნქციონირება აქტუალურია მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის, ამ სისტემის განმტკიცებისა და განვითარების პროცესში.

საზგასამელია, რომ მცირე ბიზნესს აქვს გარკვეული სუსტი მხარეებიც:

- წარუმატებლობის მაღალი მაჩვენებელი. მცირე ფირმები უფრო სწრაფად ჩნდებიან, მაგრამ ასევე სწრაფად კოტრდებიან. გაეროს მონაცემებით, არსებობის ერთი წლის შემდეგ, ახლადშექმნილი მცირე და საშუალო საწარმოების დაახლოებით 50% რჩება მოქმედი სუბიექტების რიცხვში, 3 წლის შემდეგ – 7-8%, ხოლო 5 წლის შემდეგ – არა უმეტეს 3%-ისა. ამავე დროს, მათი საერთო რიცხვი, როგორც წესი, იზრდება ან უცვლელი რჩება, რადგან ლიკვიდირებული საწარმოების ადგილზე მუდმივად იქმნება ახალი საწარმოები (Зарубежный опыт, www.giac.ru).

- აღნიშნული წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი საწარმოს შექმნის სიადვილე და ცუდი მართვაა. რადგან მცირე ბიზნესში ხშირად შემთხვევითი, სათანადოდ მოუმზადებელი ადამიანები ხვდებიან, ფაქტობრივად, მათ საკუთარი საქმის დამოუკიდებლად ორგანიზება ბევრად ეიოლებათ, ვიდრე თავისუფალი სამუშაო ადგილის შექმნა.

- საქმიანობის წარმართვის გამოუცდელობა. ხშირად მცირე საწარმოები განიცდიან წარუმატებლობას იმის გამო, რომ ვერ ართმევენ თავს გარდიდ მოთხოვნებს მმართველობაში. ერთია – ათმუშაკიანი მაღაზიის მართვა და სრულიად განსხვავებული რამაა-ასკაციანი მაღაზიის ხელმძღვანელობა. ათმუშაკიანი მაღაზიის შემთხვევაში მენარმენი ახორციელებენ ვიზუალურ კონტროლს მათ განკარგულებაში არსებულ ყველაზე და ყველაფერზე. მაგრამ, როგორც კი იზრდება საწარმო ასკაციან კოლექტივამდე, საჭირო ხდება მენარმეთა გადასვლა საქმის დაგეგმვისა და კონტროლის შედარებით რთულ სისტემაზე. სამწუხაროდ, ხშირად მმართველ გუნდს არ ჰყოფნის კომპეტენცია, გამოავლინოს და დაიქირავოს, საწარმოს გადარჩენისა და განვითარებისათვის აუცილებელი ტალანტის მქონე ადამიანები. მათგან განსხვავებით მსხვილი კორპორაციის პრეზიდენტები უფრო ხშირად პროფესიონალი ხელმძღვანელები არიან. ისინი ოსტატურად ფლობენ რა მართვის საუკეთესო და თანამედროვე საშუალებებს, უნარიანად დირიჟორობენ ათობით მცოდნე ადამიანის ტალანტს კომპანიის პრობლემების გადაჭრისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის;

- ბიზნესპარტნიორებისაგან ნდობის შედარებით ნაკლები ხარისხი;
- ფინანსებზე, საკრედიტო რესურსებისადმი შეზღუდული ხელმისაწვდომობა;
- საგადასახადო კანონმდებლობის სუსტი ცოდნა;
- მწირი ფინანსების გამო კვალიფიციური ბუღალტრის დაქირავების შეუძლებლობა;
- კაპიტალდაბანდების დაკარგვის მაღალი რისკი;
- კანონებში ხშირი და სწრაფი ცვლილებების გამო, მათი დროული გაცნობის სიძნელე;
- მასში ეროვნულ უმცირესობათა სუსტი წარმომადგენლობა;
- საზოგადოებაში წინასწარ შექმნილი ცუდი აზრი და სხვა.

საზგადასმელია, რომ მცირე ბიზნესი, თუმცა ძირითად როლს ასრულებდა ცივილიზაციურ პროცესში, ის არასოდეს დაუფლებია საზოგადოებრივ ცნობიერებას. ახლა კი სულ უფრო ხდება მცირე ბიზნესის აღიარება ეკონომიკის შემოქმედებით ძალად. მცირე ბიზნესი თანამედროვე საზოგადოებაში, მათ შორის საქართველოშიც, ყურადღების ცენტრშია. ამ მიმართებით, აღსანიშნავია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის (ო. გოგიაშვილი, ე. გობეჯიშვილი, ე. კაკულია, ა. ქიმაძე და სხვა) მიერ მოცემული მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების ეტაპების საინტერესო ინტერპრეტაცია. თუმცა, ყველა მათგანში გაბატონებულია შეხედულება, რომ საქართველოში ლეგალური მცირე ბიზნესის ფორმირება დაიწყო XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, ანუ გარდამავალი პერიოდის დასაწყისიდან, რაც გარკვეული უზუსტობაა.

თანამედროვე საქართველოში ლეგალური მცირე ბიზნესის აღორძინება-ფორმირების პროცესის **პირველი ეტაპი** ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ პერიოდში გვხვდება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა („სსრ კავშირის კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ გაზ. „კომუნისტი“, 1987წ. 1 მაისი.) და კოოპერატიული საქმიანობის („სსრ კავშირის კანონი საბჭოთა კავშირში კოოპერაციის შესახებ“ თბ; „საბჭოთა საქართველო“, 1989წ.) ლეგიტიმაციის სახით. საბჭოთა საქართველოს იმდროინდელმა მოსახლეობამ ლეგალური ბიზნესის სიკეთე და მაღლი პირველად იგრძნო სწორედ ამ ფორმებითა და იჯარით, რომელიც ბიუროკრატიული მარწუხებისაგან თავის დაღწევისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით ხორციელდებოდა (სამადაშვილი, 1995, 20).

მეორე ეტაპი დაიწყო 1991 წლიდან და გაგრძელდა 2004 წლამდე. ამ პერიოდში მიღებული იქნა კანონი „სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ (1991), „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ (1991), „მენარმეთა შესახებ“ (1994), „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“ (1999) და სხვ. ამ ეტაპზე მცირე ბიზნესი მოგვევლინა პრივატული (კერძო) ეკონომიკის ფორმირებისა და მბრძანებლურიდან საბაზ-

რო ეკონომიკაზე გადასვლის უმთავრეს ინსტრუმენტად პრივატიზებული და ახლადჩამოყალიბებული საწარმოების სახით;

მესამე ეტაპი მოიცავს 2004-2012 წლებს. ამ პერიოდში სახელმწიფომ აქცენტი გააკეთა ლიბერალური ეკონომიკური კურსის გატარებაზე, რის გამოც 2006 წლიდან გააუქმა კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ და ერთნაირ დაბეგვრის რეჟიმში მოაქცია ყველა ზომის საწარმო, რამაც მცირე ბიზნესის განვითარება, საერთოდ, და განსაკუთრებით რეგიონებში, საგრძნობლად შეაფერხა. ის, რომ ყველა საწარმო უნდა იყოს თანაბარ პირობებში, როგორც რეგულირების, ასევე საგადასახადო თვალსაზრისით, არის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის ერთდერთი ფუნდამენტური პრინციპი. ამასთან, ყველა საფუძველი არსებობს ითქვას, რომ რეგულირება და დაბეგვრა უნდა იყოს დისკრიმინაციული მცირე ბიზნესის სასარგებლოდ და სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას ყველა ის გადახრა, რომელიც აფერხებს მის განვითარებას. ამ თვალსაზრისით, ყველაზე საზიანოა ეკონომისტთა საერთაშორისო კავშირის მტკიცება, რომ ყველა ზომის საწარმო უნდა დაექვემდებაროს ერთი და იმავე წესებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს ამ მოსაზრებას, თუმცა, როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, მცირე ბიზნესი წარმატებით ვითარდება იმ ქვეყნებში, სადაც სალიაზრი დომინირებს ტრადიციულ ეკონომიკურ აზროვნებაზე (Горфинкель 2009, 336).

მეოთხე ეტაპი დაიწყო 2012 წლიდან და გრძელდება დღემდე. ამ პერიოდში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების, ევროკავშირთან გაფორმებული ასოციირების შეთანხმების მოთხოვნებისა და „ევროპის მცირე ბიზნესის აქტის“ პრინციპების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად შემუშავდა მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. სტრატეგია მოიცავს რამდენიმე ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას და მათი განხორციელების შესაბამის ღონისძიებებს. მათ შორისაა: საკანონმდებლო, ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა და სამენარმეო გარემოს გაუმჯობესება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, კონკურენტული ადამიანური რესურსების განვითარება, მცირე და საშუალო საწარმოების საექსპორტო აქტიურობა და მათი ინტერნაციონალიზაცია, ინოვაციებისა და კვლევების ხელშეწყობა. ყოველივე ამის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, მრავალი პროგრამა წამოიწყო მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისა და შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, მათ შორის საქართველოშიც, არ არსებობს მცირე და საშუალო საწარმოების უნიფიცირებული განმარტება, რაც გაუგებრობას იწვევს. სწორედ ამიტომ ვემხრობით შემდეგ თვალსაზრისს:

საწარმო მიეკუთვნება მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს იმ შემთხვევაში, თუკი იგი აკმაყოფილებს კონკრეტულ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებს. ამასთან, კრიტერიუმების ზღვრები დაფუძნებულია ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკის და კომპანიების განვითარების მაჩვენებლებს და შესაბამისობაშია სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებთან.

მცირე ბიზნესის არსი და მნიშვნელობა ვლინდება მის ფუნქციებში, რომელთა პრიორიტეტულობა, აქტუალურობიდან გამომდინარე, დროსა და სივრცეში იცვლება. მცირე ბიზნესი განსაკუთრებით აქტუალური იყო განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, როცა სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო ეკონომიკას აშენებდნენ. მცირე ბიზნესის მშენებლობა აქტუალურია მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის, ამ სისტემის განმტკიცებისა და განვითარების პროცესში.

საზიანოა ეკონომისტთა საერთაშორისო კავშირის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა ზომის საწარმო უნდა დაექვემდებაროს ერთი და იმავე წესებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს ამ მოსაზრებას, თუმცა, როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, მცირე ბიზნესი წარმატებით ვითარდება იმ ქვეყნებში, სადაც სალი აზრი დომინირებს ტრადიციულ ეკონომიკურ აზროვნებაზე.

გაბატონებული შეხედულება, რომ საქართველოში ლეგალური მცირე ბიზნესის ფორმირება დაიწყო XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, გარკვეული უზუსტობაა. ეს იმიტომ, რომ თანამედროვე საქართველოში ლეგალური მცირე ბიზნესის აღორძინება-ფორმირების პროცესის პირველ ეტაპი ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ პერიოდში გვხვდება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა და კოოპერატივების ლეგიტიმაციის სახით. საბჭოთა საქართველოს იმდროინდელმა მოსახლეობამ ლეგალური ბიზნესის სიკეთე და მაღლი პირველად იგრძნო სწორედ ამ ფორმებითა და იჯარით, რომელიც ბიუროკრატიული მარნუხებისაგან თავის დაღწევისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით ხორციელდებოდა.

ლიტერატურა:

- ბუკია ი. (2019). მცირე ბიზნესის ხელშემწყობი საგადასახდო პოლიტიკა საქართველოში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ № 1.
- გობეჯიშვილი ე. (2013). საქართველოში მცირე და საშუალო მენარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები. თბილისი.
- თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა 2018–2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში. სექტემბერი, 2018.
- სამადაშვილი უ. (1995). სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება და კერძო მენარმეობის განვითარება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში (საქარ-

თველოს მაგალითზე). სადისერტაციო მაცნე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

- საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2016.
- Горфинкель В.Я. (2009). „Малый бизнес,“: учебное пособие – М.: КНОРУС.
- Гурьянов П. (2011). Критерии определения размеров малого и среднего бизнеса. №10.
- Сирополись М.К. (1997). Управление малым бизнесом. Руководство для предпринимателей. Пер. с англ. М.: Дело 16.
- „Сущность, роль и значение малого бизнеса“, гуманитарно-правовой портал, www.psyera.ru, <http://psyera.ru/6579/sushchnost-rol-i-znachenie-malogo-biznesa>
- <http://eugeorgia.info/ka/> – Europe for Georgia /**ბოლო ნახვა 19 აგვისტო, 2019/**.
- http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka.mikro_da_mcire_metsarmeobisxelshetsyobis-programa /**ბოლო ნახვა 12 აგვისტო, 2019/**

References:

- Bukia I. (2019). „mtsire biznesis khelshemtsqobi sagadasakhado politika sakartveloshi. jurnali “Ekonomika da Biznesi”, №1 [Small Business Taxation Policy in Georgia. Journ. “Economics and Business” No. 1] (in Georgian).
- Gogiashvili O. (2013). mtsire da sashualo biznesis problemebi da mati gadachris gzebi sakartveloshi. Kutaisi. [The Main Problems and its Solving Ways of SMEs in Georgia]. (in Georgian).
- Gobejishvili E. (2013). “sakartveloshi mtsire da sashualo metsarmeobis sakhelmtsipo regulirebis srulqopis mimartulebebi”. Tbilisi. [Directions for Improvement of State Regulation of Small and Medium Entrepreneurship in Georgia. Tbilisi]. (in Georgian).
- “tavisupleba, scrapo ganvitareba, ketildgheobis angarishi samtavrobo programis 2018-2020ww. gankhortsielebis shesakheb”. 09.2018. [Freedom, Rapid Development, Prosperity Report on the Implementation of the Government Program for 2018-2020. September, 2018.] (in Georgian).
- Kakulia E. (2018). “mtsire biznesis pormireba-ganvitareba sakartveloshi”. „ekonomisti“ № 1. [Formation and Development of Small Business in Georgia. “The Economist”, No. 1]. (in Georgian).
- Samadashvili U. (1995). “sakhelmtsipo sacarmoebis privatizeba da kerdzo metsarmeobis ganvitareba sabazro ekonomikaze gardamaval periodshi” (sakartvelos magalitze). sadisertatsio matsne Tb. [Privatization of State-owned Enterprises and the Development of Private Entrepreneurship in Transition to a Market Economy (Georgia’s Example). Dissertation for the Degree of Doctor of Economics. Tb.]. (in Georgian).
- Kimadze A. (2017). “mtsire da sashualo biznesis sakanonmdeblo da institutsiuri mkhardachera sakartveloshi”. [Legislative and Institutional Support for SMEs in Georgia. P. 439]. (in Georgian).
- “sakartvelos mtsire da sashualo metsarmeobis ganvitarebis strategiis 2016-2017 ww. samokmedo gegmis shesrulebis angarishi”. 2016. [Report on the Implementation of the 2016-2017 Action Plan for Small and Medium Entrepreneurship Development of Georgia.

- 2016]. (in Georgian)
- Gorfinkel V. Ia. (2009). „Malyi biznes,,: uchebnik M. : KNORUS, 336 s. [„Small Business,,: a training manual – M. : KNORUS, 336s.]. (in Russian)
 - Gurianov P. (2011). Kriterii opredelenia razmerov malogo i srednego biznesa, №10. [Criteria for Determining the Size of Small and Medium-Sized Businesses, N10. (in Russian).
 - Syropolis M.K. (1997). Upravlenie malim biznesom. Rukobodstvo dlia predprinimatlei. Per. S Angliiskogo, M., Delo 16. [Small Business Management. Guide for entrepreneurs. Transl. from English]. (in Russian)
 - “Sushnost, rol i znachenie malogo biznesa”. Gumanitarno-pavovoi portal. [The Essence, Role and Importance of Small Business “, humanitarian-law portal] (in Russian).
 - <http://psyera.ru/6579/sushchnost-rol-i-znachenie-malogo-biznesa>
 - <http://eugeorgia.info/ka/> – Europe for Georgia I /last visit 19 august, 2019/
 - mikro da mcire metsarmeobixshetsyobis-programa
 - <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/> /last visit 12 august, 2019/.

The Essence and Role of Small and Medium-Sized Businesses in the Modern Georgian Economy

Ushangi Samadashvili

Doctor of Economics, Associate Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

ushangi.samadashvili@mail.ru

At present, in the modern world economy, including Georgia, there is no uniform definition of small and medium-sized enterprises, which leads to some confusion. That is why in this paper we tried to clarify what exactly is meant by „small and medium-sized business.

We primarily support the view that an enterprise belongs to the SMB sector if it meets the criteria for classifying entities of SMB’s in a particular country. However, the criterion threshold is based on the indicators of the country’s economy and companies’ development at this stage and is in line with European criteria for processing of statistics. However, the author emphasizes that the small enterprise defined by the methodology of the National Statistics Office of Georgia is a broader concept than the status of a small entrepreneur recognized under the Tax Code. This can lead to serious misunderstandings when implementing and evaluating different programs. That is why, within the framework of the reform, it is necessary to harmonize and unify the different definitions of small and medium-sized businesses used for tax and statistical purposes.

Through the old and the new methodology of the EU indicators and comparative analysis of the relevant parameters of small and medium-sized enterprises in Georgia and

the EU countries the article shows that the essence and significance of a small business is manifested in its functions, the priority of which, due to the socio-economic problems of the country, is changing in time and space.

The stages of development of small and medium-sized enterprises in Georgia during the transition period to the market economy of Georgia are chronologically analyzed. The belief that legal small business formation in Georgia began in the 90s of the XX century is rejected. The point is that the first stage of the legal regeneration and formation process of legal small business in Georgia, albeit in a limited way, began even in the period of so-called „perestroika,, in the form of the legitimacy of individual labor activities and cooperatives.

This process has become increasingly sophisticated during the transition to a market economy and as a result small and medium-sized businesses have taken the modern form somewhat, but the process of its development and perfection still continues.

Keywords: Small, medium and large business, old and new methodology, concept, transitional period.

JEL Codes: M20, M21, M22

სოციალური მენარმეობა, როგორც კვლევის ახალი სფერო

ნინო ჯანელიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
nin89@gmail.com

სოციალური მენარმეობის სამეცნიერო კონცეპტუალიზაციამ ფორმირება დაიწყო მხოლოდ 1990-იან წლებში. XX საუკუნის ბოლოსა და XXI-ე საუკუნის დასაწყისში უკვე დაგროვდა გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული კვლევები სოციალური მენარმეობის შესახებ. ბოლო წლებში სოციალური მენარმეობის შესახებ პუბლიკაციათა სწრაფი ზრდა წამყვან, საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში ახდენს მოცემული სფეროს კვლევისადმი მზარდი ინტერესის დემონსტრირებას. თუმცა, სოციალური მენარმეობა, ისევე, როგორც ნებისმიერი ახალი კვლევის სფერო, ფორმირების ეტაპზე ხასიათდება არასაკმარისი ლეგიტიმურობით და თეორიული საზღვრებისა და შინაარსის განუსაზღვრელობით.

სოციალური მენარმეობაში მოიაზრება სამეურნეო საქმიანობა, მიმართული ადამიანთა იმ განსაზღვრული ჯგუფის პრობლემების გადაჭრაზე, რომელთაც არშემდგარი სახელმწიფო პროგრამებისა თუ საბაზრო კრახის გამო, არ აქვთ წვდომა სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობებზე. სოციალური მენარმეობა არ არის ახალი მოვლენა, თუმცა უკანასკნელ პერიოდში მან განიცადა ჯერ არნახული აღმავლობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მათ შორის საქართველოშიც. ეს განპირობებულია იმით, რომ ერთი მხრივ, შეინიშნება სოციალურ პრობლემათა მთელი კომპლექსის გამწვავება, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების უუნარობა გადაჭრას ეს პრობლემები საბაზრო ეკონომიკისა და სახელმწიფო მხარდაჭერის ტრადიციული მეთოდებით.

სტატია ეხება სოციალური მენარმეობის, როგორც კვლევის ახალი სფეროს, არსის, ადგილისა და როლის განსაზღვრას საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემაში და მისი ფორმირებისა და განვითარების თავისებურებების ანალიზს, რისი მემკვიდრეობაც შესაძლებელია სოციალური მენარმეობის არსის უფრო სიღრმისეული გაგება.

სტატიაში განსაზღვრულია სოციალური მენარმეობის კონცეფციის აგებისთვის საჭირო ფუნდამენტური ელემენტები, განხილულია სოციალური მენარმეობის ავტორისეული განმარტების ძირითადი ნიშნები, გამოვლენილია სოციალური მენარმეობის ფორმირების ძირითადი მოტივები და წყაროები.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მენარმეობა, სოციალური სანარმო, სოციალური მენარმეობის კონცეპტუალური ასპექტები.

შესავალი

სოციალური მენარმეობის მსოფლიო მასშტაბით ფართო გავრცელებისა და ამ თემის ირგვლივ მკვლევარების მზარდი ინტერესის პარალელურად, საკუთრივ ამ მოვლენის არსი და ფუნქციონირების თავისებურებები ჯერ ისევ რჩება დისკუსიის საგნად (Austin, Stevenson, wei-skillern 2006).

სოციალური მენარმეობა, ვიწრო გაგებით, გულისხმობს არაკომერციული ორგანიზაციების მიერ ინოვაციური მიდგომების გამოყენებას მოგების მიღების მიზანთან ერთად (Boschee 1995; Wallace 1999; Thompson 2002; Lasprogata, Cotton 2003). ვიწრო გაგებით, სოციალური მენარმეობის ცნება დაკავშირებულია მისი, როგორც არაკომერციული ორგანიზაციების შემოსავლის მომტანი საქმიანობის, მასობრივ გამოჩენასთან აშშ-ში, რომლებიც XX საუკუნის 70-80-იან წლებში აღმოჩნდნენ დაფინანსების დიდი დეფიციტის წინაშე.

სოციალური მენარმეობა ფართო გაგებით, განიხილება ინოვაციურ საქმიანობად როგორც კომერციულ და არაკომერციულ სექტორში, ასევე მათი კომბინირებული ფორმით – შერეული ტიპის ორგანიზაციებში, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს სოციალური პრობლემების გადაჭრა (Deese 1998; Johnson 2000; Deese, Andersen 2003; Certo, Miller 2008). სოციალური მენარმეობა ფართო ცნებით – ფაქტობრივად აღწერს საქმიანობას, რომელიც მიმართულია სოციალური პრობლემის გადანყვეტისკენ და იყენებს ინოვაციურ მიდგომებს. სოციალური მენარმეები ფლობენ შემოქმედებით პოტენციალს და მიზანზე არიან ორიენტირებულნი.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებულია სოციალური მენარმეობის არამხოლოდ არსი და ფორმირების წინაპირობები, არამედ თვით ტერმინოლოგიაც. სოციალური მენარმეობა და სოციალური საწარმო არ არის ერთი და იგივე ცნება (Dees, 2003), რამდენადაც, „სოციალური საწარმო – ესაა სოციალურად ორიენტირებული საქმიანობა, რომელიც არ უკავშირდება კომპანიის ძირითად მისიას, ხოლო სოციალური მენარმეობა მიმართული და განპირობებულია სწორედ სოციალური მისიით. ცხადია, ტერმინი „სოციალური საწარმო არ ასახავს მოვლენის მთელ არსს, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია სამენარმეო მიდგომასთან, რომელსაც იყენებენ ფირმები სოციალურ მენარმეობაში. ორგანიზაციების აღსაწერად, რომლებიც ჩართულნი არიან სოციალურ მენარმეობაში, ზოგჯერ მიმართავენ ტერმინებს „სოციალურ-სამენარმეო ორგანიზაცია (social entrepreneurial organization) ან „სოციალურ სამენარმეო კომპანია“ (social entrepreneurial company). ტერმინში „სოციალური მენარმე“, ჩვეულებრივ გულისხმობენ ინდივიდს, რომელსაც შეუძლია შესაძლებლობების გამოვლენა და მისი გამოყენება სოციალური კეთილდღეობის შესაქმნელად, და ასევე, ორგანიზაციების შექმნა და მართვა სოციალური ცვლილებების მისაღწევად (Bornstein 1998; Dees 1998; Thompson, Alvy, Lees 2000).

სოციალური მენარმეობის განსაზღვრის ძირითადი მიდგომები

სოციალური მენარმეობის ხშირად ციტირებული განსაზღვრებიდან, შესაძლოა გამოვყოთ სამი ძირითადი მიდგომა: (იხ. სქემა 1). პირველი ყურადღებას ამახვილებს სოციალური მენარმეობის უნარზე განახორციელოს საზოგადოებრივი ტრანსფორმაციები, სოციალური ცვლილებები; მეორე მიდგომა სოციალურ მენარმეობას განსაზღვრავს, როგორც სოციალური ეფექტის შექმნის ინოვაციურ, მენარმეობრივ გზას; მესამე მიდგომა ეფუძნება სოციალურ მენარმეობაში უმნიშვნელოვანესი პირობის არსებობასა და შენარჩუნებას – „ორმაგი ეფექტის“ – სოციალურისა და ეკონომიკური ეფექტების მიღწევას.

სოციალური მენარმეობის განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომის შედარებითი ანალიზი*

სქემა 1

მიდგომა	განსაზღვრება
სოციალური მენარმეობა – საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის, სოციალური ცვლილებების კატალიზატორი	<p>სოციალური მენარმე – ინდივიდი, ჯგუფი, ქსელი ან ორგანიზაციათა ალიანსი, რომელიც ახორციელებს მასშტაბურ ცვლილებებს იმ იდეების მეშვეობით, რომელიც მთლიანად უგულვებელყოფს სოციალური პრობლემების გადაჭრის ჩვეულ, აქამდე არსებულ წესებს და ამ პროცესში იყენებს სახელმწიფო, არაკომერციული ორგანიზაციებისა და ბიზნესის რესურსებს.</p> <p>სოციალური მენარმეობა – გაცნობიერება, შეფასება და შესაძლებლობების ძიება სოციალური ტრანსფორმაციისთვის, რომლის განხორციელებაც ხდება გამჭრიახი, შორსმხედველი და ენთუზიაზმით სავსე ინდივიდების მიერ.</p>
სოციალური მენარმეობა – ინოვაციური, მენარმეობრივი გზა სოციალური ეფექტის შესაქმნელად	<p>სოციალური მენარმეობა – პროცესი, რომელიც გულისხმობს რესურსების ან რესურსთა კომბინაციების ინოვაციური გამოყენების ჩართვას შესაძლებლობათა რეალიზებისთვის, რომელიც უკავშირდება სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებას.</p> <p>სოციალური მენარმეობა იყენებს მდგრად, ინოვაციურ მიდგომებს საზოგადოებისთვის სარგებლის მოსატანად, ღარიბებისა და სიღარიბის ზღვარზე მყოფთა სეგმენტზე აქცენტირებით.</p>

* ეს და მომდევნო სქემები ავტორისეულია.

<p>სოციალური მენარმეობა – ინოვაციური, მენარმეობრივი გზა სოციალური ეფექტის შესაქმნელად</p>	<p>სოციალური მენარმეობა მიეკუთვნება არაკომერციული ორგანიზაციების კატეგორიას, რომელთაც შემუშავებული აქვთ სამენარმეო სტრატეგია ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად და ამავდროულად ორიენტირდებიან თავიანთ სოციალურ მისიაზე (“ორმაგი ეფექტი”).</p> <p>სოციალური მენარმეობა – ესაა ხელოვნება მიიღო ერთდროულად ფინანსური და სოციალური შემოსავლები ინვესტიციებიდან (“ორმაგი ეფექტი”).</p>
-------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

აღსანიშნავია, რომ განსაზღვრებათა ზემოთ მოცემული დაყოფა არ არის გამომრიცხავი ხასიათის. მოცემული კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით სოციალურ მენარმეობაში და რომლებიც ზუსტად ასახევენ მის არსს.

XXI საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებულ იქნა უამრავი ნაშრომი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში, სადაც აღნიშნული პასუხისმგებლობა განხილულია, როგორც გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობის წყარო (Grayson, Hodges 2004; Halme, Laurila 2009). კორპორატიული პასუხისმგებლობის ინტეგრაცია საშუალებას იძლევა ამალდეს საწარმოს ძირითადი ბიზნესპროცესების სოციალური მხარე, რაც უზრუნველყოფს წარმოებისა და გაყიდვების ზრდას, დანახარჯების და შესაბამისი რისკების შემცირებას.

თუმცა, თუკი მსჯელობა იქნება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისა და სოციალური მენარმეობის კორელაციაზე, საქმიანობის ამ სახეებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებად მიიჩნევა ორგანიზაციის მისია და მიზანი. სოციალურ მენარმეობაში ისინი პირდაპირ დაკავშირებულია სოციალური პრობლემების გადაჭრასთან, ხოლო კომერციულ კომპანიებში, მიუხედავად კომპანიების საქმიანობის, სამ ძირითად მაჩვენებელთან – ფინანსურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მაჩვენებლებთან დაკავშირების მცდელობისა, დასაწყისშივე დაიყვანება მხოლოდ ფინანსური მოგების მიღებაზე. ამასთან, სოციალური მენარმეობა არ ცვლის თავისთავად ბიზნესს, როგორც ასეთს, არამედ, ავსებს მას იქ, სადაც შესაძლებელია წარუმატებელი აღმოჩნდეს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

ცხადია, სოციალურ მენარმეობაში ჯაჭვის ფორმირების ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია მოზიდულ იქნეს ან შეიქმნას რესურსთა ისეთი კომბინაცია, რომელიც მანამდე არ ყოფილა გამოყენებული, ან გამოიყენებოდა არასაკმარისად (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს შუშ პირების, პენსიონერების, ნასამარხთლევნი პირების და ა.შ. მოზიდვა) წარმოების პროცესში.

სოციალური მენარმეობა, როგორც წესი, მიმართულია დაბალშემოსავლიანი სეგმენტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენ ბაზარზე, სადაც კონ-

კურენცია თითქმის არ არის და შეუძლია შექმნას მანამდე არ არსებული მოთხოვნა ახალ ბაზარზე. მაგალითად, მ. იუნუსის მიერ მიკროსაკრედიტო ორგანიზაცია – „გრამინ ბანკისო შექმნამ არამხოლოდ უზრუნველყო ბანგლადეშში მოსახლეობის მწვავე სოციალური პრობლემების, სიღარიბისა და უმუშევრობის, გადაჭრა, არამედ ჩამოაყალიბა კიდევ მოთხოვნა ახალი სახის მომსახურებაზე – მიკროდაკრედიტებაზე. რესურსების უნიკალური კომბინაციის ხარჯზე, სოციალური პრობლემების გადაჭრისას, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენით, პროაქტიური და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, კომპანიას შესწევს უნარი შექმნას ეკონომიკური და სოციალური ფასეულობა ერთდროულად.

„სოციალური მენარმეობის“ არსის განსაზღვრისას მნიშვნელოვან ასპექტად გვევლინება ფინანსური სტაბილურობა, რომელიც არის გრძელვადიანი სოციალური ეფექტის შექმნის აუცილებელი პირობა და გამოიხატება სოციალური მენარმეების მისწრაფებაში უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის თვითკმარი ფუნქციონირება. სოციალური მისიის არსებობა და სოციალური ფასეულობების შექმნა ითვლება აუცილებელ პირობად სოციალური მენარმეობისთვის, ხოლო ეკონომიკური ფასეულობის შექმნა – მისი ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის (Mair, Marti 2006).

სოციალური მენარმეობის ფინანსური სტაბილურობა პირდაპირაა დამოკიდებული მენარმეების უნარზე მოიძიონ, შეინარჩუნონ და გაზარდონ რესურსები, რაც შესაძლებელია მიღებული იყოს ერთდროულად კომერციული და მოხალისეობრივი საქმიანობის შედეგად, ასევე გრანტებისა და სუბსიდირების ხარჯზე. ამ მოსაზრებას ემხრობიან „სოციალური ინოვაციების სკოლის“ წარმომადგენლებიც – ჟ. დეფურნი და მ. ნისენსი (De`fourny, Nyssens 2009). „სოციალური სანარმეობის სკოლისო ამერიკელი მკვლევარები შემოიფარგლებიან მხოლოდ საბაზრო რესურსების წყაროებით. ამ პოზიციას იზიარებენ რიგი ევროპული ქვეყნის კანონმდებლებიც (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ფინეთი), სადაც სოციალური სანარმეობი მიეკუთვნება ბაზარზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს. ჯ. ბოსჩი (Boschee 2001) მიუთითებს განსხვავებაზე თვითკმარობასა და ფინანსურ სტაბილურობას შორის და ხაზს უსვამს, რომ თუკი ფინანსური სტაბილურობის მიღწევა შესაძლებელია გრანტების, დონაციების, სუბსიდიების და გამომუშავებული შემოსავლების ხარჯზე, თვითკმარობის მიღწევა და შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი, შემოსავლების მიღების მიზნით განხორციელებული საქმიანობის ხარჯზე (გამომუშავებული შემოსავალი). კ. ალტერი (Alter, 2007) გამოყოფს თვითკმარობის სხვადასხვა ვარიანტებს სოციალურ მენარმეობაში – საბაზროზე დაბალი ფასების დანესებით მხოლოდ დანახარჯების დაფარვიდან გამომუშავებულ შემოსავლებამდე, რომლის ხარჯზეც შესაძლებელია არა – მხოლოდ საოპერაციო, არამედ საინვესტიციო დანახარჯების დაფარვაც. თუმცა, ბევრი სოციალური სანარმო, განსაკუთრებით კი სანყის ეტაპზე, ხშირად არის დაფინანსების მხოლოდ არა-

საბაზრო წყაროების იმედად და ცხადია ასეთი დამოკიდებულება ზრდის ორგანიზაციის არასტაბილურობის რისკს და შესაძლებელია შექმნას მოტივაციის ცვლილების საფრთხე – სოციალური კეთილდღეობის ბენეფიციარისთვის ფასეულობის შექმნიდან დამაფინანსებელი მხარისთვის ფასეულობის შექმნამდე.

სოციალური მენარმეობის შემსწავლელი ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ სოციალური მენარმეობის საზღვრების ბუნდოვანება, ცნების მკაფიო, ყველასთვის მისაღები განსაზღვრების არ არსებობა, დაკავშირებულია სოციალური მენარმეობის საკმაოდ რთულ, შერეულ ბუნებასთან (Dees and Anderson 2006; Nicholls 2010), რაც გამოიხატება სექტორებსშორისი საზღვრების ნაშლით, სოციალური მიზნების ეკონომიკურზე გადამეტებით ა. შ. იმისთვის, რომ დაძლეული იქნეს ასეთი კონცეპტუალური ბუნდოვანება, მკვლევარები ცდილობენ შეიმუშაონ სოციალური მენარმეობის ტიპოლოგია, მოახდინონ მათი კლასიფიკაცია და ამგვარად, გამოყონ მოცემული მოვლენის საზღვრები (Dees and Anderson 2006; Alter 2007). თუმცა, აღსანიშნავია, რომ პირველ რიგში, ასეთი შდარებით ახალი მოვლენა – სოციალური მენარმეობა, რომელიც იმყოფება განვითარების „პარადიგმულ“ საფეხურზე (Nicholls, 2010), მუდმივად ექცევა ინსტიტუციონალური ზეგავლენის ქვეშ, რაც აისახება სოციალური მენარმეობის აღიარებული, ლეგიტიმური ფორმების სპექტრის ცვალებადობით, და მეორე, ზემოთაც აღინიშნა, სოციალური მენარმეობა არის მოვლენა, შეზღუდული და მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული კონტექსტით.


სოციალური მენარმეობის ფორმირების წყაროები და დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები

სოციალური მენარმეობა შესაძლებელია გაჩნდეს, როგორც ახალი ორგანიზაციის შექმნისას, ასევე უკვე არსებულ ორგანიზაციაში ახალი მიმართულების განვითარების შედეგად.

სქემაში (2) აღწერილია სოციალური მენარმეობის ფორმირების წყაროები და მოტივები, რომელიც, ერთი მხრივ, ეფუძნება ორგანიზაციული მიზნების კონტინუუმს – სოციალურიდან ეკონომიკურამდე, ხოლო, მეორე მხრივ, დამოკიდებულია სოციალური მენარმეობის განხორციელების მოტივაციის დონეზე – იქნება ეს ორგანიზაციულ დონეზე თუ ინდივიდუალურ დონეზე განხორციელებული საქმიანობა.

სოციალური მენარმეობის ფორმირების წყაროები

სქემა 2



წარმოდგენილი სქემით ნაჩვენებია, რომ სოციალური მენარმეობა შესაძლებელია გაჩნდეს, პირველ რიგში, არაკომერციული ორგანიზაციების მიერ სამენარმეო მიდგომისა და ბიზნესინსტრუმენტების გამოყენების შედეგად, თავიანთ საქმიანობაში, დაფინანსების დამატებითი წყაროების მისაღებად, სოციალური მიზნების განსახორციელებლად (Austin, Stevenson, wei-skillern 2010;

Boschee, 1998). მეორე, კომერციული ორგანიზაციების მიერ სექტორთაშორისი ურთიერთქმედების განვითარების ხარჯზე, მაგალითად, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ჩარჩოპროგრამის რეალიზაცია, რომელიც ქმნის არამხოლოდ სოციალურ, არამედ ეკონომიკურ ეფექტსაც (Sagawa & Segal 2000; Waddock 1988). მესამე, სოციალური მენარმეობა შესაძლებელია გაჩნდეს მენარმის კარგად გააზრებული არჩევანის საფუძველზე განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, რომლის ძირითადი მიზანი იქნება არა მოგების მიღება, არამედ, სოციალური ფასეულობის შექმნა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის გზით.

სშირად სოციალური პროექტების რეალიზება მოითხოვს სახელმწიფოსთან, არაკომერციულ ორგანიზაციებთან პარტნიორობას ან/და ფირმათაშორის თანამშრომლობას. ალიანსის შექმნა ორგანიზაციებთან, რომლებიც ფლობენ განსხვავებულ რესურსებს, იძლევა სინერგიულ ეფექტს. კომპანიების მიერ იმ რესურსებისა და კომპეტენციების გამოყენება, რომელიც განსხვავდება მის მფლობელობაში არსებულისგან, განაპირობებს ძლიერი ერთობლივი ეკონომიკური და სოციალური ფასეულობების შექმნას (Austin, Reficco 2009). კომპანიებმა “Danone” და “Adidas” „გრამინ ბანკთან“ თანამშრომლობით გადაიტანეს ბანგლადეშში არაძვირადღირებული, მაგრამ ხარისხიანი საფირმო პროდუქციის წარმოება, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობის ღარიბი ფენებისთვისაც. ასეთი ტიპის ინიციატივებს კვალდაკვალ მოჰყვება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ტრანსფორმირება სოციალურ მენარმეობად, როდესაც კომპანია ქმნის პროექტს, მიმართულებას (მოცემულ შემთხვევაში სასაქონლო ხაზს) რომელსაც არ მოაქვს მოგება, მაგრამ აქვს უდიდესი სოციალური ეფექტი.

ამგვარად, სოციალური მენარმეობა თავისთავად წარმოადგენს რთულ და მრავალმხრივ მოვლენას, სხვადასხვა კონცეფციის, ბაზრებისა და ორგანიზაციული ფორმების შეერთების ადგილს, რაც ართულებს მის შესწავლას და კონცეპტუალური ჩარჩოების გამოკვეთას. სოციალური მენარმეობის სხვადასხვა ინტერპრეტაციას მივყავართ იქამდე, რომ საქმიანობის ზოგიერთი სახე არ შეესაბამება „სოციალური მენარმეობის“ კონცეფციის არსს, მაგრამ მაინც მიეკუთვნება ამ მოვლენას. ცხადია, ყველა სოციალურად ორიენტირებული საქმიანობა, არ უნდა იქნეს განხილული, როგორც სოციალური მენარმეობა.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, შესაძლებელია სოციალური მენარმეობის იმ ძირითადი ნიშნების გამოყოფა (იხ. სქემა 3), რაც ახასიათებს ამ მოვლენას და გვეხმარება განვასხვავოთ ის სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის სხვა სახეებისგან.

სოციალური მენარმეობის კრიტერიუმები და ნიშნები

სქემა 3

კრიტერიუმები	სოციალური მენარმეობის ნიშნები
საქმიანობის სახე	საქმიანობა, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან დაგეგმარებას
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე დამოკიდებულების მიღმა
ორგანიზაციის მიზანი	მისია, მიზნები დაკავშირებულია კონკრეტული სოციალური პრობლემების გადაჭრასთან (სასურველსა და არსებულ მდგომარეობას შორის წყვეტა, რომელიც გამონეულია საბაზრო და სახელმწიფო პოლიტიკის კრახით)
ფინანსური სტაბილურობა	ფინანსური სტაბილურობის მიღწევა შესაძლებელია შერეული მიდგომის ხარჯზე – საბაზრო და არასაბაზრო ინსტრუმენტებისა და შემოსავლის მიღების წყაროების გამოყენება.
საქმიანობის ხასიათი და თავისებურებები	სამენარმეო მიდგომა – რისკის ალბა, შესაძლებლობების მოძიება (საბაზრო და სახელმწიფო პოლიტიკის კრახის მიზეზების მიგნება), რესურსების კომბინირების ინოვაციური მეთოდების მოძიება სოციალური ფასეულობების შესაქმნელად.
მინოდებული საქონლის მომსახურების ხასიათი და თავისებურებები	მაღალი დადებითი ეფექტის მქონე საქონელი მომსახურება, რომლით უზრუნველყოფაც ვერ ხერხდება საბაზრო, ანდა სახელმწიფო პოლიტიკის გამო.

ჩვენ მიერ განხორციელებული სოციალური მენარმეობის ანალიზის საფუძველზე, სოციალური მენარმეობის ნიშნების გამოვლენისა და ფორმირების წყაროების დასაბუთების შედეგად, ვლბულობთ სოციალური მენარმეობის შემდეგნაირ განსაზღვრებას: სოციალური მენარმეობა არის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სამეურნეო სუბიექტის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც იყენებს სამენარმეო მიდგომას იმ კონკრეტული სოციალური პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული მისიის შესასრულებლად, რომელიც ვერ იქნა გადაჭრილი საბაზრო და სახელმწიფო პოლიტიკის კრახის გამო.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ასეთი ორგანიზაციების მისია უკავშირდება ამა თუ იმ საზოგადოების კონკრეტული სოციალური პრობლემის გადაჭრას, რაც წინასწარვე განსაზღვრავს სოციალური სამენარმეო ფორმების დამოკიდებულებას მოგების მიღების საკითხის მიმართ, რომელიც არის არა უპირველესი მიზანი, არამედ, აუცილებელი და სასურველი პირობა მისიის რეალიზებისთვის. სოციალური მენარმეობის ინოვაციურობა დაკავშირებული არ არის მხოლოდ რესურსების ახლებურად გადანაცვლის, დალაგებისა და კომბინირების უნართან ფასეულობის შესაქმნელად, არამედ, სოციალური მენარმეობის შესაძლებლობასთან – განახორციელოს გარღვევა იმ სფეროში, სადაც არსებობს საბაზრო და სახელმწიფო პოლიტიკის კრაზი, ანუ იქ, სადაც არსებობს მწვავე სოციალური პრობლემები. მოცემული განმარტებას გამოჰყავს კონცეპტუალური ჩარჩოდან ისეთი სოციალურად ორიენტირებული საქმიანობა, როგორიცაა ქველმოქმედება, აგრეთვე საზოგადოებრივი და არაკომერციული ორგანიზაციების ნოვატორული საქმიანობა, რომლებიც არ ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას და არ იყენებენ სამენარმეო მიდგომას.

დასკვნა

სოციალური მენარმეობა – საქმიანობის ინოვაციური სახეა, რომელიც მიმართულია სახელმწიფო და საბაზრო პოლიტიკის ნაკლოვანების აღმოფხვრაზე, შესაძლებლობათა მოძიების (სოციალური პრობლემების აღმოჩენა) და რესურსების კომბინირების ხარჯზე სოციალური ფასეულობების შესაქმნელად.

სოციალური მენარმეობები ახორციელებენ იმ საქონლის (მომსახურების) მინოდებას, რომელსაც გააჩნია მაღალი დადებითი ეფექტები, რაც, როგორც წესი, გათვლილია „საშუალო სამომხმარებლო მოთხოვნაზე და რომლით უზრუნველყოფაც ვერ ხდება საბაზრო და სახელმწიფო პოლიტიკის კრაზის გამო.

ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამს გარკვეულ შიშს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა სოციალური მენარმეობა გახდეს დამოუკიდებელი კვლევის სფერო, შეიძენს ის ლეგიტიმურ სტატუსს, თუ დარჩება უბრალოდ, როგორც სხვა დისციპლინების შესამონმებელი, საცდელი ასპარეზი. თუმცა, სოციალური მენარმეობის გავრცელების მზარდი მასშტაბები, ამ სფეროში კვლევებისა და პუბლიკაციების მოცულობის ზრდა, მონიშნავს იმას, რომ სოციალური მენარმეობა, წარმოადგენს რა კვლევის ახალ სფეროს, აწყდება მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ტიპის პრობლემებს (კონცეპტუალური უზუსტობა, „თეორიული საზღვრების ბუნდოვანება“), როგორსაც – ნებისმიერი სხვა სფერო -ფორმირების სანყის ეტაპზე. ამგვარად, სოციალური მენარმეობის თეორიის განვითარების აუცილებლობა, რომელიც იმყოფება ფორმირების სტადიაში, სოციალური მენარმეობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ლიტერატურა:

Referens:

- Alter K. (2007). Social enterprise typology. – Virtue Ventures LLC. P. 124.
- Austin J. E. (2009). Corporate social entrepreneurship / Austin. J. E. & Ezequiel Reficco. (2009). Cambridge, MA : Harvard Business School, (Working paper / Harvard Graduate School of Business Administration ; 09-101). – P. 8.
- Bornstein D. (1998) Changing the world on a shoestring: an ambitious foundation promotes social change by finding ‘social entrepreneurs’ // *The Atlantic Monthly*. – Vol. 281, Issue 1. – P. 34-39.
- Boschee J. (1995). Social Entrepreneurship // *Across the Board* – Vol. 32, Issue 3. – p. 20-25.
- Boschee J. (2001). Eight basic principles for nonprofit entrepreneurs // *Nonprofit World*. – July-August. – P. 15-18.
- Deese J. G. (1998). Enterprising nonprofits // *Harvard Business Review*. – Vol. 76, Issue 1. – P. 55-66.
- Dees J. G. & Anderson B. B. (2003). // *International Journal of Entrepreneurship Education*. – Vol. 2. – P. 1-26.
- Deese J. G. Framing a theory of social entrepreneurship: building on two schools of practice and thought (2006) / J. G. Dees & B. B. Anderson // *ARNOVA Occasional Paper Series*. (2006). – Vol. 1, Issue 3. – P. 1- 28. 79.
- Defourmy J. (2008). Social enterprise in Europe: recent trends and developments / Derourmy J. & Nyssens. M. (2008). // *Social Enterprise Journal*. – Vol. 4, Issue 3. – P. 202-228.
- Grayson D. (2004). Corporate social opportunity: 7 steps to make corporate social responsibility work for your business / Grayson. D & Hodges. A. (2004). Sheffield: Greenleaf. – P. 390.
- Halme M. (2009). Philanthropy, integration or innovation? : exploring the financial and societal outcomes of different types of corporate responsibility / Halme. M. & Laurila. J. (2009). // *Journal of Business Ethics*. – Vol. 84, Issue 3. – P. 325-339.
- Johnson S. (2000). Literature review on social entrepreneurship. P. 16. – (working paper / Canadian center for social entrepreneurship).
- Lasprogata G. A. & Cotton M. N. (2003). Contemplating enterprise: the business and legal challenges of social entrepreneurship // *American Business Law Journal*. – Vol. 41. – P. 67-113.
- Mair J. (2006). Social entrepreneurship research: a source of explanation, prediction, and delight / Mair. J. & Marti. I. (2006). // *Journal of World Business*. – Vol. 41, Issue 1. – P. 6-44.
- Nicholls A. (2010). The legitimacy of social entrepreneurship: reflexive isomorphism in a pre-paradigmatic field / Nicholls A. (2010) // *Entrepreneurship Theory and Practice*. – Vol. 34, Issue 4. – P. 611-633.
- Sagawa S. (2000). Common interest, common good : creating value through business and social sector partnership / Sagawa S. & Segal. E. (2000) // *California Management Review*. – Vol. 42, Issue 2. – P. 105-122.
- Thompson J. (2002). The World of the social entrepreneur // *International Journal of Public Sector Management*. – Vol.15, Issue 5. – P. 412-431.

- Thompson J., Alvy. G., & Lee. A. (2000). Management Decision. – Vol. 38, Issue 5. – P. 328-338.
- Wallace S.L. (1999). Social Entrepreneurship: the role of social purpose enterprises in facilitating community economic development // Journal of Developmental Entrepreneurship – Vol. 4. – P. 153-174.
- Waddock S. A. (1988). Building successful social partnership // Sloan Management Review. – P. 17-23.
- https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1501555
- https://www.researchgate.net/publication/4885554_Social_Entrepreneurship_Key_Issuesand_Concepts
- <http://www.socialent.org/pdfs/MergingMission.pdf>

Social Entrepreneurship as a New Field of Research

Nino Janelidze

Doctoral Student

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

nin89@gmail.com

The scientific conceptualization of social entrepreneurship began to form only in the 1990s. Some practical experience and theoretical materials on social entrepreneurship have already been accumulated in the late 20th and early 21st centuries. In last years the rapid growth of publications on social entrepreneurship in leading international peer-reviewed journals demonstrates the growing interest for researching this field. However, social entrepreneurship, as well as areas of new research, cannot be shaped by insufficient legitimacy and theoretical boundaries and indefinite content. The need to develop social entrepreneurship theory, which is at the stage of formation, is an important task for the development of social entrepreneurship itself.

Social entrepreneurship, as a socio-economic and organizational event, has become the focus of researchers, business representatives and the state in recent years. Social entrepreneurship is a form of economic activity aimed at solving the problems of a defined group of people who do not have access to vitally essential prosperity due to failed state programs or market failures. Social entrepreneurship is not a new phenomenon, but it has made unprecedented growth worldwide lately, including in Georgia. This is due to the fact that on the one hand there is an exacerbation of the whole complex of social problems, and on the other hand, the inability of society to solve these problems through traditional methods of market economy and state support.

The article deals with identifying the conceptual aspects of social entrepreneurship, defining social entrepreneurship as a new field of research, its place and role in the socio-economic system, and analyzing its formation and development features to gain a deeper understanding of the essence of social entrepreneurship.

The development of research in the field of social entrepreneurship has shifted the focus of attention from the essential issues of the formation and functioning of this event to the operational and strategic issues of the formation of organizations involved in social entrepreneurship. Gradually, studies have emerged in which the study of social entrepreneurship, the subject of analysis, and the unit of research is considered the business model and the peculiarities of the formation of business models of social entrepreneurship are discussed. In order to increase the effectiveness of the functioning of the organization implementing social entrepreneurship and defined in its development theory conceptual clarity both in practical and theoretical terms requires understanding of the basic business models of social entrepreneurship and the institutional features of their formation.

The article identifies the fundamental elements needed to build the concept of social entrepreneurship, discusses the key features of the author's definition of social entrepreneurship, identifies the main motivations and sources for the formation of social entrepreneurship.

Keywords: Social entrepreneurship, social enterprise, the conceptual aspects of social entrepreneurship.

JEL Codes: L26, L31, L32

დემოგრაფია DEMOGRAPHY

სტუდენტთა დემოგრაფიული ცოდნის დონე საქართველოში*

სიმონ გელაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
simon.gelashvili@tsu.ge

მარინა მინდორაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირ. პროფესორი
maia.mindorashvili@tsu.ge

ნინო მაღრაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
nino.maghradze1@gmail.com

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებით როლს ასრულებს მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა. ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების, აგრეთვე ამ საკითხებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების, ცოდნისა და ცნობიერების შესწავლა.

სტატისტიკის მომზადების პროცესში გამოყენებული იქნა შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევით მიღებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები, რომელთა დამუშავება და ანალიზი განხორციელდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის – SPSS გამოყენებით. კვლევის პროცესში მოხდა მრავალი ზოგადი და კერძო მაჩვენებლის (შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის) გაანგარიშება და შეფასება. ანალიზის შედეგად დადგინდა სქესის, ასაკის, ეთნიკური და სხვ. ჯგუფების მიხედვით სტუდენტთა განსხვავებული დემოგრაფიული განწყობა.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 22.8 % ფიქ-

* სტატია მომზადდა საფაკულტეტო საგრანტო პროექტის – „საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა“ – ფარგლებში.

რობს, რომ საქართველოს უმთავრესი გამოწვევა არის დემოგრაფიული პრობლემები. მათგან 67.0 % ფიქრობს, რომ ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ ექვემდებარება გამოსწორებას, 28.9 %-ის აზრით – ვითარება კატასტროფულია, ხოლო მხოლოდ 1.0 % თვლის, რომ მდგომარეობა სტაბილურია და არ საჭიროებს რეგულირებას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 17.3 %-ს უჭირს დემოგრაფიული მდგომარეობის შეფასება, რადგან არასოდეს არ დაინტერესებულან ამ საკითხით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა საქართველოში სტუდენტი ახალგაზრდობის განათლების დაბალი დონე დემოგრაფიულ საკითხებზე, რასაც ძირითადად შესაბამისი საგნების სწავლების დეფიციტი განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული ცოდნა, დემოგრაფიული პოლიტიკა, სტატუსი ქორწინებაში, შობადობა, გენდერული თანასწორობა.

შესავალი

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში მეტად მწვავეა, რაც მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორითაა განპირობებული. ერთ-ერთი მათგანია მოსახლეობის და, განსაკუთრებით – ახალგაზრდობის დემოგრაფიული ცოდნის არასაკმარისი დონე. სწორედ ამ პრობლემის სწორი იდენტიფიკაციისა და შეფასების მიზნით, 2019 წელს ჩატარებული შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევით მიღებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების ანალიზმა ნათლად დაადასტურა არაერთი დიდი თუ მცირე პრობლემა ამ მიმართულებით. აღნიშნული კვლევა ჩაატარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრამ.

პრობლემის შესწავლის დონე და აქტუალურობა: XX საუკუნის ბოლოს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მკვეთრად გამწვავდა დემოგრაფიული მდგომარეობა და ჩამოყალიბდა მოსახლეობის აღწარმოების უარყოფითი რეჟიმი, რამაც 1990 წელთან შედარებით, თითქმის 30 %-ით შეამცირა მოსახლეობის რიცხოვნობა. ქვეყნის დემოგრაფიული მომავალი კი განისაზღვრება მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობით და დემოგრაფიული ქცევით, რომელიც ახალგაზრდა ასაკში უკვე ჩამოყალიბებულია. ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი არის სტუდენტობა, რომელიც დღეისათვის შეადგენს 140 ათასზე მეტს. ამიტომ სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობის შესწავლა და რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ დემოგრაფიულ განწყობაზე დიდ გავლენას ახდენს დემოგრაფიული ცოდნა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა დემოგრაფიული ცოდნის დონის შესწავლა და ანალიზი საქართველოს მასშტაბით პირველად განხორციელდა. გამოკვლე-

ვის ანკეტაში მოცემული იყო 35 შეკითხვა დემოგრაფიის მრავალ საკითხზე თანამედროვე სტუდენტი ახალგაზრდობის დამოკიდებულების შესახებ. გენერალურმა ერთობლიობამ შეადგინა საქართველოში აკრედიტებული სხვადასხვა უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დაახლოებით 142 000 სტუდენტი. მათგან გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 2452 რესპონდენტმა, რომელთა შერჩევა მოხდა სრულიად შემთხვევითი შერჩევით. ქვემოთ წარმოდგენილია კონკრეტული სტატისტიკური ანალიზი, სადაც ნათლად ჩანს სტუდენტთა დამოკიდებულება საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობისადმი მათი სქესობრივ-ასაკობრივი, რელიგიური, ეთნიკური, საგანმანათლებლო და სხვა ნიშნების მიხედვით.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანია სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ცოდნის დონის შესწავლა და მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება:

1. საქართველოში ზოგადი დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ;
2. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის პროცესების (ქორწინება, განქორწინება, შობადობა, სიკვდილიანობა) შესახებ;
3. საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული პროცესების (ემიგრაცია და იმიგრაცია) შესახებ;
4. საქართველოში დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში ფართოდ იქნა გამოყენებული შესაბამისი სტატისტიკური მეთოდები, კერძოდ: სტატისტიკური დაკვირვება და მიღებული მონაცემების თავმოყრა-დაჯგუფება; საშუალო სიდიდეთა შეფარდება და ვარიაციული მეთოდები, საინდექსო მეთოდი, შერჩევითი მეთოდი, კორელაციური ანალიზის მეთოდები და სხვ.


სტატისტიკური შერჩევის მეთოდოლოგიით განისაზღვრა დაკვირვებისათვის საჭირო შერჩევითი ერთობლიობის ერთეულთა მინიმალური რიცხვნობა. ამასთანავე, კვლევა ჩატარდა ელექტრონული კითხვარით გუგლში, მიღებული პირველადი მონაცემების დამუშავება და ანალიზი კი განხორციელდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.

საქართველოში დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. აღნიშნული ნათლად ვლინდება ისეთ მაჩვენებლებში, როგორცაა შობადობის კლება, მოკვდაობის ზრდა და შედეგად – მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპების დაცემა [ჩიქავა, 2014]. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოება, რაც შობადობისა და მოკვდაობის ურთიერთქმედების შედეგია, აღწარმოების მარტივი რეჟიმით ხასიათდება. ამ დროს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთის ტოლია, ხოლო შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2.10-ს უტოლდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წელს მოსახლეობის აღ-

წარმოების ნეტო კოეფიციენტის მნიშვნელობა ძალიან ახლოს არის ერთთან, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კი ზუსტად 2.1-ის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში არის მოსახლეობის აღწარმოების მარტივი რეჟიმი, როდესაც მომდევნო და წინა თაობების რაოდენობა დაახლოებით თანაბარია [წულაძე, 2014].

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები.

საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები 2001-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ 2001 წლიდან 2014 წლამდე მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, ხოლო შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი – 2.1-ზე ნაკლები. ამ დროს არის მოსახლეობის შეკვეცილი (შევიწროებული) აღწარმოების რეჟიმი, რაც მიგვანიშნებს მომავალში პოტენციურ დეპოპულაციაზე [წულაძე, 2014]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობა ყოველწლიურად მცირდებოდა. მომდევნო წლებში ის უმნიშვნელოდ გაიზარდა, მაგრამ 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წინა წელთან შედარებით, ისევ შემცირებულია, რაზეც მიუთითებს კოეფიციენტების კლებადი ტენდენციაც.


ჩვენი კვლევის არეალში მოექცა აგრეთვე გენდერული საკითხებიც, რამდენადაც გენდერი მოიცავს ქალისა და მამაკაცის ცხოვრების ყველა ასპექტს და მათი შესაძლებლობების განსხვავებების ანალიზს, სპეციფიკურ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს [გელაშვილი ს., ჩარეკიშვილი ლ. 2016, გვ. 19]. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მდედრობითი სქესის გა-

მოკითხულ სტუდენტთა მხოლოდ 4.4 %, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტთა 9.2 % ფიქრობს, რომ საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია სტაბილურია და არ საჭიროებს რეგულირებას. ორივე სქესის რესპონდენტთა დაახლოებით 65.0 %-ის აზრით კი, დემოგრაფიული სიტუაცია საგანგაშოა, მაგრამ ექვემდებარება გამოსწორებას. მდედრობითი სქესის 12.8 და მამრობითი სქესის ნარმომადგენელთა 9.9 %-ის აზრით კი, საქართველოს დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულია. სტუდენტთა შეფასების განსხვავების ზომის დასადგენად გავიანგარიშეთ ვარიაციის დიაპაზონი. იმ სტუდენტებთან შედარებით, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოში დემოგრაფიული ვითარება სტაბილურია, 6.2 პროცენტული პუნქტით მეტნი არიან ის რესპონდენტები, რომლებიც არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას კატასტროფულად აფასებენ, ხოლო ის სტუდენტები, რომლებსაც დემოგრაფიული სიტუაცია საგანგაშოდ მიაჩნიათ – 59.3 პროცენტული პუნქტით მეტია. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 17.3 %-ს უჭირს დემოგრაფიული მდგომარეობის შეფასება, რადგან არასოდეს არ დაინტერესებულან ამ საკითხით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა სქესის მიხედვით, რომლებიც სხვადასხვაგვარად აფასებენ დემოგრაფიულ სიტუაციას.

სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (სქესის მიხედვით)

დიაგრამა 1




ასაკი წარმოადგენს მნიშვნელოვან სტატისტიკურ (და არამხოლოდ სტატისტიკურ) მახასიათებელს, რომელიც მჭიდრო კავშირშია მრავალ სოციალურ თუ ეკონომიკურ მოვლენასა და ადამიანთა მდგომარეობასთან. ამასთან ერთად, ასაკი ერთ-ერთი მთავარი დემოგრაფიული მახასიათებელია, რომელიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებას. სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევის შესწავლაში აქტიურობით გამოიჩინოდნენ ქალები, რომელთა საშუალო ასაკია 21.3 წელი, ხოლო მამაკაცებისა – 20.9 წელი, ამასთან, ორივე სქესის მიხედვით,

რესპონდენტებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა 20 – 24 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი [მინდორაშვილი, 2019]. ასაკის მიხედვით საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის განხილვისას აღმოჩნდა, რომ უფროსი ასაკობრივი ჯგუფების სტუდენტებში (25-29 წლის, 30 წლის და უფროსი ასაკის) პროცენტულად უფრო მეტი გამოკითხული თვლის დემოგრაფიულ ვითარებას სტაბილურად (შესაბამისად, 7.9% და 11.1%), ვიდრე უფრო ახალგაზრდა ასაკის სტუდენტებში (20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 5.9% და 20 წელზე უმცროსები – 4.5%). დემოგრაფიულ ვითარებას საგანგაშოდ კი, პირიქით, უფრო მეტად ახალგაზრდა სტუდენტები აფასებენ (20 წელზე უმცროსების 72.4%, 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან – 64.0%), ვიდრე უფროსი ასაკის სტუდენტები (25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი – 52.6%, 30 წლის და უფროსი ასაკის – 44.4%).

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს სტუდენტთა პროცენტულ განაწილებას ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომლებიც სხვადასხვაგვარად აფასებენ საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებას.

სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით)

დიაგრამა 2




აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა დაბადების ადგილის მიხედვით დაჯგუფების შედეგად მიღებული შეფასებები არ გამოირჩევა დიდი რხევადობით და მათი რაოდენობრივი სიდიდეები დაახლოებით თანაბარია. საქალაქო დასახლებებში დაბადებულ სტუდენტთა 6.1 % დემოგრაფიულ მდგომარეობას საქართველოში სტაბილურად მიიჩნევს. იგივე აზრი დააფიქსირა სასოფლო დასახლებებში დაბადებულ სტუდენტთა 4.9 %-მა. „ქალაქელი“ სტუდენტების 65.3 % საგანგაშოდ, ხოლო 11.6 პროცენტი კატასტროფულად მიიჩნევს დემოგრაფიულ სიტუაციას. „სოფლელი“ სტუდენტების 64.2 %-ის აზრით, ვითარება საგანგაშოა, ხოლო 13.0 %-ის აზრით კი – კატასტროფული.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სტუდენტთა პროცენტულ განაწილებას დაბადების ადგილის მიხედვით, რომლებიც სხვადასხვაგვარად აფასებენ საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას.

სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება
(დაბადების ადგილის მიხედვით)

დიაგრამა 3




აღსანიშნავია, რომ გამოკვლევაში მონაწილე ყველა უნივერსიტეტის გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით მნიშვნელოვანი ვარიაცია გამოვლინდა. ასე, მაგალითად, ვითარებას სტაბილურად მიიჩნევს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოკითხულ სტუდენტთა 10.3 %, მაშინ როდესაც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხოლოდ 3.3 % ფიქრობს ასე. ვითარება საგანგაშოდ ყველაზე მეტად მიაჩნიათ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს (75.0%), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებიდან კი მხოლოდ 40.0 % ეთანხმება აღნიშნულ დებულებას. ამავე უნივერსიტეტის მესამედი (ყველაზე მაღალი წილი უნივერსიტეტებს შორის) თვლის, რომ დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში კატასტროფულია. აღნიშნულ მოსაზრებას ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხოლოდ 8.7 % ეთანხმება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველაზე მეტი სტუდენტი – 69.3 % ფიქრობს, რომ ვითარება საგანგაშოა, 9.8 %-ის აზრით – კატასტროფული, ხოლო 4.9 %-ის აზრით – სტაბილური.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (4) წარმოდგენილია სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა პროცენტული განაწილება საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის შეფასების მიხედვით.

სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება

დიაგრამა 4




სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საზოგადოების საგანმანათლებლო პოტენციალის გაზომვა და მისი ჩამოყალიბების, დიფერენციაციისა და გამოყენების პროცესების შესწავლა. საზოგადოების საგანმანათლებლო პოტენციალი – ესაა თაობების მიერ დაგროვილი ცოდნის მოცულობა, ხარისხი და პროფესიული გამოცდილება, რომელიც შეთვისებულია მოსახლეობის მიერ და მისი კვლავნარმოება ხდება განათლების სისტემის მეშვეობით [გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. 2013, გვ. 138]. მოსახლეობის და, განსაკუთრებით – ახალგაზრდობის განათლების სხვადასხვა დონე ქმნის ძლიერ დიფერენცირებულ შეხედულებებსა და განწყობებს დემოგრაფიულ საკითხებზე. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც, კერძოდ: უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით, გამოვლინდა მნიშვნელოვნად განსხვავებული პასუხები: საქართველოს დემოგრაფიულ სიტუაციას სტაბილურად აფასებენ უფრო მეტად დოქტორანტები (16.7%), ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტები (6.1%) და მაგისტრანტები (2.6%). ვითარებას საგანგაშოდ მიიჩნევენ ბაკალავრიატის სტუდენტთა 66.9 %, მაგისტრანტთა 61.2 % და დოქტორანტთა 33.3 %. კატასტროფული მდგომარეობა დაასახელა დოქტორანტების 16.7 %-მა, მაგისტრანტების 15.5 %-მა და ბაკალავრიატის სტუდენტთა 11.1 %-მა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა (5) გვიჩვენებს უმაღლესი სასწავლებლის სამივე საფეხურის სტუდენტთა შეხედულებას საქართველოს დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ.

სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (%)

დიაგრამა 5




დემოგრაფიული პროცესები მიმდინარეობს ძირითადად ოჯახში. შესაბამისად, მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობის შესწავლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მამაკაცებში, ქალებთან შედარებით, საქართველოში მნიშვნელოვნად დაბალია დაუქორწინებლების ხვედრიწილი [ხმალაძე მ. 2009, გვ. 199-200]. ქორწინების სტატუსის მიხედვით ქვეყნის დემოგრაფიული ვითარება სტაბილურად მიაჩნია დაუქორწინებელთა მხოლოდ 5.6 %-ს და დაქორწინებულთა 8.3 %-ს. გამოკითხულ განქორწინებულთაგან არცერთი არ ფიქრობს, რომ ვითარება სტაბილურია. დემოგრაფიულ მდგომარეობას საგანგაშოდ აღიქვამს დაუქორწინებელთა 66.3 %, დაქორწინებულთა და განქორწინებულთა თანაბარი წილი – 50 %. კატასტროფულ მდგომარეობას ასახელებს განქორწინებულთა 50 %, დაქორწინებულთა 19.4 % და დაუქორწინებელთა 11.2 %.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (6) ასახულია სტუდენტთა შეფასება ქორწინების სტატუსის მიხედვით.

სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება ქორწინების სტატუსის მიხედვით (%)


დიაგრამა 6



კვლევის შედეგები დამუშავდა ასევე ეთნიკური ნიშნის მიხედვითაც, რამაც მეტად განსხვავებული სურათი აჩვენა. ქართველი ეროვნების გამოკითხული სტუდენტების 67.1 % ფიქრობს, რომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ ექვემდებარება გამოსწორებას, 12.1 %-ის აზრით – კატასტროფულია, ხოლო 4.6 %-ის აზრით – სტაბილურია. ეროვნებით სომეხი სტუდენტების 35.7 % მიიჩნევს, რომ ვითარება საგანგაშოა, 21.4 %-ის აზრით – სტაბილური და 10.7 %-ის აზრით – კატასტროფული. აზერბაიჯანელი ეროვნების სტუდენტთა ერთი მესამედი ვითარებას სტაბილურად აფასებს, ხოლო დანარჩენ სტუდენტებს უჭირთ პასუხის გაცემა. გამოკითხული რუსი და იეზიდის ეროვნების სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია საგანგაშოა (იხ. დიაგრამა 7).

სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (%%)

დიაგრამა 7




ვარიაციის დიდი დიაპაზონი აქვს შემოსავლების დონის მიხედვით სტუდენტთა ჯგუფების დამოკიდებულებას დემოგრაფიულ პროცესებზე. ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებას სტაბილურად აფასებს ყველაზე მეტად მაღალშემოსავლიანი რესპონდენტების 9.1 %. სხვა ჯგუფებთან შედარებით, პროცენტულად ყველაზე მეტი დაბალშემოსავლიანი სტუდენტი ფიქრობს, რომ ვითარება საგანგაშოა (66.1%), ხოლო მაღალშემოსავლიანი სტუდენტების 27.3 %-ის აზრით, ვითარება კატასტროფულია (იხ. დიაგრამა 8).

რელიგიურობის მიხედვით კვლევამ სპეციფიკური და მეტად საინტერესო სურათი აჩვენა, კერძოდ: რელიგიური სტუდენტების 68.0 % ფიქრობს, რომ საქართველოში საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობაა, ხოლო 12.1 %-ის აზრით კი – ვითარება კატასტროფულია. ასეთი გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 4.7 % აფასებს სტაბილურად. დემოგრაფიულ სიტუაციას სტაბილურად აფასებენ უფრო მეტად ის სტუდენტები – 9.6 %, რომლებიც არ არიან რელიგიურები (იხ. დიაგრამა 9).


შემოსავლის სხვადასხვა დონის სტუდენტთა ჯგუფების მიერ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება (%)

დიაგრამა 8



დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება სტუდენტთა რელიგიურობის ნიშნით (%)

დიაგრამა 9




ქალისა და მამაკაცის გენდერულ თანასწორობაზე სხვადასხვა შეხედულებების მქონე სტუდენტებს შორის ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა ასე შეფასდა: მათგან, ვინც არ ემხრობა გენდერულ თანასწორობას, ყველაზე მეტი რესპონდენტი, ანუ 55.6 პროცენტი თვლის, რომ კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება გვაქვს. მათგან, ვინც ნაწილობრივ ან სრულიად ემხრობა გენდერულ თანასწორობას, პროცენტულად ყველაზე მეტი ფიქრობს, რომ საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია საგანგაშოა (შესაბამისად, 64.2 და 66.5 პროცენტი). ჩვენი აზრით, სტუდენტთა ასეთი მკაცრი განწყობა გენდერული თანასწორობის საკითხში, გარკვეულწილად იმაზე მიუთითებს, რომ მათ ძალიან მწირი ცოდნა გააჩნიათ ზოგადად გენდერის საკითხებზე. გენდერული პრობ-

ლემა კი მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში მეტ-ნაკლებად არსებობს და მისი გადაჭრის გზებიც განსხვავებულია. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც, მართალია, გენდერული პრობლემები სახელმწიფოს ყურადღების ცენტრშია, მაგრამ სასურველი შედეგები ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ბოლო წლებში ამ მიმართულებით გენდერული საკითხების სწავლება გაფართოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ამოქმედდა სამაგისტრო პროგრამა – „გენდერის კვლევები“, ასევე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო მოდულში „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“ ისწავლება საგანი – „გენდერული სტატისტიკა“, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი არ არის ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის – სტუდენტებისათვის.

მე-10 დიაგრამაზე წარმოდგენილია გენდერულ თანასწორობაზე სხვადასხვა შეხედულების მქონე სტუდენტთა დემოგრაფიული განწყობა.

სტუდენტთა შეხედულებები გენდერულ თანასწორობაზე (%%)

დიაგრამა 10




გარკვეულ ინტერესს იწვევს სტუდენტთა განწყობის შესწავლა მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის საკითხზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ის რესპონდენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია ზეგავლენას არ მოახდენს შობადობაზე და დემოგრაფიული სიტუაცია სტაბილურია, მხოლოდ 7.8 %-ს შეადგენს; გამოკითხული სტუდენტების 67.5% თვლის, რომ მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია შეამცირებს შობადობას და დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, ხოლო ასეთი სტუდენტების 15.2 %-ის აზრით კი – ვითარება კატასტროფულია (იხ. დიაგრამა 11).

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 22.8 % ფიქრობს, რომ საქართველოს უმთავრესი გამოწვევა არის დემოგრაფიული პრობლემები. მათგან 67.0 % ფიქრობს, რომ ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ ექვემდებარება გამოსწორებას, 28.9 %-ის აზრით, ვითარება კატასტროფულია, ხოლო 1.0 % თვლის, რომ მდგომარეობა სტაბილურია და

არ საჭიროებს რეგულირებას. გამოკითხულთა 9.4 %-ის აზრით, საქართველოსთვის ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია დემოგრაფიული პრობლემა, მათი 7.5 % ფიქრობს, რომ დემოგრაფიული ვითარება ქვეყანაში სტაბილურია.

შვილიანობაზე მარიხუანის მოხმარების გავლენის შეფასება სტუდენტების მიერ


დიაგრამა 11



სტუდენტების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ის რესპონდენტები, ვისი აზრითაც საქართველოში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვი გარდაცვლილთა რიცხვზე ნაკლებია, უმეტესად ფიქრობენ, რომ ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშო ან კატასტროფულია (67.9% და 17.8%). ის გამოკითხულები კი, რომლებიც თვლიან, რომ დაბადებულთა რიცხვი გარდაცვლილთა რიცხვზე მეტია, საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებას საგანგაშოდ აფასებს 70.0%, სტაბილურად კი – 10.0% (იხ. დიაგრამა 12):

სტუდენტების მიერ შობადობისა და სიკვდილიანობის დონეთა შეფასება (%%)

დიაგრამა 12



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა აზრით, საქართველოში ყოველმა წევილმა (ქალ-ვაჟმა) მოსახლეობის რიცხოვნობის გასაზრდელად უნდა იყოლიოს 2 ბავშვი (8.8%), 3 ბავშვი (61.4%), 4 ბავშვი (22.7%), 5 და მეტი ბავშვი (6.3%), საშუალოდ კი – 2.27 ბავშვი. გამოკითხული სტუდენტები აპირებენ საშუალოდ 2.6 ბავშვის ყოლას. შედარებისათვის აქ საინტერესოა, რომ გამოკითხული სტუდენტების მშობლებს საშუალოდ ჰყავთ 2.3 ბავშვი, სტუდენტების ბებია-ბაბუას დედის მხრიდან საშუალოდ ჰყავთ 2.82 ბავშვი, ხოლო ბებია-ბაბუას მამის მხრიდან – 2.84 ბავშვი.

გამოკითხული სტუდენტების 30.3 % იცნობს საქართველოს დემოგრაფიულ პოლიტიკას, 59.3 % – არ იცნობს, ხოლო 8.4 %-ის აზრით, დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში საერთოდ არ არსებობს.

დასკვნა

ჩვენი კვლევის მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა დაახლოებით მეოთხედი (23%) სათანადოდ ვერ აფასებს საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობას. მათი ნაწილის აზრით, ვითარება სტაბილურია და არ საჭიროებს რეგულირებას, დანარჩენებს კი უჭირთ დემოგრაფიული სიტუაციის შეფასება, რადგან არ დაინტერესებულან ამ საკითხით. მეორე საყურადღებო შედეგი, რაც გამოკვლევამ აჩვენა, არის ის, რომ გამოკითხულ სტუდენტებს სურთ იყოლიონ საშუალოდ უფრო ნაკლები ბავშვი, ვიდრე მათ მშობლებს და ბებია-ბაბუას ჰყავთ. ეს კი, ისედაც შემცირებული მოსახლეობის რიცხოვნობის კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს და მოსახლეობის აღწარმოების მარტივი რეჟიმიდან შეკვეცილი (შევიწროებული) აღწარმოების რეჟიმს დავუბრუნდებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საზოგადოება და, განსაკუთრებით, სტუდენტები, მომავალი მშობლები, უფრო სიღრმისეულად გაეცნონ ქვეყნის დემოგრაფიულ სტრუქტურას, გააანალიზონ მომავალში მოსალოდნელი შედეგები. სახელმწიფომ უნდა წაახალისოს სამ და ოთხ-შვილიანი ოჯახების რაოდენობის ზრდა ბავშვთა ყოლის გაზრდილი მოთხოვნილების მოტივაციის ფორმირებითა და შესაბამისი მატერიალური დახმარებით.

კვლევის შედეგად ნათლად გამოვლინდა საქართველოში სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიულ საკითხებზე განათლების დაბალი დონე, რაც ძირითადად განპირობებულია უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი საგნების სწავლების დეფიციტით.

ლიტერატურა:

- გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. (2013). სოციალური სტატისტიკა. თსუ (ელ. ვერსია).
- გელაშვილი ს., ჩარექიშვილი ლ. (2016). გენდერული სტატისტიკის საკითხები. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

- გვრიტიშვილი ც., გომელაური ნ. (2019). ოჯახის პოზიტიური სახის ფორმირება საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი.
- მინდორაშვილი მ., აბესაძე ნ., გიორგობიანი მ. (2019) სტუდენტების სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკური ანალიზი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. შრომების კრებული, თბილისი.
- ხმალაძე მ. (2009). დემოგრაფია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
- ჩიქავა ლ. (2014). საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონული თავისებურებანი. შრომების კრებული – „დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი.
- წულაძე გ. (2014). დემოგრაფიის საფუძვლები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი.
- სტუდენტთა შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის პირველადი მასალები. თსუ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა.
- <https://www.geostat.ge> (ბოლო ნახვა 09.10.2019).

References:

- Gelashvili S., Shonia Z., Kinkladze R. (2013). socialuri statistika [Social Statistics.] TSU (electronic version, in Georgian).
- Gelashvili S., Charekishvili L. (2016). genderuli statistikis sakitxebi [Issues of Gender Statistics.] „Meridiani,” Tbilisi (in Georgian).
- Gvritishvili Ts., Gomelauri N. (2019). ojaxis pozitiuri saxis formireba saqartveloshi [Positive Family Formation Proceedings in Georgia. Proceedings of the International Scientific Conference. P. Gugushvili Institute of Economics, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi (in Georgian).
- Mindorashvili M., Abesadze N., Giorgobiani M. (2019). studentebis social-demografiuli maxasiateblebis statistikuri analizi [Statistical Analyses of Students’ Socio-Demographic Characteristics]. Iv.Javakhishvili Tbilisi State University, IV International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business”. Proceedings, Tbilisi)in Georgian).
- Khmaladze M. (2009). demografia [Demography] „Meridiani,” Tbilisi (in Georgian).
- Chikava L. (2014). saqartvelos mosaxleobis agcarmoebis saerto tendenciebi da regionuli taviseburebani. [General Trends and Regional Features of the Reproduction in the Population of Georgia]. “Problems of Demography and Sociology,” Proceedings. Institute of Demography and Sociology, Ilya State University, Tbilisi (in Georgian).
- Tsuladze G. (2014). demografiis safudzvlebi [The Basics of Demography]. Institute of Demography and Sociology, Ilya State University, Tbilisi (in Georgian).
- studentta shercheviti statistikuri gamokvlevis pirveladi masalebi. [Basic Materials for

Statistical Research of Students]. TSU Department of Economic and Social Statistics (in Georgian).

- <https://www.geostat.ge> (Last visit 10/09/2019).

Demographic Knowledge Level of Students in Georgia

Simon Gelashvili

Professor Iv. Javakhishvili

Tbilisi State University

simon.gelashvili@tsu.ge

Marine Mindorashvili

Associate Professor Iv. Javakhishvili

Tbilisi State University

maia.mindorashvili@tsu.ge

Nino Maghradze

Doctoral Student Iv. Javakhishvili

Tbilisi State University

nino.maghradze1@gmail.com

The demographic structure of the population plays a significant role in the socio-economic development of the country. Given this importance, it is necessary to study demographic events and processes, as well as public opinion, knowledge and awareness of these issues.

Quantitative and qualitative indicators of demographic knowledge level of students in Georgia were obtained from sampling statistical analysis by using SPSS software. Many general and special indicators (ratios, means and variations) were calculated and evaluated during the research process. The analysis revealed students' different demographic mood according to gender, age, ethnicity and other groups.

According to the results of the survey, 22.8% of respondents find demographic problems most challenging in Georgia. Majority of them (67.0%) think that the demographic situation in the country is alarming and needs to be corrected, 28.9% consider the situation catastrophic, and only 1.0% believe that the situation is stable and does not require regulation. It should be noted that 17.3% of the students surveyed find it difficult to assess their demographic situation in the country, since they have never been interested in this issue.

The study revealed a low level of demographic education of students in Georgia, which is mainly due to the lack of relevant subjects.

Keywords: Demographic knowledge, demographic policy, marriage status, birth rate, gender equality.

JEL Codes: I21, J10, J11

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა
M I S C E L L A N E O U S

XVII-XVIII საუკუნეების ქართველი ვაჭრები სეფიანთა ირანში *
(ისპაჰანის სომხურ ნერსესის, მინასისა და სარქისის ეკლესიებში
დაცული ქართული და ქართულ-სომხური საფლავის ქვების
წარწერების მიხედვით)

თამაზ გოგოლაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფრ.მეცნ.თანამშრომელი
tazogogladze@yahoo.com

როგორც ცნობილია, ქართულ-სპარსული ურთიერთობებმა მთელი სისავსით თავი იჩინა სეფიანთა ირანის დროს, უფრო კონკრეტულად, XVII-XVIII საუკუნეებში. ამ ურთიერთობებიდან განსაკუთრებით დიდი ინტერესს იწვევს ქართულ-სპარსული იმდროინდელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ქართლის სამეფოს დედაქალაქი – თბილისი, როგორც ამიერკავკასიის ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრი და სატრანზიტო ქალაქი, ეკონომიკურად ოსმალეთის და, განსაკუთრებით, ირანის ქალქებთან იყო დაკავშირებული. თბილისიდან სპარსეთისაკენ სავაჭრო გზა ყაზახ-განჯა და ლორე-ბამბაკის მიმართულებით მიდიოდა. ქართლის სამეფოსთან მჭიდრო სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობაში პირველი ადგილი სწორედ სეფიანთა ირანს ეკავა, საიდანაც ქართლში შემოდიოდა ძვირფასი ქსოვილები, აბრეშუმი, მარილი, შაბი, ტყავი და სხვ. ქართლის სამეფო თავის მხრივ ირანს აბრეშუმის ნედლეულით ამარაგებდა. გარდა ამისა, ქართლიდან გაჰქონდათ შალისა და ბამბის ქსოვილები. თბილისიდან სომხეთში, მიდიასა და ისპაჰანში სპარსეთის შაჰის კარის საჭიროებისათვის ქართული ღვინოებიც მიდიოდა (გ. ჟორჟოლიანი, 1987, 117-118). XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ქართულ ღვინოს საუკეთესოდ თვლის მთელს სეფიანთა ირანში (ჟ. შარდენი, 1975, 298). ქართუ-

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის (FR17_554) „დოკუმენტური წყაროები (სიგელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერთა კოლოფონები) XVII საუკუნის I ნახევრის (1600-1662) ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ (წყაროების პუბლიკაცია და გამოკვლევა)“ ფარგლებში.

ლი და უცხოური წყაროები მდიდარ მასალას გვანვდიან თუ როგორი აქტიური ურთიერთობა არსებობდა მაშინდელ ქართლ-კახეთის სამეფოსა და სეფიანთა ირანს შორის.

საკვანძო სიტყვები: სეფიანთა ირანი, ქართლის სამეფო, ქართველი ვაჭრები, ქართული წარწერები.

ისპაჰანის სომხურ ნერსესის, მინასისა და სარქისის ეკლესიებში დაცული ქართული და ქართულ-სომხური საფლავის ქვების წარწერები

ამ მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას კიდევ მეტ კონკრეტულობას სძენს ისპაჰანის სომხურ ეკლესიებში (ნერსესის, მინასისა და სარქისის) დაცული ქართული და ქართულ-სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების ერთი ჯგუფი, რომლებიც მეტად ძვირფასს და მიუყერძოებელ ცნობებს გვანვდიან სეფიანთა ირანში მოღვაწე ქართველი ვაჭრების შესახებ.

პირველი მეცნიერი, რომელმაც წინამდებარე საფლავის ქვებს ყურადღება მიაქცია და ნაშრომი გამოაქვეყნა, იყო მაგალი თოდუა. მას თავის ნაშრომში წარმოდგენილი აქვს ისპაჰანის სომხურ (ნერსესის, მინასისა და სარქისას) ეკლესიებში დაცული 22 ქართული და ქართულ-სომხური საფლავის ქვის ეპიგრაფია. მეცნიერს სომხური წარწერების ტექსტები სომეხმა მკვლევარმა ლევონ მინასიანმა წაუკითხა, ხოლო სომხური ტექსტები ქართულად გაშიფრა არმენოლოგმა ელენე ცაგარეიშვილმა (მ. თოდუა, 1971, 196-211). მაგალი თოდუას შემდეგ აღნიშნული წარწერების ერთი ნაწილი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, ისტორიკოსმა დევი კაციტაძემ შეისწავლა. სახელდობრ, მეცნიერმა საფლავის ქვების წარწერებში მოხსენიებული პირების იდენტიფიცირება მოახდინა ქართული ისტორიული საბუთების მონაცემებზე დაყრდნობით (დ. კაციტაძე, 1976, 263-269). 2019 წელს გამოიცა ნაშრომი – „ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე“, სადაც ერთ-ერთი სტატია ნესრესის სომხურ ეკლესიაში დაცული ქართული საფლავების შესახებ ეკუთვნის ფერეიდნელ ქართველს – აბულყასემ აჰმადი-მიანდაშის. მკვლევარს ნაშრომში წარმოდგენილი აქვს ნესრეს სომხური ეკლესიიდან მხოლოდ 5 საფლავის ქვის ფერადი ფოტოები, რითაც დასტურდება მათი დღევანდელი მდგომარეობა (ა. აჰმადი-მიანდაშთი, 2019, 123-134).

შევეცდებით ჩვენთვის საინტერესო საფლავის ქვების ნაკლებად შესწავლილი ან საერთოდ შეუსწავლილი ნაწილის ტექსტების წაკითხვაში შევიტანოთ გარკვეული კორექტივები და მათზე დაყრდნობით ისინი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით შევისწავლოთ.

პირველი ჩვენთვის საინტერესო საფლავის ქვის წარწერა მაგალი თოდუას სამეცნიერო პუბლიკაციაში 12-ე ნომრით არის წარმოდგენილი. გთავაზობთ

წარწერის ტექსტს მაგალი თოდუას სამეცნიერო პუბლიკაციაზე დაყრდნობით და მის ჩვენეულ წაკითხვას:

1. ქ. უფალო იესო
2. ქრისტეო, შეინ
3. ყალე და აკურ
4. თხე, მ[ო]იხსენ
5. იე მ[ო]ნა შე
6. ნი გორელი
7. მამიჯ[ან]ნ[ა]ს შვ
8. ილი ათ[ა]ბე
9. გა. ვინც წ[ა]იკ
10. ითხოთ, შენ
11. დობით მ[ო]იხსე
12. ნიოთ, შეგინდნ
13. ოს (?) ღმერთმ~ნ თ
14. ქვენცა. ქ~კს*) (მ. თოდუა, 1971, 204-205).

„ქ. უფალო, იესო | ქრისტეო, შეინ|ყალე და აკურ|თხე, მ[ო]იხსენ|იე მ[ო]ნა შენი გორელი, | მამიჯ[ან]ნ[ა]შვილი ათ[ა]ბე|გა. ვინც წ[ა]იკ|ითხოთ, შენ|დობით მ[ო]იხსენ|ნიოთ, შეგინდნ|ოს ღმერთმ(ა)ნ თ|ქვენცა, ქ(ორონი)-კ(ონ)ს ტქ (1312+390=1702 წ.)“.

ქართული საფლავის ქვის წარწერას, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ავსებს მისი სომხური ნაწილი, სადაც თარიღი პირდაპირ არის მითითებული – ათაბეგ მამიჯანაშვილის გარდაცვალების თარიღი – 1702 წელი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ქართული ნაწილის ბოლო თარიღის აღმნიშვნელი ნაწილი აღვადგინოთ როგორც „ქ(ორონი)კ(ონ)ს ტქ“. ათაბეგ მამიჯანაშვილი ქართულ ისტორიულ საბუთებში 1697 და 1699 წლებში იხსენიება, საიდანაც ვიგებთ, რომ ის ჯერ კიდევ ქართლის სამეფოშია და აქ აწარმოებს თავის სავაჭრო საქმიანობას. სწორედ 1699 წელს ან ამ წლის შემდგომ იგი წავიდა ირანში, სადაც, როგორც საფლავის ქვის ეპიტაფია გვაუწყებს, 1702 წელს გარდაიცვალა.

ჩვენთვის საინტერესო შემდგომი ეპიტაფია მაგალი თოდუას ნაშრომში რიგით მე-15 ნომერია. გთავაზობთ წარწერის ტექსტს მაგალი თოდუას სამეცნიერო პუბლიკაციაზე დაყრდნობით და მის ჩვენეულ წაკითხვას:

1. ქ. უფ[ა]ლო ღ[მ]ერთო,]
2. აცხონე ა[ქა]
3. მწოლე...
4. გ[ორელი]...
5. ამირბა...
6. ე[ლიზბა]რ[ის]
7. ... აღდ(?)

8.
9.
10. ... შნი
11. [ლმერთ]მ~ნ თქ
12. [ვ]ენც შეგინ?
13. [დოს ცოდვანი?]
14. თქვენი. მი[ი]ც
15. ვ[ალ]ა თიბ[ა]თ
16. ვის დ[ა]მდექს
17. ა, ქკს ტჟბ (=1704 წ.) (მ. თოდუა, 1971, 206-207).

ქართულ საფლავის ეპიტაფიას, ინფორმაციული თვალსაზრისით, კიდევ უფრო ამდიდრებს მისი სომხური ნაწილი, საიდანაც ვიგებთ, რომ: „ესე არის საფალავი ამირბაბიანთ ალიზბარის შვილის ბალ(?)თასარისა. წელსა 1706“. თუ შევეუფერებთ ერთმანეთს საფლავის ქვის ქართულ და სომხურ ტექსტებს, შევძლებთ საფლავის ქვის წარწერის ქართული ტექსტის აღდგენას. ჩვენი აზრით, წარწერა შემდგომი სახით უნდა წავიკითხოთ:

„ქ. უფ[ა]ლო, ღ[მერთო,] | აცხოვე ა[ქა] | მწოლელისა | გ[ორელი]... | ამირბაბაშვილის | ე[ლიზბა]რ[ი]ს | შვილის, ბაღდასარის სული. | ვინცა | ნა-იკითხოთ და შეუნდოთ, | [ლმერთ]მ~ნ თქ|[ვ]ენცა შეგინ|[დოს ცოდვანი] | თქვენი.

მი[ი]ცვ[ალ]ა თიბ[ა]თვის დ[ა]მდექს | ა (I), ქკს ტჟბ (1312+392=1704 წ.)“.

საფლავის ქვის წარწერის მიხედვით, 1704 წლის 1 ივნისს გორელი ამირბაბაშვილ ელიზბარის ვაჟი, ბაღდასარი გარდაცვლილა, რომლის სახელეზედაც დაუმზადებიათ საფლავის ქვა და ამოულარავთ ორენოვანი (ქართულ-სომხური) წარწერა. რით არის მნიშვნელოვანი წინადადება წარწერა?

როგორც ქართლის ცხოვრებიდან ვიგებთ, ირანის შაჰმა აბას II-მ (1642-1666) ქართლის მეფეს, ვახტანგ V შაჰნავაზს (1658-1675) თავისი ასული მოსთხოვა გაეგზავნა შაჰის ჰარამხანაში. ქართლის მეფე ვახტანგიც იძულებული იყო დათანხმებულიყო შაჰის მოთხოვნას (ბ. ეგნატაშვილი, 436). აქ მოხსენიებული ამირბაბაშვილი ელიზბარი გახლდათ ქართლის მეფის ვახტანგ V შაჰნავაზის სამეფო კართან დაახლოებული პირი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 1667 წლის 27 ივლისის საბუთი, საიდანაც ვიგებთ, რომ ქართლის მეფე ვახტანგს თავისი ასულისათვის მზითვე-ში სხვა ნივთებთან ერთად გაუყოლებია სწორედ აქ მოხსენიებული ელიზბარი ამირბაბაშვილი, რისი დადასტურებაცაა აღნიშნული საბუთი, სადაც ელიზბარი გორელ ვაჭრად არის მოხსენიებული. საბუთის ტექსტის წყალობით გავარკვიეთ ელიზბარი ამირბაბაშვილის სოციალური სტატუსი. სავარაუდოდ, მისი ვაჟიც ბალსადარიც მამის კვალს გაჰყვა და სავაჭრო ურთიერთობებით იყო დაკავებული სეფიანთა ირანში.

შედგომი წარწერა მე-7 ნომრით არის წარმოდგენილი პატივცემული მეცნიერის ნაშრომში. გთავაზობთ, წარწერის მაგალი თოდუასეულ გადმონაწერს და მის ჩვენეულ წაკითხვას:

1. ქ. ღმერ
2. თო, შეინ
3. ყალე
4. გორ
5. ქაშვი
6. ლი გი
7. ორგი.
8. ქუკის ტო
9. გი (1685 წ.) (მ. თოდუა, 1971, 202).

„ქ. ღმერთო, შეინყალე | გორქაშვილი გიორგი, ქ(ორონი)კ(ონ)ის ტოგ„ი“(373+1312=1685 წ.)“.

ქართულ საისტორიო საბუთებში 1653 წლის ნასყიდობის წიგნში მიცემული ზაალ გაბაშვილის მიერ გიორგი ბარათაშვილისადმი, დამწერად და მოწმედ იხსენიება ზურაბა გორქაშვილი (პალ, 710). დიდი ალბათობით, ამ საბუთში მოხსენიებული გიორგი უნდა იყოს ზურაბას მამა.

შედგომი წარწერას, რომელსაც მოვიხმობთ ბატონ მაგალის სამეცნიერო ნაშრომიდან, 20-ე ნომრითაა მოცემული. მოგვყავს წარწერის ტექსტის გადმონაწერი მაგალი თოდუას ნაშრომზე დაყრდნობით და მისი ჩვენეული წაკითხვა.

1. ქ. უფალო ღმერთო,
2. შეინყალე აქა
3. მწოლელისა მო
4. ქალაქე თუ თუ
5. ლი (?) პაპუასა შ
6. ვილი ... ურ ... მ
7. წერლ[...] ფარ
8. ს[ა]დ[ა]ნ[ი]ს სიძე. სულ
9. სა სამოთხე დ
10. ა ნათელი ა[ლი]
11. რსე. შეუნდე ც
12. ოდვ[ა]ნი მისი. ვ[ი]
13. ნც წ[ა]იკითხოთ
14. „ა“, შენდობა უთ
15. [ხა]რით. ღმერთ
16. მა თქვენცა შე
17. გინდოს„ა“ ცო
18. დვ[ა]ნი თქვ[ე]ნი (მ. თოდუა, 1971, 210-211).

**„ქ. უფალო, ღმერთო, | შეინყაღე აქა | მწოლელისა მოქალაქე, თუთუ-
ნასშვილი პაპუას,“ შვილი, [ზ]ურ[აბი], მწერლ[ისა] ფარ[ს]ა[დ]ა[ნ]ი[ის] სი-
ძე. სულ[სა] სამოთხე დ[ა] ნათელი ა[ლი]რსე. შეუნდე ცოდვ[ანი] მისი. ვ[ი]ნც
ნ[ა]იკითხოთ, |,“ შენდობა უთ[ხა]რიოთ. ღმერთმა თქვენცა შეგინდოს,“
ცოდვ[ანი] თქვენი“.**

როგორც წარწერა გვამცნობს, წინამდებარე საფლავში განისვენებს პაპუა თუთუნასშვილის ვაჟი და ფარსადან მწერლის სიძე, ზურაბი. როგორც გადმონაწერში ჩანს, წარწერის პირველ გამომცემელს საფლავის ქვის ეს ნაწილი პირობითად აქვს აღდგენილი. თუ გადავხედავთ ქართულ საისტორიო საბუთებს, დავინახავთ, რომ XVII-XVIII საუკუნეებში აქტიურად ჩანან გორში მოსახლე თუთუნასშვილები. აქედან გამომდინარე, არ შეეცდებით თუ საფლავის ქვის ამ ნაწილს „თუ თუ ლი (?)“ აღვადგენთ როგორც გვარ თუთუნასშვილად. მეტად საინტერესოა XVII საუკუნის I ნახევრით დათარიღებული პაატა ჯავახიშვილის მიერ როსტომ ხითარისშვილისადმი მიცემული ვალის დაფარვის წიგნი, სადაც ერთ-ერთ მოწმედ ზურაბა თუთუნისშვილი იხსენიება. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ საბუთში მოხსენიებული ზურაბა თუთუნისშვილი გახლდათ პაპუას მამა, რომელმაც მამის პატივსაცემად თავის ვაჟს პაპის სახელი ზურაბი დააარქვა, რაც მიღებული იყო მაშინდელ ფეოდალურ საქართველოში. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ დაახლოებით შეგვიძლია განვსაზღვროთ საფლავის ქვის ქრონოლოგია. ვითვალისწინებთ რა ზურაბა თუთუნისშვილის მოღვაწეობის პერიოდს – XVII საუკუნის I ნახევარს, მაშინ დაახლოებით მისი შვილიშვილის ზურაბის გარდაცვალება XVIII საუკუნის I ნახევრით უნდა დავათარილოთ. მას შემდეგ, რაც გავარკვეით აქ მოხსენიებული პირის საგვარეულო კუთვნილება და მისი წინაპრები, ამის შემდგომ ჩნდება კითხვა – ვინ შეიძლება მოვიაზროთ ფარსადან მწერლის ქვეშ?

სანამ უშუალოდ ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, აქ გასათვალისწინებელია რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი:

- თუთუნისშვილები წარმოშობით გორიდან იყვნენ, ყოველ შემთხვევაში ამაზე მიგვითითებს ქართული ისტორიული საბუთები.

- ქართლის ცხოვრების მიხედვით, XVII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე წარმოშობით სწორედ გორიდან იყო.

- სწორედ ფარსადანის კალამს ეკუთვნის ქართლის ცხოვრების გარდა რამდენიმე სხვადასხვა ჟანრის წიგნების გადაწერა. საფლავის ქვის ტექსტში ფარსადანი სწორედ მწერლის სტატუსით არის მოხსენიებული. ქვის ამომკვეთმა საკმარისად ჩათვალა მხოლოდ და მხოლოდ მისი სტატუსი ამოეკვეთა, რაც მიგვითითებს მისი პიროვნების ცნობადობასა და დიდ გავლენაზე მაშინდელ ისპაჰანში. ასეთი ცნობილი პიროვნება კი როგორც ქართული, ასევე სპარსული წყაროებიდან იყო ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე. იგი ქართლის მეფის როსტომის აღზრდილი იყო, რომელიც ქართლის მეფემ გორიდან მცირეწლოვანი წაიყვანა და სამეფო კარზე გაზარდა, სადაც იგი დაეუფლა სპარსულ ენას.

როსტომის დავალებით ფარსადანი რამდენჯერ იყო გაგზავნილი სეფიანთა ირანში შაჰის კარზე. მისი თხზულების მიხედვით, „ქ-კს ტმდ ამ ჟამს მეფემ როსტომ ისპაჰანის მოურავობა მე ფარსადანს მამცა“ (ფ. გორგიჯანიძე, 59). როგორც ვხედავთ, 1656 წელს ფარსადანი, როსტომისავე რეკომენდაციით, იგი შაჰის კარზე ისპაჰანის ტარულად დაინიშნა. იგი 1696 წლამდე სეფიანთა ირანში ცხოვრობდა და იკავებდა სხვა მნიშვნელოვან თანამდებობასაც, როგორცაა ეშიკალასობა. მართალია, ისტორიკოსი წერს, რომ მისი სახლუელობა ქართლში დარჩა, თუმცა, როგორჩი ჩანს, ზოგიერთი თავისიანი თან წაიყვანა ირანში. კერძოდ, ფარსადანის ძმა, ალექსანდრე ირანის ზარაბიბაში ყოფილა, მეორე ძმა – მელიქ სადათ-ბეგი უზბაში იყო, მისი ვაჟი დავითი შაჰის ყულის ლამქარში ირიცხებოდა. დავითი მხოლოდ 16 წლისა იყო, როდესაც ირანის შაჰმა ბოქაულთუხუცესობა უბოძა. მემბტიანე იხსენებს ასევე ძმისწულებსა და დისწულებს, რომლებიც აგრეთვე ირანში მოღვაწეობდნენ (რ. კიკნაძე, 1975, 11-12). აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ სწორედ ფარსადანის ქართლის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მას ჰყავდა ერთი ვაჟი დავითი. მისი თხზულების ბოლო ნაწილი თავის ვაჟ, დავითისადმი დარიგების ტექსტს წარმოადგენს. აღნიშნული საფლავის ქვის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი აჩვენებს, რომ ქართველ ისტორიკოსს („ფარსადან მწერალს“) დავითის გარდა ჰყოლია კიდევ ერთი ასული, რომელიც გათხოვილი იყო წარმოშობით გორელ თუთუნასშვილთა საგვარეულოს ერთ-ერთ წარმოადგენელ ზურაბზე, რაც დღემდე ქართული სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობ ფაქტს წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, ანონიმი ავტორის მიერ შედგენილი თხზულებიდან – „თაზქირათ ალ-მულუქიდან“, ისპაჰანის ტარულას მთავარი საზრუნავი იყო ქალაქის უსაფრთხოება. იგი განსაკუთრებით პასუხისმგებელი იყო და, შესაბამისად, დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის ეკონომიკური ცენტრების – ბაზრების უვნებლობას (ვ. გაბაშვილი, 1966, 103). აქედან გამომდინარე, სრულიად ცხადია, თუ რა მიზნით დაუნათესავდა თუთუნისშვილები ფარსადან გორგიჯანიძეს. მათ სჭირდებოდათ თავიანთი სავაჭრო საქმიანობის ეფექტიანად და უსაფრთხოდ წარმოებისათვის მძლავრი დასაყრდენი, ასეთი კი ისპაჰანის ტარულა ფარსადან გორგიჯანიძე იყო.

დასკვნა

განხილული საფლავის ქვის ტექსტები უტყუარი დასტურია იმდროინდელი ქართლისა სამეფოსა და სეფიანთა ირანის შორის არსებული გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა. როგორც ჩანს, ქართველ ვაჭართა სოციალური ფენის წარმომადგენლები აქტიურად აწარმოებდნენ სავაჭრო ურთიერთობებს თვით ირანში და იქ თავიანთი სავაჭრო სახლები ჰქონდათ. ამიტომაცაა, რომ საფლავის ტექსტებში ქართველი ვაჭრების ამა თუ იმ საგვარეუ-

ლოდან რამდენიმე თაობის წარმომადგენლები იხსენიებიან. და რაც მთავარია, 1702 წლის საფლავის ქვის წარწერაზე ჩატარებულმა კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ ამ სოციალურ ფენას ვაჭრობის გარდა შეთვისებული ჰქონდა დიპლომატიური მისიაც. ეს ბუნებრივიცაა, ისინი, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, კარგად იცნობდნენ ქართლიდან ირანში მიმავალ გზებს და ამიტომაც ქართლის მეფეები ხშირ შემთხვევაში სწორედ ვაჭართა ფენის წარმომადგენლებს აგზავნიდნენ დიპლომატიური მისიით სეფიანთა ირანის სამეფო კარზე. დასასრულ, აღნიშვნის ღირსია ფარსადან გორგიჯანიძის ახალი ბიოგრაფიული დეტალები. როგორც გაირკვა, ირანში მოვაჭრე ქართველი – პაპუა თუთუნისძე, თავისი სავაჭრო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, დანათესავებია XVII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის – ფარსადან გორგიჯანიძის ოჯახს და თავისი ვაჟის, ზურაბისათვის ფარსადანის დღემდე უცნობი ქალიშვილი შეურთავს ცოლად.

ლიტერატურა:

- აჰმადი-მიანდაშთი ა. (2019) ქართული საფლავები ისპაჰანის წმინდა ნესრეს სომხურ ეკლესიაში. „ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე“.
- გაბაშვილი ვ. (1966) სეფიანთა ირანის საქალაქო წყობილება „თაზქირათ ალ-მულუქის“ მიხედვით. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“.
- თოდუა მ. (1971) ქართულ-სპარსული ეტიუდები.
- კაკაბაძე ს. (1925) ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია, „საისტორიო მოამბე“. ტ. II.
- კაციტაძე დ. (1976), ქართველი ვაჭრები სეფიანთა ირანში (XVII-XVIII სს.). „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“.
- კიკნაძე რ. (1975), ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.
- კლდიაშვილი დ., სურგულაძე მ., ცაგარეიშვილი ე., ჯანდიერი გ. (1991) პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I.
- კუცია კ. (1972) ისპაჰანის ქართველი ტარულები (1618-1722). „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“. ტ. 2.
- მგალობლიშვილი მ. (1975) ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.
- ჟორჟოლიანი გ. (1987) ქართლ-კახეთის სამეფო XVII 30-50-იან წლებში.
- ფუთურიძე ვ. (1954) მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. ნაკვეთი 30.
- ყაუხჩიშვილი ს. (1959) ქართლის ცხოვრება. ტომი II.

References:

- Ahmadi-Miandashti A. (2019) qartuli saflavebi ispanianis wmindā nesres somxur eklesiashi, (krebuli) “qartvebi teiranis dulabis qristianul sasafloze”, Tb., “īlias saxelmwifo universitetis gamomcemloba”. (Georgian Graves in Isfahan St. Nesre Armenian Church. Georgians in Dulab Christian Cemetery. Tb., “Ilia State University’s printinghouse”.] (in Georgian).
- Gabashvili V. (1966) Sefianta iranis saqalaqo cyobileba tazqirat al-muluqis mixedvit, “narkvevebi maxlobeli aghmosavletis qalaqebis istoriidan”. [Safian Iran City Structure according to “Tazkirat al-Muluk”. “Essays from the History of Near Eastern Cities”. Tb., “Metsniereba”.] (in Georgian).
- Kakabadze S. (1925) Parsadan Gorgijanidze, saqartvelos istoria, “Saistorio Moambe”, V. II. Tb., Parsadan Gorgijanidze, History of Georgia, “Saistorio Moambe”, V. II. 1925 (in Georgian).
- Katsitadze D. (1976) qartveli vachrebi sefianta iranshi XVII-XVIII ss. [Georgian merchants in Safian Iran XVII-XVIII cc.] “Studies from the History of Georgia and Caucasus”. Tb., “Metsniereba”, (in Georgian).
- Kauhchishvili S. (1959) “qartlis tskhovreba”, The Georgian Chronicles. Volume II. Tb., (in Georgian).
- Kiknadze R. (1975.) “parsadan gorgijanidze da istoriani da azmani sharavandedtani”, [Parsadan Gorgijanidze and “The Histories and Eulogies of the Sovereigns”.] Tb., “Metsniereba”, 1975 (in Georgian).
- Kldiashvili D., Surguladze M., Tsagareishvili E., Jandieri G. (1991.) “pirta anotirebuli leqsikoni”, XI-XVII ss. [Annotated Dictionary of Persons, XI-XVII cc. according to the historical documents. V. I. Tb., “Metsniereba”, 1991 (in Georgian).
- Kutsia K. (1972). ispanianis qartveli tarughebi (1618-1722), maxlobeli agmosavletis istoriis sakitxebi. [Isfahan’s Georgian Tarughs (1618-1722). “Issues of Near Eastern History”.] B. 2, Tb., “Metsniereba”. (in Georgian).
- Mgaloblishvili M. (1975.) “jan shardenis mogzauroba sparsetsa da aghmosavletis sxva qveynebsi”. [Jean Chardin’s Journey to Persia and Other Eastern Countries.] Tb., “Metsniereba”.(in Georgian).
- Puturidze V. (1954.) Mohamed tacheris cnobebi saqartvelos shesaxeb. masalebi saqartvelosa da kavkasiis istoriisatvis. [Mohamed Taheri’s Notes about Georgia. “Materials for the History of Georgia and Caucasus”.]V. 30, Tb., “Metsniereba”, 1954 (in Georgian).
- Todua M.(1971.) “qartul-sparsuli etiudebi”. [Georgian-Persian Etudes.] Tb., “Metsniereba”, 1971 (in Georgian).
- Jorjoliani G. (1987.) “qatl-kaxetis samefo XVII 30-50-ian wlebsi”. [Kartli-Kakheti Kingdom in XVII 30-50s.] Tb., “Metsniereba”, 1987 (in Georgian).

XVII-XVIII Centuries Georgian Merchants in Safian Iran
(According to the inscriptions on Georgian and Georgian-Armenian tombstones
preserved at Armenian Church in Isfahan)

Tamaz Gogoladze

Korneli Kekelidze National Center of Manuscripts

[*tazogogoladze@yahoo.com*](mailto:tazogogoladze@yahoo.com)

As it is known, Georgian-Persian relations revived in the period of Safavid Iran, more specifically, in the XVII-XVIII centuries. Of particular interest is the Georgian-Persian trade-economic relationship of that time. Tbilisi – the capital of the Kingdom of Kartli, as one of the trading centers and transit cities of the Transcaucasia, was economically particularly associated with the Iranian cities. The trade route from Tbilisi to Persia went to Kazakhstan-Ganja and Lore-Bambak. The first place in the close trade-economic relationship with the Kingdom of Kartli had exactly the Safavid Iran, from where precious fabrics, silk, salt, alum, leather, etc. were brought to Kartli. In its turn, the Kingdom of Kartli was supplying Iran with raw silk. In addition, wool and cotton fabrics were exported from Kartli. Various Georgian wines were also exported from Tbilisi to Armenia, Midia and Isfahan to meet the needs of the Persian Shah.

Georgian and foreign sources provide rich material on how active the relationship was between that time Kartli-Kakheti Kingdom and Safian Iran. A group of Georgian and Georgian-Armenian epigraphic monuments preserved at Armenian churches in Isfahan adds even more specificity to this rich source of knowledge, which provide a very valuable and unbiased information about Georgian merchants operating in Safian Iran.

In the seventies of the last century, to the tomb stones were drawn attention and were published by the famous Iranist – Magali Todua. The scientist in his work presents the epitaph of 22 gravestones. After Magali Todua, one part of these inscriptions was studied by historian Devi Katsitadze from the historical-source criticism point of view. In the present work we have made some adjustments to the texts of the less studied or unexplored part of the tombstones, and based on it we have studied them from the historical-source criticism point of view.

On the ground of the historical-source-based analysis of the inscriptions, we have precisely determined the chronology of the activities of one part of the Georgian merchants in Safavid Iran. In addition, on the basis of the comparison of the epitaphs of the tombs and the data of Georgian historical documents, we found out their relationship to the royal court of Kartli and their important role in Georgian-Persian relations. According to the study of one of the tombstone inscriptions, we found that a well-known historian of the seventeenth century – Parsadan Gorgijanidze, besides son David, mentioned in his work, had also a daughter, who was married to Zurab, the son of Papua Tutunishvili from Gori. Our findings up to date have been completely unknown to the scientific community.

Keywords: Safian Iran, Kingdom of Kartli, Georgian merchants, Georgian inscriptions.

IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „გლობალიზაციის ბამონვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“

თბილისი, 2019, 1-2 ნოემბერი

2019 წლის 1-2 ნოემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდა IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „გლობალიზაციის ბამონვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა როგორც საქართველოდან, ასევე საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნიდან (გერმანია, შოტლანდია, პოლონეთის რესპუბლიკა, ლატვია, ლიეტუვა, უკრაინა, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბელარუსი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი).

1 ნოემბერს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში პლენარული სხდომა გახსნა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღალანდიძემ. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკუღია, აკადემიკოსები ლადო პაპავა და ავთანდილ სილაგაძე.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ:

- **პოლ ჰეარი**, აკადემიკოსი, ჰელიოტ-ვოტის უნივერსიტეტი, ედინბურგი, შოტლანდია, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო – „ზრდა და განვითარება საქართველოს მაგალითზე“.

- **რაინერ ვენერი**, პროფესორი, ვურცბურგ-შვეინფურტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია – „გლობალიზაციის ეფექტები ევროპის ავიაკომპანიების ბაზრებზე“.

- **ელინა გაილე-სარკანე**, დეკანი, პროფესორი, რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლატვია – „უნივერსიტეტებისა და ინდუსტრიის კოოპერაცია: ბალტიის რეგიონის ბამონვევები“.

- **გიუნტერ ჰოფბაუერი**, პროფესორი, ინგოლშტადტის ტექნიკური უნივერსიტეტი, გერმანია – „ბლოკჩეინ პროგრამები ბიზნეს პროცესებში შესყიდვებისათვის“.

შესვენების შემდეგ კონფერენციის მუშაობა განახლდა სექციებში. იმუშავა 14-მა სექციამ:

I სექცია - ეკონომეტრიკა

სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი იური ანანიაშვილი

სექციაზე წარმოდგენილი იყო ორი მოხსენება:

იური ანანიაშვილი – თსუ-ის პროფესორი: „მონეტარული პოლიტიკა კვაზინწრფივ მაკროეკონომიკურ მოდელში“.

მოხსენება ეხება მაკროეკონომიკური წონასწორობის ორიგინალურ მოდელს, რომლის დამოკიდებულებათა სისტემა აერთიანებს ხუთი აგრეგირებული ბაზრის (შუალედური პროდუქტის, საბოლოო პროდუქტის, შრომის, კაპიტალისა და ფულის) წონასწორობის ამსახველ, აგრეთვე წონასწორობის ფასების დონეების განმსაზღვრელ განტოლებებს.

ლია თოთლაძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენებაში – „**ადამიან-კაპიტალის გაზომვის შესაძლო მიდგომები**“ – განხილულია ადამიან-კაპიტალი, როგორც ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომლის რაოდენობრივი შეფასებისთვის ძირითადად ორი მიდგომა გამოიყენება: ერთია რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორებით შეფასება, მეორე – მონეტარული საზომები.

II სექცია – ეკონომიკური პოლიტიკა

სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი რევაზ გველესიანი

სექციაზე წარმოდგენილი იყო სამი მოხსენება:

რევაზ გველესიანი – თსუ-ის პროფესორი.

მოხსენებაში „**ეკონომიკური ინტერესების კონფლიქტი – ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენის ფორმა**“ აღინიშნა, რომ საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის საზომია ძირითადი საზოგადოებრივი ფასეულობები (თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი). ამასთან, ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების დაკონკრეტებისას (იდენტიფიკაციის, ჰარმონიის, ნეიტრალიტეტის, კონფლიქტის და ურთიერთგამორიცხვის მიმართულებით), ჩნდება პრობლემები და წარმოიქმნება ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტი, რომლის დაძლევა შესაძლებელია თანმიმდევრული, გრძელვადიანი და ფრთხილი ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებით.

ემირ ეთერია – კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენებაში – „**გლობალიზაცია და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური ასპექტები**“, მომხსენებელი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელებას ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევის წინაპირობად განიხილავს, აქცენტი გაკეთებულია სიღრმისეული რეფორმების გატარებაზე, რაც კავშირშია ქვეყანაში გასატარებელი რეფორმების თანმიმდევრულობასთან.

ქრისტინე უგულავა – თსუ-ის დოქტორანტი.

მოხსენებაში – „**ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (აეგ) – ახალი სტრატეგიის მნიშვნელობა მდგრადი განვითარებისათვის**“, აქცენტი

გაკეთებულია გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევებზე, ქვეყნის განვითარებისადმი ალტერნატიულ მიდგომებზე, რამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება (აეგ). აეგ არის მონაწილეობაზე დაფუძნებული განვითარების პროცესი, რითაც ნახალისებულია პარტნიორობა მთავარ მოქმედ პირებს შორის, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური აქტივობის ზრდას, მდგრადობას, ინკლუზიურობას, ადგილობრივი რესურსების სწორად და ეფექტიანად გამოყენებას, ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას და ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას.

სექციის მუშაობის პროცესში დაისვა ბევრი პრობლემატური საკითხი. ასისტენტ-პროფესორმა **ლალი ხურციამ** ისაუბრა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელ ეკონომიკურ პოლიტიკაზე საქართველოში, ასისტენტ-პროფესორმა **გიორგი გაფრინდაშვილმა** სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის წინაშე არსებული თანამედროვე გამოწვევების შესახებ, დოქტორანტმა **ტარიელ ლომიამ** – საქართველოში ნარჩენების ეფექტიანი მართვის პოლიტიკის ხარვეზების დაძლევის გზებზე.

III სექცია – თეორიული ეკონომიკა

სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

სექციაზე მოისმინეს ორი მოხსენება:

ვლადიმერ პაპავა – აკადემიკოსი და **ვახტანგ ჭარაია** – ეკონომიკის დოქტორი.

მოხსენებაში – „**იმფლაციის გაზომვისა და ინფლაციის კომპლექსური თარგეთირების შესახებ**“, გაანალიზდა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები. შემოთავაზებული იქნა „იმფლაციის“ მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ქვეყნის შიგა ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციისა და მომსახურების ფაზებს და რა არსებით ზეგავლენას ახდენს ის ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებაზე.

რუსუდან სირბილაძე – ეკონომიკის დოქტორი, მონვეული პროფესორი და თსუ-ის დოქტორანტი – **ლალი ოქროშიძე**.

მოხსენებაში – „**ინოვაციისა და კრეატივის მნიშვნელობა რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში**“, განხილული იქნა ტურიზმის სფეროში ინოვაციების გამოყენების მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოსთან მიმართებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აღნიშნულ საკითხში მონიწივე ქვეყნების გამოცდილების გაზიარების აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

სექციაში ასევე წარმოდგენილ იქნა მოხსენებები:

ანზორ აბრალავა – სტუ-ის პროფესორი და **დავით ფოღიაშვილი** – სტუ-ის დოქტორანტი. თემა – „**ფირმის ეკოლოგიური სტრატეგიის ფაქტორული კლასიფიკაცია**“.

ტალაბეკ კოჩუშანოვი – ყირგიზეთის სლავური უნივერსიტეტის პროფესორი: „**აბრეშუმის გზის ეკონომიკური ქამრის გამოწვევები ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის**“.

ტალაიბეკ კოჩუმანოვი და კუბან აშირკულოვი – ყირგიზეთის სლავური უნივერსიტეტის პროფესორები: „**ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად ზომების შეფასება „ღია მმართველობის“ პრინციპების დაცვით (ღია შეფასება).**“

IV სექცია – მაკროეკონომიკა **სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი მირიან ტუხაშვილი**

სექციაზე წარმოდგენილი იყო თხუთმეტი მოხსენება:

ნაირა ვირსალაძე – ანსუ და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და **მალვინა ყიფიანი –** ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი.

მოხსენება – „**დასაქმება და ახალი სამუშაო ადგილები საქართველოს ეკონომიკის დილემა**“ ეხება საქართველოს დემოგრაფიულ ცვლილებებს, სამუშაო ძალის შემცირებას, ქვეყნიდან ადამიანების გადინების პრობლემებს და შობადობის არასტაბილური ცვლილებებს. განხილულია ბოლო პერიოდის მიგრაციის უარყოფითი და დადებითი მხარეები.

თენგიზ ვერულავა – მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსუ-ის პროფესორი.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია მოსახლეობის სახელმწიფოებრივი გარანტიების ამალგების, ასევე ჯანდაცვის სფეროს მუშაკთა ნორმალური ანაზღაურებისა და მათი უფლებების დაცვის აქტუალურ საკითხებზე.

ნაზირა კაკულია – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, **თეა ლაზარაშვილი –** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენებაში – „**ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები საქართველოში**“ ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ინსტიტუციური განვითარების ჩამორჩენილობის მიზეზებსა და მისი დაძლევის ღონისძიებებზე, რაც ინსტიტუციური ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად, მაკროეკონომიკური სტაბილურობის აუცილებელი პირობაა.

ემილია კრანიაკოვა – ალექსანდრე დუბჩეკის ტრენცინის (სლოვაკეთი) უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენება – „**მდგრადობა მიგრაციისა და მიგრაციის პოლიტიკის შესწავლაში**“, ეხება მიგრაციის საკითხებსა და მიგრაციული პოლიტიკას შესწავლას; იმ პრობლემებს და მიზეზებს, რის გამოც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ტოვებს წარმოშობის ადგილს.

ზუმრუდ ნაჯაფოვა – აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ განყოფილების ლექტორი.

მოხსენებაში – „**აზერბაიჯანის ეკონომიკის დივერსიფიკაციის ძირითადი სტრუქტურა და მიმართულებები**“, გამოიკვეთა აზერბაიჯანში ნავთობის სექტორის გაძლიერება სხვა სექტორის განვითარებისათვის, რაც მიჩნეულია პრიორიტეტულ მიმართულებად.

ნაწილი ოქრუაშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, **ნინო ფარე-საშვილი** – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენების – „ახალგაზრდების **უმუშევრობა საქართველოში და მისი შემცირების გზები**“, ლეიტმოტივია ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შემცირება, რაც გადაუჭარბებლად შეიძლება შეფასდეს, როგორც საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი და ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველი.

მარინა ტაბატაძე – თსუ-ის ასისტენტი-პროფესორი.

მოხსენებაში „დეცენტრალიზაციის **ეკონომიკური სტრატეგია და ფისკალური პოლიტიკის თავისებურებები**“ დასაბუთებულია ფისკალური დეცენტრალიზაციის როლი და შესაწავლილია ამ მხრივ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგები, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევას.

მირონ ტულუში – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენებაში – „აღრიცხვის **მონესრიგება დასაქმებისა და უმუშევრობის ეფექტიანი მართვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა**“, განხილულია საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის მდგომარეობა, ყურადღება გამახვილებულია მათი აღრიცხვის ნაკლოვანებებზე, ხაზგასმულია, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიერ შემოთავაზებული დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები არარეალურია.

მალხაზ ჩიქობავა – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენებაში – „**ახალი დიდი დეპრესიის რისკები და ხანგრძლივი სტაგნაციის საკვანძო ფაქტორები**“, გაანალიზებულია ხანგრძლივი სტაგნაციის საკვანძო ფაქტორები და ნაჩვენებია მისი გავლენა ეკონომიკაზე, შესწავლილია ხანგრძლივი ეკონომიკური სტაგნაციის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და გაკეთებულია დასკვნა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში წამყვან ქვეყნებში მიმდინარე პროცესები მათი გრძელვადიანი სტაგნაციის მყარი საფუძველი გახდება.

სერგეი ვოიტოვიჩი – სოციოლოგიის დოქტორი, პროფესორი, **ემილია კრაინაკოვა - ფილოსოფიის** კანდიდატი, დოქტორი, **მაგდალენა ტუფა** – დოქტორი, ასისტენტი-პროფესორი, მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტი, სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა ფაკულტეტი, ტრენცინის ალექსანდრე დუბჩეკის უნივერსიტეტი (სლოვაკეთი).

კვლევა – „**ეკონომიკური სარგებლისა და ზარალის ბალანსის გაანგარიშება უცხოელ მომუშავეთა მიგრაციიდან**“, ეხება შრომითი, როგორც ემიგრაციით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის და მიღწევების, ასევე სამუშაო ძალის ემიგრაციით გამოწვეული ეკონომიკური სარგებლისა და ზარალის შეფასებას.

მარკუს ენგერტი, რაინერ ვენერი – ვურცბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორები (გერმანია).

მომხსენებელი საკვლევი თემის – „გლობალიზაციის გავლენა ევროპის ავიაკომპანიების ბაზარზე“ გარშემო არსებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური მეთოდები და სქემები უახლესი მოვლენების ასახსნელად ევროპის ავიაკომპანიების ბაზრებზე.

პორაციუ დრაგომირესკუ – ბუქარესტის (რუმინეთი) ეკონომიკურ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორი. თემა: „**ეკონომიკურ რეჟიმთან დაკავშირებული ციფრული ფორმაციის კონტრ-ინტუიციური ასპექტები**“.

მოხსენებაში **მაკროეკონომიკურ ჭრილში** განხილულია ციფრული ინფორმაციის ბაზების მართვის პრობლემები და აღმოფხვრის გზები.

V სექცია – მიკროეკონომიკა **სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი ეთერ ხარაიშვილი**

სექციაზე წარმოდგენილი იყო ექვსი მოხსენება:

ნატალია კუბინი – უფგოროდის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ვიქტორია მარჰიტინი და ტამილა კოსოვილკა – დოქტორანტები (უკრაინა).

მოხსენებაში – „**რეგიონული ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების პოტენციალი**“, აქცენტი გაკეთებულია რეგიონული ეკონომიკის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების გზებსა და პრინციპებზე.

თამარ ლაზარიაშვილი – თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი.

მოხსენებაში „**ინვესტიციების როლი აგრარული წარმოების სტიმულირებაში**“ ყურადღება გამახვილებულია საქართველოს აგრარულ სექტორში ინვესტიციების როლის მნიშვნელობასა და მისი მოზიდვის მოძიების გზებზე.

ლეილა ქადაგიშვილი – თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი, რუსუდან მაისურაძე – თსუ-ის დოქტორანტი.

მოხსენებაში – „**ქართული ღვინის მსოფლიო ბაზარზე წარმატებისა და პერსპექტივის შესახებ**“, შეფასებულია ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალი და ექსპორტის ძირითადი გამოწვევები და შემუშავებულია რეკომენდაციები.

ნაზირა ქარქაშაძე, თინათინ გუგუშაშვილი – ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორების ერთობლივ მოხსენებაში – „**ცოდნა და მისი როლი მომხმარებელთა ქცევაში**“, ყურადღება გამახვილებულია სპეციალური ცოდნის მნიშვნელობაზე მომხმარებელთა ქცევაში და საქონლის ყიდვისას თავიდან აცილების არსებულ რისკებზე.

მარიამ ჯიბუტი, თსუ-ის დოქტორანტი.

მოხსენება – „**საქართველოს რეგიონები და მათი მახასიათებლები**“, ეხება საქართველოს რეგიონების განვითარების შესაძლებლობებსა და მათი მახასიათებლების ანალიზს; ჩამოყალიბებულია რეგიონების გამიჯვნის შეფასების კრიტერიუმები მათი საქმიანობის განსაზღვრის ასპექტით.

არვიდას ბაკანაუსკასი, ლინა პილელიენე – ვიტაუტას მაგნიუს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორები.

მოხსენებაში – **„ლიეტუვის მწარმოებელ კომპანიებში დამსაქმებლების მიმზიდველობაზე მოქმედი ფაქტორები“**, შემოთავაზებულია მოქალაქეების კომპანიების დასაქმებაზე კმაყოფილების გაზომვის ინდიკატორები.

სექციაში წარმოდგენილი მოხსენებებში შეფასებული იყო რეგიონული ეკონომიკის განვითარების თანამედროვე გამოწვევები, კერძოდ, რეგიონული ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების პოტენციალი, საქართველოს რეგიონული განვითარების შესაძლებლობები და მახასიათებლები.

VI სექცია – საერთაშორისო ეკონომიკა

სექციის ხელმძღვანელი – აკადემიკოსი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე

სექციაზე წარმოდგენილი იყო ოთხი მოხსენება:

მიხეილ თოქმაზიშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენებაში – **„თურქი მენარმეების სოციალური კაპიტალი საქართველოში“** – აქცენტი გაკეთებულია საქართველოში თურქი ბიზნესმენების რამდენიმე სოციალური კაპიტალის რდაბანდებაზე, რამაც შეიძლება არაპოზიტიური გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე.

რამაზ ფუტყარძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენებაში – **„რუმინეთი ევროპულ ინტეგრაციულ პროცესებში (12 წელი ევროკავშირში)“**, განხილულია ევროკავშირში განეწიანების მასშტაბური გავლენა რუმინეთის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე და საქართველოსთვის ამ გამოცდილების მნიშვნელობა.

ლელა ჯამაგიძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენებაში – **„საოჯახო მეურნეობების ვალის მახასიათებლები ევროპის ქვეყნებში“** – განხილულია საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში საოჯახო მეურნეობების ვალის ეკონომიკური და სოციო-კულტურული ფაქტორების შედარებითი რანალიზის მნიშვნელობა.

ზურაბ მჭედლიშვილი – თსუ-ის დოქტორანტი.

რ მოხსენებაში – **„ილია ჭავჭავაძე საგარეო ვაჭრობის შესახებ და თანამედროვეობა“**, გადმოცემულია ი. ჭავჭავაძის შეხედულებები საგარეო ვაჭრობასა და ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებზე, პროტექციონისტული და ფრიტრედერული პოლიტიკასა და რვაჭრობის ლიბერალურ პოლიტიკის უპირატესობის შესახებ.

VII სექცია – სტატისტიკა

სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი სიმონ გელაშვილი

სექციაზე წარმოდგენილი იყო შვიდი მოხსენება:

სიმონ გელაშვილი – თსუ-ის პროფესორი: „სახელმწიფო სტატისტიკის რეფორმირება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში XX საუკუნის ბოლოს“.

მომხსენებელმა დაახასიათა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დეფორმირებული ოფიციალური სტატისტიკის რეკონსტრუქციის პროგრამა თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებად გარდაქმნისათვის. მისი განხორციელების მიუხედავად, იქ ჯერ კიდევ მაღალია საზოგადოების ფრაგმენტაცია, რაც ოფიციალური სტატისტიკის განვითარების ნეგატიური ფაქტორია.

მარინა მუჩიაშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, **ზამირა შონია და მაია გიორგობიანი** -- თსუ-ის ასისტენტ-პროფესორები.

მოხსენებაში – „საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე“, ძირითადი აქცენტი გაკეთდა საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდის დინამიკაზე, რომლის შემცირებისათვის მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა.

მარინე მინდორაშვილი, ნინო აბესაძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორები და **მაია გიორგობიანი** – ასისტენტ-პროფესორი.

მოხსენებაში – „სტუდენტების სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკური ანალიზი“, აღინიშნა, რომ გამოკითხული სტუდენტ-ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა საქართველოსთვის უმთავრეს პრობლემებად მიიჩნია უმუშევრობა და სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა, ეკოლოგია, დემოგრაფია და სხვ.

რუსუდან ქინქლაძე – სტუ-ის ასოცირებული პროფესორი და **ქეთევან ჩიტალაძე** – თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი.

მოხსენებაში – „უცხოელი სტუდენტები საქართველოში და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე“, აღინიშნა, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა სულ უფრო იზრდება, თუმცა, მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე დიდწილად მოკლევადიანია, რაც ამცირებს მის გრძელვადიან დადებით ეფექტს.

მერაბ ხმალაძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენებაში – „საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა“, ძირითადი აქცენტი გაკეთდა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, მისი დინამიკის, მასში მომხდარი სტრუქტურული ძვრების, რეგიონების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ანალიზზე.

მარიკა შონია – თსუ-ის დოქტორანტი.

მოხსენებაში – „შობადობის დონე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში“, აღინიშნა, რომ შესაწავლილ რეგიონში შობადობა კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც სახელმწიფოს მხრიდან ქმედით ღონისძიებებს მოითხოვს, განსაკუთრებით – ფინანსური სახსრების მობილიზებას დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად.

ელენე ფირცხალაიშვილი – თსუ-ის დოქტორანტი: „**მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები გლობალიზებულ სამყაროში**“.

მოხსენებაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა გლობალიზებულ სამყაროში მეცნიერებაზე, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე, რაც ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს წყაროა.

VIII სექცია - აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი ლევან საბაური

სექციაში წარმოდგენილი იყო ათი მოხსენება:

იზოლდა ქილაძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი და **ლია კოზმანაშვილი** – თსუ-ის ასისტენტი-პროფესორი.

მოხსენებაში – „**საწარმოთა ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის აქტუალური საკითხები**“, აღინიშნა, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა მომზადდეს „პირდაპირი მეთოდით“, რაც აღიარებულია, როგორც საბაზისო მეთოდი. არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით კი აღნიშნული პროცესის ანალიზური მნიშვნელობა მცირდება.

ლევან საბაური – თსუ-ის პროფესორი და **ნადეჟდა კვატაშიძე** – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: „**ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების აღრიცხვის საკითხები**“.

მომხსენებელთა აზრით, ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სრულყოფისათვის საწარმოებმა უნდა გამოიყენონ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი, დებიტორული დავალიანების გაუფასურების დასადგენად კი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მატრიცა.

მარინა მაისურაძე და მარიამ ვარდიაშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორები.

მოხსენებაში – „**ბუღალტრული ბალანსის ანალიზის აქტუალური საკითხები**“ (სს „თელასის“ მაგალითზე), ყურადღება გამახვილდა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელ დებიტორული დავალიანების ნაშთების შემცირებასა და საკუთარი კაპიტალის წილის ამალგებაზე.

ანჟელი ხორავა – თსუ-ის მასწავლებელი.

მოხსენებაში – „**პირობითი ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის საკითხები**“, აქცენტი გაკეთდა პირობითი ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი წარდგენის აუცილებლობაზე, რათა მოხდეს მისი აღიარების კრიტერიუმების დადასტურება და საიმედო შეფასება.

ლია კოზმანაშვილი – თსუ-ის ასისტენტი-პროფესორი, თემა: „**მოსაზრებები მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ თაობაზე**“.

მომხსენებელმა განიხილა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებული საგადასახადო და სააღრიცხვო საკითხები, ასევე მოგების გადასახადის გაანგარიშების მეთოდიკა.

ზეინაბ გოგრიჭიანი – თსუ-ის მასწავლებელი: „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში“.

მომხსენებლის აზრით, საანგარიშგებო პერიოდის შედეგის მოვლენების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით, საჭიროა მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენების მკვეთრად გამიჯვნა, ასევე ფინანსური ანგარიშგების განსახილველად წარდგენისა და დამტკიცების ზუსტი თარიღის დადგენა.

მერაბ ჯიქია – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: „საქმიანობის სახეობების მიხედვით საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილების თავისებურებები და უპირატესობები“.

მომხსენებელმა წარმოაჩინა საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდის უპირატესობები, რაც უზრუნველყოფს: პროდუქციის სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის სრულყოფას, ასევე – პროდუქციის წარმოების რეალური დანახარჯების ზუსტად განსაზღვრის აუცილებლობას.

ნაზი გვარამია – სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მოსხენებაში – „**აუდიტორული პრაქტიკა და სტანდარტიზაციის თანამედროვე ერა**“, დახასიათდა აუდიტის საერთაშორისო გამოცდილება, განვითარების ეტაპები და ტენდენციები. კვლევაში წარმოდგენილია ასევე აუდიტის სტანდარტიზაციის თანამედროვე ერა.

ელგუჯა კონჯარია – სპს სასწავლო უნივერსიტეტ „გაენათის“ ასოცირებული პროფესორი.

ავტორმა მოხსენებაში – „**რევიზიისა და აუდიტის თანაფარდობის საკითხები**“, ყურადღება გაამახვილა მართვის პროცესში კონტროლის გაძლიერების აუცილებლობაზე, რისი მეშვეობითაც მენეჯერს შეუძლია აკონტროლოს ორგანიზაციის საქმიანობა დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში და მიიღოს ინფორმაცია საქმიანობის შედეგებზე.

მურად ნარსია – სეუ-ის პროფესორი.

მოსხენებაში – „**აუდიტის შესახებ კანონთან ადაპტაციის ზოგიერთი პრობლემა**“, განხილულია საქართველოში 2016 წელს მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, ახალი კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ფაქტები, რისი აღმოფხვრისათვის შემოთავაზებულია ადეკვატური ღონისძიებები და რეკომენდაციები.

IX სექცია – მარკეტინგი

სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი ნუგზარ თოდუა

სექციაზე წარმოდგენილი იყო ხუთი მოხსენება:

ნათიკ ჭუსეინ გურბანოვი, ელდარ ნადირ გულიევი, რაუფ გუშხანი – აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის დოცენტები: „**სადაზღვევო მარკეტინგის რამდენიმე პრობლემა**“.

მოსხენებაში აღინიშნა დაზღვევის აუცილებლობაზე, რაც დაკავშირებულია ყოველი ქვეყნის სამხედრო-სტრატეგიულ უსაფრთხოებასა და მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხთან. დაზღვევის სისტემის ანალიზის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს როგორც სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა, ასევე საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის ცხოვრების დონე.

ნუგზარ თოდუა – თსუ-ის პროფესორი.

მოსხენებაში – „**დესტინაციების იმიჯის გავლენა ტურისტების მყიდველობით ქცევაზე**“, ყურადღება გამახვილებულია დესტინაციების ბრენდინგის როლზე ტურისტულ ბიზნესში, შესწავლილია დესტინაციების იმიჯის ფაქტორებისადმი ქართველი ტურისტების დამოკიდებულება.

ეკატერინე უროტაძე – თსუ-ის ასისტენტი-პროფესორი: „**სოციალური მედია მარკეტინგის გავლენა ტურიზმის ინდუსტრიაში მომხმარებელთა კმაყოფილებაზე**“.

მოსხენებაში ხაზგასმულია სოციალური ქსელების როლი ტურისტულ ბიზნესში, საქართველოს ტურისტულ ინდუსტრიაში კომპანიებისათვის სწორი მედიამარკეტინგული პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების მნიშვნელობა. ასევე, სოციალურ მედიაში ტურისტული კომპანიების მიერ განხორციელებული კამპანიებით მომხმარებელთა კმაყოფილების გავლენა მათ მყიდველობით ქცევაზე.

ხალილ ნიზრაფილზადე და ნაჯაფ ბაბიევი – ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტის დოქტორანტი.

მოსხენებაში – „**ათასწლეულის გამოწვევა: ჩართულობის დონის განსაზღვრა ინსტაგრამის მაგალითზე**“ – აღნიშნულია, რომ სოციალური მედია პლატფორმები, რაც, უწინარეს ყოვლისა, ახასავეს იმიჯს და ვიდეოს, მისაწვდომია მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში, რომ უკეთ იქნეს გაგებული, თუ როგორ გავლენას ახდენს სოციალური ქსელის პლატფორმები.

ლინა პილელიენესი – ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტის პროფესორი.

მოსხენებაში – „**მოქალაქეების კმაყოფილების გაზომვის თეორიული შეხედულებები**“, განხილულია მოქალაქეების კმაყოფილების გაზომვის სხვადასხვა თეორიული ასპექტი. განსაზღვრულია ის ფაქტორები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მოქალაქეების კმაყოფილებაზე.

X სექცია – მენეჯმენტი

სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი დავით ნარმანია

სექციაზე წარმოდგენილი იყო რვა მოხსენება:

დავით ნარმანია – თსუ-ის პროფესორი, **ეკა ჩოხელი**, **გიული ქეშელაშვილი**, **მანანა ხარხელი** – თსუ-ის ასოცირებული პროფესორები; **ნინო სარდლიშვილი**, **ბექა თოფურია**, **გვანცა ილურიძე** – თსუ-ის დოქტორანტი; „**დაგროვებითი საპენსიო სისტემა და მართვის გამოწვევები საქართველოში**“.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად წარმოდგენილ მოხსენებაში გამოიკვეთა საპენსიო სისტემისადმი თეორიული მიდგომები, ახალი ქართული საპენსიო სისტემის მახასიათებლები და გამონვევები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნინო ზურაშვილი – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.

მოხსენებაში – „საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი“, საზგასმით აღინიშნა იმის შესახებ, რომ დეველოპერული პროცესი ზრდის უძრავ ქონებაზე მოთხოვნას, თუმცა, ბოლო პერიოდში გამკაცრებული სანებართვო პოლიტიკა ამ სექტორზე ნეგატიურად აისახება.

ნუნუ ნიკოლიშვილი – თსუ-ის დოქტორანტი: „შიდაორგანიზაციული კომუნიკაცია და მისი ძირითადი მახასიათებლები“.

მოხსენებაში განხილული იქნა შიდაორგანიზაციული კომუნიკაციის თეორიული ასპექტები და მისი ძირითადი მახასიათებლები. დეტალურად იქნა მიმოხილული ორგანიზაციული კომუნიკაციის ფუნქციები, ასევე, ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციის სისტემები.

ნინო სარდლიშვილი – თსუ-ის დოქტორანტი.

წარმოდგენილ მოხსენებაში – „პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული ქმედებები საჯარო სამსახურში“, ყურადღება გამახვილდა საქართველოში საჯარო მოხელეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და ამ მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე.

ლესილი ტაბატაძე – თსუ-ის დოქტორანტი.

მოხსენებაში – „გარემოს დაცვის სფეროში არსებული სახელმწიფო პროექტების ანალიზი და შეფასება“, საზგასმით აღინიშნა, რომ მდგარადი განვითარების 17 მიზნიდან გარემოს დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რისთვისაც აუცილებელია პროექტის მართვის პრინციპების დაცვა და ეფექტიანი მენეჯმენტი.

თამარ ლამბაშიძე – სტუ-ის ასოცირებული პროფესორი. თემა – „ორგანიზაციული კულტურის ფორმირების და უსაფრთხოების ტენდენციები“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციული კულტურა მუდმივად დინამიკურია, ის იცვლება და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. აქცენტი გაკეთდა ჯანსაღი კორპორატიული კულტურის შესაქმნელად საჭირო ღონისძიებებზე.

თამარ ბერიძე – სტუ-ის პროფესორი **მედია ქელიძე, გუგული ყურაშვილი** – სტუ-ის ასოცირებული პროფესორები, ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ მოხსენებაში – „Innovative Technologies – to Ensure Quality Education“ – ყურადღება გამახვილდა განათლების ხარისხის მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებზე.

ანჯელა ვოლტერი, ზვისკაუს (გერმანია) გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორი, **სორენ ფორსტერიმიერი** – სტუდენტი: „Effects

of Globalization on Human Resources Management in SMEs“. მოხსენებაში ხაზი გაესვა გლობალიზაციის პროცესის გავლენის საკითხებს. უცხოელ კოლეგებს წარმოდგენილი ჰქონდათ საინტერესო დასკვნები: გლობალიზაციის პროცესი არამარტო დიდ, არამედ მცირე საწარმოებზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მ.შ. ადამიანური რესურსების მართვის თვალსაზრისით.

XI სექცია – საერთაშორისო ბიზნესი **სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი თეიმურაზ შენგელია**

სექციაზე წარმოდგენილი იყო ცხრა მოხსენება:

თეიმურაზ შენგელია – თსუ-ის პროფესორი: „**სოციალური მენარმეობის კვლევის მეთოდოლოგია და გავლენა საქართველოს სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე**“.

მოხსენება მიეძღვნა საერთაშორისო ბიზნესის პრობლემატიკას და ყურადღება გამახვილდა სოციალური მენარმეობის როლსა და ფუნქციებზე, ასევე სოციალური მენარმეობის არაერთგვაროვან გავებაზე, მეთოდოლოგიური ანალიზის საზღვარგარეთულ გამოცდილებასა და მისი საქართველოში რეალიზაციის საკითხზე.

უშანგი სამადაშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: „**მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დინამიკა და შეზღუდულობის მიზეზები საქართველოში**“.

მოხსენებაში გამოვლენილია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შეზღუდულობის მიზეზები და დასახულია მისი აღმოფხვრის ადეკვატური ღონისძიებები. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, გაანალიზებულია ბიზნესსექტორი, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება და დასაქმება საწარმოთა ზომის მიხედვით.

ლალი ხიხაძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: „**ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების განვითარების მომავალი თანამედროვე გლობალურ ბიზნესში**“.

მოხსენება ეძღვნება ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტერნეტის ქსელის გამოყენების შესწავლას ბიზნესსუბიექტების წარმატებული ფუნქციონირებისათვის, ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების სისტემების როლს მსოფლიოში ბიზნესის გლობალურ განვითარებაში.

ხათუნა ბერიშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: „**საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში**“.

მოხსენებაში გაანალიზებულია საქონლისა და მომსახურების სრულიად ახალი ტექნოლოგიები, საერთაშორისო ვაჭრობის ახალი არქიტექტურა დაკავშირებული ინტერნეტ-ვაჭრობასთან, ასევე გაშუქებულია „საერთაშორისო ვაჭრობის ინტერლიბერალიზაციის“ პრობლემა.

თემურ ბაბუნაშვილი – თსუ-ის მონვეული პროფესორი.

მოხსენებაში – **„ინოვაციური მენარმეობის როლი მცირე და საშუალო ბიზნესში დაალტერნატიული ენერგეტიკის პოტენციალი საქართველოში“**, განხილულ იქნა მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციური მენარმეობის როლი და მნიშვნელობა, ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების აქტუალურ საკითხებზე.

სექციაზე ასევე წარმოდგენილი იყო მოხსენებები:

ეკონომიკის დოქტორის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის **თამარ დუდაურის** მოხსენება: **„ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკაზე“**;

ეკონომიკის დოქტორის **დიმიტრი ჯავახაძის** – **„განალიზებული ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის გლობალური ტენდენციები“**. მოხსენებები წარმოადგინეს ასევე თსუ-ის დოქტორანტებმა – **ნინო ჯანელიძემ, მელიქიძემ, ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტებმა – ანა გუჩუამ, ხვიჩა შარაშიძემ.**

XII სექცია – ტურიზმი

სექციის ხელმძღვანელი – პროფესორი იოსებ ხელაშვილი

სექციაზე წარმოდგენილი იყო ოთხი მოხსენება:

ეკა ლეკაშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: **„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის – გიდის პროფესიული განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები“**.

მოხსენებაში, საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარების საჭიროებებიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილებულია გიდის ადეკვატური დიპლომირებული პროგრამის შემუშავების განხორციელების აქტუალურ საკითხებზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული უნარების, მენარმეობის და თვითდასაქმების განვითარებას.

ნანა კაციტაძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი და **მარიამ ქუთათელაძე** – თსუ-ის დოქტორანტი: **Negative Organizational Service Climate and its Impact on Employees' Expression of False Smile and Burn Out“**.

მოხსენებაში განხილული იქნა სასტუმროებში სამუშაო გარემოს ზეგავლენა მომსახურე პერსონალის საქმიანობაზე. ასევე ხაზი გაესვა მომსახურებისა და მისი კომპონენტების სრულყოფის მნიშვნელობას.

ნიკო კვარაცხელია – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი და **ნინო დამენია** – ასოცირებული პროფესორი: **„კულტურული ტურიზმის გამოწვევები გლობალიზაციის კონტექსტით“**.

მოხსენებაში ავტორების ყურადღება გამახვილდა კულტურული ტურიზმის მნიშვნელობაზე და მასზე გლობალიზაციის პროცესების დადებით და რის-

კების შემცველ ზეგავლენაზე. აქცენტი გაკეთდა საქართველოში კულტურული ტურიზმის მნიშვნელობაზე, პროტენციალსა და გამოწვევებზე.

მერაბ ხოხობაია – თსუ-ის ასისტენტი-პროფესორი: „**ტურისტული დანიშნულების ადგილის სტრატეგიული დაგეგმვის სისტემური ასპექტები**“.

მოხსენებაში ავტორმა ხაზი გაუსვა დანიშნულების ადგილის განვითარების რთულ და მრავალფაზიანი პროცესის არსებობას, რომლის მეცნიერული გამოკვლევისათვის გამოიყენა სისტემური ანალიზი. ყურადღება გამახვილებულია ტურისტული დანიშნულების ადგილის, როგორც დინამიკური სისტემის შესწავლის მნიშვნელობაზე.

XIII სექცია – ფინანსები და საბანკო საქმე **სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ირაკლი კოვზანაძე**

სექციაზე წარმოდგენილი იყო ექვსი მოხსენება:

მანანა ალიბეგაშვილი – თსუ-ის დოქტორანტი: „**ფულის ღირებულების გავლენა პროექტის განხორციელების პროცესზე**“.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ მრავალ ქვეყანაში ფულის ღირებულების მნიშვნელობას (VfM) სახელმწიფო ორგანოები იყენებენ, როგორც გადაწყვეტილების მიღების საშუალებას საჯარო ინვესტიციის ქრილით. შესაბამისად მსჯელობა იყო ასეთი გადაწყვეტილებების მრავალფეროვნებისა და თითოეული პროექტის მიხედვით სპეციფიკურ გადაწყვეტილებათა მიიღებაზე.

მაია გოგოხია – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: „**საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების რეგულირება ბაზელის შეთანხმების საფუძველზე**“.

მოხსენებაში ძირითადი აქცენტები გაკეთდა იმ გარემოებაზე, რომ მუდმივი ცვლილება – სრულყოფის პროცესში მყოფი ფინანსური სისტემა ახალ-ახალ გამოწვევებს უმზადებს მარეგულირებელ ორგანოებს. საქართველოს საბანკო სექტორს აქვს შთამბეჭდავი მოცულობა ქართული ეკონომიკის მასშტაბით, რათა გაუძლოს საგარეო და საშინაო ფაქტორების ნეგატიურ ცვლილებებს.

ხათუნა ბარბაქაძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი და **ნატო კაკაშვილი** – თსუ-ის ასისტენტი-პროფესორი: „**ფინანსური ანგარიშსწორების წესების სრულყოფა გადაზღვევაში**“.

მოხსენების ძირითადი ლეიტმოტივია ის, რომ ეკონომიკურად დასაბუთებული სადაზღვევო ტარიფები, სადაზღვევო რეზერვები, გადაზღვევა, საკუთარი სახსრები და მიღებული გადაზღვევის სისტემა უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანიის ფინანსურ მდგრადობას. მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს გადაზღვევის აუცილებლობაზე.

ნათია კახნიაშვილი – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი: „**ინკლუზიური ბიზნესმოდელი, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ფინანსური ასპექტი**“.

მომხსენებლის აზრით, უმუშევრობით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური შედეგები განიხილება ისეთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებთან ერთად, როგორცაა სიღარიბე და სოციალური სტაბილურობა. საქართველოსა და უფრო ღარიბი ქვეყნების სიღარიბის დაძლევის პროგრამების განხილვამ, ანალიზმა და შეფასებამ გამოკვეთა სიღარიბის ფინანსური ასპექტები და მისი ეტაპობრივი დაძლევის კონცეპტუალური ხედვა.

მიხეილ ჩიკვილაძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: „**2019 წლის ბიუჯეტის ფისკალური რისკები**“.

მომხსენებელმა დღგ-ს ახალი წესით განაწილების კონცეპტუალურ საკითხებზე საქართველოს კანონში 2019 წ. შეტანილ ცვლილებებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ვალის, ლარის გაუფასურების, ეკონომიკური შოკის ნეგატიურ მოვლენებზე. ასევე 2019 წლის ფისკალურ რისკებზე.

ნინო სამჭკუაშვილი – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მოხსენებაში „**ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში**“ ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ფინანსური მომსახურების ინდუსტრია წარმოადგენს ეკონომიკაში ფინანსების გამოყენების კონკრეტული ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას და ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური მოდელი დიდწილად დამოკიდებულია მასზე.

XIV სექცია – რელიგია და ეკონომიკა გლობალიზაციის კონტექსტით სექციის ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე

უნდა აღინიშნოს, რომ წელს, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამართულ კონფერენციას ახალი მიმართულება დაემატა – „**რელიგია და ეკონომიკა გლობალიზაციის კონტექსტით**“.

სექციაზე მოსმენილ იქნა თერთმეტი მოხსენება:

ინეზა გაგნიძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: „**აღამიანთა ურთიერთქმედების შესახებ ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური ასპექტით**“.

მოხსენებაში განხილულია აღიარებული ავტორის გ. მენქიუს ნაშრომში – „**ეკონომიკის პრინციპები**“, მოცემულ აღამიანთა ურთიერთქმედების შესახებ პრინციპების გააზრება მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით. ავტორმა საკითხის არსი პარალელური თხრობით ახსნა ძველი და ახალი აღთქმიდან მოცემული ციტატებითა და იგავებით.

ირინა გოგორიშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: „**სოციალურ-ეკონომიკური საკითხები ქრისტიანობაში**“.

მომხსენებელმა ახალი აღთქმის ტექსტის გაანალიზების საფუძველზე ყურადღება გაამახვილა ქრისტიანული ეკლესიის მიერ სიმდიდრის, ქველმოქმე-

დების, სახელმწიფოს ხელისუფალთა და ინსტიტუტების როლის შეფასებაზე.

კონსტანტინე გოლუბევი ეკ. მეცნ. დოქტორი, მინსკის სასულიერო აკადემიის პედაგოგი.

მოხსენებაში – **„კერძო და საზოგადოებრივი საკუთრება ქრისტიანულ საზოგადოებაში“**, აღინიშნა, რომ ერთადერთი მესაკუთრე უფალია და ადამიანს მხოლოდ მისთვის მინდობილი ქონების მართვის უფლება ეძლევა.

ნოდარ გრძელიშვილი – ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი: **„რელიგიური ტურიზმის განვითარებისადმი სისტემური მიდგომის ზოგიერთი საკითხი“**.

მოხსენებაში ხაზი გაესვა წმინდა ადგილების (ზონების) კლასიფიკაციის აუცილებლობას, ამასთან დაკავშირებითაც ჩამოყალიბებულია კონკრეტული წინადადებები რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის.

მერაბ მიქელაშვილი – უმაღლესი სასწავლებელ „ჯორჯიას“ პროფესორი: **„საგადასახადო ურთიერთობების ფორმები ბიბლიაში“**.

მოხსენებაში, ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებიდან მოყვანილი ციტატების საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა, რომ რთულია მიღწეული იქნეს თანაფარდობა ღმერთს და გვერდზე მდგომის სიყვარულსა და გადასახადებს შორის, რის გამოც გადასახადი მძიმე ტვირთია.

ბაბულია მღებრიშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: **„ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის ბიბლიური გაგება და მდგრადი განვითარება“**.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ქრისტიანული მცნებების შესრულება ადამიანის გონებას „აჯანსაღებს“, გაჯანსაღებული გონება კი მისი სულისა და ხორცისთვის, და საერთოდ მთელი საზოგადოებისთვის, სწორი გადანყვებილების მიღებას განაპირობებს.

ერმალო ნიკოლაიშვილი – გელათის სასულიერო აკადემიის და ეკატერინა ბაბუნაშვილი ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორები: **„სიმართლით ნაშოვნი სიკეთეში დახარჯული“**.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ დოვლათი მაშინ არის პრობლემური, თუკი ის სიმართლით, ანუ მაღლით არ იქნა ნაშოვნი და სწორად, ანუ სიკეთეში, არ იქნა დახარჯული. რამეთუ უფალმა ეს ყველაფერი სიყვარულითა და კეთილად შეუქმნა ადამს (კაცობრიობას).

ოთარ ტუკვაძე – ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი: **„წყალი – ღვთის საჩუქარი და ეკონომიკის განუყოფელი ატრიბუტი“**.

მოხსენებაში გააანალიზებულია საქართველოში არსებული წყლის რესურსის სიუხვე, მრავალფეროვნება და მისი ეკონომიკურად ეფექტიანი გამოყენების საკითხები.

გიორგი შინაშვილი – თსუ-ის მონვეული პროფესორი: **„ბიბლიის სინერგიული მოძღვრება: ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის, ადამიანური რესურსების მართვისა და თვითმენეჯმენტის თემატიკა იესო ქრისტეს იგავებში“**.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია ფუნდამენტური, სინერგიული კონცეფციის გარეშე, რაც უნდა შემუშავდეს ბიბლიურ-ქრისტიანული და სეკულარული ფასეულობების საფუძველზე.

ნიკოლოზ ჩიხლაძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი. ქუთაისის უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და **პაატა კოლუაშვილი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ს/მ აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი: „**ორი ილია შრომის შესახებ**“.

მოხსენებაში ავტორებმა წმ. ილია მართლისა (ჭავჭავაძე) და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ ადამიანთა შრომისადმი დამოკიდებულება განიხილეს.

იზოლდა ჭილაძე – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი: „**ბიზნესის სტაბილურობა და ქრისტიანული მსოფლმხედველობა**“.

მოხსენებაში ახსნილია ბიზნესის სტაბილურობასთან ქრისტიანული მსოფლმხედველობის კავშირი და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

დასასრულ, სექციაზე გადაწყდა წარმოდგენილ მოხსენებათა საფუძველზე, ერთობლივი ნაშრომების გამოქვეყნება საქართველოსა და უცხოეთში.

სულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 98 სამეცნიერო მოხსენება, რომელთა გარშემოც გაიმართა საინტერესო და ფრიად სასარგებლო დისკუსია. კონფერენციის მოხსენებები განთავსებულია თსუ-ის სამეცნიერო პორტალზე:

https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf

კონფერენციის შედეგები შეაჯამა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **გიორგი ლაღანიძემ**, რომელმაც ხაზი გაუსვა კონფერენციის მნიშვნელობას საერთაშორისო კონტექსტით.

IV International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business”

Tbilisi, 1-2 November, 2019

https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf

The 4th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business,” was held on November 1-2, 2019 at the Faculty of Economics and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The conference was attended by scientists from both Georgia and other countries: Germany, Scotland, Poland, Republic of Latvia, Lithuania, Ukraine, Slovakia, Romania, Belarus, Kyrgyzstan, Azerbaijan.

On November 1, the plenary session was opened at the first building of the University by the Dean of the Faculty of Economics and Business of TSU, Professor Giorgi Gaganidze, TSU Rector Giorgi Sharvashidze, Chairman of the Committee of the Parliament of Georgia in Education, Science, Culture and Sport of Georgia Mariam Jashi, Chairman of the Committee of the Parliament of Georgia in Sectoral Economy and Economic Policy Roman Kakulia, Academician, TSU Professor Vladimer Papava and Academician, TSU Professor Avtandil Silagadze. They all delivered the welcome speeches.

The following professors made speeches on their works at the plenary session:

- **Paul Hare**, Academician, Heriot-Watt University, Edinburgh: „**Growth And Development on Georgia’s Example.**”

- **Rainer Wehner, Laura Schmiedle** – University of Applied Sciences Würzburg – Schweinfurt, Germany: „**The Effects of Globalization on European Airline Markets.**”

- **Elīna Gaile-Sarkane**, Dean, Professor, Riga Technical University: “**University – Industry Cooperation: Challenges of the Baltic Region**”.

- **Günter Hofbauer**, Professor, Technical University Ingolstadt, Germany: “**Blockchain Software for Business Process Procurement**”.

After the break, conference work was resumed in sections. 14 sections worked:

- ❖ **ECONOMETRICS** – Head of the session: **Professor Iuri Ananiashvili**. Two reports were presented: „**Monetary Policy in a Quasi-Linear Macroeconomic Model**” – **Professor Iuri Ananiashvili**; Associate Professor **Lia Totladze**: “**Possible Approaches to Measuring Human Capital.**”

- ❖ **ECONOMIC POLICY** – Head of the session: **Professor Revaz Gvelesiani**. Three reports were made by TSU Professor **Revaz Gvelesiani** – „**Conflict of Economic Interest – A Form of Discovery of Contradictory Interdependence between Basic Public Values.**”; Associate Professor at Caucasus University **Emir Eteria** – “**Globalization and Economic Aspects of the Georgia-EU Association Agreement.**”; TSU Ph.D. student **Kristine Ugulava** – “**Local Economic Development (LED) – New Strategy for Sustainable Development**”.

- ❖ **THEORETICAL ECONOMICS** – Head of the session: **Professor Elguja Mevabishvili**. Five reports were presented by Academician **Vladimer Papava** and Doctor of Economics **Vakhtang Charaia**: “**On Inflation Measurement and Complex Target-**

ing of Inflation”; Doctor of Economics, Invited Professor **Rusudan Sirbiladze** and TSU Ph.D. student **Lali Okroshidze**: **“The Importance of Innovation and Creativity in the Development of the Regional Economy..”**. Also, there were reports of **Anzor Abzalava** – Professor at GTU and **Podiashvili David** – Ph.D. student of the same University: **„Factor Classification of the Firm’s Environmental Strategy„**; **Talibek Koichumanov** and **Kuban Askirkulov** – Professors at Kyrgyz-Russian Slavic University: **“Challenges of the Silk Road Economic Belt for Central Asian Countries”**; **“Evaluation of measures to improve the business environment in line with the principles of Open Governance (Open Assessment)”**.

❖ **MACROECONOMICS** – Head of the session: **Professor Mirian Tukhashvili**. The section featured twelve reports: Associate Professor at ATSU **Naira Virsaladze** and Assistant Professor at ATSU **Malvina Kipiani**: **„Employment and New Jobs in the Dilemma of the Georgian Economy”**; **Tengiz Verulava** – Academic Doctor of Medicine, Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University: **„Raising the State Guarantees for the Population”**; **Nazira Kakulia** – TSU Associate Professor and **Tea Lazarashvili** – Associate Professor at Caucasus International University: **„Institutional Transformation and its Challenges in Georgia„**; **Emilia Kraynakova** – Associate Professor, Candidate of Philosophy at Alexander Dubcek University of Trentyn in Slovakia: **„Sustainability in the Study of Migration and Migration Policy”**; **Zumrud Nadjafova** – Lecturer of the Department of Economics at Azerbaijan State University of Economics: **„The Main Structure and Directions of Azerbaijan’s Economic Diversification”**; **Nanuli Okruashvili** and **Nino Paresashvili** – TSU Associate Professors: **“Youth Unemployment in Georgia and ways of its reducing”**; **Marina Tabatadze** – TSU Assistant Professor: **“The Economic Strategy of Decentralization and the Features of Fiscal Policy”**; **Miron Tugushi** – TSU Associate Professor: **“Accounting is an Important Prerequisite for Effective Management of Employment and Unemployment; „Malkhaz Chikobava** – TSU Associate Professor: **“Risks of the New Great Depression and Key Factors of Long Stagnation”**; **Sergej Vojtovic** – Doctor of Sociology, **Emilia Krajnakova** – Associate Professor, Candidate of Philosophy, **Magdalena Tufa** – Assistant Professor at Alexander Dubcek University of Trentyn in Slovakia: **„Calculating the Balance of Economic Benefits and Losses from Migration of Foreign Workers”**; **Rainer Wehner** – Professor at the University of Applied Sciences Würzburg – Schweinfurt and **Markus Engert** – Ph.D. student at the same University: **“Impact of Globalization on European Airlines Market”**; **Horatiu Dragomirescu** – Professor at Bucharest University of Economic Studies in Romania: **“The Counter-Intuitive Aspects of the Digital Formation Related to the Economic Regime”**.

❖ **MICROECONOMICS** – Head of the session: **Professor Eteri Kharashvili**. Six reports were presented in this section: **Natalia Kubiniy** – Professor at Uzhgorod National University in the Ukraine, **Victoria Marhitich** and **Tamila Kosovilka** – Ph.D. students at the same University: **„Strategic Development Potential of Regional Economics”**; **Tamar Lazarashvili** – TSU Assistant Professor: **“The Role of Investments in Stimulating**

Agrarian Production”; Leila Kadagishvili – TSU Assistant Professor and **Rusudan Maisuradze** – TSU Ph.D. student: **“About the Success and Prospect of Georgian Wine on the World Market”;** Nazira Karkashadze and Tinatin Gugeshashvili – Doctors of Economics: **“Knowledge and its Role in Consumer Behaviour”;** Mariam Jibuti – TSU Ph.D. student: „Regions of Georgia and Their Characteristics”; Arvydas Bakanauskas, Lina Pileliene – Associate Professors at the Vytautas Magnus University: **“Factors Affecting Employer Attraction in Latvian Manufacturing Companies”.**

❖ **INTERNATIONAL ECONOMICS** – Head of the session: **Academician, Professor Avtandil Silagadze.** The section featured four reports: **Mikheil Tokmazishvili** – TSU Associate Professor: **„Social Capital of Turkish Entrepreneurs in Georgia”;** **Ramaz Putkaradze** – TSU Associate Professor: **„Romania in the European Integration Process (12 years in the EU),”;** Lela Jamagidze – TSU Associate Professor: **“Debt Characteristics of Households in European Countries”;** **Zurab Mtchedlishvili** – TSU Ph.D. student: **“Ilia Chavchavadze on Foreign Trade and Modernity”.**

❖ **STATISTICS-** Head of the session: **Professor Simon Gelashvili.** Seven reports were made in this section: **Simon Gelashvili** – TSU Professor: **“Reforming State Statistics in the Republic of South Africa at the End of the Twentieth Century,,”;** **Marina Muchiashvili** – TSU Associate Professor, **Zamira Shonia** and **Maya Giorgobiani** – TSU Assistant Professors: **“Impact of Georgia’s Debt Sustainability on Country’s Economic Growth”;** **Marine Mindorashvili** and **Nino Abesadze** – TSU Associate Professors, **Maya Giorgobiani** – TSU Assistant Professor: **“Statistical Analysis of Students’ Socio-Demographic Characteristics”;** **Rusudan Kinkladze** – Associate Professor of Georgian Technical University and **Ketevan Chitaladze** – TSU Invited Lecturer: **“Foreign Students in Georgia and their Impact on the Country’s Economy”;** **Merab Khmaladze** – TSU Associate Professor: **“National Composition of Georgian Population”;** **Marika Shonia** – TSU Ph.D. Student: **Birth Rate in Samegrelo-Zemo Svaneti Region”;** **Elene Pirtskhalishvili** – TSU Ph.D. Student: **“Science, Technology and Innovation in a Globalized World”.**

❖ **ACCOUNTING, ANALISES, AUDIT** – Head of the session: **Professor Levan Sabauri.** Eight reports were presented in the section: **Izolda Chiladze** – TSU Associate Professor and **Lia Kozmanashvili** – TSU Assistant Professor: **“Actual Issues of Enterprise Cash Flow Reporting Analysis”;** **Levan Sabauri** – TSU Professor, **Nadejda Kvatashidze** – TSU Associate Professor: **„Issues of Accounting for Impairment of Financial Instruments”;** **Marina Maisuradze** and **Mariam Vardiashvili** – Associate Professors at TSU: **“Accounting Balance Analysis Actual Issues, (Example of „Telasi,,”);** **Angheli Khorava** – TSU Associate Professor: **“Issues of Conditional Commitments Reflection in Financial Statements”;** **Lia Kozmanashvili** – TSU Assistant Professor: **“On the „Estonian Model of Judicial Profit Taxation”;** **Zeinab Gogrichiani** – TSU teacher: **“The Reflection of the Reporting Period’s Following Events in the Financial Statements “;** **Merab Jikia** – TSU Associate Professor: **„Features and Benefits of Cost Sharing by**

Type of Activity”; **Nazi Gvaramia** – Associate Professor of Sokhumi University: **“Audit Practice and Standardization’s Modern Era”;** **Elguja Konjaria** – Associate Professor of Teaching University “Gaenati”: **„Revision and Audit Ratio Issues,“;** **Murad Narsia** – SEU Professor: **„Some Problems with Adaptation to the Law on Audit”.**

❖ **MARKETING** – Head of the session: **Professor Nugzar Todua.** The section featured five reports: **Natik Huseyn Gurbanov, Eldar Nadir Guliyev and Rauf Gushkhani** – Associate Professors at Azerbaijan State University of Economics: **„Some Problems with Insurance Marketing,“;** **Nugzar Todua** – TSU Professor: **“Impact of Destination Image on Tourist Buying Behaviour”;** **Ekaterine Urotadze** – TSU Assistant Professor: **“The Impact of Social Media Marketing on Customer Satisfaction in the Tourism Industry”;** **Khalil Nizrafilzade and Najaf Babiyev** – Ph.D. students at Vytautas Magnus University: **„Millennium Challenge: Determining the Level of Engagement on an Instagram Example”;** **Lina Pilliene** – Associate Professor at Vytautas Magnus University: **“Theoretical Views on Measuring Citizen’s Satisfaction”.**

❖ **MANAGEMENT** – Head of the session: **Professor Davit Narmania.** The section featured eight reports: **Davit Narmania** – TSU Professor, **Eka Chokheli, Giuli Keshelashvili and Manana Kharkheli** – TSU Associate Professors, **Nino Sardlishvili, Beka Topuria, Gvantsa Iluridze** – TSU Ph.D. students: **„Accumulated Pension System and Management Challenges in Georgia”;** **Nino Zurashvili** – Doctor of Business Administration: **“Real Estate Market Analysis”;** **Nunu Nikolishvili** – TSU Doctorate student: **„Internal Organizational Communication and its Main Characteristics”;** **Nino Sardlishvili** – TSU Doctorate student: **“Actions for Professional Development of Personnel in Public Service”;** **Sesili Tabatadze** – TSU Ph.D. student: **„Analysis and Evaluation of State Environmental Projects,“;** **Tamar Ghambashidze** – GTU Associate Professor: **“Organizational Culture Formation and Security Trends”;** **Tamar Beridze** – GTU Professor, **Medea Chelidze and Guguli Kurashvili** – GTU Associate Professors: **„Innovative Technologies – to Ensure Quality Education“;** **Angela Walter** – Professor at the University of Applied Sciences of Zwickau, Germany, **Soren Forster** – Ph.D. student at the same University: **„Effects of Globalization on Human Resources Management in SMEs“.**

❖ **INTERNATIONAL BUSINESS** – Head of the session: **Professor Temur Shengelia.** There were nine reports on the section: **Temur Shengelia** – TSU Professor: **„Social Entrepreneurship Research Methodology and Impact on Solving Georgia’s Social Tasks“;** **Ushangi Samadashvili** – Associate Professor at TSU: **„Dynamics of Small and Medium Business Development and the Reasons for Restrictions in Georgia”;** **Lali Khikhadze** – Associate Professor at TSU: **„The Future of Blockchain Technology and the Development of Digital Communications in Modern Global Business”;** **Khatuna Berishvili** – Associate Professor at TSU: **„Trends in International Trade Development in Conditions of Contemporary Globalization”;** **Temur Babunashvili** – TSU Visiting Professor: **„The Role of Innovative Entrepreneurship in SMEs and the Potential of Alternative Energy in Georgia,“;** **Tamar Dudaury** – Associate Professor at Caucasus In-

ternational University: „**The Impact of Transnational Corporations on the Economy of Recipient Countries**„; **Dimitri Javakhadze** – Doctor of Economics: „**Global Trends in Digital Transformed Business Analyses**“; also reports, presented by **Nino Janelidze**, **Mariam Melikidze** – TSU Ph.D. students and **Ana Guchua**, **Khvicha Sharashidze** – Ph.D. students at Kutaisi University.

❖ **TOURISM** – Head of the session: **Professor Ioseb Khelashvili**. The section featured four reports: **Eka Lekashvili** – Associate Professor at TSU: „**Challenges and Opportunities for Professional Development of Georgia’s Cultural Heritage Guide**“; **Nana Katsitadze** – TSU Associate Professor and **Mariam Kutateladze** – TSU Ph.D. student: „**Negative Organizational Service Climate and its Impact on Employees’ Expression of False Smile and Burn Out**“. **Niko Kvaratskhelia** – Professor at The Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia and **Nino Damenia** – Associate Professor of the same University: „**The Challenges of Cultural Tourism in the Context of Globalization**“; **Merab Khokhobia** – Assistant Professor at TSU: „**Systematic Aspects of Strategic Planning for Tourist Destination**„.

❖ **FINANCE AND BANKING** – Head of the session: **Professor Irakli Kovzanadze**. The section featured six reports: **Manana Alibegashvili** – TSU Ph.D. student: „**The Impact of Money Value on the Project Implementation Process**“; **Maya Gogokhia** – TSU Associate Professor: „**Regulation of International Banking of Georgia by Basel Agreement**“; **Khatuna Barbakadze** – TSU Associate Professor, **Nato Kakashvili** – TSU Assistant Professor: „**Improving Financial Settlement Rules in Reinsurance**“; **Natia Kakhniashvili** – Doctor of Business Administration: „**An Inclusive Business Model as One of the Financial Aspects of Poverty Alleviation**“; **Mikheil Chikviladze** – Associate Professor at TSU: „**Fiscal Risks of the 2019 Budget**“; **Nino Samchkuashvili** – Associate Professor at Georgian National University (SEU): „**The Role and Importance of the Financial Services Industry in Developing the Country’s Economy**“.

❖ **RELIGION AND ECONOMICS IN THE CONTEXT OF GLOBALIZATION** – Head of the session: **Associate Professor Ineza Gagnidze**. Eleven reports were listened to at the section: **Ineza Gagnidze** – TSU Associate Professor: „**The Principles of Economics on Human Interaction in the Orthodox Aspects**“; **Irina Gogorishvili** – Associate Professor at TSU: „**Socio-Economic Issues in Christianity**“; **Konstantin Golubev** – Doctor of Economics, Lecturer at the Minsk Theological Academy: „**Private and Public Property in the Christian Community**“; **Nodar Grdzelishvili** – Associate Professor at BTU: „**Some Issues of a Systematic Approach to the Development of Religious Tourism**“; **Merab Mikelashvili** – Georgia High School Professor: „**Forms of Tax Relationships in the Bible**“; **Babulia Mghebrishvili** – Associate Professor at TSU: „**The Biblical Understanding of Human Health and Sustainable Development**“; **Ermalo Nikolaishvili** – Associate Professor of Gelati Theological Academy, **Ekaterina Babunashvili** – Associate Professor at Kutaisi University: „**Obtained with Truth Spent in Kindness**“; **Otar Tukvadze** – Ph.D. student at Kutaisi University: „**Water – God’s Gift and Indis-**

pensable Attribute of Economics”; **Giorgi Shikhashvili** – TSU Visiting Professor: „**The Synergistic Doctrine of the Bible: Themes of Economic-Governance, Human Resource Management and Self-Management in the Parables of Jesus Christ**””; **Nikoloz Chikhladze** – Doctor of Economics, Doctor of Theology, Professor of Kutaisi University and Akaki Tsereteli State University, **Paata Koghuashvili** – Doctor of Economic Sciences, Full Member of Georgian Academy of Sciences, Professor of Georgian Technical University: „**Two Ilias on Labour**””; **Izolda Chiladze** – TSU Associate Professor: „**Business Stability and Christian Outlook**”.

There were delivered 98 scientific reports and interesting discussions held about all issues. The reports were collected in a conference proceeding and it is posted on the TSU Scientific Portal: https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf The results of the conference were summarized by the Dean of the Faculty of Economics and Business of TSU, Professor **Giorgi Gaganidze**. The Dean outlined the importance of the conference and its main topic in the international context.

ხსოვნა ნათელი BRIGHT MEMORY

პროფესორი კლიმენტი აჩელაშვილი

2019 წლის 15 სექტემბერს 78 წლის ასაკში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, კლიმენტი აჩელაშვილი.

კლიმენტი აჩელაშვილი დაიბადა 1941 წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში. 1958 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. მესამე კურსიდან მან სწავლა გააგრძელა ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1962 წელს, როგორც წარჩინებული და პერსპექტიული სტუდენტი, გაიგზავნა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე სასწავლებლად.

1965 წელს კლიმენტი აჩელაშვილმა წარმატებით დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტი სპეციალობით – ეკონომიკური კიბერნეტიკა. მისი სადიპლომო ნაშრომი იმდენად საინტერესო იყო, რომ კვლევის ძირითადი შედეგები სტატიის სახით გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ ჟურნალში – „ეკონომიკა და მათემატიკური მეთოდები“. იმავე წელს, რეკომენდაციის საფუძველზე, კლიმენტი აჩელაშვილს საშუალება მიეცა სწავლა გაეგრძელებინა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის ან ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ახალგაზრდა კურსდამთავრებულმა უპირატესობა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტს მიანიჭა, რომლის რექტორი იმ დროისთვის იყო საერთაშორისოდ აღიარებული ქართველი მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა. დაამთავრა რა წარჩინებით აღნიშნული უნივერსიტეტის ასპირანტურა, კლიმენტი აჩელაშვილმა მუშაობა დაიწყო სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ეკონომიკის ინსტიტუტში,



ამასთანავე, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1972 წელს აკადემიკოს ალექსანდრე გრანბერგის ხელმძღვანელობით, მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

კლიმენტი აჩელაშვილის შემდგომი კარიერა მთლიანად დაკავშირებული იყო სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან. 1973 წელს, საქართველოს საშუალო და უმაღლესი განათლების სამინისტროს მოწვევით, მან მუშაობა დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრაზე. 1980 წელს მან მიიღო დოცენტის ნოდება, 1997 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი მატერიალურ-ნივთობრივი კავშირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება“, ხოლო 2000 წელს მიიღო პროფესორის ნოდება; 1991 წელს, კონკურსის საფუძველზე არჩეულ იქნა აღნიშნული კათედრის გამგის თანამდებობაზე და მას ხელმძღვანელობდა 2006 წლამდე. ამ პერიოდში, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოისაპოვებლად, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით, დაცული იქნა არაერთი დისერტაცია.

პროფესორ კლიმენტი აჩელაშვილის აღზრდილია წამყვანი ეკონომისტების მთელი პლეადა, მათ შორის გამორჩეული მეცნიერები: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორი გივი ბედიანაშვილი, პროფესორი გიორგი წერეთელი და სხვა.

პროფესორი კლიმენტი აჩელაშვილი 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომლებიც ეკონომიკისა და მათემატიკის თანაკვეთაზეა შესრულებული და ეკონომიკის აქტუალური საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრის გამოკვლევას ეძღვნება. 2004 წელს, ქართველ ეკონომისტთა ჯგუფთან ერთად, პროფესორი კლიმენტი აჩელაშვილი გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში-ნაშრომთა ციკლისათვის – „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“. 2003 წელს მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ხოლო 2016 წელს – ივანე ჯავახიშვილის მედლით.

გამოვთქვამთ ღრმა მნუხარებას პროფესორ კლიმენტი აჩელაშვილის გარდაცვალების გამო და ვუთანაგრძნობთ მის ოჯახს და ახლობლებს. იგი სამუდამოდ დარჩება ახლობლების, მეგობრების, კოლეგების, მისი აღზრდილებისა და სტუდენტების მესხიერებაში როგორც კეთილშობილი, თავმდაბალი, სიცოცხლის მოყვარული და საიმედო პიროვნება, რომელიც თავისი საქმიანობის უსაზღვროდ ერთგული იყო.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

გამოცემაზე მუშაობდა ნათია დვალი
გარეკანის დიზაინერი – ნინო ებრალიძე

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
www.press.tsu.edu.ge